1522
2010

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა და ხელოვნება

N11
11/2010

ფსიქოლოგია
ლალი ლომთათაძე

ანოტაცია
ბაზა ქინქლაძე

პუბლიცისტიკა
ინგა ბერაძე

ესეი
დავით ანდღულაძე

ნარკვევები
ნოდარ ტაბიძე

ლექსი
თენგიზ აბულაძე

თეატრალური
ფესტივალი
2010

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლალი ლომთაძე

ლიტერატურა და ხელოვნება

N11(59)

11/2010

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
vaja otarashvili
Literature And Art

ISSN 1512-3189

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი:

ვაჟა ოთარაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი:
დავით კახაბერი

რედაქტორი:
ვერიკო ზამთარაძე

დიზაინერები:
ლექსო ოთარაშვილი
სალომე ფორჩხიძე

გარეკანის მხატვრობა:
ლალი ლომთაძე

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი
მხატვრის ქ. №4
ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.
E-mail: litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com
Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ მადლობას უხდის ჭეშმარიტ მამულიშვილსა და ცნობილ ინჟინერს, ბატონ **ტარიელ მეფარიშვილს** თანადგომისათვის

სარჩევი

ქართული ენა

3. მეხაბ შათირი - ღელა + ღევანი (ჰომანი. დასანყისი)
24. ზაზა ქინქლაძე - ლექსები
27. თამაზ დოლონაძე - ყვავები ქალაქს უბრუნდებიდნენ
31. ნენე ბალავაძე - ლექსები
33. ნათელა ნაჯუდაიძე - მოთხრობები
37. მარიკა პარნასელი - ლექსები
39. მაია ცეცხლაძე - ლექსები

ასკილი 170

40. მზია მეტკვილაძე - ალაკი და ვარინა ნეიეთლების მედევრი

ფერწერა

43. ნოდარ ტაბიძე - ქართული ფესვები და ევროპული ხედვა
45. ოქსანა ბეჟამვილი - ჯონ ჰამსონი და მისი "ლედოფალი თამარი"

ფერადოვნება

47. ღელა ნიფეარია - ჯაყოს ხიზნების ეკრანიზაციისათვის

ოქრო

50. ნატალია ვოლჩენკო - დავით ანდღულაძის ფენომენი

ქორეოგრაფია

55. ქეთი დიდიშვილი - ხორემი

კინოკრიტიკა

57. დავით ანდრიაძე - ვარლამ ალავიძის ვერსია

თეატრი

61. ლამა ჩხარტიშვილი - თეატრალური ფესტივალი - 2010

მუსიკა

67. მაია მიქაია - ინგა ბერაძის ოკარინა ტრიო

მხატვრობა

71. ნინო ზაალიშვილი - ოცა შთაგონება სულის ნანილია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„რიგორც უფალი, სამშიბლი, ერთია ქვეყანაზელა!"

რაფიელ ერისთავი

გამომცემლობა **„ეროვნული მწერლობა"** იღებს შეკვეთებს
პოლიგრაფიული პროდუქციის ბეჭდვაზე (წიგნები მაგარი
და რბილი ყდით — ფერადი და შავ-თეთრი; ჟურნალები;
სარეკლამო ბუკლეტები და სხვა), დაზიანებული
წიგნების აღდგენაზე
მისამართი: მხატვრის ქ. 4
ტელეფონები: 32-73-62; 31-70-47; 899 25 60 14
E.male. litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com

გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის" 2010 წლის გამოცემები





წიგნების შეძენის მსურველები

დაგვიკავშირდით: 31 70 47; 899 25 60 14



ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ ჯალიტი

ლელა + ლევანი

(თბილისური რომანი)

მინდა, შენი ნახვა, მინდა,
ძლიერ მომენატრე,
ჩემო საყვარელო...
(კედელზე მინაწერი)

27406

I

მე ლევანი ვარ — იარმორკელი, „სამების“ ეკლესიის ეზოში გავიზარდე — პატარა, ვიწრო ბინაში, რომელიც ასევე პატარა და ვიწრო ქუჩაზე მდებარეობს; ტაძრის მეორე მხარეს ჩემი შეყვარებული ცხოვრობს, რაც თავი მახსოვს, სულ მიყვარს, შვიდი წლის ვიყავი, ბიჭებს რომ განვუცხადე, ლელა ჩემი გოგოა-მეთქი. სინამდვილეში, მიყვარდა თუ არა, ამას მაშინ რას მივხვდებოდი, უბრალოდ, მასთან სიახლოვის დაუოკებელი სურვილი მქონდა და მასზე ცუდის თქმას არავის ვაპატიებდი, ეს იყო და - ეს. „სამების“ წინ, უბნის ბავშვები თავს რომ მოვიყრიდით, დამალობანას ვითამაშებდით და მოუხელთებელ კუთხე-კუნჭულებში შევიყუჟებოდით, თუ ლელა იხუჭებოდა, სამალავიდან პირველი გამოვდიოდი და მის კმაყოფილებისგან გაცისკროვნებულ თვალებს გამოთაყვანებული მივჩერებოდი — მისი გახშირებული სუნთქვა გულის ფეთქვასავით მესმოდა და ისეთი წინათგრძნობა მეუფლებოდა, თითქოს ზღაპრული თოჯინის წინაშე ვიდექი; იგი ყველა თანატოლისგან გამოირჩეოდა, საოცრად კეთილი იყო და არასოდეს იპრანჭებოდა; სხვა ბიჭს თუ ყურადღებით მოექცეოდა, მოსვენებას ვკარგავდი და შურისგან გულზე ვსკდებოდი, ვუბრაზდებოდი და რამდენიმე დღე ცხვირაბზუებით დავდიოდი.

როცა თორმეტი წლის გავხდი და ზედა ტუჩის გასწვრივ ღინღლი შევნიშნე, საჯარო ბიბლიოთეკის უკანა კედელზე დიდი ასოებით მივაწერე: ლელა + ლევანი და, იქვე ისარგაყრილი გულიც მივახატე — ჩემი ყმაწვილბიჭური ჭკუით; მთელ ქვეყანას გავაგებინე, თითქოს მე და ლელას ერთმანეთი გვიყვარდა; იგი უკვე მოწიფული გოგონა იყო და ისეთ მოკლე კაბებს აღარ იცვამდა, ქვედა საცვალი რომ გამოსჩენოდა; კედლის წარწერის ამბავი ვიღაცამ ცხლად მიურბენინა და ადგილიც მიუთითა. „ლევანი დებილია!..“ ამრეზით ჩაულაპარაკია მას და ნიაზის გასაგონად უთქვამს, მაგი ცოტას ხომ არ აფრენსო. ნირი მაინც არ გავიტეხე და ამჯერად მორიგი შეტევა აგურისფერ კედელზე განვახორციელე, იმ ღამესვე თეთრი საღებავით და უშველებელი ასოებით ერთი წარწერაც გავაშანშალე.

მოკლედ, „სამების“ მომიჯნავე საცხოვრებელი სახლების კედლები თანდათან ფერადი წარწერებითა და გულში გაყრილი ისრებით მოვხატე

ლელას მამა ბათუმში ცხოვრობდა და იგი სულ მალე მასთან გადავიდა. ასე რომ, თბილისში მის გარეშე დავრჩი, ბებიაჩემის, მერი თვალავასა და კედლებზე წარწერილი სასიყვარულო იეროგლიფების ამარა. დედაქალაქში მხოლოდ არდადეგებზე თუ ჩამოვიდოდა და მაშინაც მთელ დროს დედისა და ბიძის მეთვალყურეობის ქვეშ ატარებდა. წარწერებიც თანდათან იშლებოდა, ზოგს წვიმა რეცხდა, ზოგსაც სახლის მობინადრეები ღებავდნენ. დრო-ჟამის წარმავლობამ მხოლოდ აგურისფერი შენობის კედელს ვერაფერი დააკლო; გაფერმკრთალდებოდა თუ არა ჩემი ბავშვობის ნაცოდვილარი, უმალვე საღებავს ვშოულობდი და გვიან ღამით წარწერას ვაახლებდი. ეს ჩემი აკვიატება, რაც უნდა უცნაურად გეჩვენოთ, ჩემს თავმოყვარეობას სულაც არ ლახავდა, პირიქით, ლელას სიყვარულის ამ გზით გამოაშკარავება მთელი არსებით მეამაყებოდა — თითქოსდა დაუოკებელ ჟინს შევეპყარი, ხმამაღლა გამეცხადებინა, „ლელა მიყვარს და წინ ვერავინ დამიდგება!“

მერი თვალავა დედაჩემის მშობელი იყო; ღვთისნიერ ქალს, სინდისი ქენჯნიდა, მისმა ქალიშვილმა, ცხოვრებას თავი ვერ გაართვა, ვერ მეპატრონა, ამერიკაში წავიდა და მის ანაბარად დამტოვა — ვეცოდებოდი და შვილივით მზდიდა — მივლიდა; მამაჩემი ციხიდან რომ გათავისუფლებულა, ისიც საკუთარ ბედს სწევია, ვიღაც სენაკელი ქალი შეურთავს და ახალი ცხოვრება დაუწყია. დედ-მამას მხოლოდ სურათიდან ვიცნობდი და მათი სითბო ყოველთვის მენატრებოდა. ბებიაჩემის გარდა არავის ვახსოვდი და ჩემი კეთილდღეობისთვისაც არავინ ზრუნავდა. ჩია ტანის, თმათეთრა ქალი სულ კუდში დამდევდა და თავგამოდებით მზრდიდა — არაფერს მაკლებდა, ცხრა ტყავში ძვრებოდა და ჩაუცმელ-დაუხურავს არ მატარებდა — თავი დაჩაგრულად რომ არ მეგძნო, დღედაღამ შრომობდა; ექვს წლამდე კაბის კალთაზე ვყავდი გამობმუ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, კენგურუსავით წინ და უკან დამათრევდა; როცა სკოლაში სიარული დავიწყე, მეზობლებს ემუდარებოდა, ვიდრე სამსახურიდან დავბრუნდები, ბიჭს მიმიხედეთო. მეზობლებს დავეპუებოდი?.. შევიდოდი თუ არა ეზოში, ჩანთას მოვისროდი, ქუჩაში გავრბოდი, დაღამებამდე ბაჩოსთან და ნიაზთან ერთად დავხტუნაობდი — ბურთაობითა და ომობანას თამაშით მთელ უბანს ვიკლებდით, ვცელქობდით და ბავშვური ოცნების კოშკებს ვაგებდით.

ბაჩოს და ნიაზს ორი უფროსი ძმა ჰყავდა — თემო და ჯიმშერი; ისინი მამით ერთნი იყვნენ, ხოლო დედით — სხვადასხვა; იზო დეიდა თემოს და ჯიმშერს საკუთარი შვილებივით ზრდიდა, ერთმანეთისგან არ ანსხვავებდა; ხშირად მიფიქრია, ნეტავ იზოსნაირი დედინაცვალი მაინც მყოლოდა-მეთქი; ისე თბილად მექცეოდა, თავს მის მეხუთე შვილად ვთვლიდი — მაგიდას რომ შემოვუსხდებოდით და საჭმელს შევექცეოდით, განსხვავებულ ულუფას მე გადმომიღებდა, თავი დაჩაგრულად არ იგრძნოსო.

მერი თვალავას ქალობასა და მოხერხებულობაზე მთელი უბანი ლაპარაკობდა, ყველა პატივს სცემდა და შეძლებისდაგვარად უთანაგრძნობდა; დედამიწის ზურგზე არც ერთი ბებია შვილიშვილისთვის იმდენს არ ზრუნავდა, რამდენსაც მერი თვალავა — ჩემთვის; თითქოს ყველაფრით კმაყოფილი უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ, საკუთარ თავთან რომ დავრჩებოდი, გული არაბავშვური დარდით მევსებოდა — იმ თანატოლთა ბედს შევნატროდი, ვინც დედამამასთან ცხოვრობდნენ და მათი მზრუნველობით სარგებლობდნენ; სულ იმას ვფიქრობდი, ამქვეყნად მერი თვალავა რომ არ მყოლოდა, რა მეშველებოდა-მეთქი; ალბათ, რომელიმე უპატრონო ბავშვთა სახლში მიმაბარებდნენ და, რაღა თქმა უნდა, ამბის მომკითხავიც არ გამომიჩნდებოდა.

წამოვიზარდე თუ არა, ბებიაჩემს აღარ ვეპუებოდი და თანატოლივით ვექცეოდი, მერიკოს ვეძახდი, ზოგჯერ იმდენს ვეძალავებოდი, სიცილით სუნთქვა ეკვროდა და, ჩამომეხსენი შე გადარეულოო, მობეზრებით გაიძახოდა.

— გარეგნულად როგორი ბიჭი ვარ?.. — ვკითხე ერთხელ და სარკეში ქოჩორი გავისწორე.

— დახატული ხარ, დახატული! — ენა მოიჩლიქა მერიკომ.

— ლელას მოვეწონები?! — სახეზე მოუთმენლობა დამეტყო.

— რომელს, კედელზე რომ წაგიწერია, იმას? — უცებ დასერიოზულდა.

— ჰო, მარტო კედელზე კი არა, აი აქ, გულშიც რომ მიწერია! — მკერდზე ხელი მივიდე და სარკიდან ალმაცერად გავხედე.

— რა დროს შენი სიყვარულია, თორმეტი წლის ღლაპო! — გამომაჯავრა მერიკომ და თვალები მოჭუტა.

— სიყვარულმა ასაკი არ იცის, ქალბატონო მერი! — ყმაწვილბიჭური ნიშნის მოგებით ავუხსენი და უჩვეულო მოლოდინით მივუტრიალდი.

— იმ გოგოს, ბიჭო, ვერ შევწვდებით, შეძლებული ოჯახის შვილია! — რაღაცნაირი სინანულით ჩაილაპარაკა და დამნაშავესავით გამიღიმა.

— მისი სიმდიდრე არ მიზიდავს, მიყვარს და მორჩა!.. — გადაჭრით წარმოვთქვი, თითქოს ამით ყველაფერი დავადასტურე და ჩემი შეუვალობით შემცბარი ქალი უზრდელურად მივატოვე.

იმ დღეს ბაჩომ ფურცელაძის ქუჩაზე საცხოვრებლად ახალგადმოსული ბიჭი გამაცნო — მას დათო ჰქვია, ჯერ ერთმანეთში უჩხუბიათ და მერე დაძმაკაცებულან. თავმდაბალი ბიჭი ჩანს, ჩემზე სამი წლით უფროსია, მაგრამ ეს არაფერი, მალე დავმეგობრდით; აგურისფერ კედელს თვალი რომ შეავლო, გამიღიმა და შინაურუ-ლად მკითხა: — შენს შეყვარებულს ლელა ჰქვია? — დასტურის ნიშნად მეც გავუღიმე და გული უჩვეულო სიამაყით ამითრთოლდა.

დათოს კი, როგორც შევატყვე, ჯერჯერობით შეყვარებული არ ჰყავს.

პატარაობიდანვე ხიფათიანს მეძახიან. ბებიაჩემი სულ მარწმუნებს, გათვალული ხარო, ეკლესიაში ხშირად შედი და სანთელი დაანთეო. ეკლესიაში არ ვცხოვრობ-მეთქი, ღიმილით ვპასუხობ. მართლაცდა, დილის ლოცვები იავნანასავით მესმის, ზარების ხმას კი ისე შევეჩვიე, ჩიტების გალობა მგონია; თითქმის ყველა მღვდელს ხმაზე ვცნობ, ვინ როგორ ლოცულობს და რა დროს აუმაღლებს ინტონაციას, ზეპირად ვიცი. სამჯერ მაინც შემოუარე ტაძარს, შე ღვთისპირიდან გადავარდნილოო, მსაყვედურობს მერიკო. სამჯერაც ვუვლი და ოცდასამჯერაც, სხარტად ვპასუხობ და მისი გულის გასახარად, ქუჩაში ეკლესიის შემოვლით გავდივარ.

მე და ხიფათი მართლაც განუყრელი მეგობრები ვართ. ერთხელ მეზობელ ბიჭს ველოსიპედი მოვპარე და თავდაღმართში სტვენა-სტვენით დავეშვი, უეცრად ამოვყირავდი და მშენებარე სახლის საძირკველში მოვადინე ზღართანი — არმატურას დავენარცხე და იქიდან ცოცხალმკვდარი ამომიყვანეს, თავზე ცხრა ნაკერი დამადეს.

ვიდრე ამ ჩანაწერებს გავაკეთებდი (თვრამეტი წლიდან ლელას წაბაძულობით ვწერ), ვინ იცის, რამდენჯერ გადავურჩი სიკვდილს; ორჯერ ავტოკატასტროფაში მოვყევი, გია მარუშიძის „ბმვ" ისე დავამტვრიე, დაშალეს და ნაწილებად გაყიდეს; ზალიკოს „09" კი ახლაც წელში გაწყვეტილივით დადის — ყველაფერი გამოუცვალეს, ძველი პეწი მაინც ვერ დაუბრუნეს.

დღესაც ასე ვარ, რასაც ხელს ვახლებ, გაფუჭებისთვის მზად არის. ერთადერთს, ვისაც ცივ ნიავს არ ვაკარებ და დარწმუნებული ვარ, ღმერთი არაფერს ავნებს, ჩემი შეყვარებულია.

ზამთარი ჭირის დღესავით მეზარება, ზაფხულს კი დათვის ბელივით ველოდები, მოწყენილობის ბუნაგს თავი რომ დავაღწიო და სიყვარულის სილაღე ვიგრძნო — ლელა როცა თბილისში ჩამოდის, ჩემს სიხარულს საზღვარი არ აქვს.

დღედაღამ მასზე ვფიქრობ, გამუდმებით მენატრება, ის არის ჩემი სალოცავი ხატიც, ცხოვრების რწმენაც და მომავლის იმედიც

თემომ ცოლი შეირთო, მაგრამ სხვა გოგოც ჰყავს, მასთან ურთიერთობას ვერაფრით გაურბის.

ბაჩოს ერთი გოგო მოსწონს, მგონია მიყვარსო, ყოყმანით მითხრა, მგონი კი არა, მისი ბუნება რომ ვიცი, ნამდვილად უყვარს, მაგრამ ბოლომდე არ იმჩნევს.

ჩვენს უბანში, ბებიასთან საცხოვრებლად, ერთი სანზონელი ბიჭი გადმოვიდა — გურამჩიკას ეძახიან; მამა კანონიერი ქურდი ჰყავს, გურამის დედასთან განქორწინებულია და მოსკოვში მეორე ცოლთან ერთად ცხოვრობს; ბიჭს მამა ძალიან უყვარს, მალე რუსეთში წამიყვანსო, ამაყობს; დათომ გამაცნო, ჩემი მეგობარიაო და ისიც გამიმხილა, მისი დეიდაშვილი, ნანუჩი მომწონსო.

მოკლედ, ყველას ყველა მოსწონს, იარმორკა შეყვარებულების უბანი გახდა. უსტო ციხეში ჩასვეს, ვიღაც კახელი ბიჭი შემოელახა, იმას სიყვარულისთვის ნამდვილად არ სცხელა.

ხვალ ლელა ჩამოდის, თუ მასთან შეხვედრას მოვახერხებ, თავს ბედნიერად ჩავთვლი და სამოთხის ენაზე ვილაპარაკებ.

მთელი ღამე მოუსვენრად გავატარე, მერიკომ გული გამიწყალა, რა ჭირი გეცა, რატომ არ გძინავსო — დილით კი ფული მომცა, ბაზრობაზე წადი, ჯინსები და ბოტასები იყიდეო. ჯიგარი ქალი ხარ-მეთქი, მივაძახე და ახალი „შმოტკების“ შესაძენად მოვკურცხლე.

დაღამებამდე „სამების“ წინ დავყავი, თვალი ლელას ბიძის ეზოსკენ მეჭირა, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მზის ამოსვლას ველოდებოდი და მალე სულში თავბრუდამხვევი სითბო ჩამეღვრებოდა; ლელა მოგვიანებით დედამისთან ერთად გამოჩნდა, მალულად გამომხედა, მომეჩვენა, თითქოს ხელიც ამიწია და შეთქმულივით გამიღიმა — მერე სახეზე შეცბუნება დაეტყო, ქალმა მის მზერას თვალი გამოადევნა და რაღაც უსაყვედურა.

ის ღამეც მოუსვენრად გავატარე — მთელი არსებით ლელაზე ვფიქრობდი და გულში უჩვეულო ტკივილს ვგრძნობდი; ბოლოს ავდექი და ქუჩაში გავედი; ირგვლივ უჩვეულო სიჩუმე იყო, მტკვრის ხეობიდან გრილი ნიავი ქროდა; ჭყეტელა ვარსკვლავებს ოცნების თვალით ავჩერებოდი და სამყაროს სუნთქვას ყურს ვუგდებდი, თავი ბედნიერად წარმომედგინა: ამ უკიდეგანო სივრცეში ერთი უპატრონო ბიჭი ვიყავი, წარმტაცი გოგონას სიყვარულზე ვოცნებობდი, ქვეყნიერებას ეძინა, მე კი მასზე ფიქრი არ მასვენებდა — რა მოხდებოდა, მასაც რომ ეგრძნო, გარეთ გამოსულიყო და მისი მოლოდინით დამარქაფებული ბიჭის თვალებში ჩაეხედა...

მთელი დღე უაზრო ხეტიალში გავატარე. ჩემი თანატოლები სახელმწიფო გამოცდებისთვის ემზადებიან, იღლიაში წიგნამოჩრილები რეპეტიტორებთან გარბიან, მე კი იმაზე ვიმტვრევ თავს, ლელასთან შეხვედრა როგორ მოვახერხო.

შუადღემდე ბაჩოსთან და ნიაზთან დავყავი. ჯიმშერი უკვე ჯარში მსახურობს, მისი გამოგზავნილი წერილი წავიკითხეთ, რუსებს კარგად ვეწყობი, ჩვენ გარშემო მარიხუანას პლანტაციებია, იმდენი მოსაწევია, მთელ თბილისს დააბოლებსო — ყოველდღე ვეწევით და დროს ღადავში ვკლავთო; მოკითხვას მითვლის, ბათუმიდან შეყვარებული თუ ჩამოუვიდა, მაშინ ამ ზაფხულს თავსატეხი გაუჩნდებაო. მერე ცოტა ხნით „ორბელიანის“ ბაღში ჩავედით, ,,ბასეინთან“ ჩამოვსხედით და მოშორებით თავშეყრილი ლოთების ცქერით გავერთეთ — განსაკუთრებით სახენაიარევ გოგონას ვაკვირდებოდით, რომელიც ვიღაცას უშვერი სიტყვებით მოიხსენიებდა და გვერდით მდგომ მამაკაცს, სიგარეტი დამიტოვეო, წარამარა ახსენებდა; კაცი, რომლის ცოლიც თურმე გერმანიაში გახიზნულიყო, სახენაიარევ გოგონას შემწყნარებლად მისჩერებოდა და სიგარეტს ხარბად ექაჩებოდა, რაც შეიძლება მეტი მოვწიოო, ზოგჯერ უგერგილოდ ეღიმებოდა და მელოტ თავზე ხელს ისვამდა; „დღედაღამ ერთად დაწანწალებენ, იმასაც ამბობენ, ეს მელოტი კაცი ამ გოგონამ გაალოთაო!“ აგვიხსნა ბაჩომ და სიგარეტის ნამწვი მობეზრებით მოისროლა. „იქნებ ერთმანეთი უყვართ და სხვაგვარად არ შეუძლიათ?“ რაღაცნაირი სინანულით ვიკითხე. „მაგათ ერთმანეთი კი არა, დასალევი უყვართ და ამიტომაც არიან ერთად!“ ირონიულად გამოცრა ნიაზმა. „წავედი, ტოტალიზატორში ფსონს დავდევ, იქნებ დღეს გამიმართლოს!“ მობეზრებით დასძინა და ბაზრისკენ გაუყვა; ბოლო დროს კაზინოში სიარულსაც დაეჩვია, ფულს აგებდა და ვაი-ვაგლახით ისტუმრებდა; ბაჩომ უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი, „რასაც გაგიმართლებს, იმასაც ვნახავ!“ ჩაილაპარაკა და კვლავ ლოთებს გახედა; მე რატომღაც სახენაიარევი გოგონასა და იმ მელოტი კაცის ბედზე ვფიქრობდი, ერთად მაინც არიან-მეთქი.

ბაჩო ამერიკის საელჩოსკენ წავიდა, მე კი „სამებისკენ“ ავუყევი — იმ იმედით, იქნებ ლელას გადავეყარო-მეთქი; გურამჩიკას სადარბაზოსთან დათოს შევხვდი; „ბებიამისი გააბრაზა და გარეთ არ უშვებს!“ — ღიმილით მითხრა მან და მეგობრის ფანჯრის რიკულებს ირონიული მოლოდინით შეხედა; ოთახიდან გაკაპასებული დედაკაცისა და უკმაყოფილო ბიჭის კამათი ისმოდა; მალე ფანჯარას სახეალანძული გურამი მოადგა, „არ მიშვებს!“ უკმაყოფილოდ წარმოთქვა და ჩემს დანახვაზე ოდნავ დაიბნა. „კაცმა სკოლა დაამთავრე და ქუჩაში გამოსვლის უფლებას არ გაძლევენ?“ ცეცხლზე ნავთი დაასხა დათომ. „ეხ!“ ხელი ჩაიქნია გურამმა და უხერხულად გამიღიმა. „არ მინდა, ჩემი მოსკოვში გამგზავრება გადაიდოს და ამიტომაც ვითმენ!“ — დასძინა, ხმაში მერყეობა დაეტყო; მართლაც ფრთხილობდა, ბებიაჩემი რომ გავანაწყენო, დედაჩემს ამერიკაში დაურეკავს და განზრახვაზე ხელს ამაღებინებენო.

ამ დროს ტროტუარის გასწვრივ თეთრი „09“ გაჩერდა, მანქანიდან გურამის დეიდა და დეიდაშვილი გადმოვიდნენ, ქალი ელეგანტურად გამოიყურებოდა; საჭესთან მისი საყვარელი, ლოვა ჯიშკარიანი იჯდა, რომელმაც მეგობრულად აგვიწია ხელი, მანქანა ჩაკეტა და გურამს შინაურულად გაექილიკა: „რაო, პატიმრობა მოგისაჯეს?“ ჩვენ კი თვალი ჩაგვიკრა; დათო უხერხულად შეიშმუშნა, წამოწითლდა, ნანუჩის მორიდებით მიესალმა; გოგონამ თბილად გაუღიმა და დედასთან ერთად ეზოში შევიდა.

მე და დათომ „სამებასთან“ გადავინაცვლეთ; „ნანუჩის დედის მეგობარი მაგარი კაცი ჩანს, ამბობენ, ნარკომანიაო!“ თქვა დათომ და ეკლესიის გუმბათს მელანქოლიურად გახედა; „გიყვარს?“ ნანუჩიზე ჩამოვუგდე სიტყვა და თვალებში დავაკვირდი; დაბნეულად ჩაეღიმა,

„გუშინ გურამჩიკამ ალექსანდრეს ბაღში მოიყვანა და კატეგორიულად გამოუცხადა, მე მოსკოვში ვაპირებ წასვლას და შენს თავს დათოს ვაბარებო... ნანუჩი გაგიჟდა, მე რა, თოჯინა ხომ არ ვარ, ვიღაცას რომ მაბარებ, ჩემს თავს თვითონვე მივხედავო — თანაც გამომწვევად მომჩერებოდა, შენ რაღას გაჩუმებულხარო; გურამჩიკა თავისაზე იდგა, რასაც გეუბნები, კანონიაო..." მხიარულად ყვებოდა დათო და სიგარეტს აბოლებდა. „იცი, ქურდობა უნდა!" რაღაცნაირი სინანულით დასძინა, თითქოს ძმაკაცის მომავალი გამოიტირა. „როგორ?" გაოცებისგან პირი დავაღე; დათო მიმიხვდა, რასაც ვგულისხმობდი, ორივემ კარგად ვიცოდით, გურამს არასოდეს მოუპარავს და, ამ გადაწყვეტილებას იმიტომ იღებდა, ცხოვრებაში სხვა გამოსავალს ვერ პოულობდა; „დედის სითბო რას ნიშნავს, არ ვიცი... მხოლოდ მამაში ხედავს ცხოვრების აზრს და მისი წაბაძულობით სხვა არჩევანზე აღარ ფიქრობს!.." დათომ ნახევრად მოწეული სიგარეტი ფიქრიანად მომაწოდა. „შენ, არ გინდა ქურდობა?" უადგილოდ მკითხა და გამომცდელად მომაჩერდა; გამეცინა, „შეყვარებული ვარ და მაგისთვის არ მცალია!" სიცილით ვუთხარი და სიგარეტი გავაბოლე.

ნანუჩი და ლელა ერთმანეთს პატარაობიდან იცნობდნენ, ვიფიქრე, დათო დამეხმარებამეთქი და, გულწრფელად ვკითხე:

— ნანუჩიმ რომ ლელა გამოიყვანოს?..

— ვნახოთ! — დამაიმედებლად მიპასუხა და თანაგრძნობით გამიღიმა.

მივხვდი, ამქვეყნად ყველაზე მეტად მხოლოდ ის გამიგებდა, ვინც სიყვარულის ფასი იცოდა.

— წელს ქობულეთში აპირებს დასვენებას!.. — ნანუჩი იგულისხმა და საქმიანად დაფიქრდა.

— აგვისტოში ლელაც გაემგზავრება ბათუმში! — თითქოს მხარი ავუბი.

— შენ რა, ზღვაზე წასვლას ხომ არ გიშლიან?.. — გამომწვევად მკითხა და შემაგულიანებლად დასძინა: — ჩემთან ჩამოდი ქობულეთში, ბათუმიც იქვე არაა!..

ამ დროს ბაჩოც შემოგვიერთდა, უსტოს ციხეში ამანათი შევუგზავნოთო, საქმიანი წინადადება შემოგვთავაზა და შეთქმულივით მოგვაჩერდა, თითქოს დანაშაულის ჩასადენად ვემზადებოდით.

სამივე კოლმეურნის მოედნისკენ დავეშვით, მიკროავტობუსის მძღოლებს ყველაფერი ავუხსენით, მეყვავილეებსაც თანადგომა ვთხოვეთ და პატიმრისთვის შესაგზავნი ამანათი გავამზადეთ.

დაღამებამდე თემო გამოჩნდა, მგონია ცოლი ფეხმძიმედ მყავსო, გახარებულმა გვითხრა და სადღაც წავიდა.

მოგვიანებით „სამების" წინ ნანუჩის და ლელას წავაწყდი, მალე გურამი და დათოც შემოგვიერთდნენ; მე და ლელას შეხვედრა არაფრით გამოირჩეოდა ადრინდელი შეხვედრებისგან, თითქოს კვლავ პატარები ვიყავით და დახუჭობანა უნდა გვეთამაშა; ლელა საგრძნობლად გამოცვლილი მეჩვენა, გარეგნულად დასრულებულიყო, უცხოური სუნამოს სურნელი ასდიოდა, თმა მოკლედ შეეკრიჭა და ხელის თითები მოეწესრიგებინა; თხელი შარვალი და გულამოღებული მაისური ეცვა; მეათე კლასელს ნამდვილად არ ჰგავდა, თითქოს ნაადრევად დაქალებულიყო; გვედრიგვერდ მივაბიჯებდით და მისი გახშირებული სუნთქვა თავგზას მიბნევდა, ისე მექცეოდა, როგორც მის ჩვეულებრივ ნაცნობს; ხმას არ ვიღებდი, ფიქრებით ვეალერსებოდი, ფარულად მეღიმებოდა, თითქოს მისი სიყვარული განაღდებული მქონდა; ქვეცნობიერად ვგრძნობდი, ჩემი თავდაჭერა ნერვებს უშლიდა, მოუსვენრად ცქმუტავდა, თითქოს გამოსავალს ეძებდა — დანარჩენთა შინაურულ საუბარს შენიღბული გულისყურით უსმენდა და, ზოგჯერ დუმილსაც არღვევდა — ასე შეგნებულად იქცეოდა, მღელვარებას ფარავდა და გარეგნულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა.

„ალექსანდრეს" ბაღში ცოტა ხანს დავყოვნდით და უკან გამოვბრუნდით; „სამების" ეკლესიასთან ლელას დედა დავლანდეთ, საყვედურით სავსე იერსახე ჰქონდა; ლელა თითქოს შეცბა, თავი უხერხულად ვიგძენით და ნაბიჯი შევანელეთ; ქალი იდგა და ქალიშვილის მოახლოებას მოუთმენლად ელოდა; ბუნებით ამაყი ლელა არაფერს იმჩნევდა, აუღელვებლად დაგვემშვიდობა, მე თითქოს მოწყალე თვალით გამომხედა, დამამშვიდებლად გამიღიმა და დედისკენ წავიდა; ამ დროს ჩემი და ლელას დედის, ელენეს, მზერა ერთმანეთს შეეფეთა, არ დავბნეულვარ და არც თვალი ამირიდებია; ქალმა რაღაც უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა, ლელას არაფერი უთხრა, სახლისკენ უსიტყვოდ გაიყოლა, თითქოს იმ ჩალაპარაკებით დაკმაყოფილდა.

ეკლესიის წინ დიდხანს ვიდექი, ქვეცნობიერად ლელას გამოჩენას ველოდი.

დაშუაღამევდა, ირგვლივ უჩვეულო სიმყუდროვემ დაისადგურა.

ქალაქს ეძინა, მე კი ლელა თავდავიწყებით მიყვარდა და მასზე ვფიქრობდი.

II

მე ლელა ვარ — იარმორკელი, თუმცა იქ დაბადებული და არა გაზრდილი, რადგანაც უმეტესი ხანა ბათუმში გავატარე — უჩვეულო ბავშვობა მქონდა: სიყვარული და პატივისცემა არც დედისგან მაკლდა და არც მამისგან; სულ მიკვირდა, ასეთი კარგი, თბილი და მოსიყვარულე მშობლები მყავს და რატომ ერთად არ ცხოვრობენ-მეთქი; უმამობა არასოდეს მიგვრძნია და არც ის მიფიქრია, სინდისი ქენჯნის და ამიტომაც მანებივრებს-თქო; მისი დედ-მამა ხმამაღლა მეუბნებიან, პირველი სიხარული ხარ და შენზე წინ ვერავის დავაყენებთო; განსაკუთრებით ბებიას ვუყვარვარ, ცივ ნიავს არ მაკარებს, ძვირფასი განძივით მიფრთხილდება — ჩემი სიბერის იმედი ხარო, ალერსით მეუბნება.

საკუთარი თავისთვის იმის უფლება არასოდეს მიმიცია, ჩემი მშობლების წარსული და მათი უთანხმოების მიზეზი გამომეკვლია; დედა მაინც ქალია და, ზოგჯერ მისგან კი მიგვრძნია, მამაჩემის მთლად კმაყოფილი არ იყო, მაგრამ ეს გრძნობა გულის სიღრმეში მიმიჩქმალავს და მისი გამომცდელი მზერისთვის თვალი ამირიდებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ, არაჩვეულებრივი მშობლები მყავს — შეძლებულად ცხოვრობენ და ერთმანეთის წამხედურობით კი არ მეფოფინებიან, ან იმას კი არ ამტკიცებენ, არა მე შენზე კარგი ვარ და არა მეო, არამედ, ერთსაც გულწრფელად ვუყვარვარ და მეორესაც.

დედაჩემი ჩემთვის ჭკუას კარგავს, სულ თვალებში შემომციცინებს, დღენიადაგ იმას ფიქრობს, რითი გამახაროს; მეორედ სწორედ ჩემ გამო არ გათხოვდა და ამას არც არასოდეს ნანობს; მიუხედავად იმისა, ჩემთან დაშორება ძალიან უჭირს, მამასთან ურთიერთობას არასოდეს მიკრძალავს, პირიქით, ამაში ხელსაც მიწყობს — ათი წლის ასაკიდან თბილისი-ბათუმის მატარებელში ჩამსვამს ხოლმე და გამცილებელს, ან ვინმე ნაცნობს, ვინც იქითკენ მიემგზავრება, ჩემს მეთვალყურეობას თხოვს; ბათუმის რკინიგზის სადგურში კი ხან მამა მხვდება და ხან თინა ბებია.

დედაჩემს ერთი ძმა ჰყავს — გიგა, რომელიც ჩემს მომავალზე მშობელივით ზრუნავს; ყოფილი კალათბურთელია, ცოლი გვიან შეირთო და ვიდრე თავისუფალი იყო, სულ წინ და უკან დამატარებდა; მაღალი, მიმზიდველი გარეგნობის ჭაბუკის გვერდით გავლა ყოველთვის მეამაყებოდა, ქალიშვილები შურით მიყურებნენ, მე კი ბავშვური მიამიტობით ვხარობდი — უჩვეულო განცდა მეუფლებოდა.

ერთი სიტყვით, ბათუმშიც და თბილისშიც სიყვარულით მეგეგებოდნენ, მეც თანდათან შევიფერე ამ ორ ქალაქში მომლოდინე ადამიანების ყურადღება და აქეთ-იქით სიარულს დავეჩვიე; როცა დედასთან ვარ, მამისკენ მიმიწევს გული, ხოლო, მამაჩემთან რომ მომისიყვარულებენ, ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვეკიდები დედას კისერზე; თითქოს დაბადებიდანვე შევისისხლხორცე იმ ქალიშვილის მოვალეობა, რომელიც გაშორებული მშობლების მიმართ ფაქიზად უნდა მოქცეულიყო და იმ გრძნობას გაფრთხილებოდა, რასაც დედ-მამის სიყვარული ჰქვია...

მახსოვს (მაშინ ბიძაჩემთან ვცხოვრობდით), სამსახურში წასული დედა გზიდან მობრუნდა, გიგას ოთახის კარი შეაღო და შესამჩნევი მღელვარებით ჰკითხა: „საჯარო ბიბლიოთეკის უკანა კედელზე ვიღაცას დიდი ასოებით წაუწერია: ლელა + ლევანი, ხომ ვერ მეტყვი, ამას ჩემს ქალიშვილთან რაიმე კავშირი ხომ არ აქვს?!" გვერდითა ოთახში მეძინა, იმწამსვე გამოვფხიზლდი და ყურადღება გავამახვილე, „კედლებზე ვინ რას წააწერს, რა ყურადღება მისაქცევია!.." უპასუხა ბიძაჩემმა და, მივხვდი, გაკვირვების ნიშნად მხრები აიჩეჩა; დედამ ჩემი საძინებლის კარი ფრთხილად შემოაღო — თავი მოვიმძინარე, უცოდველივით გავიტრუნე — და ფეხაკრეფით მომიახლოვდა, დამაკვირდა, თითქოს გულდასმით შემამოწმა, რამეს ხომ არ მალავსო, მერე რაღაც ჩაიჩურჩულა და ოთახიდან გავიდა.

სამზარეულოში ვიჯექი და საუზმეს მადიანად შევექცეოდი, თითქოს არაფერი ვიცოდი, სინამდვილეში, ერთი სული მქონდა, ქუჩაში როდის გავიდოდი და იმ წარწერას საკუთარი თვალით ვნახავდი, რომელმაც დედაჩემი ასე ააფორიაქა; მალე ფაქტის წინაშე დავდექი და, რაღა დაგიმალოთ, გულში უჩვეულო სიამე ვიგრძენი, სხვების გასაგონად კი უკმაყოფილება გამოვთქვი — კედლის მჯღაბნელის მიმართ სალანძღავი სიტყვები არ დავიშურე.

მას შემდეგ, თითქოს ჩემს ჯიბრზე, სასიყვარულო წარწერები ახლო-მახლო კედლებზე დღითიდღე მრავლდებოდა, ამ უცნაური წარწერების ავტორი კი ყოველ ნაბიჯზე თავს მახსენებდა — გამომწვევად დუმდა, თავის საქმეს ამოჩემებით განაგრძობდა, თითქოს კედლებზე გაცხადებული სიყვარული პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებდა და, ისე მშვიდად ეჭირა თავი, ყველას ეფიქრა, ლელას თანაგრძნობა განაღდებული აქვსო; მრავლისმეტყველად გამიღიმებდა, თითქოს არაფერს ნაღვლობდა, ჩემი გითხარი და, აწი, შენ იციო.

სამსახურიდან შინ დაბრუნებულმა დედამ ლევანის შესახებ პირველად მკითხა, ისე მომაჩერდა, თითქოს წარწერების თანამონაწილე ვიყავი და ლევანთან ერთად კედლებს ვთხაპნიდი; გულუბრყვილოდ გამეცინა, ისე, როგორც იმ გოგონას, რომლის სახელიც ვიღაც კუდრაჭას საკუთარი თოჯინისთვის დაურქმევია; „ხანდახან დახუჭობანას ვთამაშობთ!" გულწრფელად წარმოვთქვი და მურაბის ქილაში თითი ამოვუსვი, გემრიელად გავლოკე — არც ლევანი მაინტერესებდა და, არც მისი წარწერები; დედაჩემს გაეღიმა, მობეზრებით ჩაიქნია ხელი და სამზარეულოდან გავიდა.

მალე ბათუმში გადავედი საცხოვრებლად და სწავლა იქ გავაგრძელე; ლევანი მხოლოდ მაშინ მახსენდებოდა, როცა იქაურ კედლებზე სასიყვარულო წარწერებს თვალს შევავლებდი; თბილისში არდადეგებზე ჩამოვდიოდი და მას იშვიათად ვხედავდი; როცა ბავშვებთან სათამაშოდ გავიდოდი, ციდან მოვლენილივით გამოჩნდებოდა; პროტესტის გრძნობა სულაც არ მიჩნდებოდა — მისი თავდაჯერებულობა ცოტათი კი მაღიზიანებდა, მაგრამ უჩვეულო მოთმინებასაც მკარნახობდა, ჩემს უპირატესობას აშკარად მაგრძნობინებდა; მეც რა მენაღვლებოდა, თავისუფალი გოგო ვიყავი, ბიჭს ვუყვარდი, არაფერს მიშავებდა, არც ლაპარაკით მაბეზრებდა თავს და არც რაიმეს მთხოვდა — რა უნდა მექნა, დედაკაცივით თავზე შავ ნაჭერს ხომ ვერ წავიკრავდი და ვერ დავიწყევლიდი, კედლებზე დამწერს ხელები გაუხმეს-მეთქი.

თურმე ცეცხლს ვეთამაშებოდი და სიყვარულის მცხუნვარებისგან, რომლის სიმწველეც პირველად „ალექსანდრეს" ბაღში ვიგრძენი, აქამდე თავს სიფრიფანა ჯავშნით ვიცავდი; მაშინ მეათე კლასში ვსწავლობდი, ბათუმიდან ახალჩამოსულს ნანუჩიმ გამომიარა, „ერთ ბიჭს ვუყვარვარ, ჩემთან შეხვედრა სურს და სასეირნოდ გომომყევი"-ო. „სამებასთან" ლევანი დაბარებულივით დაგვხვდა, მერე ნანუჩის დეიდაშვილი და ვიღაც დათოც გამოჩნდნენ.

მთვარიანი ღამე იყო, ვარსკვლავები გამოუცნობი იდუმალებით ციაგებდნენ და დედამიწას უთვალავი საოცრებით ავსებდნენ.

ჩემი სხეულის თითქმის ყველა უჯრედი გრძნობდა, დადუმებული ვაჟის მოკრძალებულ გულისთქმას და, გამოგიტყდებით, უნებლიე სურვილი მიპყრობდა, წელზე ხელი მოეხვია და ყურში სასიამოვნო სიტყვები ეთქვა — მსგავსი

უმწეობა არასოდეს განმიცდია და არც არასოდეს ვყოფილვარ ისეთი დაცული, ყველაფრისგან თავისუფალი და ლაღი, როგორც იმ ღამით, ლევანის გვერდით; მივხვდი, ჩემი ბავშვობა უყვე დასრულდა, ხოლო ამ დასასრულის უჩვეულო ნეტარება და ერთობლივი შიში, ჩემივე შინაგანი მღელვარების მიზეზი გახდა; ბუნებით ამაყი ვარ და, რაკი თავს მერყეობა შევატყვე, საკუთარ რწმენასა და უნებურად გამჟღავნებულ გრძნობას შორის, თანაფარდობა რომ დამეცვა, გულახდილად ვიფიქრე: „ნუ თამაშობ, ეს ბიჭი ნამდვილად მოგწონს!..” ლევანს მალულად გავხედე და, ღმერთო ჩემო, ისეთი იდუმალი ღიმილით მომჩერებოდა, თითქოს ჩემი გულის კარნახს ისმენდა და კარგა ხანია ჩემს აზრებს კითხულობდა — იცოდა და მოთმინებით ელოდა, სულაც არ უკვირდა, მასზე რომ ვფიქრობდი; საკუთარ თავზე გავბრაზდი, უკმაყოფილება რომ დამეფარა, სახლში წასვლა მოვიმიზეზე, გვიანია-მეთქი.

„სამების” ეკლესიასთან დედაჩემი დამხვდა; ცოტა კი შევცბი, მაგრამ არაფერი შევიმჩნიე, ნაცნობებს გამოვემშვიდობე და მშობელს ისეთი მშვიდი გამომეტყველებით მივუახლოვდი, იძულებული გახდა, თავი შეეკავებინა და სხვათა თანდასწრებით არაფერი ეთქვა.

— იმასთან რა გინდოდა?! — ხმაში სიმკაცრე გაერია, სამზარეულოს კარი საგანგებოდ მოიხურა, ბიძაჩემს რომ არაფერი გაეგო.

— იქ მარტო ლევანი არ იყო, დედა! — მისი სახელის ხსენებამ უნებურად შემაკრთო და თავი დამნაშავესავით დავხარე.

— მაგ ქუჩის ბიჭთან მეორედ არ გნახო! — გადაჭრით გამომიცხადა მშობელმა და წარბები მომშვილდა.

— ჩვენ ერთად ვიზრდებოდით... არაფერს მიშავებს!.. — თვითონ მიკვირდა, ლევანს რომ ვიცავდი.

— უკვე გაიზარდეთ... შენ ქალიშვილი ხარ, ის კი ჭაბუკია, ვერ ვენდობი, საშიში ტიპია!..

კინაღამ გამეცინა.

— კარგი, დედა, ყველაფერს გავითვალისწინებ, ოღონდაც არ ინერვიულო... არ ღირს, ასაღელვებლად ნამდვილად არ ღირს! — თავშეკავებით ვუთხარი, გულში კი ვიგრძენი, ვთაღლითობდი და ასაღელვებლად ნამდვილად ღირდა.

— ჩვენ ამ თემაზე მეტი აღარ გვქონდეს საუბარი, გასაგებია?! — დედა გამომცდელ მზერას არ მაცილებდა.

— რა თქმა უნდა, დედა! — ისევ ვითაღლითე.

მალე დავწექი, დიდხანს არ დამეძინა. „ნეტავ რისი ეშინია დედას?” — ეს კითხვა არ მასვენებდა — ბიჭს ვუყვარდი, ხომ არ ვძულდი!.. განა სიყვარულს დედა-შვილს შორის ასეთი გაუგებრობა უნდა ჩამოეგდო?.. დედას ვუყვარდი, მამას ვუყვარდი — ბიძაჩემს, ბებიას და პაპაჩემს, რა მოხდებოდა, სხვასაც ვყვარებოდი? ნუთუ ის ამით ჩემს ახლობლებს შეეცილებოდა და ეს იყო საშიში?.. ალბათ, დედაჩემი ვერ აიტანდა, ლევანი თავს რომ გაუტოლებდა და ჩემს სიყვარულში შეეცილებოდა.

დილით ნანუჩის მივაკითხე და გარეთ გამოვიხმე, „სამების” წინ მასთან ერთად იმ განზრახვით დავდექი, ლევანს შევხვედროდი; ცოტა ხნის შემდეგ საკუთარ თავს გავუწყერი, თავმოყვარეობა დავკარგე-მეთქი და, გადავწყვიტე, თუ ხუთ წუთში არ გამოჩნდებოდა, აღარასოდეს გავიკარებდი; ამის გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, ვაჩნაძის ქუჩიდან ლევანმა ამოუხვია და პირდაპირ ჩვენკენ გამოემართა — თითქოს ჩასაფრებული იყო და ჩემს ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებდა; ამ დროს ფურცელაძის ქუჩიდან დათომაც ამოყო თავი და ნანუჩის ხელი დაუქნია. „ესეც ჩასაფრებულია!” გავიფიქრე და უნებლიეთ გამეცინა; ლევანს ეგონა, მას ვუცინოდი და ყურებამდე გაიბადრა; მიმზიდველად გამოიყურებოდა, დავაჟკაცებული მეჩვენა, შავი, გვერდზე გადავარცხნილი თმა და თმისფერივე თვალები მომაჯადოებლად უელავდა — ოდნავ მოზრდილ ცხვირს, განკრიალებული კბილები და სქელი ტუჩები უმშვენებდა; მომიახლოვდა თუ არა, სერიოზული გამომეტყველება მივიღე და, დათოსკენ მიმავალ ნანუჩის თითქოსდა საყვედურით გავხედე, რატომ მიმატოვა-მეთქი.

— რა ლამაზი ხარ, ლელა! — მოსალმების ნაცვლად სასიამოვნო ქათინაურმა შემირხია სმენა და გულში უჩვეულო სითბო ჩამელვარა.

გაზაფხულის მცხუნვარე მზემ სხივები „სამების” გუმბათზე გადატეხა და ტაძრის წინ ვეებერთელა ჩრდილი დატოვა.

— შენ, კედლის წარწერებით ახლაც ერთობი? — ბავშვობა გავახსენე ლევანს და აგურისფერ შენობას ნიშნის მოგებით გავხედე.

გაეღიმა.

— ეს ვისთვის გართობაა და ვისთვის კიდევ სატრფიალო ხერხი! — ღიმილითვე მომიგო და მრავლისმეტყველად მომაჩერდა.

— კვლავ ბავშვური ოცნებებით იკვებები?! — თითქოს მის გრძნობებს გავეთამაშე.

— დიახ! — გადაჭრით მომიგო.

— რომ გითხრა, ბათუმში შეყვარებული მყავს-მეთქი? — რატომღაც მისი მოთმინებიდან გამოყვანის სურვილმა შემიპყრო.

სახე მოექუფრა, მერე თითქოს გონს მოეგო, გაიბადრა და უბოროტოდ მიპასუხა:

— გყავს და გყავდეს, რა მენაღვლება, იმანაც არ ჩამომაკითხოს და კედლის წარწერებისთვის პასუხი მომთხოვოს! — სიცილი აუტყდა.

ორივე კარგა ხანს ვიცინოდით.

— ხო მართლა, დედაშენის არ გეშინია? — ახლა აქეთ გამომიწვია.

შევცბი, თითქოს საშიშროება ვიგრძენი, მერე თავს ვძლიე და ამაყად მივუგე:

— მე არავის მეშინია, რადგან არაფერს ვაშავებ!

— ჩემთან ლაპარაკს დანაშაულად გითვლიან! — გამომცდელად მომიგო და ქუჩაში მიმავალ წყვილს სინანულით გახედა.

გავბრაზდი.

— საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა გაქვს!.. — უკმაყოფილოდ ვუთხარი და, პასუხი რომ აღარ გამცა, ღვარძლიანად დავძინე: — შენზე ამბობენ, ძველი ბიჭიაო!

შევატყვე, ეწყინა, მე კი მესიამოვნა, სუსტი წერტილი რომ ვუპოვე.

— საძველბიჭო რა მჭირს?.. ან სხვის ლაპარაკს ყურს რატომ უგდებ?.. — ისე შემომხედა, ყურის ბიბილო ამეწვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემრცხვა.

— არ გეწყინოს, გეხუმრე, ბიჭს ჩხუბიც უნდა ეხერხებოდეს! — ჩემებურად შევაქე.

ისევ გაეცინა, თვალებში მომაჩერდა და აშკარად ვიგრძენი, მთელი არსებით მელოლიავებოდა, თითქოს სულში მიძვრებოდა, სინაზის ბურუსში მხვევდა და ძალას მაცლიდა.

— აგვისტოში კვლავ ბათუმში გაემგზავრები? — მოგვიანებით მკითხა.

— სავარაუდოდ, იქითკენ მომიწევს წასვლა...

— ჩემი ძმაკაცი ქობულეთში მეპატიჟება... გინახულებდი... — მორიდებით ჩაილაპარაკა.

— შეიძლება!.. — დამაიმედებლად გავუღიმე, ტელეფონის ნომერი ვუთხარი, დავემშვიდობე და იქაურობას ისე გავეცალე, ნანუჩის აღარ დავლოდებივარ.

სახლისკენ მივდიოდი და აშკარად ვგრძნობდი, ლევანის თვალები უჩვეულო გულდაწყვეტით მომაცილებდა.

მალე დედაჩემთან ერთად დასასვენებლად ბორჯომის ხეობაში გავემგზავრე; ორი კვირის შემდეგ თბილისში დავბრუნდი — ისეთი არეულობა დამხვდა, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა: ყოველდღე ვიღაცა ვიღაცას კლავდა, ძარცვავდა და აყაჩაღებდა; სამოქალაქო ომის შედეგად გადამწვარი საცხოვრებელი სახლების ხელახლა აშენებაზე არავინ ფიქრობდა; დედაჩემი იმედოვნებდა (სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე ოროთახიანი ბინა ხანძარმა დაგვიწვა), ახალი მთავრობა ძაღლის კუდს არ გამოიბამს, კორპუსების მშენებლობას წამოიწყებს და კუთვნილი ფართით დაგვაკმაყოფილებსო.

ბათუმში ისე გავემგზავრე, ლევანს არ შევხვედრივარ; რკინიგზის სადგურში მამაჩემი მელოდებოდა, დავდგი თუ არა ბაქანზე ფეხი, თვალი მოვკარი და გული უჩვეულო სიამით ამიძგერდა — სულ მალე იმ ადამიანს ჩავეკვრებოდი, ვისი წყალობითაც ამ ქვეყანას მოვევლინე და ვისი იმედიც არასოდეს გამიცრუვდებოდა.

მამამ პატარა ბავშვივით დამიკოცნა ლოყები, სამგზავრო ჩანთა გამომართვა და მანქანისკენ გამიძღვა; მოულოდნელად ნაცნობი სილუეტი შევნიშნე, თითქოს მომელანდა, თვალები მოვიფშვნიტე და ადგილზე გავხევდი: ჩემს წინ ლევანი იდგა! „აქ საიდან?!" — გაკვირვებით აღმომხდა; ხელში ვარდების თაიგული ისე უხერხულად ეჭირა, თითქოს ფრთხილობდა, გაუთვალისწინებელი საქციელისთვის არავინ დამსაჯოსო; ისეთი გულუბრყვილო თვალებით მომჩერებოდა, იმედს ვერაფრით გავუცრუებდი; მამაჩემმა გაკვირვებით მომხედა, ეს გოგო ასე მონუსხული ვის მისჩერებიაო; უხერხულად შეიშმუშნე, ყვავილების გამორთმევა ძლივს მოვიფიქრე, გულზე მივიხუტე და მშობელს შემწყნარებლურად გავხედე; „ჩემს სანახავად ჩამოხვედი?!" ეჭვნარევი ინტერესით ვიკითხე და ახლა ლევანზე გადავიტანე მზერა; მას თითქოს არაფერი ესმოდა, სულელივით ეღიმებოდა — გამოთაყვანებულივით იდგა და განაჩენს ჩემგან ელოდა; ამასობაში მამაჩემი მოგვიახლოვდა, ვიდრე ლევანის შესახებ რამეს ვეტყოდი, ხელი ჩამოართვა, მომიბრუნდა, ღიმილით მკითხა: — ალბათ, შენი თბილისელი მეგობარია? — და „თბილისელი მეგობარი" მოწონებით შეათვალიერა. — სახლში დაპატიჟე! — გულწრფელად შემომთავაზა და, უხერხულობა რომ არ გვეგრძნო, შეუმჩნევლად გაგვშორდა, შორიახლოს დადგა. „ხო!" დაბნეულად ჩავილაპარაკე. „მამაშენი კარგი კაცი ჩანს!" გვიან, თუმცა იშვიათი კმაყოფილებით წარმოთქვა ლევანმა და მამას მადლიერებით გახედა, „გნახავ!" შეთქმულევით გადმომჩურჩულა და ზრდილობიანად დაგვემშვიდობა.

ჩემში უნებლიეთ ურთიერთგამომრიცხავმა გრძნობამ იჩინა თავი: დედაჩემს ლევანის დანახვა არ უნდა, მამას კი ისე მოეწონა, მისი სახლში მოპატიჟების სურვილი გამოთქვა — მის შესახებ არაფერი უკითხავს, მაგრამ ვერც შეშფოთება შევატყვე და ვერც ყვავილების მორთმევით გამოწვეული უკმაყოფილება.

იმ ღამეს ათას რამეზე ვიფიქრე — ბევრი მივედ-მოვედე და რატომღაც გადავწყვიტე, ჩემს ბათუმელ დაქალთან, ანუკი წერედიანთან საბოლოოდ გამეწყვიტა ურთიერთობა — მისი საქციელები რომ ავწონ-დავწონე და, მის თანამზრახველად ჩავთვალე თავი, გულში მწარე სინანული ვიგრძენი; თურმე რა სულელი ვყოფილვარ, ბიჭების გაბრიყვებაში ხელს ვუწყობდი და მასთან ერთად მეც ვერთობოდი; ანუკი ჩემგან მოშორებით ცხოვრობდა და ჩემზე ორი წლით უფროსი იყო; ადრე ერთი აჭარელი ბიჭი უყვარდა — სოსლან ცინარიძე — შესანიშნავი ქორეოგრაფი და მიმზიდველი გარეგნობის ყმაწვილი, რომელიც ბათუმის სახელმწიფო ანსამბლში ცეკვავდა; მის გვერდით ბულვარში რომ გავივლიდი, გოგონები გულზე სკდებოდნენო, იკვეხნიდა ანი; ერთხელ სოსლანი ანსამბლთან ერთად კანადაში გაემგზავრა და წარმატებული გასტროლის შემდეგ უცხოეთში დარჩა; ანი დიდხანს ელოდა სატრფოს, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, უბოდიშოდ მიატოვეს და საერთოდ მიივიწყეს, ყოველგვარი იმედი გადაეწურა, რატომღაც ბიჭების მიმართ გაუნელებელი შურისძიებით განეწყო — თითქოს მათი გაბითურებით, კანადაში გადახვეწილ სატრფოს უსწორებდა ანგარიშს — თუ ვინმე მისით დაინტერესდებოდა და ტელეფონით დაუკავშირდებოდა, სასაცილოდ არ ჰყოფნიდა — მსახიობობდა, თვალთმაქცობდა და მოჩვენებითად დამყოლი ხდებოდა, თავდაჯერებულ თაყვანისმცემელს პაემანზე ეთანხმებოდა, შეხვედრით კი, რა თქმა უნდა, აღარ ხვდებოდა; ცბიერად გამიღემებდა და უჩვეულო კმაყოფილებით მეტყოდა: „ახლა ერთი გამოთაყვანებული ტიპი შუა ბულვარში მელოდება!" დარში თუ ავდარში, გაბრიყვებულ თაყვანისმცემელს საათობით აყურყუტებდა, თვითონ კი ავადმყოფურ სიამოვნებას განიცდიდა — სიცილით კვდებოდა; როცა თავგზააბნეული ვაჟი მომაბეზრებელი ლოდინით დაიღლებოდა და მოუთმენლად გადმორეკავდა, ზოგჯერ ტელეფონზე მე ვპასუხობდი, ანი კარგა ხანია შეხვედრაზეა წასული-მეთქი; გულში მეცინებოდა, ჩემით დაიმედებული ვაჟი ზრდილობიანად მომიბოდიშებდა და, ალბათ, ლოდინს განაგრძობდა.

ანისთან უმტკივნეულოდ, ყოველგვარი გართულების გარეშე გავწყვიტე კავშირი.

ბათუმში ცხელოდა.
ლევანის გამოჩენას მოუთმენლად ველოდი.

III

მე ამ რომანის ავტორი ვარ — მეც იარმორკელი, ოლონდაც არა აქაური მკვიდრი და, მართალი გითხრათ, არც ავტორობას უნდა ვიჩემებდე, რადგან ამ სასიყვარულო ნაწარმოების მხოლოდ შემდგენელი ვარ და არა სულისჩამდგმელი; ყველაფერი იმ წყვილის დამსახურებაა, რომლის ჩანაწერების მეშვეობითაც რომანმა ხორცი შეისხა; ასე რომ, მთავარ გმირებს ნამდვილად არ შევეცილები, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გამოვჩნდები და, იმ სიმართლეს მოკრძალებით მოგახსენებთ, რაც, შესაძლებელია, შეყვარებულებს მხედველობიდან გამორჩეთ...

ლევანი ბავშვობიდანვე უცნაური ბუნების და კარგი გარეგნობის ბიჭი იყო; მოფერებითა და გამორჩეული ყურადღებით არასოდეს გაუნებივრებიათ, ადამიანური სითბო და ალერსი მუდამ ენატრებოდა; მისი თვალები ხარბი მოლოდინით შემოგცქეროდნენ, თითქოს სულში გიძვრებოდნენ, რითი ვარ სხვა ბავშვზე ნაკლებიო, მიგანიშნებდნენ; მოგვიანებით, ეს მოლოდინი გაუცრუვდა, მის თვალებში სიცივემ და ეჭვმა დაისადგურა, ახლა რომ შემოგხედავდა, თავს უხერხულად იგრძნობდი, ამ ბიჭის წინაშე ბრალი ხომ არ მიმიძღვისო; გულგატეხილობის მიუხედავად, უკარება არასოდეს ყოფილა, თუმცა ბოლომდე არავის ენდობოდა, კატასავით ფრთხილობდა — ბუნებით ეშმაკი სულაც არ ეთქმოდა, მაგრამ მის არსებაში არასრულფასოვნების შეგრძნება იმდენად გამჯდარიყო, ზოგჯერ ამა თუ იმ ურთიერთობის გადამონმება და საკუთარ თავთან ჭიდილი უწევდა, რამეში არ შევცდე და გავბრიყვდეო.

ქვეცნობიერად იტანჯებოდა, თანდაყოლილ, ბედისწერად ქცეულ თვისებებს და მემკვიდრეობით გადმოცემულ, მის მიმართ საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებს თავდაუზოგავად ებრძოდა — ყოველთვის კარგის გაკეთება სურდა, მაგრამ საბოლოოდ ცუდი გამოსდიოდა; რამე თუ გაუხარდებოდა, მაშინვე იტყოდა, მალე რაღაც მეწყინებაო; კარგიდან ცუდის მოლოდინს ისე დაეჩვია, როგორც ამინდის ფერისცვალებას; ამიტომაც არაფერი უკვირდა, არც წუწუნებდა და არც რაიმეს გამოსნორებისთვის იღწვოდა; გულგამყოლობა არ სჩვეოდა, დათმობითაც არაფერს დათმობდა — შეიძლება გაცხარებულიყო, მაგრამ წყენას მალევე ივიწყებდა; დარწმუნებული იყო, მასაც ასე უნდა მოქცეოდნენ, ამიტომაც მასზე გულმოსულს მეორე წუთში ისე დაელაპარაკებოდა, თითქოს მასთან უთანხმოება ვაშლის გაყოფის გამო მოუხდა და უკვე სასაცილოდ აღარ ჰყოფნიდა.

რაღაცის ამოჩემება უყვარდა, „თაგვმა თხარა თხარაო და...“ მანამ არ მოისვენებდა, ვიდრე შარს არ გადაეყრებოდა; ერთხელ, უკვე მოზრდილი ბიჭი იყო, მეზობელ კაცს აუხირდა, იმდენი ეხუმრა და ექილიკა, მამისტოლა მეზობელი მოთმინებიდან გამოიყვანა — კაცი ნასვამი იყო, ლევანს ფიზიკურად ვერ გაუსწორდებოდა, სახლში შევიდა და მუქარით გამოსძახა, გამეცალე, თორემ დანით აგჩეხავო; მისგან ასეთი რამის ხმამაღლა გაცხადება, არათუ განზრახვის სისრულეში მოყვანა, წარმოუდგენელი ამბავი იყო; ვინ იფიქრებდა, მართლაც დანას თუ მოიხელთებდა და გარეთ საბედისწერო გადაწყვეტილებით გამოვიდოდა, „მომშორდი, თორემ აგჩეხავ!“ ახლა უფრო მტრულად გამოსცრა კაცმა და თვალები მუქარით დააბრიალა; ლევანს გაეცინა, კაცს დანაქადი ხუმრობაში ჩაუთვალა, გამომწვევად მიუგო: „მოდი, დამარტყი თუ მაგარი ხარ!“ და მუცელი ისე მიუშვირა, როგორც ცხენს მისატყუებლად სიმინდის ტაროს მიუშვერენ ხოლმე; კაცში ცხოველმა გაიღვიძა, გამეტებით მოიქნია ბასრი საგანი და მუცელში ატაკა.

დაჭრილი ბიჭი ბეწვზე გადარჩა; ოპერაცია დროულად გაუკეთეს და ამ ქვეყნისკენ მოაბრუნეს; საავადმყოფოში მისულ მნახველებს ხალისიანად ხვდებოდა, ოხუნჯობდა, მიქელგაბრიელმა დამიწუნაო, ღიმილით ამბობდა და მეზობელ კაცს ერთხელაც არ ახსენებდა — ჩივილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო — ყველა ფიქრობდა, გამოჯანმრთელდება და სამაგიეროს გადაუხდისო; საავადმყოფოდან ახალგამოწერილი ლევანი იმ კაცს ვაჩნაძის ქუჩაზე გადაეყარა, ზრდილობიანად მიესალმა, „მამისტოლა ხარ, სამაგიერო როგორ გადაგიხადო!“ ალალად უთხრა და რაკი სახეზე სინანული ვერ შეატყო, „ისე, ამხელა კაცს ჭკუის ნატამალი არ გქონია!“ გამანადგურებლად დასძინა და თავის გზას გაუყვა; კაცი გონს გვიან მოეგო, ნელ-ნელა გაფითრდა, ცახცახმა აიტანა და მუხლმოკვეთილი ბორდიურზე ჩამოესვენა.

ველოსიპედით რომ დაიმტვრა და, თავზე ცხრა ნაკერი დაადეს, მაშინ მხოლოდ რვა წლის იყო და ამ უსიამოვნებას ბაჩოს და ნიაზის გამო გადაეყარა; მათთან ერთად „სამების“ წინ ბურთს თამაშობდა; მათზე ორი-სამი წლით უფროსი გაბო სოფრომაძე კი ახალთახალი ველოსიპედით დასეირნობდა — ქერა, სახედაჭორფლილი ბიჭი თავმომწონედ გადახედავდა ხოლმე ხარბად მიჩერებულ პატარებს და ისე აიქროლ-ჩაიქროლებდა, თითქოს მათ არსებობას ვერც ამჩნევდა; ნიაზს სულმა წასძლია და ველოსიპედს დაედევნა, „გეხვეწები, დამსვი, ცოტას გავიკატავებ!“ არ ეშვებოდა გაბოს; ბოლოს ბაჩოსაც აღეძრა ველოსიპედზე დაჯდომის სურვილი და ძმას გამოუდგა; გაბომ ველოსიპედი დაამუხრუჭა, ცალი ფეხი სატერფულზე ჩამოდო, მეორე ასფალტისკენ დაუშვა, ჭორფლიანი ცხვირიდან ოფლი მოიწმინდა და დაცინვით წარმოთქვა: „ჯერ გაიზარდეთ, ველოსიპედის ტარება ისწავლეთ და დაჯდომა მერე მთხოვეთ!..“ ბიჭებმა ნერწყვი გადაყლაპეს, „სამეგრელოში, ბებიასთან როცა ჩავდივართ, ამაზე დიდ ველოსიპედს დავაქროლებთ!“ დამარწმუნებლად იცრუეს და თვალებში ისევ მუდარა გაუკრთათ. „დასვი, ბიჭო, შენც მერსედესს არ ატარებდე!..“ არამკითხე მოამბესავით მიაძახა ლევანმა და, ორი თავით მაღალ გაბოს გამომწვევად მიაჩერდა; „კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო!“ გამანადგურებლად ჩაილაპარაკა გაბომ და სატერფულს დაანვა, ველოსიპედი ვაჩნაძის

ქუჩისკენ სტვენა-სტვენით გააქროლა; ნიაზი და ბაჩო გაწბილებულები იდგნენ, მერე თითქოს გონს მოეგენ, გაბოს გაეკიდგნენ, იქნებ ჩვენს ქუჩაზე მაინც დაგვსვასო; ლევანი გაქცეულ თანატოლებს წარბშეჭმუხნული გასცქეროდა, თვალებში სინანული ეხატა, ბოლოს ვეღარ მოითმინა და, „რა კუც ვარ, მაგას მალე გაჩვენებ, ღორო!" შურისძიებით გამოსცრა კბილებში.

მეორე დღეს სოფრომაძის ეზოში შეუმჩნევლად შეიპარა, ფარდულიდან ველოსიპედი გამოაგორა, „სამებამდე" მოაღწია, რის ვაივაგლახით შეასკუპდა, სატერფულებს ძლივს დასწვდა, ფეხის წვერები ბალერონივით გაწვართა და ვაჩნაძის ქუჩისკენ დაეშვა — წინდაწინ ხარობდა, ნიაზს და ბაჩოს ველოსიპედის ტარების ჟინს მოვუკლავო, მაგრამ არ გაუმართლა, მარჯვენა სატერფულზე ფეხი აუცურდა, წონასწორობა დაკარგა და ველოსიპედთან ერთად თხრილში გადაეშვა, არმატურის ბადეს თავით დაენარცხა და იქიურობა სისხლით მოთხვარა.

ცხრა ნაკერის მიუხედავად, თავის საქციელს მაინც არ ნანობდა, გაბოს ველოსიპედი მწყობრიდან რომ გამოვიდა და გადასაგდები გახდა, ეს უფრო სიამოვნებდა და გული მხოლოდ იმაზე წდებოდა, ნიაზს და ბაჩოს წადილი ვერ ავუსრულეო; სოფრომაძე ახალი ველოსიპედის ყიდვას კარგა ხანს სთხოვდა და, ბოლოს, რაკი თავიდან ვერ მოიშორა, ბაჩოსთან და ნიაზთან ერთად „სამების" წინ დახვდა, მუქარით გამოუცხადა: „ერთხელაც ახსენებ ველოსიპედს და თავზე იმდენივე ნაკერს დაგადებ, რამდენიც მე დამადეს!.."

თორმეტი წლის ასაკში უკვე სიგარეტს გაუსინჯა გემო; სწავლისთვის დიდად არ წუხდა, რატომღაც ქუჩის ცხოვრება უფრო იტაცებდა, ქალაქში თითქმის ყველა ცნობილი ბიჭის ვინაობა იცოდა, მათზე მოსმენილ თავგადასავლებს დიდი ინტერესით იმახსოვრებდა, ცნობისმოყვარეობდა და მათ საქციელს ზნეობრივ მაგალითად იხდიდა; ბიჭობაში ფეხშედგმულს დაუწერელი კანონების ავ-კარგი უკვე კარგად ესმოდა: ძმაკაცისთვის არ უნდა ეღალატა, მომკვდარიყავი და არ უნდა დაესმინა, ახლობლის ცოლისთვის თუ მეგობრის დისთვის ცუდი თვალით არ შეეხედა და, საერთოდ, ამ ქვეყნად კაცურად ეცხოვრა და კაცობა სხვისთვისაც წესად ექცია; მოდას აყოლილი, პეწენიკი ბიჭები სასტიკად ეჯავრებოდა, ასეთებს აშკარად დასცინოდა, არ ინდობდა, შემთხვევა თუ მიეცემოდა, ყოველთვის იწვევდა — მოსწრებული ენა ჰქონდა და ზოგჯერ მწარედ გესლავდა.

როცა ბიჭობაში შედგა ფეხი, ბებიამისს უკვე აღარ ეპუებოდა, შინ გვიან ბრუნდებოდა და ზოგჯერ სხვაგანაც რჩებოდა.

ერთხელ ვუთხარი: ,,სიყვარულს მზის თვისება აქვს, დრო-ჟამის მიხედვით აცხუნებს და განურჩევლად ყველას ათბობს, რჩეულებს კი წვავს!"

„დაწვა ჯობს, სამოწყალოდ, ისედაც ყველასთვის მისაწვდომ სითბოს!" — ფიქრიანად მომიგო და ამის შემდეგ ხშირად იმეორებდა მზისა და სიყვარულის თვისების ამბავს...

ლელა სხვა გარემოცვაში გაიზარდა და განსხვავებული შეხედულებები ჩამოუყალიბდა — გაწონასწორებული, თანამედროვე ცხოვრების პროგრესთან შეთვისებული გონიერებით გამოირჩეოდა; ამაყი ბუნების იყო, ძნელად მიხვდებოდი, როდის სწყინდა და როდის უხაროდა; გულმოწყალეობასაც იჩენდა — სხვისთვის არაფერი ენანებოდა; ღმერთმა გარეგნულ მშვენიერებასთან ერთად უჩვეულო გამჭრიახობითაც დააჯილდოვა.

განქორწინებულ დედ-მამასთან ურთიერთობამ და გამუდმებით იმაზე ფიქრმა, მათ წარსულს უხეშად არ შეევხო და გაღიზიანების მიზეზი არ გავხდეო, უჩვეული დიპლომატიას დააჩვია — მშობლების წინაშე ისე იქცეოდა, თითქოს ცხოვრების მწარე გამოცდილება ჰქონდა; იმ პასუხისმგებლობის ტვირთს, რომელსაც თავის დროზე უფროსები გაექცნენ, თავად შეეჭიდა და თითოეული მათგანი აიძულა, წარსულისთვის პატივი ეცათ; როცა საბოლოოდ დარწმუნდა, ადამიანები საკუთარი საზომით ცხოვრობენ და სანტიმეტრებსა თუ მილიმეტრებს ანგარიშს არ უწევენ, სწორედ მაშინ გადაწყვიტა, მის პირად ცხოვრებაშიც არავინ ჩაერია.

თექვსმეტ წლამდე ისე იცხოვრა, ფიქრითაც კი არ გაუვლია საკუთარი სურვილები დამოუკიდებლად განეხორციელებინა; როცა ზრდასრული გახდა და სიყვარულის ჭეშმარიტება იგრძნო, მიხვდა, სურვილი და გრძნობა ადამიანისგან განსხვავებულ დამოკიდებულებას ითხოვდა — ერთი მუდამ ბავშვობად, ბოლომდე მზარდად და განუხორციელებელ ოცნებად რჩებოდა, ხოლო მეორე, მარტო სულიერებით შემოიფარგლებოდა და სიცოცხლის ამომწურავი შეგრძნებით მარადიულობასთან აახლოებდა.

დედას მისთვის მხოლოდ ბედნიერება სურდა და ამის გამო არაფერს დაიშურებდა, ავადასავით იბრძოლებდა — წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგებოდა; ლელა მისი დამყოლი და ნებიერა უნდა ყოფილიყო, მის გაჯიუტებას ვერასოდეს შეეგუებოდა, დარწმუნებული იმაში, დედის წინ გადამხტარ კვიცს უსათუოდ მგელი შეჭამდა, დღედაღამ ფხიზლობდა, ქალიშვლის ბედზე ზრუნავდა.

ლელას თითქოს მეტი თავისუფლება სურდა და დედის შემბოჭავ პასუხისმგებლობას შეგნებულად მამაზე ანაწილებდა, მის უფლებებს აფართოებდა, ზედამხედველის მოვალეობას ანიჭებდა, იცოდა, მამაკაცი უფრო გაუგებდა, წინდახედულებას გამოიჩენდა და ზომიერი რჩევებით დაკმაყოფილდებოდა — მამა მის გრძნობებს არასოდეს შეეხებოდა, დედა კი თვალებში ჩახედავდა და ყველაფერში ამხელდა, დაფეთებული კრუხივით აქოთქოთდებოდა, ფრთების ქვეშ შეფარვას შეეცდებოდა, არავინ მომტაცოსო.

ლელაში თითქოს იმ დანაწევრებულ სიყვარულს ერთბაშად მოეყარა თავი, წარსულში, მისმა მშობლებმა რომ დააქუცმაცეს; ამიტომაც გამზიარებელი სჭირდებოდა, რომელიც ბოლომდე გაუგებდა და სიყვარულს მოწოდებად უქცევდა.

ლევანის გამოჩენამ და მოსალოდნელი სიყვარულის გამოვლინებამ, თავის შესაძლებლობებში თანდათან დაარწმუნა, საკუთარ თავში მომწიფებული მდედრი აღმოაჩენინა და უზრუნველად მონიჭებული უპირატესობის შეგ-

რძნებით აღჭურვა.

როცა ბათუმის რკინიგზის სადგურში უხერხულად მომღიმარე ვაჟს შეეყარა და ყვავილები გულში ჩაიკრა, სიყვარულის ცხოველმყოფელობა, სიცოცხლის ნეტარება და სიკვდილის გარდაუვალი მარცხი ერთდროულად შეიგრძნო — საბოლოოდ დარწმუნდა, ღმერთმა ბედნიერებისკენ სავალი გზა მხოლოდ შეყვარებულისთვის გამოიმეტა...

IV

ბათუმიდან ჩქარ მატარებელს გავყევი და ორმოცი წუთის შემდეგ ქობულეთში ჩავედი.

მზიანი ამინდი იდგა.

ზღვისკენ ფეხით მივუყვებოდი, ნახევრად შიშველი დამსვენებლები პლაჟისკენ მიიჩქაროდნენ; ირგლივ უჩვეულო ხალისი იგრძნობოდა — სიცოცხლე ჩქეფდა, ღია კაფეებიდან მუსიკის ხმა ისმოდა, ზღვის ტალღები ნაპირისკენ ისე მოირწეოდა, თითქოს უხილავ რიტმს აჰყოლიაო; სილურჯეში გაწოლილი უკიდეგანო სივრცე, ნაპირს მისეული მოჟრიამულე ადამიანები, მოკრიალებული ტატნობი და ჯებირის გაყოლებით ჩამწკრივებული ჯუჯა ნაძვები, ისეთ სიამოვნებას მანიჭებდნენ, მინდოდა მეყვირა, სიცოცხლე თავდავიწყებით მიყვარს-თქო.

ამ დროს ფეხქვეშ ქვიშის ხრაშუნმა გონს მომიყვანა და ახლაღა მივხიდი, პლაჟზე გასულს მაისური უნდა გამეხადა — ზღვას მივახლოვებოდი და მივსალმებოდი; საცურაო კოსტიუმებში გამოკვალთული სხეულები ჩვეული ინტერესით მოვათვალიერე; „ლევან!" მომესმა შორიდან და ზღვის სიღრმიდან ვიღაცამ ხელი დამიქნია; მეც ხელის აწევით ვუპასუხე და ნაპირისკენ ცურვით ნამოსულ მეგობარს მოთმინებით დაველოდე; უცებ სახეში წყლის შხეფები მომხვდა, ფეხებთან დაქუცმაცებული ტალღა აშხუილდა, ვიღაცამ გვერდით ჩამიშლიგინა და წყალში ზღართანი მოადინა; გაგრილების სურვილზე დავდექი, სწრაფად გავიხადე, დათოს ვანიშნე ზღიდან არ გამოსულიყო და ტალღებში დგაფუნით გადავეშვი.

მზემ დედამინას შემაწუხებლად რომ დააჭირა, მე და დათო უკვე კაფეში ვისხედით, „სიყვარულს მზის თვისება აქვს!" რატომღაც ამოჩემებულივით ნარმოვთქვი და ყინულისგან დაშაშრულ ლუდის ბოთლს საცობი მოვხადე; პლაჟისკენ პირშექცეულები ციგ სასმელს ვწრუპავდით და ზღის ლანდშაფტს ისე გავცქეროდით, თითქოს უზარმაზარ ტილოზე გაცოცხლებულ ნახატებს ვათვალიერებდით; სოკოებივით მომრავლებული კაფეებიდან სხვადასხვა ჟანრის მუსიკა ისმოდა, მსმენელს იზიდავდა და ღამის გართობისკენ მოუწოდებდა.

ვიღაც ზღვაში პარაშუტით ეშვებოდა, ვიღაცებს რეზინის გაფუყული „ბანანი" ლაჯებში ამოეჩარათ, ტალღებს მიაპობდნენ და ხელებს მხიარულად იქნევდნენ; წყლის ველოსიპედები, შორს გასული ნავები და კატერები ზღვის სივრცეს უთავბოლოდ სერავდნენ.

— შეხვდი? — ნანუჩიზე ვკითხე დათოს.

შემომხედა, დაფარული სინანულით ჩაეღიმა.

— ხუთი წუთით... — ძუნწად ჩაილაპარაკა და ცოტა ხნის შემდეგ დასძინა: — დედასთან და ლოვასთან ერთად ისვენებს.

— დედამისს რა, კალთაზე ჰყავს გამობმული?! — ისეთი გაოცებით ვიკითხე, თითქოს დედებს ასეთი რამ როდი სჩვევიათ.

— ხო, გასაქანს არ აძლევს... ჯერ პატარა ხარო და, ეშინია, მცდარი ნაბიჯი არ გადადგას.

— მესმის!.. — გაგებით მოვეკიდე ნანუჩის დედის საქციელს.

— შენ, ნახე? — ახლა ჩემით დაინტერესდა დათო და გამომცდელად მომაჩერდა.

შვებით ამოვისუნთქე, თითქოს ამ კითხვას კარგა ხანია ველოდი.

— ცოტა ხნით!.. — ხმაში აშკარა კმაყოფილება დამეტყო.

ამ დროს კაფეში დათოს მამა შემოვიდა, ახალგაზრდულად ეცვა, შავი სათვალე მოიხსნა და ხალისიანად მოგვიახლოვდა, თბილად მომიკითხა, ჩვენთან ჩამოჯდა და ოფიციანტს ლუდი მოატანინა — მწერალი იყო და მის საუბარს ყოველთვის დიდი ინტერესით ვუსმენდი.

შორს, ზღვისა და ცის გასაყართან რკალურად გადასალტული ცისარტყელა მოჩანდა.

„სიყვარულს მზის თვისება აქვს!" თითქოს განგებ ჩაილაპარაკა მწერალმა და სახეზე ამოუცნობი ღიმილი გაუკრთა, ჩამავალ მზეს სინანულით გახედა.

ჩვეულმა ცნობისმოყვარეობამ შემახსენა თავი, დავინტერესდი, ამ ლამაზი შედარების ავტორი ვინ უნდა ყოფილიყო, ამის გარკვევა კი მეუხერხულა და გაჩუმება ვარჩიე.

— მზე რომ ჩადის?! — თითქოს ჩემს გულისთქმას ჩახვდა, ისეთი ინტერესით იკითხა დათომ.

— სამაგიეროდ, სხვაგან ამოდის, სხვა მხრიდან რომ დახვდე, ჩვეული ბრწყინვალებით იხილავ! — მშვიდად უპასუხა მამამ.

— მზე რომ მთლიანია და ამ დროს ყველას, ღირსეულსაც და უღირსსაც თანაბრად ათბობს? — სიჩუმე დავარღვიე და ცისარტყელას გავხედე.

გაეცინა.

კაფეში წყნარი მუსიკა უკრავდა.

— თითოეული ადამიანის სიყვარულიც მთლიანობის განმსაზღვრელია, ეს განსაზღვრება კი ღმერთისგან მოდის და იმხელა ძალა აქვს, ურწმუნოსაც მოაქცევს, სადაც მისწვდება, ყველგან ათბობს და სიცოცხლეს აღვივებს! — მეგობრულად მომიგო მწერალმა და მხარზე ხელი დამადო.

მერე წამოდგა, მოგვიბოდიშა, მოგვიანებით კაფე „საბაში" გეპატიჟებითო, თვალი ჩაგვიკრა და ხელი იმ მხარეს გაიშვირა, საითაც მწვანეტენტიანი კარავი მოჩანდა.

ერთხანს უხმოდ ვისხედით; პლაჟი დამსვენებლებით ნელ-ნელა იცლებოდა; ამ დროს კაფეში ორი გოგონა შემოვიდა; ტოტებგადაჭრილი ჯინსები და თხელი მაისურები ეცვათ; გამომწვევად ჩაგვიარეს, გარუჯული სხეულებიდან ზღვის მლაშე სურნელი შემოგვაფრქვიეს — მოშორებით დასხდნენ, სიგარეტს მოუკიდეს და მშვიდად გააბოლეს; ზოგჯერ ფარულად გამოგვხედავდნენ ხოლმე და უჩვეულო მოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინით ცქმუტავდნენ; დათომ თვალით მანიშნა გავიცნოთო, „თორემ ცისფერები ვეგონებით!“ ჩურჩულით დასძინა და სიცილი აუტყდა.

გოგონებს არაფერი გაკვირვებიათ, მიიჩოჩ-მოიჩოჩეს, მაგიდასთან დასხდომის საშუალება მოგვცეს, თითქოს გულის კარი გაგვიღეს და მობრძანდითო, მიგვიპატიჟეს.

— ყავას და გამაგრილებელ სასმელს ხომ მირთმევთ? — ზრდილობის გულისთვის იკითხა დათომ, თორემ წინდაწინ იცოდა, ასეთ პატივზე უარს ვინ იტყოდა!

ახალგაცნობილი გოგონები თბილისელები აღმოჩდნენ, ერთს სალო ერქვა, მეორეს — თაკო, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები ვართო; დათომ სპორტსმენად გააცნო თავი, მე კი მხატვრად გამასაღა, კიდევ კარგი, მხატვრობაზე არ ჩამომიგდეს სიტყვა, თორემ გართობის გეგმა ჩაიშლებოდა; ყველაფერზე ვილაპარაკეთ, გარდა შემოქმედებისა, ბოლოს თინეიჯერობას გადავწვდით და კინაღამ ნავკინკლავდით; მე და დათოს ამ თემასთან დაკავშირებით მსგავსი შეხედულება გვქონდა: თინეიჯერობას და, საერთოდ, უცხო ქვეყნებიდან შემოჭრილ სიახლეებს, გადამდებ მიმდინარეობებს, ჩვენი კულტურისა და ტრადიციისთვის შეუფერებელ ზეგავლენად ვთვლიდით; გოგონები გვეწინააღმდეგებოდნენ, „თანამედროებას მუდმივად წინსვლა უყვარს, განვითარებაში ცუდს ვერაფერს ვხედავთ“-ო; „ცივილიზაცია საყოველთაო უზნეობას ამკვიდრებს და იმპერიებს ანგრევს“-ო, კაცობრიობის წარსულს იშველიებდა დათო.

ერთი სიტყვით, გოგონები თავისაზე იდგნენ, ჩვენ — ჩვენსაზე და, ამიტომაც აზრი არ ჰქონდა კამათს — პედაგოგები კიდევ ჩვენ არ ვიყავით, დროსტარებისთვის მოწოდებულ „თაკო-სალოსთვის“ მორალის გაკვეთილით თავი მოგვებეზრებინა და, არც ისინი იყვნენ მოსწავლეები, უსიტყვოდ დაგვთანხმებოდნენ; ბოლოს გოგონები „საბაში“ დავპატიჟეთ, თანხმობა ადვილად რომ მივიღეთ, ერთმანეთს შეთქმულებივით გადავხედეთ.

ერთი საათის შემდეგ „საბასთან“ შეგვხვდნენ — აღფრთოვანებულები ნამდვილად არ დავრჩენილვართ, მაგრამ ისეთი გამოპრანჭულები იყვნენ, მოწონება ვერ დავმალეთ და გულწრფელი ქათინაურით დავაჯილდოეთ, ვიფიქრეთ, ამაღამ სანაპიროზე დაწყვილებულებს გვიანობამდე სეირნობა მოგვინევდა.

კაფე „საბა“ თითქმის ზრიალებდა, საცეკვაო მელოდიის მაღალი ტემბრი იქაურობას აყრუებდა, სხვას რომ შენი ნათქვამი გაეგო, პირი ყურთან უნდა მიგეტანა, ფერადი შუქების არეული ციაგი და მუსიკის ამტაცი ჟღერადობა მოძრავ სხეულებს ბრჭყვიალა წერტილებით პენტავდა და ცხოველმყოფელურ შთაბეჭდილებას ამძაფრებდა, თითქოს ყველას აშიშვლებდა, ფიქრის უნარს ართმევდა, სექსუალური აღტყინების ბანგით ნუსხავდა; ახალგარზდები ერთმანეთში ფუტკრებივით ირეოდნენ — ზუზუნებდნენ, ირგვლივ ვნებათაღელვის ოხვრა ისმოდა, საცეკვაო არენაზე ტევა არ იყო, უჩვეულოდ დაგრეხილი სხეულები თავდავიწყებით როკავდა, მამრსა და მდედრს ძნელად თუ გაარჩევდი — ყველაფერი თავის ნებაზე მიშვებულიყო და, ამ თავისუფლებაში იყო რაღაც არაადამიანურად მიმზიდველი, აქაურ ცდუნებას ადვილად ვერ გაექცეოდი, თუ სიცოცხლის ფასი იცოდი, ამ ორომტრიალში უნდა გადაშვებულიყავი, საერთო ვნებათაღელვას აჰყოლოდი და იმით დამტკბარიყავი, რასაც ზღვის იდუმალება და მუსიკით აშლილი ვნება გთავაზობდა.

მწერლის მაგიდასთან ვიღაც ახალგაზრდა კაცი იჯდა, ლუდს ნება-ნება წრუპავდა და თანამესუფრეს მრავლისმეტყველად მისჩერებოდა, ზოგჯერ უადგილოდ მოისვამდა თავზე ხელს და თვალები გან-გან გაურბოდა, დანაშაულზე წასწრებულივით ცქმუტავდა, თითქოს მალე საბედისწერო განაჩენს გამოუტანდნენ, ის კი უკანასკნელი სიტყვისთვის ემზადებოდა; გამხდარი სახე და მოდურად შეკრეჭილი თმა ჰქონდა — ზოგჯერ წარბებს ისეთი გაკვირვებით აპრეხდა, თითქოს ყველაფრის მცოდნე გენიოსი, რა დამამცირებელ ვითარებაში აღმოჩნდაო; ერთი სკამი თავისუფალი იყო, თეფშზე კი მთლიანი ატამი იდო, შამპანურის ბოთლიც არ იყო გახსნილი; ყველაფრიდან ჩანდა, სუფრასთან თავდაპირველად სამნი ისხდნენ, იმ მესამეს, ალბათ, მობეზრდა ამ ორის კამათი და აქაურობას მშვიდობიანად გაერიდა; თავისუფალი მაგიდა არსად ჩანდა, ნასვრეტებიან ხის ტიხართან ცხვრებივით დავდექით და თავდავიწყებით მოძიგძიგე თანატოლებს განბილებულებივით მივაჩერდით; ამ დროს მწერალმა შეგვნიშნა, მობოდიშებით გაგვიღიმა, გვანიშნა, ცოტა მოითმინეთო — სალო და თაკო გულგრილი ინტერესით შეათვალიერა; მე მისკენ მივჩოჩდი და მის საუბარს მონყურებულივით მივაყურადე.

— ესე იგი, მწერალი ხარ, ნიკუშა?.. — თმაშეკრეჭილმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია, — იცი, რას ნიშნავს მწერალი?.. — ისე დასძინა ჩვენმა მასპინძელმა, თითქოს ამის განმარტება მისთვის სასიცოცხლო რამ იყო.

— მწერალი ნიშნავს შემომქმედს, რომელიც ქმნის... — დაიწყო ნიკუშამ, მაგრამ შუა გზაზე გააწყვეტინეს, ისე გამანადგურებლად მიაჩერდნენ, საბრალომ მეტყველების უნარი დაკარგა.

— ქმნის არა, ფლოვი!.. — უხეშად მიუგო კაცმა და გამომწვევად ახედ-დახედა. — მწერლობა ზნეობას ნიშნავს, ხოლო მწერალი ზნეობრიობას, რაც თქვენ არ იცით და არც გაგაჩნიათ!.. — თვალებით კიდევ ბევრი რამ უთხრა.

— როგორ?! — დაიბნა ნიკუშა და შეურაცხყოფისგან წამოწითლდა.

— როგორ და, ისე... — ცოტა არ იყოს, გამიკვირდა მისი გაცხარება, — ქრისტეს მოციქულები მწერლები იყვნენ, მათე, მარკოზი, იოანე და ლუკა რომ არა, უფლის არსებობას საერთოდ ვერ გავიგებდით და კაცობრიობა ვირთხის დღეში აღმოჩნდებოდა...

— მაგით რისი თქმა გსურთ? — ექიდნურად იკითხა გამხდარმა.

— რისი და, მათ ნაწერებში ერთ უხამს სიტყვას ვერ წააწყდები... თქვენ კი წერა პროსტიტუცია გგონიათ... წარმოდგენა არ გაქვთ იმ სიმძიმესა და პასუხისმგებლობაზე, რაც გამჩენმა ხელოვანს დააკისრა, იმ მისიაზე, რომელიც ჯვარცმის ტოლფასია!.. — დათო საკუთარ მამას შეცბუნებული მისჩერებოდა, ალბათ, ასეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავშეუკავებელი არასოდეს ენახა. — ვის რა უფლება აქვს, გარყვნილებაზე წეროს, ადამიანებს ის უმტკიცოს, რაც თავადაც კარგად იციან?.. ვინ გასწავლათ ფარისევლობა?.. — ისევ შეურაცხყოფაზე გადავიდა მწერალი. — პაპაჩემმა და ბებიაჩემმა შვიდი შვილი გააჩინეს, არ მითხრათ ახლა, ისინი სექსში ჩვენ დავაოსტატეთო!.. არ იცოდნენ?.. — იგი დაურიდებლად კიცხავდა ახალგაზრდა კაცს, რომელსაც თავი უდანაშაულოდ მიაჩნდა. — სექსზე წერა იმათთვის არის ხელსაყრელი, ვისაც ის არ შეუძლია, მასზე ოცნებობს და სანადელისთვის სხვა გზით ვერ მიულწევია... სხვათა შორის, ისიც კარგი გადმოსაცემი იქნება, ფეხსალაგში დაცუცქული კაცი შვებას როგორ განიცდის... ა!.. — ჩემს უფროს მეგობარს ხარხარი აუტყდა.

— აბა, თანამედროვე მწერალი როგორი უნდა იყოს?.. — თითქოს ფარ-ხმალი დაყარა ნიკუშამ, სინამდვილეში, მის კითხვაში ღვარძლი გამოკრთა.

— ნიკუშა, ბიჭო, — კაცი მსმენელისკენ გადაიხარა და თვალებში მიაჩერდა, — დღევანდელი მწერალი მომპარავი უნდა იყოს... — ნიკუშა სერიოზულად შეცბა, სახე დაემანჭა, ხოლო მე ვიფიქრე, ალბათ, ჩვენს მოსვლამდე სასმელი გვარიანად ყლურწა-მეთქი, — საზოგადოებრივი ქურდი, რომელიც წუთისოფლის სამალავში გადანახულ განძს მიაგნებს, წვალებით გაასუფთავებს და თავდაპირველ ბრწყინვალეებას დაუბრუნებს და დღის სინათლეს აღირსებს... თქვენ მარგალიტებს სამალავში კი არა, ფუნაში ეძებთ, იქექებით და მკვდარ მატლებს ბრილიანტის თვლებად ასაღებთ... ისეთ საქმეს შეჭიდებიხართ, რისი საფუძვლიანად გააზრებაც ჭკუიდან შეგშლით!.. — გამანადგურებლად დაასრულა მწერალმა და საგრძნობლად შემცბარი მსმენელი თვალებით გაბურღა.

ნიკუშას ერთხანს ხმა არ გაუღია, არც განძრეულა, ბოლოს გაკიცხულივით ადგა, სახეზე შეუწყნარებელი ღიმილი გაუკრთა, მოჩვენებითი მოწიწებით დაიქნია თავი, რაღაც მადლობის მსგავსი ჩაიბურდღუნა და კაფედან ისე უტეხად გავიდა, თითქოს მალევე მობრუნდებოდა და მის შეურაცხმყოფელს დუელში გამოიწვევდა.

— ნიკუშა... „ვეფხისტყაოსანს" იწუნებს, ტემპერამენტი აკლიაო... გადამრია კაცი!.. — ჩვენ რომ მივუახლოვდით, სწორედ მაშინ იფეთქა მწერალმა, თითქოს აქამდე მოთმინების ფიალას კბილებით იჭერდა, — ნიკუშა!.. — ამოჩემებულივით გაიმეორა, — ასეთი სახელი როგორ უნდა ერქვას მწერალს?.. — თითქოს საბოლოო განაჩენი გამოიტანა და, როგორც იქნა, დამშვიდდა, უცნობი გოგონების დანახვაზე უხერხულად გაიღიმა, მოგვიბოდიშა, ოფიციანტს უხმო და სკამები შემოამატებინა, ყველანი მაგიდასთან დაგვსხა.

დათომ, საკუთარი მამის შესახებ, ჩვენი უფროსი მეგობარიაო, უთხრა გოგონებს; „უფროსი მეგობარი" კი ყმაწვილბიჭივით გამხიარულდა, სუფრასთან ხალისი შემოიტანა, ბიჭებს გვათამამებდა, გოგონების თვალში წონას გვმატებდა — თავისუფლებას გვანიჭებდა და გვაიძულებდა, ისე მოვქცეულიყავით, როგორც „საბაში" არსებულ ვითარებას შეეფერებოდა.

სიმართლე გითხრათ, კაფეში ყოფნას მამა-შვილის პატივისცემის გამო ვითმენდი, ვიდრე გოგონებთან დროსტარების სურვილით; ლელაზე ფიქრი არ მასვენებდა, ხოლო ჩემი შინაგანი დაძაბულობის გამანეიტრალებელი სწორედ მეგობრის გვერდით ყოფნა იყო.

ქალიშვილებს საცეკვაო არენისკენ გაურბოდათ თვალი, მოუთმენლად ცქმუტავდნენ, მუსიკის რიტმს ფეხს აყოლებდნენ და ზოგჯერ წყენამეპარვით გამოგვხედავდნენ; „ბიჭებო, ჯენტლმენურად რატომ არ იქცევით?" სტუმრების ხათრით გვაქეზებდა მწერალი და საცეკვაო არენისკენ გვითითებდა.

მოულოდნელად „საბაში" ხმაური ატყდა, ახალგაზრდების ერთი გუნდი წამოიშალა და გარეთ გავარდა; შეიქნა უთავბოლო გაწევ-გამოწევა და საქმის გარჩევა; მუსიკა ჩვეულებრივად უკრავდა და დანარჩენები უდარდელად მხიარულობდნენ; მალე ყველაფერი დაწყნარდა, მოჩხუბრები დაზავდნენ და თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ, სახეებზე კვლავ დროსტარების სურვილი გაუკრთათ — ადრინდელი აღტყინებით განაახლეს ცეკვა.

ცოტა ხნის შემდეგ ოფიციანტისგან შევიტყვეთ, აყალმაყალი ერთი გოგონას გამო მომხდარა; ახალგაცნობილ ბიჭთან ბევრი უცეკვია, ბოლოს პარტნიორს სანაპიროზე გასეირნება შეუთავაზებია და, მასთან ერთად სიბნელეს რომ შეფარებია, ქალიშვილი მაშინ გაბრაზებულა, ერთი ამბავი აუტეხავს, შენთან იმიტომ კი არ ვცეკვავდი, სიბნელეში თავი გაგიყადროო და საშველად ნაცნობი ბიჭებისთვის მოუხმია.

— ფუ, რა ხამობაა!.. — ზიზღით გამოცრა სალომ და სიგარეტი შემოგვაბოლა.

— მეტი შეგნება არა აქვთ... თავს გაუყადრებ და მაშინვე ლოგინში ჩაწვენას მოგთხოვენ! — მხარი აუბა თაკომ და იმანაც მოგვაბოლა.

მე და დათო ხმას არ ვიღებდით, დამნაშავეებივით ვდუმდით, უფროს კაცს შერისხულებივით მივჩერებოდით, თითქოს ხსნას მისგან ველოდით.

— ვერ დაგეთანხმებით!.. — გამომწვევი ღიმილით თქვა მწერალმა და გოგონებს შემწყნარებლურად გახედა.

— რაში ვერ დაგვეთანხმებით, ძალადობა რომ ცხოველის საკადრისია, ამაში? — ცოტა არ იყოს, უხეშად იკითხა თაკომ და მეგობარს ნიშნის მოგებით გაუღიმა, ნახე, ეს ბიძა რას კადრულობსო.

— ყოველგვარი ძალადობა ადამიანის განუვითარებლობაზე მეტყველებს და, ამას რომ გამართლება არ აქვს, ეჭვიც არავის ეპარება, მაგრამ... — მწერალმა ოდნავ შეისვენა, პათეტიკურად შეგვავლო თვალი და იმ მეცნიერივით განაგრძო, ეს წუთია, უჩვეულო კანონი რომ აღმოაჩინა. — ძალადობის სხვადასხვა ფორმა არსებობს, მაგალითად, ძალადობა, რომელიც იძულებითი აუცილებლობიდან გამომდინარეობს, არ გინდა ჩაიდინო და, მიზნის მიღწევის ასეთ არჩევანს მიმართო, მაგრამ, სხვა გზას არ გიტოვებენ... ეს კი უფრო მეტი დანაშაულია!..

გოგონებმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს, აშკარად ვერ მიხვდნენ, რისი თქმა სურდა მწერალს და, უკმაყოფილება ტუჩების

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბზუებითა და მხრების აჩეჩვით გამოხატეს.

— თითოეულ ერსა თუ ეთნიკურ ჯგუფს განსხვავებულად დამახასიათებელი კულტურა გააჩნია; ტრადიციული თავისებურება, სულიერებასთან გენეტიკურად ჩაკირული ადათ-წესები, ადამიანში მოულოდნელ გამოვლინებებს არანაირად იწვევს, მისთვის უცხო არაფერია და, თავსაც არაფერს აძალებს... უცხოური მუსიკის რითმი, როკვა და სხეულის ვნებისაღმძვრელად გამაღიზიანებელი ქანქარი, კავკასიური ბუნებისთვის ყოვლად მიუღებელია; ესა თუ ის ცეკვა, ამა თუ იმ ხალხის სულიერსა და ფიზიკურ მდგომარეობას გამოხატავს, ხოლო უმეტეს შემთხვევაში, ცეკვის მთავარი მიზანი სწორედ მამრისა და მდედრის ურთიერთლტოლვის გამომჟღავნებაა; დღევანდელი მუსიკა სამხრეთ ამერიკულისა და აფრიკული ტემპერამენტის ნაზავია, ჰოდა, როცა ამ ქვეყნის შვილები ასეთი მუსიკის თანხლებით ცეკვავენ, მათ კარგად იციან, შიშველ ვნებას განასახიერებენ და სხეულის უჩვეულო მოძრაობაში სექსუალურ ნდომას ამჟღავნებენ, ამ დროს მამრსა და მდედრს შორის დაუფლების დაუოკებელი სურვილი დაუფარავად აღიძვრება; ეს არის პრელუდია იმ ცხოველმყოფელური აქტისა, რომელიც სასიყვარულო შვებითა და გრძნობათა შეხამებით უნდა დასრულდეს, როკვა და მუსიკა სწორედ სექსუალური კავშირის ფონია; მეწყვილე თითქოს წინდაწინ ამოწმებს პარტნიორს, ირჩევს და ინტიმური ურთიერთობისთვის ამზადებს... ასე რომ, ნუღა გვიკვირს, იმ ბიჭს მოთმინებამ თუ უღალატა, უნებლიეთ აღძრულმა სურვილმა გონება აუმღვრია, ძალადობისკენ უბიძგა და საქმის ბოლომდე მიყვანა აიძულა; როცა ასეთ გართობაზე მიდიხარ, ე.ი. უცხოური ცეკვის ტემპერამენტით ტკბები, მაშინ კეთილი ინებე და ბოლომდე იცეკვე, ანუ ბოლომდე დატკბი!.. — მწერალმა ამ მომენტში რატომღაც ხმას აუწია და მოურიდებლად დასძინა: — იმპროვიზირებული სექსი ნამდვილ სექსში უნდა გადაზარდო, თუ გინდა ამ ცეკვის არსსა და დასაბამს ჩაწვდე... გაიგეთ, ჩემო კარგებო?.. — გოგონებს აღარ უყურებდა, მთელი გულისყური მოცეკვავეებისკენ გადაეტანა, თითქოს მათ გასაგონადაც ლაპარაკობდა.

გოგონებს ხმა არ გაუღიათ, საფერფლეში თითქმის ერთდროულად ჩაასრისეს სიგარეტის ნამწვავები და ისე გაიხედ-გამოიხედეს, თითქოს გასაქცევს ეძებდნენ.

— ხომ არ გვეცეკვა?.. — თითქოს სასტარტო ნიშანი მისცა დათომ და შემწყნარებლურად გაუღიმა.

— გვაპატიეთ, უნდა დაგტოვოთ!.. — ჩაილაპარაკა ორაზროვანი შეთავაზებით ნირწამხდარმა თაკომ და სალოსთან ერთად „საბადან" გავიდა.

დათომ გოგონები კაფეს გასასვლელამდე მიაცილა.

— ამ როკვაში მართლაც არის უჩვეულოდ ზებუნებრივი, სიცოცხლის მომაჯადოებელი გამოვლინება... თითოეული მოცეკვავის მთავრეულ მოძრაობას კარგად თუ დააკვირდები, მასში უსათუოდ ეშმაკის გავლენას აღმოაჩენ, ადამიანის გონებას უხილავი ძალით რომ მართავს!.. — სინანულით ჩაილაპარაკა მწერალმა და იძულებული გაგვხადა მოცეკვავეებს მივჩერებოდით.

უშფოთველი ინტერესით ვუთვალთვალებდი ექსტაზში შესულ გოგო-ბიჭებს და მართლაც მეჩვენებოდა, თითქოს მათ სხეულებში ეშმაკები ჩაბუდებულიყვნენ, ხელებს და ფეხებს მარიონეტებივით აქნევინებდნენ და მუსიკის სასიამოვნო ჟღერადობით გონებას უბნელებდნენ.

მეორე დღეს ბათუმში ნავედი — შუადღემდე ზღვის სანაპიროზე ვიხეტიალე, მერე ლელას დავურეკე...

V

ტელეფონზე გკითხულობენო, გამომძახა ბებიაჩემმა, შეთქმულივით გამიღიმა, „ალბათ, შენი თბილისელი მეგობარია", ჩურჩულით მითხრა და მამაჩემს დამნაშავესავით გახედა; გული სიამით ამიძგერდა, სახეზე ალმურმა გადამკრა, ხმაში მღელვარება რომ არ დამტყობოდა, ყურმილი ცოტა ხნით შევაყოვნე — დაძაბულ სუნთქვას მთელი არსებით მივაყურადე, ლევანის ხმა გარკვევით მომესმა, რაღაც დაბნეულად ამოვილუღლუღე, დაუფიქრებლად ვუპასუხე და ბულვარის შესასვლელთან შეხვედრაზე დავთანხმდი — ისე სწრაფად დავკიდე ყურმილი და ისე სწრაფად ჩავიცვი, თითქოს რკინიგზის სადგურში მაგვიანდებოდა, მატარებლისთვის უნდა მიმესწრო; ბებიაჩემის გაფრთხილებას, „გოგო, ჩრდილ-ჩრდილ იარე, არ დაგსიცხოს"-ო! ყური არ ვათხოვე და ქუჩაში გავვარდი; თითქმის მივრბოდი, ასეთი რამ არასოდეს დამმართნია, სად მიმეჩქარებოდა, რა მაშინებდა, ამხელა ბიჭს გზა აებნეოდა, თუ რა!..

როცა ბულვარს მივუახლოვდი, მამაჩემის მაშინლა შემრცხვა, თავი უხერხულად ვიგრძენი, ჩემი სულსწრაფობით ხომ არ შეურაცხვყავიმეთქი; ნაბიჯ-ნაბიჯ დავმშვიდდი და, რატომღაც წარმოვიდგინე, თითქოს დედაჩემი მითვალთვალებდა — ტანში გამაცია, ჩემივე უსაფუძვლო შიშმა ღიმილი მომგვარა, დედაჩემის ალერსიან, სიყვარულით სავსე თვალებს გონებით გადავწვდი და მომნანიებელივით ჩავჩურჩულე: „შენსავით ამქვეყნად არავინ მიყვარს და არც არავინ შემიყვარდება!.." მისმა თვალებმა გამიღიმა, მეც დავმშვიდდი და პატიება ვიგრძენი.

— გამაჯობა, ლევან! — დაზეპირებულივით წარმოვთქვი და ყურებამდე გაბადრულს ღიმილითვე შევეგებე, რატომღაც, საჯარო ბიბლიოთეკის უკანა კედლის წარწერები გამახსენდა.

მომიახლოვდა და ხელი გამომიწოდა, ტანში უჩვეულო სიმხურვალემ დამიარა — ისეთი თვალებით მომჩერებოდა, მონუსხულივით გავშეშდი, სიტყვა ვერ დავძარი.

მერე ჩონგბურთის კორტებისკენ გავუყევით, უხერხულად ვდუმდით; იმ ბიჭის გვერდით მივაბიჯებდი, რომელსაც მხოლოდ ბავშვობაში ვიცნობდი და რომელიც ბავშვობიდანვე სიყვარულს მიმტკიცებდა — არავის და არაფერს ეპუებოდა, ხმამაღლა, ყველას გასაგონად შეეძლო განეცხადებინა, ლელა მიყვარსო; მე კი მთელი არსებით ვგრძნობდი, როგორი დამოუკიდებლი იყო ჩემს სიყვარულში და ქვეცნობიერად მშურდა მისი თავისუფლების — უჩვეულო რიდ-

იც მბორკავდა, თითქოს კიდეც მეშინოდა მასთან სიახლოვის, მეშინოდა იმ წმინდა გრძნობის გააზრების, რომლის გამოც ცისკიდურში მომაგნებდა, შემომხედავდა და გამიღიმებდა, მეტყოდა, მე ის ლევანი ვარ, კედლებს შენი სახელით რომ ვაჭრწლებდიო.; ამას რომ ვფიქრობდი, დაუოკებელი ჟინი მიპყრობდა, შინაგანი დაბრკოლება გადამელახა, თავში გავრკვეულიყავი, მისგან გაცხადებული სიყვარულის თავბრუხვევა მეგრძნო, ან ბოლომდე იმედგაცრუების სიმწარე მეწვნია, რაც სამომავლოდ ჩემს ბედისწერას მოასწავებდა.

— დედაშენმა რომ დაგვინახოს? — თითქოს ჩემს დუმილს ვიღაცამ ნავთი დაასხა.

„სამებასთან“ დასმული კითხვის გამეორებამ უნებლიეთ გამომიწვია, ავენთე.

— შენ, მგონი, დედაჩემის გეშინია და ამ შიშის გასაქარწყლებლად, გინდა მშობელი დამიპირისპირო!.. — საგრძნობლად განზე გავიწიე.

— მაპატიე... ეს ისე, გაუაზრებლად გკითხე, ვერ ამიხსნია... — დაბნევით მიპასუხა და მანძილი, რომელიც მასთან მაშორებდა, ერთი მოძრაობით შეავსო, ფრთხილად მომწვდა და ჩემი თითები ხელისგულში მოიმწყვდია.

გავიტრუნე, ბრაზმა მსწრაფლ გამიარა.

ძელსკამებზე აქა-იქ წყვილები ისხდნენ, ზოგიერთები ერთმანეთს ჰკოცნიდნენ, ზოგიერთები უაზროდ იცინოდნენ.

— კაფეში ხომ არ დავსხდეთ? — მორიდებით იკითხა ლევანმა და ქუჩისკენ შებრუნდა.

— სიცხეა, სჯობს სანაპიროზე, ზვინულში შევიდეთ. — მასპინძლის დამაჯერებლობით ვთქვი, გულში კი გავიფიქრე, ვინმე ნაცნობმა თვალი არ მომკრას-თქო.

— ბუნგალოში?.. იქ ხომ თინეიჯერები ცეკვავენ!.. — სიცილით მითხრა და აშკარად დაეტყო, ცეკვას რაღაც ამბავი დაუკავშირა. — შენ არ ცეკვავ? — სიცილითვე დასძინა და იძულებული გამხადა, მეც გამეცინა.

— ვცეკვავ, ოღონდაც კაფეებში არა! — კარგა ხნის შემდეგ ვუპასუხე.

— ჩემთან არ იცეკვებ? — ქვეშიდან გამომხედა.

— მასეთ ადგილებში არც შენ გირჩევ ცეკვას! — ხუმრობით მივუგე და შემწყნარებლურად გავუღიმე.

შემომხედა.

— მხოლოდ შენთან ვიცეკვებ და ისიც განცალკევებით, არავინ რომ გვხედავდეს.

მომეწონა მისი თავდაჭერილობა, სხვათა შორის, არც მე ვიყავი მომხრე თავაშვებული გართობის, ასეთ რამეს ერთმანეთის წაბაძულობად, ზედაპირულობით შეპყრობილი გოგო-ბიჭების ახირებად ვთვლიდი — თანამდეროვე ცეკვებს როგორ არ ვაფასებდი, მაგრამ ყველაფერს ზომიერების თვალით ვუყურებდი.

— მოდი, ტბასთან მივიდეთ! — შევთავაზე და ხელი მოვკიდე, ტბისკენ წავიყვანე.

ბორცვიან ნაპირთან დავდექით, ჩვენი ლანდები წყალში უჩვეულოდ გაიწელა და ისე ამოძრავდა, თითქოს მეორე ნაპირზე ამოყოფდა თავს; უცებ სახესთან გახშირებული სუნთქვა ვიგრძენი, ტუჩებში საოცარი სიმხურვალე შემომაწვა, სუნთქვა შემეკრა, თავბრუ დამეხვა და მთელ ტანში სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა — ლევანის და ჩემი ტუჩები ორი ნაკადულივით შეერთდა — ქვეცნობიერმა შიშმა შემიპყრო, ტკბილი სიზმრიდან მალე არ გამოვსულიყავი, ჩვენი ლანდები ერთ აჩრდილად გაერთიანდა; ჯერარგანცდილი ნეტარებით ვკოცნიდი, ამ ცხოველმყოფელურ გრძნობას თავს ვერ ვაღწევდი, იდუმალი ძალა მისდამი ლტოლვით მბანგავდა, მათამამებდა და თავზეხელაღებულს მხდიდა.

ბოლოს გონს მოვეგე, ფრთხილად გავეცალე — წყალში გაწოლილი ლანდები ისევ დაგრძელდა — გარშემო მიმოვიხედე, თითქოს რაღაც მოვიპარე და თუ აქაურობას დროზე არ გავეცლებოდი, უსათუოდ დავისჯებოდი; ტუჩებზე თითი მოვისვი, შევამოწმე, პირველი კოცნის ანაბეჭდი ხომ არ დამეტყო-მეთქი.

„ძელკსამზე ჩამოვსხდეთ!“ შემომთვაზა ლევანმა და სიყვარულით სავსე თვალები მომაპყრო.

კვლავ სიზმარში მეგონა თავი — აშკარად ვგრძნობდი, ჩემი ყმაწვილქალობა პირველივე კოცნისას დასრულდა და ჩემს არსებაში უჩვეულო გარდაქმნა მოხდა; ისეთი კრძალვით ვიჯექი, როგორც გაშიშვლებული უმნიკვლო ქალწული, რომელიც უფლისგან სულით და ხორცით სიყვარულს ითხოვდა — თითქოს თვალნათლივ ვხედავდი, როგორ ვივსებოდი, გონება მინათდებოდა და ყმაწვილქალობაში დაბუდებული მიმზიდველობის გამომზეურებას ვლამობდი; აქაოდა ახლაღა ამეხილა თვალი, მივხვდი, რატომაც ვუყვარდი ლევანს, რის გამოც ჩემი სულის სიდიადესაც ვგრძნობდი და — სხეულისადმიც უჩვეულო დამოკიდებულებას განვიცდიდი.

ლევანის თავდაჯერულობაც გონებას მიბნევდა, ისე მაკოცა, თითქოს ამის უფლება მე თვითონ მივეცი, არც დაინტერესდა, კოცნის სურვილი მქონდა თუ არა და, საერთოდ, რა აზრის ვიყავი მასზე — მიყვარდა თუ ზრდილობის გულისთვის ვუთანაგრძნობოდი; თითქოს ყველაფერს წინდაწინ ხვდებოდა, დარწმუნებული იყო, თავდავიწყებით შემიყვარდებოდა და სიტყვაძუნწობდა — ქათინაურებითა და გულის მომგები სიტყვებით არ მანებივრებდა.

სიყვარულისთვის ნამდვილად მზად არ ვიყავი, თუმცა ერთ რამეს აშკარად ვგრძნობდი, მოულოდნელად თავსდატეხილი სიყვარულის იდუმალ დინებას მთელი არსებით თუ არ მივენდობოდი, ფონს ვერასოდეს ვიპოვნიდი...

შინ დაბნელებამდე დავბრუნდი; პაპაჩემი აივანზე მეზობელ კაცს ნარდს ეთამაშებოდა; დამიძახა, მომეფერა, გვერდით მომისვა და ხუმრობით მითხრა: „შენ, ბაბუ, კარგი ყისმათი გაქვს, არ მომშორდე, თორემ ეს ოხერი ყველა ხელს მომიგებს!..'' — კამათელს რომ გააგორებდა, ბიჭივით უხაროდა, თავზე მკოცნიდა, მოწინააღმდეგის ნევრებმომშლელად ქილიკობდა.

უხერხულად ვცქმუტავდი, არაფერს ვიმჩნევდი — გონებით სხვაგან ვიყავი, ნეტავ ლევანი სად არის-მეთქი, ეჭვნარევი სინანულით ვფიქრობდი.

ამ დროს ბებიაჩემმა ოთახიდან გამომძახა, ტელეფონზე გკითხულობენო; ყურმილი ავიღე და სასიამოვნო მოლოდინით გავიტრუნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლელა, შვილო, როგორ ხარ?! — ჩამესმა დედაჩემის შფოთნარევი ხმა.

— ცუდად რატომ უნდა ვიყო? — რომ დამემშვიდებინა, იქით შევუბრუნე კითხვა.

— სად იყავი? — გულახდილობის საკენკი გადმომიყარა.

— ზღვაზე... მცხელოდა და ვიბანავე. — მეც მოჩვენებითი გულწრფელობით ვუპასუხე, საკუთარი მოხერხებულობის გამო შემრცხვა, სახეზე წამოვწითლდი და მივხვდი, სიყვარულს უნდა გავფრთხილებოდი, საჭიროების დროს, საკუთარი მშობელიც გამეცურებინა.

დედაჩემს უტყუარი წინათგრძნობა ჰქონდა, თითქოს ყველაფერს წინდაწინ ჭვრეტდა — ჩემი სულის კუნჭულებს რენტგენივით აშუქებდა და ჩემში მომხდარ უმნიშვნელო ცვლილებებსაც ხედავდა.

— რაღაც შენი ხმა არ მომწონს... — ხმა კი არა, ჩემში დამალული კმაყოფილება არ მოეწონა და გამომცდელად დადუმდა.

— ზღვაში ბანაობისას წყალი თუ გადამცდა! — თითქოს გამოსავალი ვნახე.

ერთხანს სამარისებური სიჩუმე გამეფდა. სხვა დროს უეჭველად შეიცხადებდა, მამაჩემსაც გადაწვდებოდა, მარტო როგორ გაგიშვა ზღვაზეო, გაწიწმატდებოდა, ახლა კი მისი დუმილი მაბნევდა, თითქოს აშკარა ტყუილში მამხელდა.

— ჭკუით იყავი, შვილო!.. — როგორც იქნა, სიჩუმე დაარღვია და ყურმილში წყვეტილი ზარი ისე გაისმა, გამომშვიდობებაც ვერ მოვასწარი.

მეორე დღეს ჩემს ერთ მეზობელ ქალთან, მზიულისთან, გადავედი; მიყვარს უფროსებთან მეგობრობა; მზიული ორმოცს გადაცილებულია, მაგრამ თავშემონახული გარეგნობისაა; ძალიან ვენდობოდი და გადაწყვეტილი მქონდა, ყველაფერი მომეთხრო — წინდაწინ ვიცოდი, რასაც მეტყოდა: — „იყოჩაღე ქალიშვილო, სიყვარულს ბედნიერება მოაქვს და ამისთვის ბრძოლა გმართებს!“

სიყვარულის მწარე გამოცდილება ჰქონდა, ცხოვრებაში არ გაუმართლა. ყოველთვის უბედური მეგონა, მაგრამ ამას არასოდეს ვაგრძნობინებდი და არც თვითონ იმჩნევდა დარდსა და ნაღველს — მისი ქმარი წელქვემოთ მოწყვეტილი იყო და თითქმის ყოველდღე ეტლით დაასეირნებდა.

მზიული დედამ გაზარდა, მამა ადრეულ ასაკში გარდაეცვალა; სკოლაში კარგად სწავლობდა, სანიმუშო ყოფაქცევითაც გამოირჩეოდა; გარეგნობა არ აკლდა და გამჩენს კეთილი ბუნებითაც დაეჯილდოვებინა; ინსტიტუტში რომ ჩააბარა, ერთი „ჭაობელი“ ბიჭი, მევლუდ გორგიძე, გადაეკიდა — დიდი გვარისა და შეძლებული ოჯახის შვილი; მევლუდს მთელი ქალაქი იცნობდა, როგორც გამომწვევსა და თავზეხელაღებულ ახალგაზრდას; მზიული მთელი არსებით შეუყვარდა და ისე ამოიჩემა, დღედაღამ კუდში დასდევდა — ინსტიტუტის წინ ელოდებოდა, სახლამდე აცილებდა, სხვა ბიჭს მასთან გამოლაპარაკების საშუალებას არ აძლევდა; მალე ამ უჩვეულო ურთიერთობის ამბავმა მზიულის დედის ყურამდე მიაღწია და დედამ ქალიშვილს ვაჟის თავიდან ჩამოშორება ურჩია. „ვუყვარვარ, განა რამეს მიშავებს!“ შეჰბედა შვილმა; დედას სინანულით ჩაეღიმა და ქალური წინდახედულობით უთხრა: „ყველაზე დიდი უბედურება ის არის, როცა ადამიანი თავის თავს უშავებს... მაგ ბიჭს არ აქებენ, ამბობენ, ნარკომანი, ხულიგანი და ღვთის პირიდან გადავარდნილიაო!..“ მზიულის ხმა არ ამოუღია, დამნაშავესავით დადუმდა.

ერთი სიტყვით, მევლუდმა გამოუცდელ გოგონას საშველი არ მისცა და ბოლოს და ბოლოს თავი შეაყვარა; ბიჭმა ქალიშვილი მშობლებსაც გააცნო და, თუ ცოლის მოყვანა მიწერია, იცოდეთ, მზიულის გარდა არავის შევირთავო; გორგიძეები მომავალ პატარძალს თავდაჭერილად შეხვდნენ, საქმე აღარ გაამწვავეს, ვაჟის სურვილს გაგებით მოეკიდნენ, როგორც შენ გენებოს, ისე გადაწყვიტეო.

ერთ დღეს მევლუდი ორ ბიჭთან ერთად დაიჭირეს, საფეხბურთო სტადიონის დირექტორის სახელმწიფო მანქანის გატაცებასა და ფულის გამოძალვაში დაადანაშაულეს; გორგიძეები მარიფათიანი და გავლენიანი ხალხი იყვნენ, მიდგნენ-მოდგნენ, საქმე გაჩარხეს და ვაჟიშვილი ერთ-ერთ მეწყვილესთან ერთად პატიმრობიდან დაიხსნეს, ხოლო მათ მეზობლად გაზრდილი, ობოლი და უქონელი „შარიკა“ ციხეში დატოვეს, ბრალდება შენს თავზე აიღე და ორ თვეში გამოგიყვანთო, დაარწმუნეს; ქალაქში დარხეულმა, გორგიძეების გამკიცხავმა ჭორებმა მზიულის ყურამდეც მიაღწია; გოგონა მწარედ ჩაფიქრდა, გადაწყვიტა, ვაჟისთვის სიმართლე ეთქვა, თქვენი ოჯახის ამგვარ საქციელს არავინ იწონებსო.

წაიჩხუბეს, ერთმანეთს გაბუტულები დაშორდნენ; მეორე დღეს მევლუდი ინსტიტუტთან დახვდა, „ყველაფერს აგიხსნი!“ შემრიგებლურად უთხრა და გასეირნება შესთავაზა; მზიული გაჯიუტდა და ყური არ ათხოვა, „ცოტა ხანი მადროვე, დაფიქრების საშუალება მომეცი, ყველაფერში კარგად გავერკვიო“-ო; ვაჟი გაცხარდა და შეყვარებულთან შეხვედრა უსიამოვნოდ დაასრულა.

მალე მზიულიმ მეორე სემესტრი დახურა და საზაფხულო არდადეგები თითქმის შინ გაატარა.

მევლუდი გიჟივით დაწრიალებდა, მზიულის ქუჩაზე მანქანით ასჯერ აივლ-ჩაივლიდა — იქაურობას ამტვერებდა, ტელეფონით ურეკავდა, ყველა ხერხს მიმართავდა: ხან ყვავილებს უგზავნიდა, ხანაც სატრფიალო ბარათებს, ებოდიშებოდა, მომხდარი გაუგებრობის გამო გულისტკივილს გამოხატავდა.

ამ დროს მზიულის მეზობლად ერთი თბილისელი ბიჭი ისვენებდა — პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, ირაკლი სოფრომაძე; ზრდილობით სავსე, გარეგნულად მიმზიდველი დამსვენებელი აივნიდან შემჩნეულმა გოგონამ სერიოზულად დააინტერესა; ბოლოს დიასახლისის ქალიშვილს სთხოვა და მისი დახმარებით კიდეც გაიცნო — მზიულის დედას ისე დაუახლოვდა, ქალი მისდამი კეთილგანწყობას ვეღარ მალავდა და ქალიშვილს შეფარვით ეუბნებოდა, პატიოსან ოჯახში გაზრდილი ჩანსო.

ზღვისპირა ქალაქი მალე ალაპარაკდა, მზიული ვიღაც თბილისელ ბიჭს ცოლად მიჰყვებაო.

ერთ საღამოს, ირაკლი პლაჟიდან ბრუნდებოდა, გზაში მევლუდი ორ ძმაკაცთან ერთად

27406

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუხვდა, შენთან საქმე მაქვსო, მანქანაში ჩაისვა და ურეხის სასაფლაოზე წაიყვანა — სასტიკად გაუსწორდა, მზიულიზე ფიქრი აღარ გაბედო და ბათუმიდან დღესვე აიბარგეო; ნაცემი ირაკლი ასეც მოიქცა, დედა-შვილს არც დაემშვიდობა, ბარგი ჩაალაგა და რკინიგზის სადგურს მიაშურა.

მისი გალახვის ამბავი მზიულიმ მაშინვე შეიტყო, თავი უხერხულად იგრძნო, არ ეგონოს, ამ საქმეში წვლილი მიმიძღვისო, ნაჩქარევად ჩაიცვა და უკან გამოუდგა, როგორმე მივუსწრებ და ყველაფერში გავარკვევო; როცა ბაქანზე ფეხი შედგა, მატარებელი უკვე დაიძრა — რომელიღაც ვაგონის ფანჯარასთან დაღვრემილი ირაკლი შენიშნა, მისი ყურადღება ვერაფრით მიიპყრო და, ვიდრე მატარებელი სიჩქარეს მოუმატებდა, მომდევნო ვაგონის საფეხურს შეახტა, ვნახავ და უახლოესი გაჩერებიდან უკან გამოვბრუნდებიო.

საიდანღაც ეს ამბავი მევლუდმა შეიტყო; მატარებელს მანქანით დაედევნა, ალბათ, იფიქრა, მზიულიმ სამუდამოდ მიმატოვაო და ქალაქიდან გასასვლელ ხიდზე გადაჭარბებული სიჩქარით შევარდა, საჭე ვერ დაიმორჩილა, მოაჯირი გადაანგრია და ათი მეტრის სიმაღლიდან გადაიჩეხა.

მზიულიმ შეყვარებული რეანიმაციულ განყოფილებაში ინახულა და მის მშობლებს პატიება სთხოვა; გორგიძეები ამჯერადაც ტაქტიანად მოიქცნენ, მიუხედავად თავს დამტყდარი უბედურებისა, გოგონას გულღიად შეხვდნენ და ცუდ მდგომარეობაში მყოფ ვაჟს მისი მოსვლა ახარეს.

მზიულის სინდისი ქენჯნიდა, თითქმის ყოველდღე დადიოდა შეყვარებულის სანახავად და მომავლის იმედს უნერგავდა; მევლუდს ხერხემალი ჰქონდა დაზიანებული და ექიმები საიმედოს ვერაფერს ამბობდნენ; ორჯერ გაუკეთეს ოპერაცია, თბილისიდან ცნობილი პროფესორიც მოიწვიეს, მაგრამ უშედეგოდ; ვაჟმა წელქვემოთ მგრძნობელობა საერთოდ დაკარგა და საავადმყოფოდან ხეიბრის ეტლით გამოეწერა.

შინ დაბრუნებულ მევლუდს ნაცნობ-მეგობრები თანდათან შემოეცალნენ, მხოლოდ მზიულის არ გაუწყვეტია გორგიძეებთან ურთიერთობა, ლექციების შემდეგ მათთან მიდიოდა და მევლუდს ართობდა — ქუჩაში სასეირნოდ გაჰყავდა; ქალაქში მის ქებას ხშირად მოისმენდი, სიყვარულიც ასეთი უნდა, დავრდომილ ბიჭს თავზე ევლებაო; მის გარშემო თითქოს შეთქმულების იდუმალი ქსელი იხლართებოდა, ნაცნობი თუ უცნობი, ყველა საქციელს უწონებდა, ღვთისნიერი გოგო ყოფილხარო; მევლუდის მშობლები კი დაუფარავად ემადლიერებოდნენ და ხშირად საჩუქრითაც ანებივრებდნენ — ოღონდაც მისთვის ესიამოვნებინათ და თავს ევლებოდნენ; მათი ოჯახის ნათესავები ლოცვას და ქათინაურს არ იშურებდნენ, სამაგალითო გოგო ხარ და, ღმერთი სიკეთეს არ მოგაკლებსო.

მხოლოდ მზიულის დედა იყო გულჩათხრობილი, მამაზეციერს დღენიადაგ ევედრებოდა, შვილი მეღუპება და გონება გაუნათეო — ქალიშვილს თვალაცრემლებით ურჩევდა: „შენს გზას დროზე მიხედე, თორემ ბედს ვერასოდეს ეწევი“-ო; მზიულის არსებას თითქოს ეშმაკი დაპატრონებოდა — არაფერი ესმოდა, სინამდვილეში, მშობლის გულისტკივილს კარგად ხვდებოდა, კიდეც ამართლებდა, მაგრამ საკუთარ პასუხისმგებლობას ვერსად გაურბოდა, მევლუდის სავალალო მდგომარეობას თავის თავს ჰყვედრიდა, იმედს ვერაფრით გაუცრუებდა, ვიდრე დავრდომილი ადამიანი მის სიყვარულს ებღაუჭებოდა, განსაცდელში ვერაფრით მიატოვებდა.

გადიოდა ხანი. მევლუდის მშობლები ყოველდღე იმედს გამოთქვამდნენ, მალე ბიჭს ოპერაცია გაუკეთდება და ფეხზე დადგებაო; გამოჯანმრთელების ნაცვლად ხეიბრის მდგომარეობა უკან-უკან მიდიოდა, დღითიდღე სუქდებოდა, ხორცის მასად ქცეული მოძრაობის უნარს ჰკარგავდა — უნებლიე შარდვითა და წარამარა საფენების გამოცვლით იტანჯებოდა; მზიული ერთ დღეს რომ არ გამოჩენილიყო, მოსვენებას ჰკარგავდა, ტელეფონით უკავშირდებოდა, წელში გაწყვეტილი აღარ გინდივარო, გულსაკლავად წუწუნებდა; ქალიშვილი უხერხულობდა, ვაჟის სიბრალულით ინვოდა, სასწრაფოდ მიაშურებდა, დაუყვავებდა, პატიებას სთხოვდა.

ასე მიილია რამდენიმე ზაფხული და ზამთარი — იმ იმედით, მევლუდს ოპერაციას გაუკეთებდნენ და საბოლოოდ განიკურნებოდა.

ამასობაში გორგიძეებიც მოხუცდნენ, დედაქალი გარდაიცვალა, ავადმყოფი მომვლელის გარეშე დარჩა; მზიულის დედამაც ისე მიაბარა მამაზეციერს სული, ქალიშვილის ბედნიერებაზე ფიქრი სამარეში თან წაიღო.

მზიული უკვე ოცდაათის გახდა, ობობას ქსელში გაბმულ მწერივით ფართხალებდა, ბოლოს გორგიძეებთან საცხოვრებლად გადავიდა და თავი მევლუდის ცოლად გამოაცხადა; ხეიბარი ქმარი თითქმის ყოველდღე ეკლესიაში დაჰყავდა და უფალს მის გამოჯანმრთელებას ევედრებოდა.

უნდა გენახათ, ეტლში მოკალათებულ მევლუდს რა ბედნიერი სახე ჰქონდა, ხოლო ასეთი მძიმე ავადმყოფის მომვლელ ქალს — რომელმაც მის გამო უზრუნველი ბედის ძიებაზე ხელი აიღო და ბედნიერებაზე უარი თქვა — სახეზე იდუმალი ღიმილი დასთამაშებდა, თითქოს ღმერთმა ამქვეყნად მხოლოდ ხეიბრის მეთვალყურეობა დააკისრა...

მესამე დღეს ლევანმა ჩამომაკითხა, ქობულეთში უშენოდ მომწყინდაო, წაინუწუნა; ბულვარში გავისეირნეთ, მევლუდის და მზიულის სიყვარულის ისტორია ვუამბე; ერთხანს ხმა არ გაიღო, მწარედ ჩაფიქრდა, მერე მწყრალად შემომხედა, თითქოს ჩემში იდუმალ დამნაშავეს ეძებდა, თავი სინანულით გააქნია და მოულოდნელი ზიზღით გამოცრა: „არაკაცი, ღორი, უღვთო და სატანა მევლუდი, მან შეგნებულად შეიწირა უცოდველი არსება... ასეთი ბოროტი რომ იყო, ამიტომაც დასაჯა ღმერთმა!..“ სიგარეტს მოუკიდა და ნერვიულად გააბოლა; შევწუხდი, თავი უხერხულად ვიგრძენი; „როგორ?“ უნებლიეთ აღმომხდა და გაკვირვებული მივაჩერდი. „როგორ და ისე!“ ღვარძლიანად მომიგო, მერე გონს მოსულივით შემომხედა და მობოდიშებით დასძინა: „სულით ვაჟკაცი რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილიყო, უმწეო ქალს ამხელა ტვირთს არ აჰკიდებდა... ეგოისტია და მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს... ლაჩარია... მარტოობის ეშინია და მზიულის ებღაუჭება... მისი ღვთისმოსაობით სარგებლობს, ჭეშმარიტად რომ ჰყვარებოდა, საკუთარ გასაჭირს არაფრად ჩააგდებდა და სასურველ ადამიანს თავისუფალი არჩევანის საშუალებას მისცემდა... ვინც ნამდვილად გიყვარს, მის ბედნიერებაზე უნდა იზრუნო და არა შენი უბედურებით, მის გაუბედურებას ხელი შეუწყო!..“ შემწყნარებლურად გამიღიმა, შემაყოვნა, წელზე ხელი მომხვია და ნაზად მაკოცა — დიდხანს, დიდხანს მკოცნიდა და ისე გარინდულიყო, თითქოს ჩემზე მონდობილს სუნთქვაც ეზედმეტებოდა; თავს ლაღად ვგრძნობდი, მასთან ერთად სადღაც, უსასრულობაში გადაკარგვა მსურდა...

VI

ლევანი ბათუმიდან კმაყოფილი დაბრუნდა — ხალისიანად გამოიყურებოდა, ქობულეთში სამი-ოთხი დღე დაჰყო; ზოგჯერ უმიზეზოდ მოიწყენდა ხოლმე; ჩემი ვაჟი თითქმის მთელი დღე ერთობოდა, ცხვირჩამოშვებულს ნაკლებად ნახავდი; ლევანი გოგონების გაცნობას და მათთან დაახლოებას აშკარად გაურბოდა, ხანშიშესულივით იქცეოდა; „წადი, ბიჭო, გაიარ-გამოიარე, გაიხედ-გამოიხედე, ნაშები შეაბი, რას მომჩერებიხარ!“ ხუმრობით ვეტყოდი ხოლმე და შიშველი გოგონებით სავსე პლაჟისკენ გავახედებდი; „იმათ მარტო ცეკვა უნდათ, მე რომ რამე მომინდეს?..“ ხუმრობითვე მეტყოდა და „საბაში“ მომხდარ ამბავს იხსენებდა; „დიჯეი გახდი და ყველაფერი გამოგივა!“ მის შეგულიანებას არ ვეშვებოდი; „დიჯეი რომ გახდე, მუსიკალური განათლება უნდა გქონდეს, მე კი სიყვარულის მეტი არაფერი ვიცი!“ მორიდებით მპასუხობდა და გამომცდელად მომჩერებოდა, სისულელეს ხომ არ ვრომავო; თითქმის არავინ მოსწონდა, ყველა ქალში ნაკლს პოულობდა — გასაოცარი დასკვნები გამოჰქონდა, მალულად აკვირდებოდა და მათი უჩვეულო ნიშანთვისებით უცნაურ პორტრეტს ქმნიდა. „აი, ის გოგონა, ფეხები არაბუნებრივად, გამომწვევი სიურცხვით რომ გაუჩაჩხავს, მიუხედავად მიმზიდველი გარეგნობისა, ზღვის ქაფივით ყალბია და ზერელე, წამიერად აღძრულ ვნებას ანეიტრალებს და უინტერესობას ბადებს; თუ კარგად დააკვირდები, აშკარად შეატყობ, არასრულფასოვნების შეგრძნება აწუხებს, ხოლო ამ ნაკლს გამომწვევი საქციელით ფარავს და, იცით, ასე რატომ იქცევა?..“ ჩემს გაკვირვებას ეშმაკური ღიმილით პასუხობდა და დამაჯერებლად დასძენდა: „შეყვარებული არ არის და, იმიტომ!..“ მერე სხვა ვინმეზე გადაჰქონდა ყურადღება, ჯერ ჩემთან ერთად მის გარეგნულ თავისებურებებს არჩევდა, აანალიზებდა და დასკვნები ისეთი დამაჯერებლობით გამოჰქონდა, თითქოს ფსიქოლოგიის დარგში მეცნიერულ ნაშრომს ქმნიდა; შემწყნარებლურად მეღიმებოდა, მსიამოვნებდა და ხუმრობით იმ არქეოლოგს ვადარებდი, მიწის წიაღში არსებულ განძს ვარაუდით რომ ეძებს. „აი, იმას ხომ ლამაზი ტანი აქვს და თმაც ჩანჩქერივით დაფრქვევია მხრებზე, კარგად დააკვირდით, მისი ვარცხნილობა მასში დაუდევრობას, საკუთარი თავისადმი უპატივცემულობას და უგემოვნებას ამჟღავნებს, ან როგორ იცინის?.. მასში ხელოვნურობა მეტია, ვიდრე ბუნებრიობა; ასე რომ, იგი სიყვარულის სარკეში არ იცქირება და ამიტომაც ვერ ამჩნევს ნაკლოვან მხარეებს...“ ერთხელ ყველაფერში დავეთანხმე და ჩვენგან მოშორებით მდგარ გოგონასკენ მივახედე, ტალღების ხმაურს გარიდებული ვიღაცას ფიჭური ტელეფონით ელაპარაკებოდა; „იმაზე რას იტყვი?..“ გამომცდელად მივაჩერდი; ლევანს ყოვლისმცოდნესავით ჩაეღიმა, მუშტარივით დააკვირდა, როგორც ჩანდა, სავარაუდო შეფასებების თანმიმდევრობაზე ჩაფიქრდა, კარგად შეათვალიერა, ბოლოს რენტგენის ფოკუსივით მოწკურა თვალი, თითქოს უცნობის სულში შეღწევა სცადა; „ეს ნამდვილად შემოქმედის თვალითაა დანახული და, ამას შეიძლება სწორი აღმოჩენაც ეწოდოს, რასაც მასზე ფიქრობთ, ჩემთვისაც გასაგებია, უბრალოდ, თქვენს სათქმელს დავადასტურებ, — შეისვენა, თითქოს საკუთარი თავი გადაამოწმა, არაფერში შევცდეო, — მას, ყველაფერთან ერთად, სულის სილამაზეც გააჩნია და ამის შეგრძნების უნარსაც ფლობს, ნამდვილად შეყვარებულია... ეს მისი ლაპარაკიდან და თითოეული მოძრაობიდან ჩანს, მის გამოხედვაშიც შეყვარებულს ამოიკითხავ.“ ხმამაღლა გამეცინა, კმაყოფილება ვეღარ დავფარე, „თითქოს ყოველწამს სასურველი ადამიანის მოლოდინშია, ამიტომაც კარგად იცნობს თავის თავს, თითქოს საკუთარი სულის სარკეში იჭვრიტება და მისთვის შეუფერებელ წვრილმანებს უმალვე ამჩნევს... ახლაც, ვგონებ, შეყვარებულს ელაპარაკება, ისე ეღიმება, თითქოს ვიღაც ყურის ბიბილოსთან უღიტინებდეს...“ ლევანი ყურადღებას აღარ მაქცევდა, აზარტში შესულიყო და მიზანში ამოღებულ „შეყვარებულს“ თვალს არ აცილებდა; დათო ჩვენს ფსიქოლოგიურ შეფასებებს ზერელედ უსმენდა და სხვა გოგონას აკვირდებოდა, ალბათ, მასში იმ ნიშან-თვისებებს ეძებდა, რომელიც გაცნობისა და მასთან დაახლოების საბაბს მისცემდა.

— შენ, ხომ გიყვარს? — მოულოდნელად ვკითხე ლევანს.

— დიახ!.. — ყოყმანით მომიგო და უჩვეულო მოლოდინით მომაჩერდა.

— დარწმუნებული ხარ, სიყვარულის სარკეში იცქირები და შენში აღმოსაფხვრელ ნიშან-თვისებებს კარგად ხედავ?!

— რა თქმა უნდა, ვხედავ და ყოველთვის ვცდილობ, ყოველგვარი უმსგავსობისგან საბოლოოდ გავთავისუფლდე... ამას დრო უნდა, მთელი არსებით უნდა მიყვარდეს და პასუხისმგებლობას ვგრძნობდე... — თავი დახარა, დარცხვენით ამომხედა, გაუბედავად გამიღიმა, ადგა და ზღვას მიუახლოვდა.

ჩამავალი მზის ბინდ-ბუნდში გახვეული ბიჭის სილუეტს გაოცებული მივჩერებოდი, აშკარად ვგრძნობდი, ეს მარტოხელა, უპატრონო ყმანვილკაცი ამქვეყნად მხოლოდ სიყვარულისთვის გაჩენილიყო, ის გრძნობა, რომლითაც მის დედ-მამას უნდა ეარსება, მასში თავმოყ-

რილიყო და ლავასავით ქშინავდა, მალე ამოხეთქავდა და მთელ დედამიწას შესძრავდა, მზის სიმხურვალეს დააოკებდა — ყინულს გაალღობდა და გულქვა ადამიანებში სინანულის გრძნობას აღძრავდა.

სიყვარულზე განსაკუთრებული წარმოდგენა ჰქონდა, მამრსა და მდედრს, ნაცნობსა და უცნობს, იმის მიხედვით აფასებდა, ვის როგორ უყვარდა, ან შეეძლო თუ არა საერთოდ ჰყვარებოდა; „დღევანდელობის სენი სიყვარული კი არა, მისი უნიჭოდ განსახიერებაა!“ — ამბობდა და სიყალბეს, მიმბაძველობასა და ჭარბი ენთუზიაზმით მოდის აყოლას მომაკვდინებელ სენად თვლიდა.

იმ დღეს მზესუმზირის გამყიდველი ქალი გაიცნო — ხანშესულ დედაკაცს ადრინდელი სილამაზის კვალი ჯერაც ეტყობოდა, დანაოჭებული უპეებიდან წყლიან თვალებს მოუსვენრად აცეცებდა, თუ ღირსად ჩაგთვლიდა, ნაღვლიან წარსულს გაგიმხელდა, გულს გადაგიშლიდა, შიგადაშიგ ხუმრობასაც გამოურევდა და გუნებას არ გაგიფუჭებდა; ლევანი უცებ დაიმეგობრა, მიკვირდა, რა საერთო უნდა გამოენახა ცხრამეტი წლის ბიჭთან

დედაკაცი სოფელ ჩაქვიდან იყო — ღარიბ, მაგრამ პატიოსან ოჯახში გაზრდილი; ქალიშვილობაში თურმე ავთვალს არ ენახვებოდა, ბევრ ჭაბუკს უყვარდა, მაგრამ მას მხოლოდ ასლან ენდელაძისთვის უძგერდა გული; ჩაუქ აჭარელს მეზობელი სოფელში გადმოუკითხავს და პატარიკა ცენტერაძისთვის მეექვსე ქალიშვილის, თვალხატულა მარგოს ხელი უთხოვია. „ასლანიკამ თავბრუ დამახვიაო!“ სინანულით იხსენებდა ქალი; საპატარძლო ამ დროს თურმე ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა; კურსს დავხურავ და ცოლად მერე გამოგყვებიო, შეჰპირებია სასიძოს, რომელსაც უფიქრია, მარგოში ქალაქელი ჯეელები შემეცილებიანო და, თავგადაკლულს დაუყინია, ქორწილი მალე გადავიხადოთო; მოკლედ, ასლანიკა და მარგო დროზე ადრე შეუღლებულან, ჩაქვში საკარმიდამო შეუძენიათ, ახალი სახლიც აუგიათ და თანმიყოლებით სამი შვილიც გასჩენიათ; ცხოვრობდნენ თურმე ბედნიერად, ქმარი კოლმეურნეობაში ბრიგადირად მუშაობდა, ხოლო ცოლი — ბაგა-ბაღის გამგედ; ერთ დღეს მარგოსთან ვიღაც მაწანწალა ქალს შეუვლია, გაუბედურებულს, ტანსაცმელშემოფლეთილს, მშიერსა და მწყურვალს მოწყალება უთხოვია; ბაგა-ბაღის გამგეს ბოგანო ქალი შებრალებია, დაუნაყრებია, ბოლოს სახლში წაუყვანია, დაუბანია და სუფთა ტანსაცმლით შეუმოსავს; ქალი მადლიერებისგან ცხარე ცრემლით ატირებულა, მწყალობელს მუხლებში ჩავარდნია და სიკვდილის დღემდე ერთგულება შეუფიცია — ქმარ-შვილი მივატოვე, კაცმა სხვა ქალში გამცვალა, სოფელში თავი მომეჭრა, შეურაცხყოფა ველარ ავიტანე და თავმოყვარეობაშელახულმა ცხოვრებაზე ხელი ჩავიქნიეო; მარგოს გული დათუთქვია, საბრალო ქალი უნუგეშებია, ჩემს სახლში გაცხოვრებ და ბაგა-ბაღშიც გამოგიძებნი საქმესო; გაუბედურებული ქალი ჩვეულებრივი გარეგნობის ყოფილა, მხოლოდ თვალები ჰქონია ველური და ვერშესაცნობი — გაუნათლებლობაც ეტყობოდა თურმე და ცოტა გონებაშეზღუდულობაც; ასლანიკას ქუჩიდან შემოხიზნულის დანახვაზე სახე დამანჭვია და მარგოსთვის ხმადაბლა უსაყვედურია, ეს აქოთებული დედაკაცი ახლოს არ გამაკაროო; გამუდმებით ჩხუბობდა თურმე, სუფრასთან ნუ სვამ, საშინლად ყარს, სუნთქვა მეკვრისო; ცოლ-ქმრის უთანხმოებას ბოლო აღარ უჩანდა; საგონებელში ჩავარდნილი მარგო მორჩილად ასრულებდა თურმე ქმრის მოთხოვნას, შეკედლებულს შეძლებისდაგვარად არიდებდა; ამასობაში ასლანიკას სხვა ჭია შეჩენია და თანდათან დამშვიდებულა, უწინდებურად აღარ იღრინებოდა, თითქოს უპატრონო ქალის სიბრალულს შეეპყრო; ბოლო ხანს მის გარეშე ლუკმას არ იდებდა პირში — გვერდით მოისვამდა, ულვაშებს აიპრეხდა და კმაყოფილებით ჩაიღიმებდა; ის ქალიც თანდათან გამოკეთებულა, ფერხორცი დატყობია, თეძოები დამრგვალებია და მკერდიც საგრძნობლად გაღვივებია; მარგო კმაყოფილებას ვერ ფარავდა, ქმარს ემადლიერებოდა და ღმერთს მის შენდობას შესთხოვდა, რახან გონს მოეგო და სიკეთის მადლი ირწმუნა, ადრინდელი უმეცრებისთვის ნუღარ დასჯიო; ხოლო შეხიზნული ქალის სახეზე გამკრთალი იდუმალი ღიმილი მადლიერების სანაცვლო ეგონა — თურმე მწარედ ცდებოდა, მისი დამღუპველი, ოჯახის დამანგრეველი და ასლანიკას გადამბირებელი ქალის შესაძლებლობებს ვერ აფასებდა; ერთ მშვენიერ დღეს, ასლანიკა და მისი ცოლისგან შეწყალებული ქალი სახლიდან გაპარულან, ქობულეთის ერთ მაღალმთიან სოფელში კარ-მიდამო შეუძენიათ და ერთმანეთისთვის სამუდამო ერთგულება შეუფიციათ; ასე დარჩენილა გაბრიყვებული მარგო სამი შვილის ამარა, რომლებიც რის ვაივაგლახით დაუზრდია და ცხოვრების გზაზე დაუყენებია; ასლანიკა იმ ქალთან ერთად არხეინად ცხოვრობდა, მანდარინის პლანტაციას უვლიდა, კარგი შემოსავალიც ჰქონდა და ოდესღაც საყვარელი ცოლ-შვილის ბედი აღარ ანაღვლებდა.

ის ქალი გარდაცვლილა, კაცი მოხუცებულა, მარტო დარჩენილს კი სიკვდილის შეშინებია და ძველი ბუნაგისთვის მოუშურებია; „რა მექნა, კი არ მიყვარდა ჩემი ქალობის შემარცხვენელი და არსებობის გამმრუდებელი ასლანიკა, მარა, მაინც ჩემი შვილების მამა იყო, სოფლისაც შემრცხვა და, ვიფიქრე, მოკვდეს თავისი ხელით აშენებულ ოდაში-მეთქი!..“ ასე გაუმართლებია მარგოს თავისი შემწყნარებლური საქციელი და, შვილები ზედმეტი გარჯით არ შევაწუხოო, გაგანია სიცხეში მზესუმზირის გაყიდვა გადაუწყვეტია — დაუმადლებელ ლუკმა-პურს ვიშოვიო.

ამ ამბის შეტყობის შემდეგ მზესუმზირის გამყიდველი ქალი ჩემს თვალში ერთი-ორად ამაღლდა, მონინებით ჩავუვლიდი გვერდს და პატივისცემით ვესალმებოდი: „გამარჯობა, ქალბატონო მარგო!“ დედაკაცი სინანულით ჩაიღიმებდა, „ღმერთმა გამარჯვება მოგცეს, შვილო!“ ლოცვას მომაგებებდა და ლევანის შესახებ უსათუოდ მკითხავდა: „ის ღვთისნიერი ბიჭი აღარ ჩამოვა?“ შეგნებულად არ ვუჩერდებოდი, „ჩამოვა, ჩამოვა, დეიდა მარგო!..“ დამამშვიდებლად ვეტყოდი ხოლმე და პლაჟისკენ მივიჩქაროდი.

ერთი ქობულეთელი გიჟი იყო — მურთაზ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითლიძე; დიდი ხანია ვიცნობდი და მის შესახებ ბევრი რამ ვიცოდი; იმან ხომ სულ გამიწყალა გული, „ის თბილისელი სად დაიკარგა?“ წარამარა მეკითხებოდა და მანამ არ ჩამომეხსნებოდა, ვიდრე თავმობეზრებით არ ვუპასუხებდი, შეყვარებულმა წაიყვანა და გაისამდე აღარ გამოუშვებს-მეთქი; გიჟი ბურდღუნით გამეცლებოდა; მურთაზს ადამიანების ამოჩემება უყვარდა, რაც მარტო მისი ავადმყოფური მიდრეკილებით არ იყო გამოწვეული, ლევანისგან უჩვეულო სითბო იგრძნო და მასთან განშორება ამიტომაც უჭირდა; სამ დღეში ასე როგორ მოინადირა ამ გიჟის გული, სულ რომ ახსენებს-მეთქი, ვფიქრობდი ლევანზე.

მურთაზს მთელი ქობულეთი იცნობდა და ყველა შემწყნარებლურად ექცეოდა; კარგი ოჯახის შვილი იყო და მუდამ მოწესრიგებული დადიოდა; არაფერს აშავებდა, ე.ი. ქვებს არ ისროდა; ძველი ბიჭების ხსენება უყვარდა, ვიღაც ქუთაისელ კანონიერ ქურდს დაგისახელებდა, თითქოს მასთან ძმაკაცობდა, შარშან ჩემს სახლში ისვენებდაო, ალბათ, იმ განზრახვით იტყუებოდა, ვინმეს მთლად ხელიდან წასული არ ვეგონო; არეულ-დარეულად ლაპარაკობდა, ერთი ამბიდან მეორეზე უადგილოდ გადახტებოდა და ნებისმიერ სათქმელს სულელურად ასრულებდა.

ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ყოფილა, მასზე უფროსი ბიჭები სუფრის თამადად რომ ნიშნავდნენ; არც სიტყვა-პასუხი ეშლებოდა და არც — ზრდილობა; გარეგნულად მომხიბვლელს, გულადსა და ჯან-ღონით სავსეს ერთი ბერძენი გოგო, ვიოლა ხრისტოპულო უყვარდა; ქობულეთელი ახალგაზრდებისთვის მათი სიყვარული ზნეობის მაგალითს წარმოადგენდა — ვაჟის პატიოსნებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, იცოდნენ, შესაშური სილამაზის ბერძენს არაფერს დაუშავებდა.

ვაჟი კარგი მოჩხუბარიც იყო; თანატოლ ბიჭებს მუდამ მისი იმედი ჰქონდათ, უშიშარია, დაღლა არ იცის და ვერავინ მოერევაო; ადამიანის დაჩაგვრას არავის პატიობდა და ყოყლოჩინებს მისხალს არ უთმობდა; როცა ვიღაც მატრაბაზობდა და თავის წარმოჩენას ცდილობდა, გონს მოსაყვანად ისეთ რამეს ჩაიდენდა, ახირების ხალისს წაუხდენდა და თავმდაბლობას აიძულებდა; თავისუფლად შეეძლო შუშა დაეღეჭა, ჭიქას ისე ჩაკბეჩდა, თითქოს ნაყინის ფირფიტას ატკბარუნებსო და, ამას ისეთი მშვიდი გამომეტყველებით აკეთებდა, გემოს გასინჯვა მოგინდებოდა.

როცა სკოლის დამთავრების აღსანიშნავი წვეულება გადაიხადეს, სუფრის თამადა მურთაზი იყო — ყოველ სადღეგრძელოში ახალგაზრდულ გზნებას აქსოვდა, თანაკლასელებისა და პედაგოგების ათნლიანი ურთიერთობის დაგვირგვინებას გულწრფელი სინანულით გამოხატავდა.

წვეულებაზე სტუმრად სამი ბათუმელი ბიჭი იმყოფებოდა; გამომწვევად იქცეოდნენ, იქაურობა აიკლეს, მათ თავხედობას საზღვარი არ ჰქონდა, ლაპარაკს არავის აცლიდნენ, ვითომდა, რახან უცხონი იყვნენ, ყველაფრის უფლება გვაქვსო; სუფრის თამადას მოთმინების ფიალა აევსო, შამპანურით სავსე ბოთლი ფრთხილად აიღო, სტუმრებს მიუახლოვდა, დაძაბულობისა და გამოწვევის გარეშე მათი ყურადღება მიიქცია, „ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს!“ გამანადგურებლად გაიღიმა და შამპანურის ბოთლი თავზე გადაიმსხვრია — ქაფიანი სასმელით გალუმპული სტუმრები სახტად დატოვა; ვიდრე საღსალამათი მურთაზი თამადის ადგილს დაიკავებდა და მორიგ სადღეგრძელოს წარმოთქვამდა, ბათუმელი ბიჭები სუფრასთან აღარ ისხდნენ — წვეულებიდან უხმოდ გაკრეფილიყნენ.

მალე მურთაზი ჯარში გაიწვიეს.

ადრეული შემოდგომის ღრუბლიანი ამინდი იდგა; ზღვა ღელავდა და აქაფებულ ტალღებს ისე მოაგორებდა, თითქოს უკიდეგანო სიღრმიდან ბატკნების ფარას მოერეკებაო; ვაჟი ბერძენ გოგონას დამბასთან შეხვდა და შეყვარებულები სანაპიროს გაუყვნენ. „შენ და ზღვას ერთად უნდა გამოგემშვიდობოთ!“ უჩვეულო გზნებით წარმოთქვა ბიჭმა და გოგონას მხარზე მოეხვია.

შეყვარებულებს გული ეთანაღრებოდათ — მათი ურთიერთობა მხოლოდ შორეული მიწერ-მოწერით უნდა განახლებულიყო; „ორი წელი თვალისდახამხამებაში გაირბენს!“ ამშვიდებდა ვაჟი და ქალიშვილის აცახცახებულ თითებს ხელის გულში იმწყვდევდა, იხუტებდა და თმაზე ეფერებოდა; ვიოლას ვაჟის ალერსი თანდათან ამშვიდებდა, შეყვარებულმა დარდი არ გაიყოლოსო, მოჩვენებითად მხიარულობდა.

ცა ავისმომასწავებლად იქუფრებოდა, ვეებერთელა ტალღები გაავებით იფოფრებოდნენ, ზლაზვნით მოიგრაგნებოდნენ, ნაპირს მეხივით აწყდებოდნენ და ბეტონის ჯებირისკენ ქაფმორევით მიირწეოდნენ — წყვილის ფეხებთან ზათქითა და შიშინით ეხეთქებოდნენ; შეყვარებულები წუთიერად შეყოვნდნენ და აბობოქრებულ ზღვას სევდიანად მიაჩერდნენ, ყალყზე შემდგარი ტალღის მოახლოებას უჩვეულო აღტყინებით დაელოდნენ.

ამ დროს ზღვის სიღრმეში უზარმაზარი ტალღა გამოჩნდა, მომაჯადოებლად მოირხეოდა, თითქოს ყოჩობდა და პირველობას არავის უთმობდა, პატარა ტალღებს მონებივით მოერეკებოდა; შეყვარებულებმა უნებლიეთ ხელი ხელს ჩასჭიდეს და მონუსხულები გახევდნენ — სასწაულის ხილვის ცდუნება იმდენად შთამბეჭდავი და ყოვლისმომცველი გამოდგა, ადგილიდან აღარ დაიძრნენ; ყველაფერი წამებში მოხდა, ზღვიდან წყლის უშველებელი გორაკი წამოიმართა, ნელ-ნელა ცად ატაცებულ მწვერვალს დაემსგავსა, მერე მოიდრიკა, თავის წიაღში ამობრუნებისა და ხელახალი გატალღების ჟინით აბობოქრებული ნაპირს მოაწყდა, მიწა შეაზანზარა, ქვიშა და ღორღი ერთიანად წამოზიდა, შემზარავი შხუილით მოასკდა ბეტონის ჯებირს და იქაურობას ღვარცოფი დაატეხა — წყვილი წამისუსწრაფესად შთანთქა და მორევში ჩაითრია, სიღრმისკენ გააქანა; ვაჟი რამდენჯერმე ამოყურყუმალავდა, პირი ჭუჭყითა და ქვა-ღორღით გაევსო, ბუნდოვნად გამკრთალ გოგონას სილუეტს გაუაზრებლად ნაეპოტინა, თითქოს არაბუნებრივი კივილი ჩაესმა, მერე თითქოს მის მკლავს მისწვდა და ამ დროს ყრუ დარტყმა იგრძნო, ვერაფერი გაარჩია, შეყვარე-

ბულს ველარ ხედავდა; მიხვდა, ზღვასთან ჭიდილში მარცხდებოდა, საყვარელ არსებას სამუდამოდ ჰკარგავდა, თავგანწირვით გაიბრძოლა, თითებში შერჩენილ კაბის ნაგლეჯს სასონარკვეთით შეასწრო თვალი და გონება დაკარგა.

კარგა ხნის შემდეგ მოსულიერდა; ხელები გადაყვლეფოდა, სახე დაკაწროდა, შუბლზე ღრმა ჭრილობა აჩნდა, ჯებირის საფეხურებთან გარიყულს მთელი სხეული დაბუჟოდა.

ზღვა აღარ ღელავდა, თითქოს მსხვერპლით დანაყრდა და უმალ დაწყნარდა. ვაჟი წამოიმართა, ზღვას მწყრალად გახედა, მომხდარი გაიაზრა და არაადამიანური ბღავილი აღმოხდა — სანაპიროზე უიმედოდ დაძრწოდა და დაღამებამდე მხეცივით ყმუოდა: ვიოლას უხმობდა, ზღვას გულმოკვლით ევედრებოდა, „შეყვარებული დამიბრუნე"-ო.

მურთაზი მეორე დღეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს, დიდხანს უმკურნალეს, მაგრამ მის შერყეულ ფსიქიკას ვერაფერი უშველეს.

მას შემდეგ, როცა ზღვა ღელავს, იგი ოთახში იკეტება, ყურებს თითებით იცობს და შიშისგან ცახცახებს, დაწყნარდება თუ არა, მაშინვე ნაპირს მიაშურებს, წინ და უკან ნერვიულად დადის და თავისთვის ვედრებით ბუტბუტებს: „ზღვაო, ვიოლა დამიბრუნე!.."

ზღვა ხმელეთის ვამპირიაო, მითხრა ერთხელ გიჟმა და ისე შემომხედა, შეკამათებას აზრი არ ჰქონდა...

ლევანს ტრაგიკული სიყვარულის ისტორია ვუამბე, თვალებზე ცრემლი მოადგა, მურთაზი დაუყოვნებლივ გაიცნო და მზის სათვალე აჩუქა, მასთან ერთად პლაჟზე კარგა ხანს დაჰყო, მხიარულ ამბებს უყვებოდა, ხმამაღლა იცინოდა და გიჟსაც აცინებდა.

იმ საღამოს მე და ლევანი კაფეში ვისხედით, წყნარ მელოდიას ვუსმენდით და ცივ ლუდს შევექცეოდით; შორიახლოს ახალგაზრდები ცეკვავდნენ; განათებულ ხეივანში წყვილები დასეირნობდნენ, ზოგიერთები ჩაბნელებულ სანაპიროზე ისხდნენ და ზღვის შარიშურში ერთმანეთის კოცნით ტკბებოდნენ.

დათო ვიღაც ახალგაცნობილ გოგონასთან პაემანზე წავიდა.

— სიყვარულში მარცხი თუ გიწვნევია? — ფიქრიანად მკითხა ლევანმა და გამომცდელად მომაჩერდა.

გამეღიმა, მივხვდი, მურთაზისა და ვიოლას ტრაგიკული სიყვარულით შეძრული იყო და, არ ღირდა უსიამო შთაბეჭდილების გაღრმავება და ჩემი სანტიმენტალური წარსულის გახსენება, უნდა გამემხიარულებინა.

— ერთხელ, — ღიმილითვე დავიწყე, — თექვსმეტისაც არ ვიყავი, ერთი გოგონა მომწონდა, იქნებ, მიყვარდა კიდეც; ეს ის პერიოდი იყო, როცა თავიდან ბენვის ქუდის მოტაცება, ერთმანეთისთვის ჯინსების გახდა და პირსახოცის ნასკების თხოვებაც ძველბიჭობად ითვლებოდა; ვინც მაშინ გახეხილ ჯინსებს იცვამდა, მაგარი ბიჭის იმიჯით სარგებლობდა; იმ ზაფხულს მამაჩემს თავი გადავჭამე, ჯინსები მიყიდე-მეთქი; დედას შევებრალე და, როგორც იქნა, ქმარი დაიყოლია, ბიჭს ფული მიეციო; კუ-ლაში გავეშურე, ებრაელი გადამყიდველისგან ამერიკული ჯინსის შარვალი ძლივს შევიძინე, თანხა არ მყოფნიდა, დიდხანს ვეღრიტინე, ხელცარიელი არ გამიშვა-მეთქი; ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მოტმასნილ შარვალში გამონკეპილი ამაყად დავიარებოდი, ცა ჩემი ქუდი მეგონა და დედამიწა — ქალამანი; გოგო, რომელიც მიყვარდა, ვიცოდი, დეიდამისთან ერთად დასასვენებლად მაღალმთიან ბახმაროში მიემგზავრებოდა; მეც იმავე ავტობუსში ავძვერი და სათაყვანებელი მგზავრის ზურგს უკან მოვკალათდი; როცა ტრანსპორტი სადმე შეყოვნდებოდა, დროს ვიხელთებდი და ძირს ჩამოვდიოდი, თავმომწონედ გავივლ-გამოვივლიდი, შეყვარებულს შემოეხედა და თავისთვის ეთქვა: „აუჰ, ამას რა ჯინსები აცვია!" გოგონა ფარულად მიღიმოდა და შეთქმულივით მითვალთვალებდა; „ცხრაწყაროსთან" ჩვენი ავტობუსი კარგა ხნით შეყოვნდა; მგზავრები ძირს ჩამოლაგდნენ, მთის სუფთა ჰაერსა და ანკარა წყაროს ხარბად დაეწაფნენ; ზოგმა მოხარშული სიმინდი იყიდა და სიამოვნებით გაკბილა; მე ჩემს სატრფოს შევციცინებდი და ციგნებისგან ნაყიდ „მარლბოროს" ვაბოლებდი; ამ დროს, ჩემდა საუბედუროდ, ბახმაროდან მომავალი ავტობუსი მოგვადგა; მგზავრები იქიდანაც ჩამოლაგდნენ და აქეთ-იქით მიმოიფანტნენ; მალე ვიღაც აწონილი ბიჭი, მოგრძო ცხვირი და მტაცებლის თვალები რომ ჰქონდა, მუშტრის ღიმილით მომიახლოვდა და მოფარებულში გამიხმო — გზადაგზა ჩემს შარვალს მუშტარივით ზომავდა; გვარიანად შემცბარმა, ბუჩქების მიღმა რომ ამოვყავი თავი, იხტიბარი არ გავიტეხე და ყვირილი აღარ ავტეხე, მისი განზრახვა წუხილით მოვისმინე და სასონარკვეთილებისგან პირი დავაღე, მივხვდი, პატარა ყაჩაღთან მქონდა საქმე და გარშემო მიმოვიხედე, თითქოს გასაძრომი დავძებნე — აქეთ-იქიდან ამომდგარი და ქორივით მოჩერებული მოძალადის ამფსონები რომ შევნიშნე, მაშინ საბოლოოდ დავყარე ფარ-ხმალი და ქამრის აბზინდს ხელით შევეხე; წონოლამ, ჯინსი გაიხადეო, აგდებით გამიმეორა და თვალები ავისმეტყველად დამიბრიალა, სახეზე ღრმა წუხილი რომ შემატყო, დამცინავად შემომხედა, რას წუნურაქობ, კი არ გართმევ, დაბადების დღეზე მივდივარ, კვირის ბოლოს უკან დავბრუნდები, ბახმაროს ცენტრში „ნაკატა" მოიკითხე, მოგასწავლიან და შენს ძინძგლიან შარვალს დაგიბრუნებო; გაძალიანებას აზრი არ ჰქონდა, თავს შევირცხვენდი, ჯინსსაც გამხდიდნენ და თვალზე ლურჯ სოკოსაც ამომიყვანდნენ; ბუჩქებიდან რძისფერი ტილოს შარვლით გამოვიძურწე, იმსიგრძე ტოტები ჰქონდა, ფეხებში მებლანდებოდა, კლოუნს ვგავდი, სად დავმალულიყავი, აღარ ვიცოდი; ჩემი შეყვარებული დაბნეული მომჩერებოდა, ალბათ, ფიქრობდა, ამ შეჩვენებულმა ასე უცებ როგორ მოასწრო შარვლის გამოცვლაო; შემრცხვა, მაშინღა მივხვდი, როგორი მშიშარა და უფხო ვყოფილვარ; ავტობუსში ნაცემი ძაღლივით ავძვერი, ფეხები ძლივს ავათრიე და კუთხეში მივიყუჟე, ბახმარომდე ისე ავაღწიე, შეყვარებულისკენ არ გამიხედავს; ერთი კვირა ვეძებდი წაკატას, ჩემი ჯინსები ძილშიც მელანდებოდა; ბოლოს, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც იქნა, მისი ადგილსამყოფელი შევიტყვე, ერთმა მითხრა, ურეკში ისვენებს და შენი ჯინსებით თბილისელ გოგოებთან დაგულაობსო; ბოლმით ავივსე, ცალკე შარვალი დავკარგე და ცალკე კიდევ შეყვარებული, ეგ ოხერი კი ჩემი ჯინსებით ზღვაზე ნებივრობდა; დაუყოვნებლივ ურეკში გავემგზავრე, ასეთი ნაბიჯის გადადგმა რამ გადამაწყვეტინა, დღესაც არ ვიცი, მასთან მიმსვლელი და შარვლის მომთხოვნი ნამდვილად არ ვიყავი, წინდაწინ ვგრძნობდი, უსიამოვნებას ვერ ავცდებოდი, ნაცნობებმაც გამაფრთხილეს, ნაკატა ძველი ბიჭია, მაგისგან ვერაფერს მიიღებ, ჯობს შეეგუო ძღინკიანი შარვლის დაკარგვასო; შარვლის დაკარგვას როგორმე კი შევეგუებოდი, მაგრამ, შეყვარებულს რომ ვკარგავდი, ეს ვისთვისღა შემეჩივლა... ჩემს ჯინსებს თუ დავიბრუნებდი, შეყვარებულსაც გამოვუჩნდებოდი, ვეტყოდი, „ცხრაწყაროსთან“ ახლობელი ბიჭი შემხვდა და იმას ვათხოვე-მეთქი; ერთი სიტყვით, ურეკში ალალბედზე წავედი, გულს მაინც შევაჯერებდი; ნაკატას მთელი დღე ვუთვალთვალე, ნაშუადღევს პლაჟზე შევნიშნე, ჩემს ჯინსებში გამოპრანჭული ვიღაც გოგონას თავს ანონებდა; მერე მასთან ერთად ნაპირ-ნაპირ გაუყვა, უკან ავედევნე, ჩემს შარვალს ხარბად შევავლე თვალი, იმ შეჩვენებულს საკმაოდ მოკლე ჰქონდა; ფეხდაფეხ ადევნებული ბუჩქებსა და ნაძვის ხეებს ვეფარებოდი, სიმწრის ოფლი მასხამდა; ბოლოს უკაცრიელ სანაპიროზე გავიდა, ჯინსები გაიხადა, იქვე მიაგდო და გოგონასთან ერთად ზღვაში შევიდა — თვალი ძლივს მივანწვდინე, იმ სიშორეზე შეტოპა წყვილმა; ტალღებს ჩემამდე ვნებიანი კისკისისა და ყოყოჩი სიცილის ხმა მოჰქონდა; ქვიშაზე გველივით დაგრეხილ შარვალს უჩვეულო შურისძიებით მივუახლოვდი, ნაკატას შარვალი სწრაფად გავიხადე და ჩემი ჯინსები ამოვიცვი, თავპირისმტვრევით მოვკურცხლე, მეჩვენებოდა, თითქოს ზღვის სიღრმიდან მუქარის ხმა დიდხანს მომდევდა; მეორე დღეს ბახმაროში გავემგზავრე, ჯინსებში გამოწკეპილი შეყვარებულს გამოვეცხადე და მოულოდნელობისგან სახტად დავრჩი: გოგონა ნაცრისფერ ულაყზე წამოსკუპებულიყო და ლაღად იცინოდა, ვიღაც ბიჭს კი ცხენის სადავე ეჭირა და წინ და უკან დაატარებდა; გვერდით ისე ამიარ-ჩამიარეს, შემოხედვის ღირსიც არ გამხადეს; მხოლოდ ცხენმა დაიფრუტუნა, ვაი, შენს პატრონს უბედურსო; ბიჭს სინანულნარევი შურით გავხედე და ახლაღა შევნიშნე, ჩემზე მაგარი ჯინსი რომ ეცვა, წამით ნაკატა ვინატრე, ნეტავ გამოჩნდებოდეს და ამ მატრაბაზს შარვალს გახდიდეს-მეთქი!..

— შარვალი ხომ მაინც შეგრჩა? — სიცილით კვდებოდა ლევანი.

გვიანობამდე ვისხედით, კაფეში ისევ წყნარი მუსიკა ისმოდა...

გაგრძელება იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ზაზა ონიანაძე

დილის სონატა

ხეებში სხივთა ქნარზე ისმის სიმღერა მზის,
განაბულია ღმერთი მიღმა იისფერ ცის.

ლურჯი ჩრდილების გამას ერევა ცვარის ხმა
და სუსხი თრთოლვით გალობს, როგორც
ტაძარში ყრმა.

ნელა კიაფობს შაშვი — სიმს ნაზად უსვამს ხემს,
სადღაც ფინია ძაღლი გამწყდარ სიმივით ყეფს.

შორით გაისმა კრინი ტოროლისა და ტარბის,
ობობის ქსელზე სხივი ჭინჭველასავით დარბის.

ჩვილის კროჭინი ისმის — ჩემი ბადიშის ალტი,
გამოიღვიძა ოდამ, აუჭიკჭიკდა ბარტყი.

დღეს რაღაც მეტისმეტად ცისფერი არის ზეცა,
ერთად დამბრუნავს თავზე მქრალი მთვარე და
მზეცა.

მამლის სოპრანოს ერთვის ნახირის ეჟვნის ხმა,
კლდეზე ღიღინით წყარომ ჩამოივარცხნა თმა.

კვლავ მღერის ძველი ტრიო: წარსული — აწმყო
— ხვალ
და სალამურად მესმის ძარღვებში სისხლის ხმა.

სხივთა ნკრიალი მესმის და სულის მზვარეს
ვმზერ...

მადლობა, ღმერთო, მთელ დღეს ჩემი
რომაა მზე!

ღამის წვიმა

ასე რატომ მიყვარს წვიმა?
რად მეღვთიურება ასე?
უთუოდ დიდი ხნის წინათ
წყლის სული ვიყავი ცაზე.

ვიყავი პლანეტის სისხლი,
ვიყავი ღრუბელი, ცვარი,
ახლა ჩემს ძარღვებში ისმის
ის ძველი მუსიკა, წყნარი.

რა არის: სულების გუნდი?
ციური ძახილის ექო?
ვინა ვარ? საით დავბრუნდი?
სად მივალ? რა გზები მერგო?

როცა იხურება თვალი,
იხსნება სარქველი სულის,
წვიმით ვარ გრძნეული, მთვრალი,
ქურუმი, წყლის უფლისწული.

თითქოს ძვლები არის მღვიმე
და შიგ გალობენ და მღერენ,
მირონმდინარეა ღამე,
ვენებში მიდუდუნებს ღელე.

ღამე გაათია ლექსმა,
რითმით ეგალობა წვიმას,
ღმერთო, როგორ მიყვარს ეს ხმა,
დაბრმავებულივით მიყვარს.

წუთით წამონთებულ შუქზე
არის ფარვანების ცვენა,
თითქოს პეპლად იქცა უცებ
წვიმა და დაინყო ფრენა.

წვიმს. წვიმს. ვიგონებ და ვფიქრობ.
წვიმს. წვიმს დრო და სივრცე ერთად,
იყო და თან არა იყო,
იყო ყოველივე ღმერთთან.

სოსელოს

მოევლინე დედამიწას აბუჩივით,*
ლოთი მამა, ბუშის დარდი სვემ გარგუნა,
ისტორიას საფეთქელში უბაგუნე
მამაშენის სახარაზო ჩაქუჩივით.

ღვთის, მამულის მოღალატე ისე გახდი,
არ უწყოდი და რაც გწამდა, მართლა გწამდა,
სალოსივით ასკეტობდი მეფის ტახტთან,
სამართებელ-სამართალი გსურდა ძმათა.
სწორე ტყვიით, სისხლით, ცრემლით, დაშინებით
(რა ისმინე ნეტავ სემინარიაში?),

*აბუჩი — „უხამსი, დაუპატიჟებელი სტუმარი“ (საბა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზარდამცემ გენიით და დაჟინებით
სწირე ცეცხლი თვით ქრისტეში, მარიამში.

სულ გეწვოდა ვაჟას სილა-ალიყური
და ილიას შემოწყრომა ერისათვის,
როცა მოკლეს საქართველოს მოლალური,
კარმა იყო შენი ბედისწერისათვის.

ამას მიხვდი გვიან, როცა მოწამლული
ის მელექსე მეფის ტახტზე სულსა ლევდა,
არც მმობელი, და-ძმა, ან ძე, ან ასული,
არც არავინ, მომაკვდავს რომ გინამლებდა.

ეჰ, სოსელო, ავად სწირე ეგ გენია,
მოგინელა შენც რუსეთის იმპერიამ,
აკი გორიც დაგიბომბეს და კერიაც
და გამართეს სისხლიანი მისტერია,
პეტრე დიდშიც, შაჰ-აბასშიც ეგ გენია, —
ვაი თუკი გზას ასცდება, იმფერია.

ქართლის ბედი ხედავ რა სავალალოა?
ისტორიის განაჩენი არის მკაცრი :
სხვისი ომის სიმუსიც კი საბრალოა,
ბევრად სჯობნის მას მამულის ჯარისკაცი.

ჟორდანიას დროში ბედმა დაგვაწია
ისტორიის დენას, სისხლის ღვარად გაბმულს,
ლამის თამარ მეფის სამანს მიაღწია:
ტაო, ლაზთა, ჯიქთა წყალი ასვა მამულს.

შენ კი?!.. ირგვლივ რაც ყმუოდა ტურა-მგელი,
რად გაგვხადე, კაცო, მათი საჯიჯგნელი?!

გვრჩება დალად, ჰოი, ყვარლის მთებო, ვალი,
სულში კივის ოცდახუთი თებერვალი,

სულში კივის ცხრა მარტი და აფხაზეთი,
სამაჩაბლო, ტაო, ჰერი და ლაზეთი,

და მივტირით არგაგონილ სისხლის კალოს
(მათმა გენმა როდის უნდა გაიხაროს?!) —

სამას ათას ჭაბუკის სულს, საკანდელოს,
ნაღებივით რომ მოხადე საქართველოს.

თუ ვარსკვლავთა ნება იყო ეს ყოველი
და ცოდვილი კაცთა მოდგმა სასრულია?!
თუ კალონი სისხლისანი კვლავ მოგველის
და მყოფადი განწირული წარსულია?!

გადამტვერა ნუთუ ღმერთი რელიგიამ?!
და პლანეტა ხვალ გახდება რელიქვია?!

რას გვამცნობენ დალამებით და თენებით
ამ ტაძართა გუმბათების ანტენები?!..

შენს სულსავით მე ეს ლექსი დამიმძიმდა,
ცეცხლის დელგმა შენგან ბევრჯერ გაგვიწვიმდა,

ოქროს ჩანგი ტყვიისაზე გაგიცვლია,
მილიონთა გულთა სისხლი დაგიცლია
და ვინ იცის კიდევ როდის გაიხარებს
ერთ დროს შენგან შემკობილი ივერთ მხარე?!

ერთსაც გეტყვი, კრემლთან ნანახს, რაც რომ არის,
გენით ქართველს, უერო სულს, საქმით რუსსა :
გატეხილ ქვას რომ დავხედე შენს სამარის,
გული დამწყდა ქართველს შენგან გულმოკლულსა.

სიკვდილი

მოდის სიბერე — ძმაკაცი კოცნით
მომესალმა და კბილი მატკინა,
შენ რითი მოხვალ: წყევლით თუ ლოცვით?
წყლის სუდარად თუ ცეცხლის სატინად?

სიკვდილი — ძველი დუელიანტი,
შავეთის დენდი მდუმარედ მიცდის,
მთვრალი კრემლ-სისხლით დგას დარდიმანდი,
მე რომ ვერ ვესვრი, ეს კარგად იცის.

ო, რამდენს ფიქრობს რომ არ ვიფიქროთ
ქვეყნად ათასი სულთამხუთავი,
სიკვდილო, უფრო გვინთებ თუ გვიქრობ?
სიკვდილო, თავად თუ ხარ უკვდავი?

დედის მუცელში როდესაც გვკლავენ,
როცა ცახცახებს თავად უფალი,
ვინ, ვინ გვიბრალებს სულუდგმელ კრავებს? —
სიკვდილი არის ჭირისუფალი.

ისაა, ბავშვს რომ წამოაგოდებს,
როცა დაბომბილს ნახავს ქვეყანას:
"დედი, ვიძინოთ და ისე მოვკვდეთ,
ამგვარ ცხოვრებას არა სჯობს განა?!"

სიკვდილი — ბებოს ძველი კერია,
მოვნატრებივარ ალბათ ძალიან,
ღამით რომ ცაზე მთვარის კვერია,
უთუოდ მისი გამომცხვარია.

ჰოი, რამხელა გალაქტიკაა
ჩვილს და მოხუცის ღიმილებს შორის,
წუთისოფელი რიტორიკაა,
ჭაბუკი ღმერთის კეთილი ჭორი.

მეგონე ცოდვათ ჩამომწერელი,
მენაგვე ჩვენი გვამის და მძორის,
მოსამართლე ხარ თაობებს შორის,
ცოდვის და მადლის გადამცემელი.

რაც ჩაგისუნთქე, მეიმედები,
აღარ მაშინებ, შენ ღვთის მინდი ხარ,
როგორც სკოლაში არდადეგები,
თანდათანობით ისე მინდიხარ.

მწუხრზე ჩრდილები რომ დაგრძელდება
და ქამანდივით ფეხზე მედება,

სიკვდილ-სიცოცხლე ქრება სრულიად...
და არს მესამე — იგი სულია.

სული დამრჩება ანთებულ ფითლად,
ლექსის ზედაშით სულ აივსება,
ჩონჩხს კი დასცვივა ძვალ-ხორცი ფოთლად,
ნათოვარ ფიჩხებს დაემსგავსება.

სულეთში ვნახავ ყველა ახლობელს,
სხვა ცხოვრებაში — ვერა და ამინ!
სხვა სივრცეებში როცა სახლობენ,
უცხოობს სული ახალი გვამით.

მზეს მაშინ ვხედავ, როცა სრულებით
წყვდიადში გადავა ცა ალებად,
ო, გადასხეულგადასულების
სასწაულია გარდაცვალება.

სიკვდილი — ძველი დუელიანტი
პირველი არსად, არასდროს ისვრის,
დგას უკვდავების ძუძუმტე, გრანდი:
ალმა თუ დალმა?.. მიყურებს... მიცდის.

დაკრძალვა

სთვლის შემცივნებულ მთების გულ-მკერდზე
ფიჭვები მწვანედ ამოხორკლილა,
როგორც გვერდელა მეთევზის ბადეს,
გამოგედება მინდვრად ორკბილა.

წინვის და საკმლის სევდიან სურნელს
ვსუნთქავ, მივყვები ნელ პროცესიას,
გასუდრულია სასაფლაო და
გასუსულია აქ პოეზია.

ჭირისუფალი კვიპაროსები
დგანან, გარდაცვლილს მიასვენებენ,
ისე მედება ფეხზე ბალახი,
თითქოს მიწიდან თავს მახსენებენ.

იქვე საფლავი, საძმო, მწუხარე,
დამარცხებული ჯარისკაცების
(პრეზიდენტო და გენერალებო,
ქამრის ბალთებით კი ხართ საცემი).

ჯარისკაცები, ჯარისკაცები,
ნვიმით ნაცემი, ქარით ნაცემი,
სისხლის გამცემი, ჯანის გამცემი,
ტყვიით და ცეცხლით დანანაცრები,
ალალი იყოს მათზე სანთლები,
ზედაშეებით ბარძიმ-ყანნები.

როგორც ციკლოპი, მიმზერს სიბნელე
მიტოვებული ქვაბულებიდან...
დავით მეფეო, გიჭირავს თვალი
ნეტავ სულეთის ქონგურებიდან?!

ვარდება გული ველზე ქვასავით,
შრიალი მესმის, სისინი მესმის,
მოჟონავს ფესვი, მოცოცავს ფესვი,
მოიკლაკნება გველგესლასავით.

მერე ვბრუნდებით სასაფლაოდან,
იქ ვტოვებთ ცხედრებს გაჟივებულებს,
ელით სადილი ჭია-ღუებს და
გველის აღაპი მიშიებულებს.

გვიანი წერილი

გივიწყებდი და მაშინაც მახსოვდი,
მახსოვდი და მსურდა დამვიწყებოდი,
ბედო, თუკი ასე დასრულდებოდი,
ნურასოდეს ნულარმც დაიწყებოდი.

ვერ დავმალე გული, ვერ გადავაგდე,
მწოვა სისხლი სისხლძარღვების ობობამ,
მაპატიე მდუმარება აქამდე,
ტანჯვით ტკბობა, ოცნებათა მონობა.

ღმერთო ჩემო! რა ულმერთოდ მიყვარდი
და რატომლაც გარიდებდი სიყვარულს,
შენ აღნევდი ყველა, ულრმეს ფიქრამდი,
მტანჯავდი და მაინც ჰგავდი სიხარულს.

არ დავმალავ, თან მიყვარდა, თან მძულდა
საკაცეთი ეჭვიანი სიავით,
არ მინდოდა, არა, არა, არ მსურდა
დაჯერება, რომ ვიღაცის იყავი.

ნეტავ რატომ ვერასოდეს გაგიტყდი?
რად მეგონე მიუწვდომლად მაღალი?
ანდა ახლა, ბოლოს რატომ გაგიხდი
უნებური საფიქრალი ახალი?

ჰო, ძვირფასო, მე ვარ იგი უცნობი,
ყვავილებს რომ გიგზავნიდა ფარულად,
დავიღალე ბედის რაშის ურჩობით,
სადაცაა დასრულდება მარულა.

ვკოცნი წერილს, არ მაქვს მეტი ჩარა და
სამუდამოდ დაკარგულო იმედო,
მაპატიე, თუ გაქციე ჯალათად...
დროა, შუბლში ტყვია უნდა ვიჭედო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ია ფოლონაძე

ყვავები ქალაქს უბრუნდებოდნენ

უეცრად მოსული თოვლის საფარი, ღამით წაყინულიყო და ფეხქვეშ შემაწუხებლად ხრაშუნებდა. კაცი წინ მიინევდა. ყინვისგან გახეშეშებულ თოვლს ზემოდან უწესრიგო და არეული ფეხის ნაკვალევი მაინც აჩნდებოდა. ფიცხი დილა იდგა. მდინარის მარჯვნივ, სანაპირო ქალაქი, ხეობას თავის ტყვეობაში აეყვანა და ძლიერი სუსხით შეებოჭა.

ქუჩას ორნი მიუყვებოდნენ. წინ მიმავალ კაცს ხალვათად ეცვა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ეს ნაკლებად აწუხებდა და ამის გამო სულაც არ დარდობდა. იგი თითქოს ამქვეყნიურს ყველაფერს გათიშვოდა და მისი მოძრაობაც მეტწილად უკონტროლო იყო. მიუხედავად ამისა. ხანდახან შედგებოდა, მაღალი და ჩამომხმარი ტანით ერთბაშად შეტორტმანდებოდა ხოლმე და მერე უკან მომავალს ელოდებოდა. ის მეორე სრულიად ბავშვი იყო.

ბიჭი პატარა და გამხდარი ჩანდა. თვალები მკვირცხლად უელავდა, მაგრამ ასეთ გზაზე სიარული მაინც უჭირდა და რაც შეეძლო ფრთხილობდა. ქურთუკის ჩახეული ჯიბეებიდან ხელებს ხშირად იღებდა, იორთქლავდა და ცდილობდა წინ მიმავალს არ ჩამორჩენოდა. სიცივისაგან სახეცა და ხელებიც მთლად ანითლებული ქონდა, მაგრამ თავი მაინც ყინჩად ეჭირა. ბიჭს ხალვათად არ ეცვა, მაგრამ რაც ეცვა ძველმანები იყო, მისი ზომისათვის შეუფერებლად დიდი და უვარგისი. თვითონ ამას აინუნშიაც არ აგდებდა, მთავარი დედის „კაშნე" იყო. „კაშნე" ბიჭისათვის ყელზე შემოეხვიათ თბილად რომ ყოფილიყო და ახლა ნაცნობ მშობლიურ სურნელს ხშირ-ხშირად იყნოსავდა. ეს სურნელი დედისეული იყო და ბიჭი გრძნობდა, რომ დედა აქვე მის გვერდით იყო და მარტოს არ ტოვებდა.

ქუჩა ნელა ფართოვდებოდა. გაფიჩხულ ხეებიანი ეზოები მთავრდებოდა. ქალაქურ ბინებიანი სახლები კი იწყებოდა და ქუჩის იქითაც და აქეთაც მრავლდებოდა. ასფალტის ზედაპირი ყველგან გასიპულიყო და კაცი უკიდურეს ნაპირს მიჰყვებოდა. იქ, ახლა, სადაც ნაცნობი ჯიხურის მსგავსი მაღაზია იდგა, გარე აბრაზე გაჩაჩხული ასოებით შესრულებული ერთადერთი სიტყვა „საჩუქრები" ეწერა. კაცი იქ იმ აბრასთან შეჩერდა და ბიჭს დაელოდა. ბიჭი დიდხანს და დამარცვლით კითხულობდა ნაწერს. ბიჭს ახსოვდა, რომ მეორე დღეს რვა მარტი თენდებოდა. ისიც ახსოვდა, უთენია დილით, ღამენათევი და ცრემლებიანი დედა, ტირილით რომ ამბობდა „საშველი მაინც არაა". სახეზე სიცხით აპრიალებული პატარა დაიკო საწოლში წრიალებდა და დედა შუბლზე ისევ ძმრიან საფენს ადებდა. ოთახის ჰაერი ძმრს სუნით იყო გაჟღენთილი და სუნთქვა ჭირდა. ბიჭს ყველაფერი კარგად ახსოვდა და აწუხებდა. — ნიკო! — თქვა უცებ კაცმა და გაჩუმდა. ყოყმანებდა, ვერ გადაეწყვიტა ეთქვა თუ არა ის, რაც უნდოდა. ბიჭს არ უყურებდა, სათქმელს ტკეპნიდა და იმ ადგილსაც, სადაც ახლა იდგა. ბიჭი დუმდა და ელოდა რას ეტყოდა.

— აქ მერე შევიაროთ, — თქვა კაცმა და თავისთვის ხმადაბლა დაამატა — ეს ახლა საჩქარო არაა. — მას გაბზარული ხმა ჰქონდა და უფრო საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. მაღაზიას თვალი ისე შეავლო, თითქოს დამნაშავე ყოფილიყო და გზა გააგრძელა. ბიჭი უკან მორჩილად გაჰყვა. მან იცოდა, რომ იქ მისი ნათლია მუშაობდა და ოჯახს მისი ვალი ჰქონდა. ვალი ბევრი იყო და კაცს არ უნდოდა, რომ ეს ბიჭსაც ცოდნოდა.

კაცმა ნაბიჯი შეანელა და ახლა გვერდიგვერდ მიდიოდნენ. ქუჩა ქალაქის მთავარი მოედნისაკენ მიემართებოდა. ჰაერი გამჭვირვალე და სუფთა იყო. ალაგ-ალაგ შემხვედრი გამვლელებიც იყვნენ, მაგრამ ისინიც ჩუმი, უხმაურო ლანდებივით მოძრაობდნენ, რადგან ყველას თავისი სადარდელი გასჩენოდა. გზის ნაწილი უხმოდ გაიარეს და მოშორებით პატარა აფთიაქთან ისევ შეჩერდნენ. ბიჭი გარეთ დარჩა და ახლა კაცს ელოდებოდა. დრო ჭირვეულად და ნელა გადიოდა. იქვე ახლოს ჭადრის გამოშვერილ ტოტზე მოწყენილი ბეღურა იჯდა. აქედან ისიც ჩანდა, რომ ასეთივე მეორე ბეღურა ჟღურტულით თავს ევლებოდა და ჩიტის თავგამოდებული მონდომება მაინც უშედე-

გოდ რჩებოდა. ბიჭი დაღონდა და მოწყენილი ბელურა შეებრალა. ახლა ჭადრის ხეს აღარ უყურებდა და ფეხით უკვალ თოვლს გულმოსულად თელავდა. თოვლი ხრაშუნობდა, ნამცეცებად იმსხვრეოდა და ფეხქვეშ უცვიოდა.

აფთიაქიდან კაცი ერთი ციცქნა წამლებიანი ყუთით გამოვიდა. სახე შენუხებული და არეული ქონდა. ყუთი ბიჭს ფრთხილად მიაწოდა. ბიჭი მიხვდა, წამლები სიცხიანი დაიკოსათვის იყო შეძენილი და გაეხარდა. ყურში ახლა ისევ დედის ტირილის ხმა ჩაესმოდა.

კაცი მონარჩენ ფულს ითვლიდა. ერთხელ გადათვლილს არ ენდობოდა და კვლავ თავიდან იწყებდა. მერე როცა დარწმუნდა, რომ დარჩენილი მაინც ცოტა იყო, თავი მძიმედ ჩახარა, იმედგაცრუებული და სასოწარკვეთილი ჩანდა. წამლები გაძვირებულიყო, აფთიაქარს მეტი ფული წაეღო, ვიდრე ეს ნავარაუდევი ჰქონდა.

გზას ისევ წინისაკენ მიჰყვებოდნენ. მათგან მარჯვნივ მანქანამ ქუჩაზე ფრთხილად ჩაიარა და თეთრი გამონაბოლქვი დატოვა. ბოლი ცისკენ ნელა მიიწევდა და ბიჭი თვალს აყოლებდა. ზემოდან ყვავების ყრანტალის ხმა მოისმა. კაცმა ცას ახედა და დააკვირდა. შავი ფრთოსნები ხეობის აღმა ჩხავილით მიფრინავდნენ და ქალაქს ტოვებდნენ. კაცი მიხვდა, რომ ქალაქის სანაგვიდან მშიერი ყვავები ვიღაცამ დააფრთხო. კაცმა ისიც იცოდა, რომ ბედის საძიებლად სანაგვეს მშიერი ადამიანებიც სტუმრობდნენ, მაგრამ ეს ბიჭს არ უნდა სცოდნოდა. უნებურმა ეჭვმა მაინც გაჰკრა და გუნება მოუწამლა.

ბიჭი ისევ გვერდით მისდევდა, ახლა ბავშვურ სახეზე აშკარად ეტყობოდა, რომ ისიც ყვავებზე ან შეიძლება უფრო უარესზე ჩაფიქრებულიყო და კაცს ეს სულაც არ აწყობდა. მასში უცებ უადგილო სიბრაზემ იფეთქა, მაგრამ წამიერი ბოღმა უკანვე ჩააბრუნა და ახლა თავსაც იწყნარებდა და ბიჭსაც უყვავებდა. ცალი ხელი მისთვის მხარზე შემოედო და ცდილობდა ალერსიანი სიტყვები მოეძებნა. ამას ვერ ახერხებდა და ისევ საკუთარ თავზე ბრაზდებოდა.

ქალაქში ყველასთვის ცნობილ საფუნთუშეს უახლოვდებოდნენ. ჰაერში ნერწყვის მომგვრელი სუნი ტრიალებდა და ბიჭს მადას უღვიძებდა. კაცს უცებ გაახსენდა, რომ ბიჭი მშიერი იყო. დიდი ხანი იყო თვითონაც არაფერი ეჭამა, მაგრამ ამის გაცნობიერებას გაერიდა და ბიჭს რაც შეიძლება ალერსიანად უთხრა.

— ნიკუშ, ცოტა ხნით აქ შევჩერდეთ! — მერე ხელი თავზე მოფერებით დაუსვა და ჰკითხა — გშია? — ბიჭს ძალიან შიოდა, თუმცა სიტყვიერად არაფერი უთქვამს, უარის ნიშნად კი თავი გააქნია.

კაცმა ორი ღვეზელი მოიტანა. ორი პური პარკში ჩაედო და ისიც ბიჭს მიაწოდა. ღვეზელი ცხელი იყო და ბიჭს თითებს წვავდა. ბიჭი ყოყმანობდა, მაგრამ მეტად ჯიუტი იყო და გადაწყვიტა, რომ თვითონ არ ეჭამა. ღვეზელები პურთან ერთად პარკში მოათავსა და პატარა დისთვის შეინახა.

კაცი ერთიანად მოშვებულიყო, ახლა ფულს არ ითვლიდა და ბიჭი მიხვდა, რომ დასათვლელი აღარაფერი იყო.

მოედნამდე მისასვლელი გზა ცოტა კიდევ რჩებოდა. ფეხით მოსიარულე ადამიანებს აქ თოვლი ყველგან გაეტკეპნათ და მოძრაობაც მეტი ხშირი იყო. მაღალსართულიან სახლებს შორის, დაბალი და ბრტყელსახურავიანი შენობა, გზის ოდნავ სიღრმეში განცალკევებულად იდგა. თავის დროზე ეს შენობა საგანგებოდ აეშენებინათ და ეტყობოდა მაშინ სხვა ფუნქციას ასრულებდა. ახლა აქ შრომის ბირჟა განეთავსებინათ.

კაცი ასასვლელ კიბეზე იდგა და შენობიდან გამოსულ ვიღაც უცნობ კაცს უხალისოდ უსმენდა. უცნობი ხელებს უილაჯოდ შლიდა და ვიღაცაზე ცხარობდა. აქედან შორი იყო და ბიჭს მარტო ხმა ესმოდა. სიტყვებს ვერ არჩევდა. მერე დაინახა, რომ ის უცნობი მოლიპული კიბიდან ძლივს დაიძრა, კაცის დახმარებით ორიოდე საფეხური ნელა ჩაიარა და ახლა პირდაპირ მისკენ მოდიოდა. უცნობს მარტო გამხდარი და წაწვეტილი ნიკაპი მოუჩანდა. ძველი უხეშად ნაქსოვი ქუდი თვალებს სანახევროდ უფარავდა. თოვლს ჩაჩერებოდა და თავისთვის ბუტბუტებდა. ბიჭმა იგრძნო, რომ უცნობი ამქვეყნიურს არ გავდა და სადაცაა დაეტაკებოდა. ბიჭმა ერთბაშად ადგილი შეიცვალა.

კუთხის სახლის კედელზე, შესასვლელი კარების გვერდით, რაღაც წაეწერათ და ბიჭი ისევ მარცვალ-მარცვალ კითხულობდა. ეს ნაწერი წინანდელზე უფრო გაურკვეველი და რთული გასაგები იყო. ბიჭი მაინც მიხვდა, რომ იქ „კომპიუტერული თამაშები" ეწერა და ამან ძალზე დააინტერესა, დახურულ კარს ნელა უახლოვდებოდა და ყოყმანობდა. ფანჯრიდან კარგად ჩანდა, რომ ვიღაც მასზე დიდი ბიჭი ეკრანს ეჯდა და თამაშობდა. იქ სხვა მეტი არავინ იყო და მასაც ძალიან მოუნდა შიგნით შესვლა. ცივ მინაზე მიჭერილი ცხვირი ყინვამ აუწვა თუ არა, მაშინვე უკან დაიხია. ეკრანს მიშვერილი პისტოლეტი კი ჩხაკუნებდა და ჩხაკუნებდა. ცაში აფრენილი წეროები ძირს ცვიოდნენ. ბიჭს ისინი არ ენანებოდნენ, რადგან იცოდა რომ ეს თამაში იყო. ბიჭმა გაიგო, უკანიდან რომ ვიღაცამ დაუძახა და შემობრუნდა. კაცი უკვე დაბრუნებულიყო. ისევ ისე შეწუხებული და უიმედო ჩანდა. „არც სამუშაო, არც დახმარება, ვისი იმედი უნდა გქონდეს", ამას ისე ნაწყვეტებად ამბობდა თუ თავის თავს ელაპარაკებოდა, ძნელი გასაგები იყო, ბიჭი რეალობას დაუბრუნდა.

— ნიკო! — უთხრა კაცმა და ახლა ქუჩის მეორე მხარეს უყურებდა. ბიჭს გაუკვირდა. იქით მხარეს თბილად შეფუთული, მოფუსფუსე ადამიანები დაინახა. მაღაზიის წინ გრძელი დახლი გამოეტანათ და ზედ სავაჭროდ გამზადილ სარვამარტო საჩუქრებს ალაგებდნენ. გაბერილი ფერადი ბუშტები, ყვავილები და კიდევ სხვა რაღაცები აქედან კარგად არ ჩანდა.

— შენ აქ დამელოდე, მე მალე მოვალ... უკვე დიდი ბიჭი ხარ და ყველაფერი იცი... — კაცს ეგონა, რომ დაწყებულ საუბარს აგრძელებდა და მერე უცებ გაჩუმდა. მკლავზე ხელს უჭერდა. რაღაცის გაგებას თუ ჩახვედრას თხოვდა. ბიჭმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისედაც ბევრი რამე იცოდა. იცოდა, რომ დედა და სიცხიანი პატარა და სახლში მიელოდნენ. იცოდა, რომ მეორე დღეს რვა მარტი თენდებოდა და ამ დღეს ყველა ქალი დღესასწაულობდა. მან ისიც იცოდა, რომ კაცს ფული აღარ ქონდა და გამოსავალს ეძებდა. ბიჭი იდგა და ფიქრობდა. იგი იმასაც მიხვდა, რომ კაცისათვის ახლა მარტო ყოფნა სჯობდა და შეებრალა. უმჯობესი იქნებოდა, თუ ცოტა ხნით მარტოს დატოვებდა. ამას კაცი თვითონ მოითხოვდა და ბიჭს გული აუჩუყდა. მათ გვერდზე ვიღაცამ გაიარა, დახურული კარები გამოაღო და შიგნით შეიმალა. ბიჭი გამოერკვა. კაცს ქვემოდან ისე ამოხედა, თვალებში ნამდვილი ბავშვური ეჭვი და შიში ერთად ჩადგომოდა. ცრემლები რომ არ წამოსვლოდა, თავს ძლივს იკავებდა. მერე ნელა დაიძრა და იმ გაღებულ კარებში უცნობს შეჰყვა.

კაცს ბიჭი ძალიან დაენანა, მაგრამ არაფერი უთქვამს, უხმოთ იდგა და არც მისი შეჩერება უცდია. მიმავალს გვერდიდან თვალი გააყოლა, მერე დაფანტული მზერა საკუთარ თოვლიან ფეხებზე შეაჩერა და დაიფერთხა...

კაცი მონდომებით ცდილობდა, რომ უსიამოვნო ფიქრები მოეშორებინა და გზაზე ფრთხილად გადადიოდა. ადრე აქ გადასასვლელი სხვაგვარად იყო მოწყობილი და რატომღაც ეს გაახსენდა. ქუჩა ზემოდან ლაპლაპებდა. კაცს ძველი ლანჩებდაცვეთილი ფეხსაცმელები ეცვა. ტანი ისე მოშვებულად და უკონტროლოდ ეჭირა, თითქოს ძალით მიათრევდა. მისი გონება მაინც სხვაგან იყო მიმართული და უცნობ ნაცნობს დაეძებდა, ისეთს ვინც ცოტაოდენ ფულს კიდევ ასესხებდა და ამ მძიმე დღეებს გადაატანინებდა. გაახსენდა ბიჭმა ეჭვიანად რომ შემოხედა და წამიერად საკუთარი თავი შეეზარა. ახლა ყველაფერი სძულდა. ძულდა რვა მარტიც და ყველა დღესასწაული, მაგრამ ამაში გამოტყდომა მაინც არ უნდოდა. შეეცადა ამ შეგრძნებისაგან თავი დაეღწია. თვალნინ ის, ბიჭის ნათლია წარმოუდგა, მერე ისევ ის, საჩუქრების მაღაზია გაიხსენა, მაგრამ ეს ალბათ ბოლო სხივი იყო. გაღმა მხარეს მაინც დაჟინებით უყურებდა, თვალებით ნაცნობს დაეძებდა, მაგრამ იქ მოტრიალე ადამიანებში საიმედო ვერავინ დაიგულა.

ქუჩის შუაგულამდე ჯერ არ მიეღწია, რომ მოედანზე მანქანამ ღრჭიალით მოუხვია და გზაზე შემოვარდა. შავი „ჯიპი“ იყო. კაცი უცებ აჩქარდა. მერე კი ყველაფერი სწრაფად აირია. კაცს არც მანქანისა და არც მისი მოცურებული საბურავის ხმა აღარ გაუგია. მარტო ის იგრძნო, რომ ფეხი დაუსხლტა და ყურში თავისივე სხეულის დავარდნის ხმა ბუგედ შემოესმა...

ბიჭს კომპიუტერის ინტერესი დაჰკარგვოდა. დედის „კაშნე“ წინ წამოეწია და დედის სურნელს ხარბად ისუნთქავდა. დედა ისევ გვერდით ჰყავდა. უცნობი რაღაცას დაეძებდა და ერთმანეთის გვერდით ჩალაგებულ ყუთებს მიყოლებით ხსნიდა. ოთახში მეტი სითბო და სიმყუდროვე იყო. დიდი ბიჭი ისევ ეკრანს ეჯდა, პისტოლეტს ისროდა და აფრენილი წეროები ციდან მოწყვეტით ვარდებოდნენ. გვერდით კიდევ ერთი კომპიუტერი იდგა, მაგრამ მასზე არავინ თამაშობდა. ბიჭი ჩუმად იყო და გარედან მექანიკურად შექმნილ სასაცილო მოდელს ჩამოჰგავდა. მისი მოსვლა არავის გაუგია. დიდმა ბიჭმა ის მერე, მოგვიანებით შეამჩნია და თითქოს გაუხარდა კიდეც. იგი ბიჭის ჯიბეებზე ჩამორღვეულ ქურთუკს ჯიქურ მიაჩერდა. ფეხებიდან თავამდე ათვალიერა, აშკარა იყო რაღაც არ მოეწონა, მერე საკუთარი თავის უპირატესობა იგრძნო და გამომნვევად ჰკითხა:

— ფული გაქვს? — ბიჭს ფული არ ჰქონდა და აიმრიზა. უცნობმა ყუთებს თავი მიანება და მათკენ შემობრუნდა. ერთხანს ბიჭს ისიც დაკვირებით ათვალიერებდა, მერე ისევ თავის საქმეს უნდა დაბრუნებოდა, რომ თვალი წაჰკრა, დიდი ბიჭი პატარისკენ იწევდა და იმ დიდს დაუყვირა.

— თავი გაანებე, ახლავე შეწყვიტე, გესმის? — დიდი უცნობს ძალიან ჩამოჰგავდა და ბიჭმა ივარაუდა, რომ ისინი მამა-შვილნი იყვნენ. ამან ახლა ცოტა შეაფიქრიანა. ის დიდი ისევ მისკენ მოიწევდა. თავისას არ იშლიდა. ბიჭი თავდაცვისათვის მოემზადა. მარჯვენა ხელიდან პარკი მარცხენაში გადაიტანა, მუშტი შეკრა და გამხდარი ძარღვები დაეჭიმა. გაბრაზებულ და ბალანნამოშლილ ლეკვს დაემსგავსა. დიდი ბიჭი ამას არ მოელოდა და უკან დაიხია. უცნობი უკვე მათ შუაში იდგა და ორთავეს აწყნარებდა. ბიჭი ისევ ბრაზობდა, მაგრამ მერე უცებ გადაწყვიტა, რომ იმ დიდს გარეთ დალოდებოდა და იქედან გამოვიდა.

ქუჩაში ახლა ისეთი სიწყნარე აღარ იყო. გაღმა მხარეს ბევრი ხალხი შეკრებილიყო და იმათი ყაყანის ხმა აქაც ისმოდა. ამდენი ხალხის თავყრილობა კარგს არაფერს ნიშნავდა და ბიჭს თავისი გაბრაზება დაავიწყდა. მოჩოჩქოლე ადამიანებს კიდევ სხვებიც ემატებოდნენ და მათ შორის ჩამდგარი პოლიციელები ცდილობდნენ ისინი გზის ნაპირამდე გაეყვანათ. შავი „ჯიპი“ ზედ ქუჩაზე გვერდულად გაჩხერილიყო, მასში ახლა არავინ იჯდა და იქვე მდგარი პოლიციელი მის სანომრე ნიშნებს უბის წიგნაკში ინიშნავდა. ორი პოლიციელი გზის ნაწილზე რაღაც ნიშნულების დამაგრებაზე ჯახირობდა, მერე იმ მონიშნულს ზომავდნენ და იმასაც იმ წიგნაკში წერდნენ. ჩოჩქოლი არ ცხრებოდა. ერთი ქალი მეტად ხმამაღლა გაჰყვიროდა და ბიჭმა გარკვევით გაიგონა, ვიღაცაზე რომ ამბობდა: „ხალხო დავინახე, იმ გაქსუებული ჩინოვნიკის შვილი იყო, მაგათ ჩვენ რაში ვენაღვლებით“. ბიჭი მიხვდა, რომ რაღაც უბედურება მოხდა და შეშინდა. აქედან მეტი არაფერი ჩანდა, მაგრამ მერე მაინც დაინახა, რომ მაღაზიიდან რაღაც ფარდაგის მსგავსი მოწითალო ნაჭერი გამოიტანეს და იმ „ჯიპის“ იქითა მხრიდან რაღაცას ზემოდან წააფარეს.

დრო გადიოდა. კაცი იგვიანებდა. ქუჩაზე ხალხი ისევ არ იშლებოდა და ბიჭი დარდს მოეცვა. კაცის მოლოდინში თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. მეორე მხარეს გადასვლა ვერ გადაეწყვიტა, წინ და უკან დადიოდა და პარკს ხელიდან ხელში ინაცვლებდა. მერე დაინახა სასწრაფო დახმარების მანქანა რომ მოაყენეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ის მანქანა „ჯიპის“ გვერდით ჩადგა. ბიჭი ამან ერთიანად შესძრა. გადაწყვიტა აქაურობას გაცლოდა და ქუჩას უკან გაჰყვა. თავისი ნათლია გაახსენდა. გაახსენდა ისიც, კაცი რომ ბოლოს იქ მისვლას აპირებდა და გულზე სიმსუბუქე იგრძნო. „კაშნეს“ სუნს მძაფრად შეიგრძნობდა. დედა ახლაც გვერდით მიჰყვებოდა და უფრო იმედიანად იყო.

ბიჭი გზას აგრძელებდა. ქალაქის ეს ნაწილი სრულ სიმშვიდეს მოეცვა. მთელი ქუჩა თითქოს საგანგებოდ დაეცალათ. გზის გასავლელი მონაკვეთი ბიჭს ძალიან გრძელი მოეჩვენა და ამან ცოტა არ იყოს შეაფიქრიანა კიდეც. სიცივეს სულაც აღარ გრძნობდა. დროდადრო ფეხი უსხლტებოდა, მაგრამ ბიჭი მაინც ჩქარობდა. მაღაზიის კარებში ნაღვლიანი გამყიდველი ქალი ჩამდგარიყო და იმ მხარეს გაჰყურებდა, საიდანაც თვითონ მოდიოდა. ბიჭმა შორიდანვე იგრძნო, რომ იქ სხვა მეტი არავინ დახვდებოდა და გული ჩაწყდა. ბიჭი მართალი იყო. იქ არც კაცი და არც მისი ნათლია არსად ჩანდა. მისი გამოჩენისთანავე გამყიდველი ქალი შიგნით ისე შევიდა, მისთვის ზედაც არ შეუხედავს. ბიჭი დაიბნა და მაღაზიის წინ უხერხულად შედგა. ერთხანს განძრევას ვერ ბედავდა. უკან გაბრუნება არ უნდოდა, მაგრამ იმასაც მიხვდა, სხვა გამოსავალი არ რჩებოდა და ყოყმანი დაიწყო. ისევ რაღაც სხვა, გაუცნობიერებელი აშინებდა, მაგრამ ბიჭი მასაც ეჯიუტებოდა. ის იყო წასვლას აპირებდა, რომ მანქანის ხმა შემოესმა და გამოცოცხლდა. ფრთხილად მომავალი ტაქსი იქვე ახლოს, მაღაზიის წინ შეჩერდა და ბიჭიც დააკვირდა. მანქანაში მისი ნათლია იჯდა და ძალიან გაუხარდა...

განსაკუთრებული მეტი არაფერი მომხდარა. დანარჩენმა ამბებმა, მუნჯი ფილმის კინოკადრივით სწრაფად გაიარა და უტყვი სევდა დატოვა. ბიჭის ნათლია ნაღვლიანი სახის გამყიდველ ქალს დიდხანს ეჩურჩულებოდა და რაღაცას უხსნიდა. ეს უკანასკნელი სახელდახელოდ გადმოღებულ საჩუქრებს ახვევდა და ბიჭისთვის ამზადებდა. ტაქსის მძღოლი ისევ გარეთ იდგა და არავინ იცის, ვის ელოდებოდა. ბიჭი მიამიტი არ იყო, მაგრამ თავისი ნათლიისა კი ნამდვილად სჯეროდა. სჯეროდა, რომ კაცი აქ აუცილებლად მოვიდოდა და მერე ნათლიასთან ერთად სახლში დაბრუნდებოდა. თვითონ კი უხაროდა, რომ დედისთვის სარვამარტო საჩუქრები — ყვავილები და სუნამო, ხოლო სიცხიანი დაიკოსთვის წამლები, ორი ღვეზელი და კიდევ ორი პური მიჰქონდა...

ქალაქი თავისი წესით ცხოვრებას აგრძელებდა და ალბათ მომავალშიც ასე იქნებოდა. ციდან მშიერი ყვავების ჩხავილის ხმა ისევ ჩამოისმა, მაგრამ ამისათვის ყურადღება აღარავის მიუქცევია. ისინი მდინარის ხეობით ქალაქს უკან უბრუნდებოდნენ.

ნუნუ ბარამიძე

* * *

ქარმა ჩაიცვა მოშავო ფრაკი
და დირიჟორობს ხეების ორკესტრს,
მე წუხელ შენთვის ავანთე ჭრაქი,
მოვპარე ფერი დარდიან მოლბერტს...

და გხატე, როგორც შემეძლო ხატვა,
ხეებმა თეთრი ნოტები მთხოვეს.
სულის სტრიქონებს ფურცლებზე ვატან
და მონატრებით ვუკრავ ბეთხოვენს...

სიბნელემ სქელი ფრთები მომასხა
და მარტო დარჩა მბჟუტავი ჭრაქი,
მთვარემ მუსიკა ხეებს სთხოვა და —
ქარმა ჩაიცვა მოშავო ფრაკი...

* * *

დამშეულ ზეცას
ვარსკვლავები აუჟივჟივდნენ,
ობლების კვერის ცხობას
ველარ აუდის
მთვარე
და იგვიანებს...
გავიზიარებ,
შევუერთდები
და თანავუგრძნობ
თანავარსკვლავედს...
გაყუჩდა არე...
რა დააპურებს დამშეულ
ობლებს,
სული საბრალო ცრემლებით ტირის:
ძირს გდია მთვარე —
დაღლილი ძიძა,
მთვარე — ზეცის ამწყდარი ღილი...

* * *

ჩამოვრჩი სამყაროს მორღვეულს
და ვიწერ ამ კუთვნილ არიას,
ყოველდღე ვავედრებ შენს სხეულს,
მოთეთროდ მოწყენილ მარიამს.

სახიდან ვიშორებ ტრაფარეტს,
ქუჩა აფერადებს პიარებს.
(სამყარო ირღვევა ფეხდაფეხ...)
ჩვენ გადავჩვევივართ ტკივილებს —
ამიტომ მე ვყიდი იარებს...

* * *

როგორი მოთაფლო თვალები ჰქონიათ
ბინდისფერ თოლიებს,
თოლიებს ცეკვაში და ზღვასთან თამაშში
მზე აიყოლიებს,
საღამომ დაკოცნა დაღლილი ხელები
და ღამე მოვიდა,
ბოლოს აღარავინ დარჩეს უპოვნელი
შენც დრო გიპოვიდა...
დრომ გულზე მაკოცა და დამრჩა სხეულზე
მომკრთალო ლაქები,
ზღვაზე მზის ცრემლები კოცნას მიგზავნიან,
შენ არც მენახვები...
თოლიებს ცეკვაში და ზღვასთან თამაშში
მზე აიყოლიებს,
როგორი მოთაფლო თვალები ჰქონიათ
ჩემს რძისფერ თოლიებს...

აკორდები

თანდათან ვილებ დროის აკორდებს
და ვნყვეტ ლეგატოს,
არა მგონია დაჟანგულ ღიმილს
ნატვრა ენადოს.
წვიმის წვეთების სველ კიბეზე
ფეხი დამიცდა,
მიწაზე მოვხვდი და გავიარე
ცხელი გამოცდა...
ცის ლიანდაგზე სული გავშალე
ტანის ფარდაგად,
მტკიცე მოწყენამ ის სიხარული
გამიპარტახა...
მწვანე თვალებმაც ხარკი სთხოვეს
რძისფერ ლიმონებს,
თმების ნიავი თბილ ჭაღარაში

წადილის იმონებს...
დროის მაგივრად ვიღებ სიტყვების
შავ-თეთრ აკორდებს,
ცის სიმი კივის,
მზე სხივგამწყდარი
უნდა ჩაგორდეს...

* * *

უდაბნოს ტაფაში
მზე
ერბო — კვერცხივით
შეინწვა,
ტერფები დაადნა ცხელ ქვიშას,
უწყალოს,
დრომ მკერდზე საღილე შეიხსნა
უბრალოდ...
ოფლიან უდაბნოს
ქარმა ცივი ტანი
გაუთბო,
ღამემ დაიმორცხვა
მორიდომ,
სივრცის მიკროფონში
ხმა კრთოდა
შორიდან,
შორიდან შორ სევდას
მოვიტან...
ლოდინი დავლიეთ,
ღრუბლების ცხედრები
მოგვანდეს,
უნდა აკლდამამდე ვუტაროთ,
იცი, რომ თეთრი მზე
მოგვიკვდა
და მთვარე დაგვირჩა
უცალოდ...

* * *

ვარ შებილწული სიკეთე,
ვლარიბობ,
სულმა სიზმარში შემკრთალი
მზე ნახა,
განმარტოებამ სიმართლე წაიღო,
მიჭირისუფლე,
ამ სახლში შენღა ხარ.

დავდე სხეული სულისა სარჩულად,
ჰაერი იწვის,
მიწაა ნაცარი,
ავსებს თვალები ცხოვრების წარსულად
ღამეს,
რომელიც აჩრდილთან დავცალე.

მიწამ ზეცასთან მზის ვალი დაიდო,
შევმწუხრდი,
ღამემ ფერმკრთალი
დღე ნახა,
ვარ შებილწული მადლი და
ვლარიბობ,
მიჭირისუფლე,
ოთახში შენღა ხარ...

სულის სიმღერა

ყურძნის მტევნების ცრემლებს დავთვლი,
შევკრავ მძივებად,
მაგ მიწის სხეულის ნაჟურ-ნაჟურ
მოეფინება,
დაფლეთილ ჩოხას, ოფლში ნაწურს
მოვაგვირისტებ,
ლურჯთვალა ღამეს ღვინოში ჩავღვრი
წავალ ტივისკენ...

ღამე დაწვება, ლექსებს იტყვის
ისე ვნებიანს,
რომ მისი ცოდვით ვარსკვლავები
აცრემლდებიან,
ღამე მთვრალია, უსაშველოდ ბევრი დალია,
ზეცა ტორტმანობს, წამწანები
ძილში დნებიან.

მიწა ლოცულობს, მზის სხივებით
დაითრო ვაზი,
მთვრალი ქუჩები ამატარე, მოდი, თბილისო,
ვილაცის ხელებს ანგელოსი
ფრთებდახრით აზის,
ლურჯთვალა ღამე იქნებ კიდეც
გავითილისმო...

მე ყურძნის ცრემლებს მოვიპარავ
და შენ მოგიტან,
იქნება მიხვდე, იქნებ კიდეც
იგულთმისანო,
რატომ გიკრეფდი შემოდგომით
უთეთრეს ვარდებს,
იქნებ შემთხვევით დაკარგული
რტო მომიტანო...

დაითრო ვაზი, როგორც ჩემი
სისხლის წვეთები,
დაითრო ვაზი, იგრიხება ფეხარეული,
გამოწვდილ ხეებს ანგელოსი ფრთებდახრით აზის,
მთვრალი თბილისი ხეტიალობს
გადარეული....
მოდი, ქუჩები ავიაროთ ერთად,
თბილისო,
ღამე დათვრება, ლექსებს გეტყვის
ძლიერ ვნებიანს,
ყურძნის ცრემლები დაგისველებს
თმებსა და თვალებს,
მეტივეები შენს სიყვარულს
გადაჰყვებიან...

და მე კი ისევ ცრემლით შევკრავ
ჩაშლილ საკინძეს,
შენი უბრალო გაღიმებით დაითრო ვაზი,
ღვინისფერ ჩოხას, ოფლში ნაწურს
მოვაგვირისტებ,
ლურჯთვალა ღამეს ანგელოსი
ფრთებდახრით აზის...

ნათელა ნასყიდაძე

სპეხო მონაზონი

I

მამა ადრე მოუკვდა ფიქროს, დედამ „თავი ვერ შეინახა“ და გათხოვდა.

ეს ერთი შვილი იყო. როგორც იქნა, გაიზარდა მამინაცვლის ჯაჯღანში.

ლამაზი გოგოაო, — ამბობდნენ. 16 წლისა რომ გახდა, ერთი ბიჭი გაიცნო, შალვა, შეუყვარდა და ცოლად გაყოლაზეც ადვილად დაიყოლიეს.

ერთი იყო, შალვა ჯარში მიდიოდა. თბილი იყო, მოალერსე. სახლში მიიყვანა ფიქრო, მაგრამ სარეცელი არ გაიზიარა მასთან. დასავით ჰყავდა, არ ეკარებოდა, სანამ ჯარიდან დაბრუნდებოდა.

წავიდა ჯარში. შალვას დედ-მამა შვილივით უვლიდა ფიქროს. ლამაზი იყო და უხაროდათ: მშვენიერი რძალი გვყავსო!.

მიიზლაზნებოდა დრო. შალვა წერილებს სწერდა ფიქროს, სიყვარულს ეფიცებოდა, ნანატრ დროს მოუთმენლად ელოდა.

იჯდა ფიქროც და ელოდა იმ ბედნიერ დღეს, როცა შალვას მკლავებში მოექცეოდა, ქალად იქცეოდა, დედა გახდებოდა.

ბედნიერებისთვის იყო დაბადებული, სიხარული, სიკეთე. კაიქალობა სნყურობდა.

სახლში თითქმის თანატოლი მული და მაზლი ჰყავდა; დასავით მიიღეს, მხიარულობდნენ, კინო-თეატრებში დადიოდნენ.

... ერთ დღეს, ფიქრებში წასულმა, წარსულს თვალი გადაავლო და უეცრად უცნაური სურათი ამოუტივტივდა: სულ პატარა იყო, ოთხიხუთი წლისა, მამინაცვალი ლოგინში იწვენდა, როცა დედა შინ არ იყო. თანდათან მისი უცნაური ქცევები უფრო დაწვრილებით ამოცურდა მეხსიერებაში... აქამდე ბავშვი იყო და არაფერი უფიქრია, ახლა კი, როცა ასე ახლოს იყო ქალობასთან, საშინელმა ფიქრმა გადაუარა სხეულში, გააცია, კანკალი დააწყებინა. აეკვიატა შიში, რომ მამინაცლის საქციელი დიდი მნიშვნელობისა იყო, ბავშვის მოფერებას არ ჰგავდა...

ვერავის გაუმხილა, დედას ხომ — ვერა და ვერა... ცოლ-ქმარი იყო, თითქოს ბედნიერიც. ყოველ შემთხვევაში, გარედან ასე ჩანდნენ; ან ფიქროს რას მოუტანდა ამის გახმაურება? ვაიდა, შალვას გაეგო! კი უყვარდა, მაგრამ ხომ ეტყობოდა, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მის სიწმინდეს.

დადნა, დაჭკნა ფიქრო. იწვა და ფიქრობდა. წარმოიდგენდა, შალვა რომ დაბრუნდებოდა ჯარიდან და რომ მიხვდებოდა ყველაფერს. რა უნდა ეთქვა? ამის თქმა ხომ არ შეიძლებოდა: რამდენი უბედურება მოჰყვებოდა: დედა გაუუბედურდებოდა, ოჯახის სახელი ლაფში ამოისვრებოდა, სირცხვილით თავი სადღა გამოეყოფოდა? ფიქრობდა, რა ექნა: წასულიყო შალვას ოჯახიდან, სად წასულიყო? თავი მოეკლა? სცადა, მაგრამ შეეშინდა, არც ისე ადვილი ყოფილა...

დრო კი იწურებოდა. რაც ეს ფიქრი აეკვიატა, საშინლად სწრაფად მირბოდა. ფიქრობდა, ნეტავ შალვა არ დაბრუნდესო. მაინც რატომ არ უნდა დაბრუნებულიყო? მომკვდარიყო? არა, სიკვდილისთვის ვერ გაიმეტა. ვინმე შეჰყვარებოდა ჯარში (ასეთი რამეები ხომ ხშირად ხდებოდა. რუსის გოგოებს ქართველი ბიჭები ძალიან მოსწონდათ და ყველაფერს აკეთებდნენ მათ ხელში ჩასაგდებად).

...დრო უცებ გავიდა. ერთი თვეღა დარჩა.

დუღდა შიგნიდან ლამაზი ფიქრო. ოჯახის წევრები კი ამჩნევდნენ, მაგრამ ბუნებრივად მიაჩნდათ, შალვას მოლოდინშია და ალბათ იმიტომ ჩაიკეტაო.

წუხდა, შიგნიდან წუხდა. როგორც კი ავი ფიქრი ეწვეოდა, თითქოს სხეულში დენმა ჩაიარაო, დაეჭიმებოდა არსება; თითქოს სისხლი შეჩერდაო სხეულში, კანკალი უვარდებოდა. დასამშვიდებლებს მიეჩვია. ერთი კია, დიდი ხნის აკვიატებულ სიკვდილის შიშს თითქმის თავი დააღწია: როგორც ჩანს, ასე მოდის სიკვდილი: გაგეყინება სხეული, სიცივის შეგრძნება გაქვს, კანკალი გივარდება. ყველაფერი გამოსცადა, სულის ამოსვლის გარდა.

მოკლედ, ამ ორ წელიწადში სიკვდილის შიში დაძლია. ის კი არა, თითქოს შეეჩვია სიკვდილს, ენატრებოდა კიდეც, ისე, ადამიანი რომ მოგენატრება! ჰოდა, როცა მოენატრებოდა, იმ ავ ფიქრებს მოუხმობდა, სხეულს გაციებდა, კანკალს აიტეხდა ... და სულის ამოსვლას კი შემდეგისთვის გადადებდა.

ისე, ისეთი საშუალებისთვის რომ მიეგნო, რომ სიკვდილს ფიზიკური ტკივილი არ მოეგვარა, დანებდებოდა კიდეც. სულიერ ტკივილს კი უკვე მიეჩვია, მაგრამ სულიერი ტკივილი სიკვდილისთვის საკმარისი არ იყო. ადამიანი ხომ სულისა და სხეულის ერთობლიობაა და მარტო სულის სიკვდილი როდი ჰყოფნის სიკვდილს?

ასე იყო ფიქრო: დადიოდა მისი სხეული, სახლსაც ალაგებდა, ჭამდა, დასაძინებლად წვებოდა. მისმა სულმა კი გადაგვარება დაიწყო, უზომოდ გაიზარდა, გადიდდა; თავდაპირველად დიდი, ფარფარა კაბასავით დაჰყვებოდა სხეულს. ტანჯვისგან უარესი და უარესი ემართებოდა: იზრდებოდა და იზრდებოდა...

მართალია, დიდი იყო სული სხეულზე, თანაც ძალიან დიდი, და საოცარი სისწრაფითაც იზრდებოდა, სხეულს მაინც არ უჭირდა მისი ტარება. ერთი იყო მხოლოდ, რომ, თუ სხეული პატარა საწოლში თავსდებოდა, სულს ეს ოთახი, სახლი არ ჰყოფნიდა. თანდათან ისე გაიზარდა. ქალაქიც აღარ ჰყოფნიდა, მერე მთელ ქვეყანას და ლამის ცასა და დედამიწას მოეფინა.

ეს შეუთავსებლობა, უბრალოდ, უხერხულობას უქმნიდა ფიქროს სხეულს, თორემ წონა კი არ ჰქონდა, რომ სიმძიმით შეეწუხებინა.

ასე ხდებოდა ჩვეულებრივ: დაწვებოდა სხეული, დაიწვენდა თავისთან ერთად სულის იმ ნაწილს, რაც მისი ტოლი იყო დაახლოებით, დანარჩენი კი ჰაერში ტივტივებდა და როდის-როდის დაეშვებოდა. რაც უფრო გაიზარდა, აღარ ემორჩილებოდა და დარჩნენ ბოლოს სული და სხეული ასე, როგორც უზარმაზარი, უკიდეგანო ცა და ერთი ციცქნა დედამიწა.

უცნაური გრძნობა დასჩემდა ფიქროს: ეცოდებოდა თავისი სხეული, რომელიც მობერებულიყო, დასუსტებულიყო. ზემოდან დაჰყურებდა, თითქოს სხვადასხვანი იყვნენ ის და ფიქრო. სულიც კი ეცოდებოდა, მაგრამ არა იმდენად: თითქოს გამოიჯეკაო ტკივილისგან, ფართოვდებოდა, ფართოვდებოდა და თან მკვრივი ხდებოდა, უფრო გამძლე.

დადიოდა ასე სულდასხეულგაყოფილი, სარკეში აღარ იხედებოდა, ეშინოდა, ვაითუ რამე მეტყობაო და დღეებს თითებზე ითვლიდა. თუ აქამდე შალვა ენატრებოდა და იმიტომ აჩქარებდა დროს, ახლა ტკივილი ენატრებოდა, მორიგი სულიერი და უზარმაზარი ტკივილი, რომელსაც აუცილებლად მოუტანდა შალვას დაბრუნება.

მხოლოდ რამდენიმე დღეღა დარჩა ფიქროს. რამდენიმეჯერღა უნდა სწვეოდა სტუმრად სიკვდილი. ამასაც გაუძლებდა, შალვაც დაბრუნდებოდა, ყველაფერსაც გაიგებდა. უფრო მეტად, ალბათ არ აპატიებდა, მაგრამ...

...ახლა სხვა ფიქრი აეკვიატა ფიქროს: რომ ეპატიებინა კიდეც შალვას, უნდოდა მას? შეძლებდა კი შალვასთან ცხოვრებას ამის მერე? როგორ გაუგებდა შალვა მას, ასეთი სხეულისა და სულის შეუთავსებლობა რომ სჭირდა? აიტანდა განა შალვა იმას, რომ ფიქროს სხეული ლოგინში სწვენოდა და სულისთვის კი თვალიც ვერ გაეწვდინა? ან ფიქრო როგორ შეეჩვეოდა იმას, რომ შალვას ლოგინში სწოლოდა და მის სულს ჰაერში ეფრინა. ან ეყოფოდა კი ფიქროს შალვას სული, რომელიც ფიქროს სულთან შედარებით ასე პატარა იყო?

არა, ან რა ვალდებული იყო შალვა, რომ გაეგო მისთვის, ეპატიებინა, ცოლადაც შეერთო, მასთან ერთადაც ეცხოვრა, შვილებიც გაეჩინათ და მუდამ იმ ფიქრით დატანჯულიყო, რომ შალვა გააუბედურა, ცოდვის შვილები დააჩინა. თან ეს ყველაფერი მხოლოდ თავისი სულის ძალიან მცირე ნაწილში უნდა მოეთავსებინა, დაახლოებით იმხელაში, მისი სხეულის გარშემოწერილობას რომ მოიცავდა. დანარჩენი სულისთვის რა ექნა ფიქროს? ხომ ვერ დაანახვებდა შალვასა და შვილებს? ან როგორ დაინახავდნენ? ოჯახის დანარჩენ წევრებზე ხომ აღარ იყო ლაპარაკი!

...ჰოდა მიხვდა, რომ აღარ უნდოდა შალვა, ვერც მას გააბედნიერებდა და ვერც თავის თავს.

კიდევ ერთხელ ეწვია სულიერი ტკივილი, ღრმა, მჩხვლეტავი, დაახლოებით, გულის ტკივილს რომ ჰგავს; სხეული გაუცივდა, აკანკალდა, ძლივს საწერი მოიმარჯვა და დაწერა: „წავედი. ბედნიერებას გისურვებ, სხეულისა და სულის ჰარმონიას. შენს ცხოვრებას ტკივილების გარეშე ჩაევლოს!"

...ჩუმად გამოიხურა კარი, შეუმჩნევლად გამოვიდა გარეთ, ქუჩაში გავიდა, მოედნამდე მიაღწია, ბრბოში შეერია...

...გადაეშვა ცხოვრების მორევში...

II

ფიქროს კიდევ და კიდევ გაეზარდა სული, ისე, რომ ბოლოს ძალიან შეაწუხა.

სხეულის სიმჩატემ შეაწუხა, თითქოს დედამიწის მიზიდულობის ძალა საკმარისი აღარ იყო და ცაში მიჰყავდა სულს.

მიხვდა ფიქრო, რომ მარტოობით ვერ გაუმკლავდებოდა ამ გასაჭირს, საყრდენი სჭირდებოდა მის სულს დედამიწაზე, ძლიერი საყრდენი.

ოჯახის შექმნა გადაწყვიტა, ბევრი შვილის ყოლა, რომ უფრო მყარად ეგრძნო თავი მიწაზე. მაგრამ ისე ჰქონდა გაცვეთილი გრძნობები, რომ აღარავინ შეჰყვარებია.

მერე, როგორც ჩანს, ღმერთმა არ განირა მარტოობისთვის და ერთი, თავისავით ბედუცნაური, მაგრამ ღირსეული კაცი გაიცნო, უსიყვარულოდ გაჰყვა ცოლად, შვიდი ღირსეული შვილი გაუზარდა და სულიც ველარ ძრავდა სხეულს. კი ეზრდებოდა ისევ, მაგრამ ისე სწრაფად აღარ. მიწაზე მყარად დადიოდა. სულის ზრდა სულაც აღარ აწუხებდა; მის ოჯახს ხომ ჰყოფნიდა და ჰყოფნიდა, ვის აღარ ჰყოფნიდა... თუკი ვინმე იყო მის ირგვლივ, თუკი ვინმეს გასაჭირს გაიგებდა საიდანმე, უმალ ეხმარებოდა, რაც შეეძლო.

ხალხმა კი მას „საერო მონაზონი" დაარქვა და ცხოვრობს ასე ბედნიერად ციურისა და მიწიერის ჰარმონიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საეჭო განდეგილი

დედა ადრე მომიკვდა. გალოთებულმა მამამ სახლი გაყიდა და თავადაც მალე წავიდა ამ ქვეყნიდან. სამადლოდ, ბიძამ გამზარდა.

წამოვიზარდე. უსახლკარო ვიყავი.

გოგონა შემიყვარდა, მშობლების ერთადერთი შვილი იყო (მოგვიანებით სულის სიღრმეებში ისიც კი ვიფიქრე, რომ დედისერთა რომ იყო, მე კი — უსახლკარო, იმიტომ შემიყვარდა).

ვიქორწინეთ. მასთან გადავედი საცხოვრებლად.

თბილი მეუღლე მყავდა, მზრუნველი, ყურადღებიანი.

მე ხელი მომეცარა. ფულს ვერ ვშოულობდი. ჩემს მეუღლეს კი, თითქოს ცამ კალთა დაიბერტყაო, შემოსავალი ეზრდებოდა და ეზრდებოდა.

ფულს შოულობდა და მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც ჩვენი ოჯახისთვის კარგი იყო.

თავიდან მეკითხებოდა, რა შეეძინა, რაში დაებანდებინა ფული. მე ცალყბად ვპასუხობდი, მხოლოდ ზრდილობისთვის. ჩემი ნაშოვნი არ იყო. ამას თავადაც გრძნობდა და, რომ ნახა, ყველაფერი მომწონდა, აღარ მეკითხებოდა.

კაცმა რომ თქვას, ცუდს რას აკეთებდა? არაფერს. ჩემი შეკითხვა ხომ ზედმეტი იყო?!

არც მე ვითხოვდი ამას. არც ადრე მითხოვია. ვფიქრობდი: იმაზე უფრო არაკაცური, რომ ოჯახს ვერ არჩენდე და ცოლის სახლში ცხოვრობდე, ის არის, რომ უაზროდ, მხოლოდ სიტყვისთვის, ითხოვდე, მე შემითანხმე ოჯახის სასიკეთო საქმეების კეთება-მეთქი.

უნებლიეთ, თითქოს ბუნებრივად, აღმოვჩნდი განზე, თუმცა ბედნიერი კაცი უნდა ვყოფილიყავი; მშვენიერი ცოლ-შვილი მყავდა, არაფერი მაკლდა, მაგრამ ცოლის მიმართ გაუცხოებას ვგრძნობდი ხანდახან. თანდათან უფრო გაღრმავდა და გაფართოვდა სივრცე ჩვენ შორის.

თურმე უფრო ძნელია, როცა ხელმოცარულს, უფუნქციოდ დარჩენილს, გეფერებიან, თვალებში გიყურებენ. მაშინ უფრო წუხს შენი "მე", დათრგუნულია, აქეთ-იქით ეცემა, გასასვლელს ეძებს. უკეთესი ყოფილა — გეჩხუბონ, გიყვირონ, ხმას ამოიღებ და შენი მეც თავისუფლად ამოისუნთქავს.

მოკლედ, ვცხოვრობდი ტკბილ, თბილ ოჯახში, მაგრამ შიგნიდან მოსვენება დავკარგე. "მე" ამოიზარდა, მომძლავრდა და ვეღარ ვაკავებდი წიაღში. თითქოს სივრცე არ ჰყოფნიდა, ბეჭებში მოიხარა, გახდა, დაბერდა, დაჩაჩანაკდა. დაახლოებით ისე იზრდებოდა, კურკო რომ იზრდება ხილში: ატამში, ქლიავსა თუ ბალში.

ამოიზარდა "მე", ამოიზარდა და ყელში მახრჩობდა. თითქოს უფრო და უფრო მოუდრეკელი, უხეში, ტლანქი ხდებოდა...

ჩემი სახლი მინდოდა...

კულტურული ადამიანი ვარ, ქალის პატივისცემა არასოდეს დამვიწყებია. ცოლთან ჩხუბსა და კამათს ყოველთვის ვერიდებოდი, ან რა მიზეზით უნდა მეჩხუბა? ან რა კაცის საქმეა ქალთან კამათი. ქალს კამათში არ უნდა აჰყვე, თუ თავი კაცად მოგაქვს. ან შენს ჭკუაზე უნდა ატარო, თუ შნო გაქვს, ან მას უნდა დაჰყვე, თუ არა გაქვს.

მე მეორე ვარჩიე.

სახლი არ მქონდა და თითქოს არც არაფერი მქონდა. ცოლ-შვილიც აღარ მეგონა ჩემი. თითქოს იმიტომ არ მქონდა არაფერი, სახლი რომ არ მქონდა. თუ სახლი მექნებოდა, ყველაფერი თავისთავად მოვიდოდა.

"მესთან" ბრძოლამ დამღალა. ვეღარ ვუძლებდი, გამიჭირდა.

ნარკოტიკს მივეძალე. ერთხანს ასე ვცხოვრობდი. გავბრუვდებოდი და მხოლოდ მაშინ მშვიდდებოდა ჩემი "მე", თითქოს ნარკოტიკი იყო ჩემი სახლი.

ერთ დღეს რომ ჩემს წიაღში ამოზრდილი, მოუდრეკელი, გაუხეშებული "მე" შიგნით ვეღარ დავიტიე, თითქოს სხეულიდან ამოსკდაო, და სიტყვის უთქმელად ოჯახიდან წავედი... არც ცოლი გამომკიდებია უკან, არჩია — უსიტყვოდ გაეგო.

კარგა ხანს შვილებიც აღარ მინახავს. თითქოს უსახლო, უფულო და უყველაფრო მამად ყოფნა მომბეზრდა.

... მწუხარებამ ძალა შემმატა, წამალს თავი დავანებე. ბედმა გამიღიმა და ფული ვიშოვე. პირველ რიგში, "მემ" სახლის აშენება მომთხოვა. მოწყურებულივით დავეწაფე შენებას.

ზომიერების გრძნობა დამკარგვოდა: მინდოდა, რაც შეიძლება დიდი ყოფილიყო ჩემი სახლი, ლამაზი. მტკიცე, მდიდრული. მრცხვენია ამის თქმისა, მაგრამ "მე" ჩემი ცოლის სახლზე უფრო დიდი, მდიდრული, ლამაზი სახლის აშენებას მთხოვდა, მაინცდამაინც მას ეჯიბრებოდა.

ფული მოდიოდა და მოდიოდა. ვაშენებდი და ვაშენებდი. უზარმაზარი სასახლე გამოვიდა. შიგ რომ შევედი, ისეთი გრძნობა მქონდა, რომ გრანდიოზულ ტაძარში ვიყავი.

საცხოვრებლად გადავედი და... დამშვიდდა "მე", დაცხრა, დაცხრა და თავის ბუდეში ჩაჯდა. აღარ შევუწუხებივარ. ეს გრძნობა ძალიან დაემსგავსა, მაგალითად, იმას, თავი რომ გაქვს და სულაც ვერ გრძნობ, უფრო სწორად, ბუნებრივია, შენია. მხოლოდ მაშინ გრძნობ, როცა აგტკივდება.

მოკლედ, ჩემი "მე" აუტკივარი ორგანოსავით ბუნებრივად ცხოვრობდა ჩემში. თანდათან თავისუფლებასაც მივეჩვიე. კაცმა რომ თქვას, აქამდე ვინ მზღუდავდა, მაგრამ ახლა აღმოვაჩინე, რომ, თუ სახლი არა გაქვს, თავისუფალიც არა ხარ.

სახლის ქონასაც მივეჩვიე, ფულისასაც. თითქოს სხეულიც დამსუბუქდა, უფრო კეთილიც გავხდი (კეთილი ადრეც ვიყავი, მაგრამ უცნაური ხასიათი მქონდა. ზედ გადავყვებოდი ადამიანს და, თუ პატარა რაღაცა არ მომეწონებოდა, ბრაზი მიტანდა, ბოღმა მახრჩობდა; განსაკუთრებით, სიყალბეს ვერ ვიტანდი. ჩხუბი და კამათი არ მიყვარდა და მერჩივნა, გავშორებოდი. ზუსტად ისე, ოჯახს რომ დავშორდი).

ჩემი "მე" ჩემს სახლში დავაბინავე. „სულო ცოდვილო"... და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ეკლესიაში დავსახლდი და წმინდანი ვიყავი. სინანულმა შემიპყრო. ყველას მიმართ მიმ-

ტევებელი გავხდი და ყველას დაბრუნება ვცადე. დაკარგული მეგობრები შემოვირიგე, ქველმოქმედება საყვარელ სქმიანობად მექცა. ჩემი ბეჭებში მოხრილი, მოკრუნჩხული "მე" თანდათან მხრებში გაიშალა.

ბოლოს ოჯახის დაბრუნებაც მოვისურვე.

როცა ჩემი ცოლი ჩემს სახლში მოვიდა, გაოგნდა. გადმომხედა და ვერ აგიხსნით, რა გრძნობა აღებეჭდა სახეზე.

შევყურებდი ჩემს ცოლს და თვალს ვარიდებდი მის მრავალმნიშვნელოვან რთულ გამომეტყველებას. ჩემი „მე" კი მეჩურჩულებოდა, რომ ეს გრძნობა შურსა და დაცინვას ჰგავდა, თითქოს ბრაზსაც, მსხვერპლი რომ გაექცევა მტაცებელს, ისეთს. ყურს ვარიდებდი, არ მინდოდა მოსმენა.

ჩემმა ცოლმა ჩემთან გადმოსვლა არ ისურვა საცხოვრებლად. არც მე დამიძალებია. მხოლოდ ბავშვებიღა მაკავშირებდნენ მასთან და — რაღაცა უცნაური გრძნობა, თითქოს ნიშნისმოგებისა, თითქოს ჯიბრისა, თითქოს ისეთი, აი — "ხომ დაგისხლტი ხელიდან!"

ხანდახან მოდიოდა, ღიმილით ვხვდებოდით, მხოლოდ ჩვენი „მეები" ექიშპებოდნენ ერთმანეთს.

ვიჯექი, ვფიქრობდი, რა იყო განვლილი ცხოვრება. სიყვარულზე ფიქრს გადავჩვეულიყავი. ვერ მივხვდი, როგორ საცერში გატარებული წყალივით დაიწრიტა ჩემი ცოლის, როგორც ქალის, სიყვარული და როგორ გადაიზარდა მხოლოდ მოყვასის სიყვარულში. უფრო სწორად, მოყვასის სიყვარულსაც ველარ ვარქმევდი. მოყვასი მიყვარდა და არ მაღიზიანებდა, ჩემი ცოლი კი მიყვარდა, როგორც მოყვასი, მაგრამ უცნაურად მაღიზიანებდა; თითქოს ვადანაშაულებდი და ვერ კი ვხვდებოდი, რატომ.

სახლი მქონდა, „მე" მშვიდად იყო, სულიერი სასახლის აგებასაც ვეცადე. ავაგე კიდეც, როგორც შემეძლო. დიდი იყო თუ პატარა, არ ვიცი. რა იყო მისი საზომი, რასთან უნდა შემედარებინა, რომ ზომა დამედგინა.

ვცხოვრობდით ჩემს სულიერსა და მატერიალურ სასახლეში მე და ჩემი "მე". მარტოდ დარჩენილი ადამივით ვგრძნობდი თავს. მე, ჩემი "მე" და ჩემი ღმერთი ვიყავით მხოლოდ. მეგობრადაც მყოფნიდა, პატრონადაც, მზრუნველადაც... სულაც არ მჭირდებოდა ევა.

მდიდრებისთვის ვიწროაო სასუფევლის კარი. რატომ არ მჯეროდა ამ სიტყვებისა, არ ვიცი. ორი სასახლე მქონდა: სულისა და ხორცისა და არც ერთი ზედმეტად არ მიმაჩნდა. ერთმანეთს სულაც არ უშლიდნენ ხელს. პირიქით.

* * *

დიდხანს არ გაგრძელებულა ჩემი ბედნიერება. ერთ დღეს ვიგრძენი, რომ ვიღაცას თუ რაღაცას ველოდი. ეს ლოდინი ჩვეულებრივი არ იყო, გულში მჩხვლეტდა. თანდათან შიშში გადაიზარდა, მარტოობის შიშში. თითქოს მარტო არ ვიყავი, ხშირად იყვნენ მეგობრები ჩემთან, მაგრამ მუდამ ხომ ვერ იქნებოდნენ. წავიდოდნენ თუ არა, მარტო დავრჩებოდი თუ არა, მაშინვე მახსენდებოდა, რომ მარტოობა მტკიოდა.

დრო მიდიოდა და ტკივილი მიღრმავდებოდა. გამოსავალს მივაგენი თითქოს: ვნების მორევში გადავეშვი: ქალი დავიმეგობრე. დიდხანს არ გაგრძელებულა ჩემი ბედნიერება. ჩემზე დაქორწინება არ ისურვა. ქმარი ჰყავდა, ოჯახს ვერ დავანგრევო. დავშორდი. მეორე ვნახე. იმასაც მალევე დავშორდი, გულწრფელობას ვერ ვატყობდი. მესამე... მეოთხე და არ ვიცი, მერამდენე... კიდევ კარგი, რომ კაცი ვარ... ნეტავ ქალები როგორ უძლებენ მარტოობის შიშს?! ვინ იცის, რამდენი ქალი ებრძვის მას ჩემნაირად და მეძავს უწოდებენ... ვინ იცის, რა ჯობია? დროებით მეძავად იქცე, თუ მარტოობამ თვი მოგაკვლევინოს. არ ვიცი.

ახლა სხვა ავადმყოფობაც დამემატა: გრძნობა გამიცვდა. რაც უნდა სასიხარულო რამე მომხდარიყო, გონებით ვხედავდი მხოლოდ, გული გაშეშებული ხვდებოდა. სულიერი მინდოდა გვერდით, ცოცხალი, მუდმივად რომ ყოფილიყო ჩემთან და „ჩემი" რქმეოდა.

რა უცნაურია ადამიანი?! რამდენიც გინდა გქონდეს, თუ შენი არა ჰქვია, ვერ გაკმაყოფილებს.

შვილების დაბრუნება ვცადე. არ გამომივიდა ისე, „ჩემები" რომ რქმეოდათ. მოდიოდნენ ჩემთან, მაგრამ მგზავრებივით, სადღაც რომ მიდიან და გზად შემოივლიან. ფულს ადრეც ვაძლევდი და ახლაც. ვგრძნობდი, რომ გაუცხოებულებისთვის მხოლოდ მოლარედ ვქცეულიყავი.

როგორც ნახეთ, მებრძოლი ვარ. გენით მომდგამს. ჩემი პირდაპირი წინაპრები მეომრები იყვნენ. შემდეგ ძაღლი მოვიყვანე. სულ პატარა ლეკვი გავზარდე, შემიყვარდა, მაგრამ არ მეყო მარტოობის შიშის დაძლევისთვის. ცოტა უკეთ კი ვარ, მაგრამ კარგად არ ჰქვია ჩემს ცხოვრებას.

თანდათან ეს შიში სხვა შიშში გადაიზარდა: ახლა ფული მაქვს, რომ აღარ მქონდეს, რა ვქნა? როგორღა შევეჩვევი უფულოდ ცხოვრებას? ალბათ სიკვდილივით იქნება ჩემთვის. მერე რა? სიკვდილსაც ხომ ეჩვევიან? როგორ ვცხოვრობდი იქამდე, სანამ ფული არ მქონდა? როგორ ვიყავი, სანამ დავიბადებოდი? რა საშინელება ყოფილა აკვიატება!

მოკლედ, არარაფერი მინდა. აღარც ფული, აღარც ევა, აღარც ადამი...

ღმერთი? მინდა. მხოლოდ შენ მინდიხარ, უფალო. მხოლოდ ისეთი მინდიხარ, რომ არ მეშინოდეს შენი, რადგან ძლიერ დამღალა შიშმა. მინდა მხოლოდ მიყვარდე, უფალო. გპირდები, შენს გზას შევუდგები, მუდამ მემახსოვრები...

...და ვცხოვრობთ ერთად მე, ჩემი "მე" და ჩემი ერთგული მეგობარი ლოდინი, რომელიც თურმე შიშის წამალი ყოფილა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიკა ქანსაღი

***

უცნაურად მოღრუბლული ზეცა...
წვიმის წვეთი, დაგროვილი ტბებად...
ამ ამინდით გული ისე ტკბება,
თავად მიკვირს, თავად მიკვირს მეცა...
ლაღი ქარი, კვლავ გამპობი ტალღის...
(ტალღამ ქართან გამკლავება სცადა...)
აი, ლექსი, მიმავალი ცადა,
ლექსი, რასაც არაფერი არ ღლის.
გორისციხე, აღმართული მაღლა
და ლიახვი, ჩახვეული მტკვარში...
ისე მესმის დღეს სამხედრო მარში,
სიამეს ვგრძნობ, არა — სევდის დახლას.
...მძაფრი ქარი, დამფლეთავი ტალღის,
აი, ტალღა, გაოცების სისქე,
აი, ლექსი, მიმავალი ცისკენ,
ლექსი, რასაც არაფერი არ ღლის...

ზეცის სიშიშვლე

ცას შემოეხა კაბა ღრუბლების,
და დავინახე მისი სიშიშვლე,
ვიშიშვლე რითმა ღმერთის უფლებით;
უტურფესია ლექსის, (ვიცი,) შრე.
მკერდი გრძნობებით გადავისერე,
(იკლაკნებოდნენ მაღლა ელვები)
უცებ ვიგრძენი თვალზე სისველე
უცნაური და ანაღელვები.
და გადაირწა სული, ვით-ალვა,
ზეცის სიშიშვლით იძრა სხეული,
ღრუბლის ნაგლეჯი წაიღო ქარმა,
როგორც ფურცელი ძველი რვეულის...
...მივლიდა ჟრჟოლა და ჟრუანტელი,
ლექსისთვის ლაღმა მუზამ იელვა
და თუ შევძელი აი, ამდენი,
შემაძლებინა, ზეცის იერმა.

ეს იყო მაშინ...

...მეტად მრისხანე იყო ენგური,
ტალღა ნაპირებს გლეჯდა და ხევდა,
დაუნდობლობა ჰქონდა ლენგური,
მტკვარს კი... მტკვარს ისევ მოჰქონდა სევდა.
იდგა მეტეხი, ცივი და მკაცრი,
თვალს უმტერებდა მოშავო ზეცას,
ქუდი ეხურა მტვრისა და ნაცრის
და ნაცრისავე სამოსი ეცვა.
მე მივდიოდი ძვლების მთებს შორის,
ყვავი ჩხაოდა ჭადრის წვეროდან
და იზრდებოდა შური და ჭორი
და გზაზე ნელა მიირწეოდა.
ყვავ-ყორნის ნაცვლად მერცხლებსა ხოცვენ,
გაურკვევლობის ნისლში ჩავეშვი...
ეფიცხებოდნენ თოფებით კოცონს
მონადირენი შუაღამეში...
...და ილექავდა მტკვრის გული სევდას,
გაავებული იყო ენგური,
ტალღებით ნაპირს გლეჯდა და ხევდა
დაუნდობლობა ჰქონდა ლენგური.
...და იზრდებოდა შური და ჭორი,
ყვავი ჩხაოდა ჭადრის წვეროდან...
მე მივდიოდი ძვლების მთებს შორის,
წინ ხვალის რწმენა მიირწეოდა...

***

კი, მინდა, მაგრამ,
როგორ შეგბედო,
„ვეფხისტყაოსანს“ თუ ვერ ედრება
ლექსი,
ძვირფასო მეფეთ-მეფეო;
(გრძნობა სულს ერტყმის ირგვლივ ქედებად).
სათქმელს ვაოკებ
ნებით,
ხან-ძალით,
ქართული მთვარეც შენებ ნაზია...
სისხლმა შეღება
ხმალი,
ხანჯალი,
დავდევნებივარ
შამქორს,
ბასიანს...
შენი სახელი საფიცრად იქცა,
შენი ეპოქა კი ძვირფას — ოქროდ;
აქ — მიწა ოხრავს
და
ტირის იქ-ცა,
მაგ წმინდა ნეშტის დაკარგვით... ბოქლომს
ხსოვნისას რაი დაამსხვერვს, მეფევ,
რისი აკვანიც გულმა არწია...

ველარ ვუთხარი უარი ვნებებს
და შემოგბედე ლექსი პაწია...

დაშრამული სიხარული

შრამად დამრჩენია სევდის კვალი,
მუდმივ სიხარულად — გემო ლექსის...
მტკიცე იმედი მაქვს ისევ ხვალის,
აღმართს რომ ავუყვე ამავე გზით.

თვალებს ეკიდება ცრემლის ნამი,
მაგრამ გული მაინც ზღვისებრ ღელავს...
მწამს, არ შეხორცდება იგი შრამი,
შემოქმედების და ყოფის ხელა.

არც ის სიყვარული არ ჩაკვდება,
ლექსმა რომ მაწვია წლების წინ და...
გრძნობა აღმართულა სულში მთებად,
რაიც ცრემლებად და ღიმად ღირდა.

...მწამს, არ შეხორცდება სევდის შრამი,
რომ არ დავივიწყო გემო ლექსის...
სრული იმედი მაქვს დღესაც ხვალის...
ჩემს აღმართს ავივლი ამავე გზით!

დე...

დავწერ...
კი, დავწერ ლექსებს ვადამდე
და ნავიკითხავ, მომთხოვენ როცა...
უშენოდ ყოფნის წამიც მადარდებს,
მაგრამ მახარებს შენივე ლოცვა.
შეუცვლელი ხარ, ძვირფასო დედა,
უშენოდ ყოფნის წამიც მაშინებს
და თუ არ გხედავს და თუ ვერ გხედავს
ეს სული, გიხმობს ხოლმე მაშინვე...
ფიქრი ნათელი მარად თანა მდევს,
რა ვართ დედაზე ფიქრის გარეშე?
ჯერ ლექსს მოგიძღვნი გულიდან ნადენს
და მერე დროში გავითარეშებ!
მოდიხარ ფერად სიზმართან ერთად
და მინდა, კიდევ ჩაგიკრა გულში;
დე, მეშველები შერწყმაში ფერთა,
ვით სიტყვის თქმაში მშველოდი გუშინ...
მე შენზე ფიქრით შავ სიზმრებს ვხოცავ,
რა ვართ დედაზე ფიქრის გარეშე?
და ლექსის მოძღვნას შევიძლებ როცა,
წავალ და დროში გავითარეშებ!

წერე, სანამ...

(საკუთარ თავს)

წერე, სანამ გული გულობს, წერე,
წერე, სანამ ნიჭი ნიჭობს შენში,
დაეუფლე ლაღად მთისა წვერებს;
წერე, სანამ ველარწერა შეგშლის.

წერე, სანამ შეშლილობის ელდა
გეწვევა და ხალისს ჯავრად გიქცევს,
სანამ ლხენა დაიმონა სევდამ,
ცრემლი ღვარეს ამ მთვარემ და იმ მზემ.

წერე, სანამ ქარბუქი და თქეში
ხელოვნების ყველა ბილიკს წაშლის;
სანამ სულზე გაბატონდა ლეში,
ვარსკვლავებიც დაიფანტნენ ცაში.

არ ჩაუშვა აშვებული ღუზა,
დაეუფლე ოკეანის ტალღებს;
წერე, სანამ მუზებს ლაღი მუზა
და ნაზ რითმებს დროშებივით არხევს...

დედოფალო

(ანა კალანდაძის ხსოვნას)
„თავისთვის იჯდა ჩრდილში,
არას იტყოდა ანა“
მურმან ლებანიძე

რატომ დუმდი შენი ლექსის ავტორი?
რატომ დუმდი, შენი ნიჭის მქონე და...
...გულს რა ვუთხრა, გრიგალისგან დატორილს,
ან, ჯავრისგან აფეთქებულ გონებას?
სული ღელავს, მომხდარისგან დაჭრილი
და გაფრენას ცდილობს მინდორ-ველადო...
დაგეუფლა აპოლონის აჩრდილი,
თუ გესტუმრა ლირიკოსი ერატო?
კითხვას რატომ არ ასტუმრე პასუხი?
ჟამმა დარდი ჯერაც ვერ გამიქარვა,
კვლავ მეხვევა იგი მძაფრი გარს სუსხი,
რაც მაწვია შარშანდელმა მირკანმა...
გულს რა ვუთხრა გაყინულს და დატორილს?
მითეთრდება სახე, როგორც — მიტკალი...
რატომ დუმდი შენი ლექსის ავტორი,
დედოფალო, სიზმრად მაინც მითხარი...

***

(ბზობა)

ტაძართან ახლოს ელავს კოცონი,
უხმოდ მდუმარედ ინვიან ბზანი,
თუმც, გალობანიც ისმის, ლოცვანიც,
მაინც, გულ-მკერდზე იზრდება ბზარი.
ნატვრა მიიწევს ზეცისკენ, მზე-ვით,
მსურს, რომ ავიჭრა მაღლა სინაზე,
გზას მინათებენ მომწვანო ბზები,
დამმუფლებია უცხო სინაზე.
სული სხეულს კვლავ არ ემონება,
სევდავ, მარადის მომეგონები...
გვისუფთავებენ ფიქრის ქონებას
გორისციხესთან ბზების კონები.
გვახდევინებენ სულიერ ვალებს
როგორც-ლოცვანი,
ისევე — ბზანი;
ღელავს ლიახვი და
იორდანე
და მაინც,
გულზე იზრდება ბზარი...

მაია ცერცვაძე

მამის ხსოვნას

ბავშვობა ტკბილი
მთელ ცხოვრებას
მუდამ ანათებს.
პატარა ხელებმა
ჩამიკრეს გულში,
და მომენატრა
უსასრულოდ ღიმილი შენი.
და ისევ ტკბება
გული ბავშვობით.
მე ისევ გელი, როგორც მაშინ
და გაიხსნება ტაძარი ცაში.
სადღაც ბურუსში
მე გამიღიმა შენმა ხატებამ,
პატარა ხელებმა
ჩამიკრეს გულში.

დედას

მხოლოდ ერთი წუთით, რომ მენახე
ისევ ვინატრებდი,
ბავშვობის სიზმრებს.
იდუმალ ქვეყანაში
შენი ნახვა აუხდენელ ოცნებად მრჩება.
შენი სახე და ღიმილი
და იმედი სახედ გადამეფარა.
მადლობა ყველაფრისთვის.
შენი ანგელოზები, სათნო ანგელოზები
იმედებს არ გამიცრუებენ.

***

ისე, როგორც დღეს
სიყვარული არ მომნატრებია.
ისე, როგორც დღეს
ჩემი ტკივილი არ მიტირია.
ისე, როგორც დღეს
ღმერთთან ყოფნა
არ მინატრია
და ისე როგორც დღეს
და სიყვარული
და მონატრება
და ღმერთთან ყოფნის სურვილი
ოცნების ხიდად გადამქცევია.
სად არის ჭეშმარიტება?
ო, ღვთიური ძალა
შენშია შვება,
შენშია სიბრძნე,
შენშია სიყვარული
და ჭეშმარიტება.

***

ღამის სითბო
და სურნელება
ჩემი ოცნების
დიდი საყდარი
სამოთხის ბაღი
და ანგელოზი
სამარადისოდ
მღერის, სული ლამაზი.

***

ნისლიან დღეზე
მოჩანს
სულის საყდარი.
ვარდებით მორთულა
სიყვარულის საყდარი,
ვარდისფერია საყდარი.
ნაზია იგი,
როგორც იდუმალი საყდარი
თეთრი ანგელოზი
მიღიმის ნაზად.

***

ვუძღვნი მამუკას

შენ ხარ სიცოცხლე და სიხარული
და ამ ცხოვრების დიდი ლამპარი.
ოქროსფერი შადრევანი აფრქვევს
სიკეთის სხივებს.
და სიყვარულით სავსეა გული.
შენთან მოდიან და უსასრულო,
იდუმალ სამყაროში
მოგზაურობენ.

***

ყოველი დღე
უდაბურ ტყეს ჰგავს
სადაც შევდივარ იმ
იმედით, რომ
გამოჩნდება გზა ნათელი
რომლიც მიმიყვანს
ოქროს კარებთან.

***

სადღაც, ვიღაცა
მუხლმოდრეკილი ლოცულობს
კარიბჭეს კარი გაიღო
და ზარმა ჩამოჰკრა
ცეცხლთან იჯდა
მოხუცი ქალი
და მოგონებებს მისცემოდა.

აკაკი წერეთელი

მზია მერკვილაძე

აკაკი და ვარინკა ნერეთლების შედეგი

ცნობილი ქართველი კომპოზიტორის დიმიტრი არაყიშვილის საარქივო მასალის დამუშავებისას, სხვა დოკუმენტებთან ერთად ერთ – ერთი პირველი ქართველი კომპოზიტორი ქალის ვარინკა წერეთლის შესახებ მეტად საინტერესო წერილს გავეცანი. მის შესახებ, მოგვიანებით სხვა საინტერესო მასალებიც მოვიძიე, რამაც გადამაწყვეტინა სტატია მიმეძღვნა ქალბატონისთვის , რომელიც საყოველთაოდ ცნობილი სიმღერის „სულიკოს" მუსიკის ავტორი და პირველი შემსრულებელი გახლავთ.

სტატიისათვის მასალის შეგროვებისას პრესის ფურცლებზე მივაკვლიე ცნობას იმის შესახებ, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს „სულიკო" ბულგარელ პარტიზანთა საბრძოლო ჰიმნი ყოფილა. მიმაჩნია, რომ ეს ფაქტი ნაწილობრივ დაკავშირებული უნდა იყოს ქართველ მუსიკოსთან, მევიოლინესთან ილიკო ქურხულის სახელთან, რომელიც გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან ბულგარეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იქაურებს ქართულ სიმღერებს ასწავლიდა და თავისი მუსიკალური სკოლაც ჰქონდა გახსნილი, ასევე პრესის ფურცლებიდან შევიტყვე ის, რომ ვარინკა წერეთლის შესახებ პატარა წიგნის (ავტორი ლერი ალიმონაკი) გამოცემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ გურამ ალექსანდრიას სტატიაში (გაზ. ქუთაისი 16 1972წ. 22 იანვარი) ავტორი იხსენებს, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლების დამლევს ქუთაისში სტუმრად აშშ-დან სტუდენტთა ჯგუფი იმყოფებოდა, რომელიც ძირითადად ნიუ-ორკელი და კალიფორნიელი ახალგაზრდებისაგან შედგებოდა. მათ ხელმძღვანელობდა 45-50 წლის დარბაისელი არისტოკრატიული იერის ქალბატონი ესთერ ვაისი. ქალაქის დათვალიერებისას ჯგუფი აკაკის ძეგლთან შეჩერებულა. მასპინძელმა სტუმრებს დიდი მგოსანი წარუდგინა და თან დააყოლა, რომ იგი „სულიკოსა" და „ციცინათელას" ტექსტის ავტორიც გახლავთო. თავისდაუნებურად მოსკოველ თარჯიმან გოგონას „სულიკო" წამოუწყია, მას მასპინძლებიც აჰყოლიან და უეცრად ყველასთვის მოულოდნელად მათ ინგლისურ ენაზე ხმა აუწყო ქალბატონმა ესთერმა. შემდეგ კი გაოცებულ სტუმარ-მასპინძელთა შეკითხვაზე ასე უპასუხია, ჩემს ქალიშვილობაში „სულიკო" ძალიან მოდაში იყო ამერიკაშიო.

მინდა მეც თქვენმა მონა მორჩილმა გასული საუკუნის სამოციანი წლები გავიხსენო. მშობლებთან ერთად ქვიშხეთის მწერალთა დასასვენებელ სახლში ვისვენებდი, სადაც სხვა ცნობილ ადამიანებთან ერთად მწერალი – დრამატურგი ოთარ ჩიჯავაძეც ისვენებდა და ყოველ საღამოს საოცარ ამბებს გვიყვებოდა. მას ხშირად უთქვამს ყველაზე მძიმე წუთებში „სულიკოს" ვღიღინებდიო. იგი 1928 წლიდან ემიგრაციაში, საფრანგეთში იმყოფებოდა (სამშობლოში 1946 წელს დაბრუნდა), ხოლო ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში მსახურობდა, სადაც ერნესტ ჰემინგუეის გვერდით იბრძოდა. ისინი საველე კორესპონდენტებიც იყვნენ და მაშინ როდესაც ევროპის ქალაქებში ზოგიერთები იტალიური ფაშისტური ჰიმნის „ჯოვანიცას" ჰანგებზე მარშირებდნენ, ჭეშმარიტი პატრიოტები და ჰუმანისტები „სულიკოს" ღიღინებდნენ. სავარაუდოა, რომ სწორედ ქართველმა მოხალისეებმა, ემიგრანტებმა და ასევე ბულგარელმა, ამერიკელმა, ფრანგმა თუ ესპანელმა თანამებრძოლებმა გაიტანეს და გაავრცელეს მთელ მსოფლიოში ვარინკა წერეთლის ესოდენ ნაღვლიანი შინაარსის, არაჩვეულებრივად მელოდიური, გულშიჩამწვდომი სიმღერა „სულიკო". ევროპასა და ამერიკაში სასწავლებლად თუ სამუშაოდ წასული არაერთი ჩვენი თანამემამულე ბევრჯერ შესწრებია იმ ფაქტს თუ როგორი სიამოვნებით ასრულებდნენ „სულიკოს" სამშობლოს მონატრებულ ქართველებთან ერთად მასპინძლებიც.

ვარინკა-ბარბარე მაჭავარიანი-წერეთლისა დაიბადა 1874 წელს სოფელ ცხრაწყაროში გენერლის სპირიდონ მაჭავარიანის ოჯახში. განათლება ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში მიიღო. მას ბავშვობიდანვე მშვენიერი ხმა აღმოაჩნდა. მუსიკას ცნობილი ლოტბარის ფილიმონ ქორიძის მეუღლე მუსიკოსი ზინაიდა ვორობეცი ასწავლიდა. ვარინკა აკაკი წერეთლის ახლო ნათესავს სერგო წერეთელს მისთხოვდა. იგი გარდა იმისა, რომ კარგად მღეროდა გიტარის თანხლებით, თავად მშვენიერ სიმღერებს თხზავდა, მათ შორის აკაკის ლირიკულ ლექსებზე. ამ გარემოებამ აკაკი და ვარინკა მეტად დაახლოვა. იშვიათი მუსიკალური ნიჭით, ხმის თავისებური ალერსიანი ჟღერადობით ვარინკა ყველას ხიბლავდა. მათ შორის, როგორც ამბობენ, რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III-ც ყოფილა, რომელსაც „მერცხალი" უწოდებია მისთვის. განსაკუთრებით კარგად ვარინკა გიტარის

თანხლებით ამღერებდა აკაკის ლექსებს „სანამ ვიყავ ახალგაზრდა" და „რომ იცოდე ჩემი გულის დარდები". 1895 წელს აკაკიმ დაწერა ლექსი „სულიკო" და ვარინკას გადასცა „შენებურად ხმა გამოუძებნე და იმღერეო". შემდგომში ვარინკა წერეთლის მიერ შეწყობილ ჰანგებსა და მშვენიერ ნამღერს დიდი მგოსნისათვის აღტაცების ცრემლი მოუფენია და მისთვის ხელები დაუკოცნია. პოეტმა ვარინკას „მაისის ბულბული შეარქვა" და 1897 წელს ლექსი „მოხუცი და ახალგაზრდა" მიუძღვნა.

„სულიკო" დაწერისთანავე ელვისისწრაფით გავრცელდა და ხალხის საყვარელი სიმღერა გახდა. შალვა კაშმაძე წერდა: „აკაკის მარგალიტად ასხმულმა ლირიკამ საუკეთესო გამოხმაურება ჰპოვა ბარბარე წერეთლის უპრეტენზიო სიმთა ჟღერაშიო".

ნიშანდობლივია, რომ ბევრი „სულიკოს" ხალხურ სიმღერად მიიჩნევდა და მისი მელოდიის ჭეშმარიტი ავტორი ჩრდილში აღმოჩნდა. ამ თუ სხვა მიზეზთა გამო საავტორო უფლების მოპოვების მსურველნი გამოჩნდნენ.

გავიდა წლები და პირველად „სულიკო" ნოტებზე ჩაწერა ქართული ხალხური სიმღერის დიდმა მოამაგემ კოტე ფოცხვერაშვილმა, მანვე ფორტეპიანოსთვის ორჯერ (1900 და 1905 წ.წ.) და შემდეგ კი მეჩონგურეთა გუნდისთვის დაამუშავა. 1937 წელს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების I დეკადაზე „სულიკო" შესრულებულ იქნა ავქსენტი მეგრელიძის მიერ დამუშავებული საჩონგურო აკომპანიმენტის თანხლებით.

1938 წელს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში სიმღერა „სულიკოს" ავტორის გარკვევა-დადგენის მიზნით შედგა სხდომა, რომლის ოქმი ხუთი ოქტომბრით თარიღდება (ინახება თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში). სხდომის ოქმს თან ერთვის ლოტბარის, ქართულის სიმღერის უბადლო შემსრულებლისა და შემგროვებლის სანდრო კავსაძის ხელნაწერი დოკუმენტი (დაცულია „თმკქ" მუზეუმში), სადაც აღნიშნავს,

რომ 1910 წელს ქიათურის სასწავლებელში მოღვაწეობის დროს, ელისაბედ წერეთლის ოჯახში, პირველად მოისმინა ვარინკა წერეთლის სიმღერები და აღტაცებული დარჩა. ამავე ოჯახში ერთ-ერთ თავყრილობაზე აკაკი წერეთელიც ბრძანდებოდა. იგი აღნიშნავს: „დაილია თუ არა აკაკის სადღეგრძელო, ვარინკამ აიღო ხელში გიტარა და სრულიად უბრალო აკომპანიმენტით იმღერა სულიკო. უხაროდა აკაკის და გვიხაროდა ჩვენც. ეს მელოდია მაშინ გავიგონე პირველად და სხვაგან, გარდა ამისა, არსად გამიგონია. შემდეგ მე ჩავწერე ეს მელოდია ნოტებზე. ვადასტურებ, რომ ნამდვილად მელოდია „სულიკო" არის ვარინკა წერეთლისა".

მეტად საყურადღებოა თვითონ ვარინკა წერეთლის წელნაწერი- განცხადება დათარიღებული 1938 წლის 2 ოქტომბრით (დაცულია „თმკქ" მუზეუმში), რომელშიც იგი მიმართავს საქ. სსრ ხელოვნების საქმეთა სახკომსაბჭოსთან არსებულ სამმართველოს. განცხადებაში ნათქვამია „სიმღერა „სულიკოს" სიტყვების ავტორის აკაკი წერეთლის თხოვნით 1895 წელს ჩემს მიერ არის გამოთქმული და გიტარაზე დასამღერებლად აწყობილი. ამ სიმღერას აღნიშნული წლიდან რამოდენიმე წლის განმავლობაში მხოლოდ მე ვასრულებდი და სწორედ ამ გზით გავრცელდა იგი მთელ საქართველოში. ყოველივე ამის დასადასტურებლად მე შემიძლია წარმოვადგინო, როგორც წერილობითი საბუთები, აგრეთვე სანდო მოწმეებიც, რომელთა ჩვენებით გამოირკვევა ჩემი განცხადების სრული სისწორე. ასეთ მოწმეებად ჩემი მხრით ვასახელებ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრს შალვა დადიანს, უმაღლესი საბჭოს წევრს ორდენოსანს აკაკი ხორავას, კომპოზიტორ ორდენოსანს კოტე ფოცხვერაშვილს". ჩემს ხელთაა საბეჭდ მანქანაზე დაწერილი ვარინკა წერეთლის მეორე განცხადება მისი ავტოგრაფით, სადაც წერს: „ჩემს მიერ შექმნილი სიმღერა რაც დასტურდება ხელოვნების კომიტეტისა და კომპოზიტორთა კავშირის მიერ. ვინაიდან ამ სიმღერაზე ავტორობის ოფიციალურ აღიარებამდე ეს ჰანგი თითქოს, როგორც ხალხური

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუმუშავებიათ და ნოტებზე გადაუტანიათ სხვა კომპოზიტორებს (მეგრელიძეს, კილაძეს, ფოცხვერაშვილს და სხვა.) მე თანახმა ვარ ჩემდამი კუთვნილი ამ სიმღერის საავტორო ჰონორარის მთელი თანხიდან გამოიყოს 30%, ხოლო დანარჩენის 70% სრულიად ჩემს სასარგებლოდ უნდა დარჩეს". ამ განცხადებას თან ახლავს ავქსენტი მეგრელიძის მინაწერიც თანხის გამოყოფის შესახებ და კომპოზიტორთა კავშირის რამდენიმე დადგენილებაც.

მეტად საინტერესოა 1946 წელს პაპუნა წერეთლის მიერ ჩაწერილი ვარინკას ერთი მოგონებაც: "მე-19 საუკუნის 90-იან წლებში საჩხერეში ყოფნის დროს აკაკი ძალიან ავად გამხდარა. ამბის გაგებისთანავე მის სახლისკენ გავეშურე. იმ დღეს აკაკის სანახავად ჩამოვიდა საზოგადო მოღვაწეების მთელი ჯგუფი. კარებშივე შემომეგება ვანო მაჩაბელი და მისი მეუღლე ტასო, რომელმაც მაშინვე თქვა აბა ჩქარა გიტარა მოიტანეთ, მხოლოდ ვარინკას სიმღერა მოარჩენს აკაკისო. ფეხაკრეფით შევედით აკაკის ოჯახში. ის თვალდახუჭული ინვა ლოგინში. ერთ გვერდზე მე დავუჯექი მეორეზე ტასო. დანარჩენები სულგანაბულნი იყვნენ ჩვენს ახლოს. მე ჩუმად დავიწყე სიმღერა. პირველად ვუმღერე მისი საყვარელი „სანამ ვიყავ ახალგაზრდა", შემდეგ ამას სხვა სიმღერა მივაყოლე, ვმღეროდი კრინით, დაბალი ხმით, რომ დიდი მგოსანი არ შემეწუხებინა. ცოტა ხნის შემდეგ აკაკი გადმობრუნდა, თავისი დიდი თვალები შემოგვანათა და ირგვლივ, რომ თავისი მეგობრები დაინახა – გაიღიმა ყველას სიხარული დაეტყო ვანომ იხუმრა – აკი ვთქვი ვარინკას სიმღერა მოარჩენს მეთქი. იმ დგეს აკაკისას დიდი ლხინი გაიმართა. მის შემდეგ აკაკიმ გამოჯანმრთელება დაიწყო".

ვარინკა წერეთელი ადრე დაქვრივდა, მან მეუღლის დაკარგვა მწარედ განიცადა, მაგრამ გული მაინც არ გაიტეხა და თავის ერთადერთ ვაჟს გუგულის, რომელიც საფრანგეთში უმაღლეს განათლებას იღებდა, იმედის თვალით შეჰყურებდა. მაგრამ სამწუხაროდ გამწვავებული ავადმყოფობის გამო სრულიად ახალგაზრდა 26 წლის ასაკში ხელიდან გამოეცალა. 8 წლის განმავლობაში ვარინკა ბნელი ოთახიდან არ გამოსულა, არავის იღებდა, სიმღერაზეც ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო. ამ პერიოდში ზესტაფონში ჩამოვიდა ცნობილი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, რომელიც კინოფილმ „სამანიშვილის დედინაცვალს" იღებდა. მას ძალიან მოსწონდა ვარინკას ლამაზი კარ-მიდამო და გადაუწყვეტია თავის ფილმში გადაღება. მორიდებით უთხოვიათ სახლის პატრონისათვის გადაღების ნებართვა. მგლოვიარე დედა არავის ენახვებოდა, მაგრამ როდესაც კოტე მარჯანიშვილის სურვილი შეუტყვია, რეჟისორი და მისი ჯგუფი (რეჟისორი ზაქრო ბერიშვილი, ოპერატორი ს. ზაბოზლაევი და სხვა) ოჯახში მიუწვევია და შესანიშნავად გამასპინძლებია. შემდეგ კი კოტესთან და სხვა წევრებთან ერთად სურათიც გადაუღია და მხოლოდ მაშინ უთხოვია გულდათუთქულ დედას, რომ ჯგუფში მისი ვაჟის სურათიც ჩაედგათ, თითქოს ისიც იყო ამ სასიხარულო შეხვედრის მონაწილე.

ვარინკა წერეთელი გარდაიცვალა 1948 წლის 21 მარტს ზესტაფონში.

ქართველი ხალხის ყოფაცხოვრებაში მუსიკა ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა. მრავალი ქართველი კომპოზიტორისა თუ შემსრულებლის შემოქმედებითი მემკვიდრეობა წარმოადგენს ერის საგანძურს გენიალური ლიტერატურული ქმნილებების, არქიტექტურული ძეგლებისა და უნიკალური ხალხური მრავალხმიანი სიმღერების სახით. მათ შორის უდავოდ საპატიო ადგილი უკავია სიმღერა „სულიკოს", რომელიც კლასიკური ნიმუშია პოეტურ-მუსიკალური შემოქმედებითი თანამშრომლობისა, დაფუძნებული სულიერი ღირებულებების თანხვედრასა და ჰარმონიაზე. შესაძლოა, ვინმეს აკაკისა და ვარინკას „სულიკოს" ჰანგი უბრალოდაც მოეჩვენოს, მაგრამ ფიროსმანის ტილოებისა არ იყოს ყველაფერი გენიალური მარტივი და უბრალო არ არის?!

ვარინკა წერეთელი ლიტერატურის კაბინეტის მინაწილეებთან



ნოდარ ცაბაძე

ქალთელი ფესვები და ევროპული ხედვა

„ეროვნულმა მწერლობამ“ ბევრი კარგი წიგნი შემოგვთავაზა. მათ შორის არის ნანი თარხნიშვილის „დაზამთრებამდე“ (2010ნ).

ერთტომეული ხუთი კარისაგან შედგება. პირველ რიგში ვეცნობით ფრანგ კლასიკოსთა ნაწარმოებებს, შემდეგ თვით ნ. თარხნიშვილის წერილებს, ნოველას, ეტიუდებსა და ლექსებს.

კრებული სახეობრივ-ჟანრობრივი მრავალფეროვნებით ხასიათდება და ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ჩვენს გვერდით მოღვაწე ქალბატონის ლიტერატურულ შესაძლებლობებზე.

მომწონს წიგნის სახელწოდება. ქვეტექსტი ადვილად იშიფრება. ავტორი შემოქმედებითი სიმწიფის ასაკშია. სიცოცხლის ბოლომდე ბევრის გაკეთებას გვპირდება. რატომ არ უნდა ვენდოთ?!

მაგრამ, მოდით, ჯერ ის შევაფასოთ, რაც ჩვენს ხელთაა.

ვიწყებ პოეზიით.

ნანი თარხნიშვილის ლექსებს რომ ვკითხულობ, დაბინდული იის სევდა მეუფლება. ისინი განმაწყობენ არა იმდენად სამოქმედოდ, რამდენადაც სააზროვნოდ.

იძერწება პორტრეტი მშვიდი და გონიერი ქალბატონისა, რომელშიც მძლავრობს მზრუნველობითი ტენდენცია, თავს შემოვლების სურვილი. თანაც ეს გამჟღავნებულია არა ხმაურით, არამედ წყნარად და სადად, შინაგანი თრთოლვით. არც ერთი მყვირალა ფრაზა, არც ერთი მხოლოდ გარეგნული ეფექტისთვის გამიზნული ტროპი.

ზოგიერთ ლექსში იგრძნობა სასაუბრო ინტონაციების სიხშირე. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გონება იტვირთება ინფორმაციით. ასე რომ იყოს, ნაკლები ადგილი დარჩებოდა ემოციური აღქმისათვის. ქალბატონ ნანისთან კი სწორედ ესთეტიკა იწევს წინ.

თვალი გავადებნოთ „სევდიანი გაზაფხულის“ სტრიქონებს.

„კალთებს იბერტყავს გამთბარი მინა...
მწვანე მაქმანი თრთის ხეთა შტოზე...
აზმორებს ველებს,
ზამთრით ნასიზმრევს,
გარიჟრაჟი კი კითხულობს ლოცვებს.
ფრთა აიკეცა ურჩმა ქარებმა,
სიცილით კვდება ანწლი და რცხილა...
სულში შემოდის აპრილის შუქი,
იასამანი გაწუწა წვიმამ“.

მგოსანს მახვილი თვალი აქვს და ჩნდება დასამახსოვრებელი სურათები, იბადება გადამდები განცდა.

„შორს ორღობეში ჭრიალი ურმის,
„ჰეი, შე სამგლეევ“, ბიჭის ძახილი,
წამოქცეული ძველი წისქვილი —
და ჩემი სახლი
მენატრება...
ბებერი კედლები, ნაცნობი ნივთები,
გახუნებული ფარდაგი ჭრელი,
სიმგაწყვეტილი გიტარა იქვე
და დედის თმები
მენატრება...“

ამბობენ: ძალზე კარგად მაშინ ვწერთ, როცა შეყვარებულნი ვართ. ქალბატონი ნანის სატრფიალო ლექსები ამითაც გამორჩეულია. საგულისხმოა, რომ მათში ჩანს არა მხოლოდ რეალური ობიექტი, არამედ გამოგონილ-იდეალურიც. ხშირად სწორედ ეს მეორე სჯაბნის პირველს, რაც განუმეორებელ ხიბლს სძენს ლირიკულ აღსარებებს.

„შენზე ოცნებას აღმა უვლია...
ეკლიან გზებსაც მე ვარ ჩვეული,
ლექსის სადავე შენა ხარ ერთი,
ჩემი ცხოვრების ვრცელი რვეული...
მოვალ და გეტყვი,
ჩურჩულით გეტყვი,
როგორ ვუვლიდი შენს სახელს შორით,
თუ როგორ ვკრეფდი სიზმარში ყვავილს,
რომ ყოფილიყავ ხელმწიფე ყოვლის“.

ამ ლექსების ფსკერზე არ ილანდება რთული საიდუმლო, რომელსაც აღმოჩენა დასჭირდებოდა.

წერის მანერა, სტილი მიმზიდველი და ჩამთრევია. კარგი სტილი კი, მოგეხსენებათ, კარგი

ნანი თარხნიშვილი

ადამიანის გარეშე არ არსებობს.

არაფერს ვამბობ ნ. თარხნიშვილის ნოველასა და ეტიუდებზე. ერთი კი მაინც დამაფიქრებელია. ნოველაში „ფანჯარა" შენაკადებმა ხომ არ გაამრუდეს ძირითადი ხაზი". ან იქნებ ისინი ექსპრესიის გასაძლიერებლად მოხმობილი ფრაგმენტებია?

წერილებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია „სტეფან მალარმეს ესეები ქართული სიტყვის წიაღში". ფაქტობრივად ეს არის ვრცელი და აზრობრივად დატვირთული რეცენზია 1979 წელს „საბჭოთა საქართველოს" ქუთაისის ფილიალის მიერ გამოცემულ მალარმეს კრებულზე. (შემდგენლები გ.ბუაჩიძე და მ. ქურდიანი). წიგნში შესულია როგორც ძველი, ასევე ახალი თარგმანები.

სამართლიანად მიუთითებს ნ. თარხნიშვილი, რომ მალარმემ დაარღვია ფრანგული გრამატიკის ნორმები, სინტაქსური წყობა და ა.შ. ამდენად, მისი ნაწარმოებების სხვა ენაზე გადმოტანა ურთულესი საქმეა.

მთარგმელები ცდილობენ მალარმეს წერის ტექნიკა „შეაგუონ" ქართულ სინტაქსთან, ქართული ენის გრამატიკულ ნორმებთან ისე, რომ დედნის სტილი არ დაირღვეს.

მალარმესათვის დამახასიათებელი გრძელი პერიოდები დიდი სიზუსტით გადმოაქვთ ქართულად. მავანი და მავანი მთარგმნელი ფრაზის ექსპრესიულობის შენარჩუნების მიზნით ზმნის გარეშე ტოვებს წინადადებას. ზოგიც აზრის „გრეხილს" ისე გვაწვდის, რომ წინადადების ბუნებრივი მდინარება არ ფერხდებოდეს და ა. შ.

ნ. თარხნიშვილის მოსაზრებები მით უფრო საყურადღებო და ანგარიშგასაწევია, რომ კარგად ერკვევა მალარმეს შემოქმედების სპეციფიკაში და რაც მთავარია, თავად გახლავთ პროფესიონალი მთარგმნელი.

ხსენებულ წერილში საუბარია თვით ნ. თარხნიშვილის მიერ თარგმნილ „რიჰარდ ვაგნერზეც" — მაშასადამე მწერალი ქალი საკუთარ ლაბორატორიასაც გვაცნობს! „დედნის არსის წვდომა, ემოციური შესატყვისის მოძებნა ე. ი. შემოქმედებითი მუშაობა — აი, რა მოთხოვნას ვუყენებდი საკუთარ თავს. ჩვენი მიზანი იყო, ყურადღება მიგვექცია ენის მხატვრული ხარისხისათვის, მისი ექსპრესიული ძლიერებისათვის, რადგან ქართული ენა განსხვავდება ინდოევროპულ ენათა ოჯახისაგან, კერძოდ ფრანგულისაგან. საქმე გვქონდა სრულიად სხვა აგებულების ენასთან. ვცდილობდით ფრანგული ენის სტრუქტურული თავისებურებანი ისე გადმოგვეცა ქართულად, ამ უკანასკნელის სტრუქტურული თავისებურება შეგვენარჩუნებინა. მოვიშველიეთ ისეთი გრამატიკული შესაძლებლობანი, რაც უცხოა სათარგმნი ენისათვის".

სარეცენზიო კრებულის სამ მეოთხედზე მეტი დათმობილი აქვს თარგმანებს. მათი მეოხებით იზრდება ქართველი კაცის თვალსაწიერი, ცნაურდება ჩვენი მწერლობის მიღმა არსებული ტენდენციები, ფართოდ ეხსნება გზა მსოფლიო მოქალაქეობისაკენ ლტოლვას.

ნ. თარხნიშვილის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ნობელის პრემიის ლაურეატის ფრანსუა მორიაკის გახმაურებული წიგნის „გზა უგზოობისა" თარგმნა. ეს რომანი, ისევე როგორც რომენ როლანისა და პიერ გამარას ნაწარმოებები, სასიამოვნოდ იკითხება. უდავოა, რომ ნ. თარხნიშვილს დიდი შრომა ჩაუქსოვია საქმეში და შედეგიც სასურველია.

„დაზამთრებამდე" კარგად არის გაფორმებული. მხედველობაში მაქვს არა მხოლოდ პოლიგრაფიული მხარე (შრიფტის შერჩევა, განყოფილებათა სახელწოდებებისათვის გვერდების სრულად დათმობა და ორნამენტებით გათვალსაჩინოება ან თუნდაც ლექსების ბოლოსართ - სამკაულებით დამშვენება), არამედ ტექსტში ჩართული რეპროდუქციებიც კლოდ მონეს, ვან გოგის, ელენე ახვლედიანის ფერწერული ტილოებისა. ისინი ხელს უწყობენ ამაღლებული განწყობილების შექმნას.

მწერლის პორტრეტებსაც თვალსაჩინო შემეცნებითი დატვირთვა აქვს. აშკარაა, რომ რედაქტორები ფრიად გარჯილან.

იმასაც ვიტყვით, რომ ზოგჯერ იგრძნობა ფრაზისადმი ალმაცერი დამოკიდებულება. არც რითმის დიდოსტატობაზე დებს თავს ავტორი, არადა...

არსებითი მაინც ის გახლავთ, რომ ნანი თარხნიშვილი ნაღდი შემოქმედია, ამიტომაც შეუძლებელია გულგრილი დარჩე მისი ნაღვანისადმი.

ვამთავრებ ამ მომცრო წერილს და საკუთარ თავს ვეკითხები: გამორჩეულობა, ისევე როგორც ბედისწერა, გენეტიკურად ხომ არ გადმოიცემა?



რუსუდან ბუკაშვილი

კნუტ ჰამსუნი და მისი „დედოფალი თამარი“

ზოგისთვის მწერლობა „შინაგანი მზერის სიტყვებად ქცევაა,“ ვისთვის „ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლა ნუგეშის საპოვნელად.“ ჩვენი თანამედროვე ო. ფამუკი შვედურ აკადემიაში თავის სანობელო სიტყვაში იმასაც ამბობს, რომ „მწერალი ისეთი რამეების შესახებ საუბრობს, რაც ყველამ იცის, მაგრამ არ იცის, რომ იცის. ამ ცოდნის კვლევა და მისი ზრდის პროცესზე დაკვირვება სასიამოვნოა, მკითხველი ერთდროულად მოგზაურობს ნაცნობსა და ფანტასტიკურ სამყაროში.“ ამ ყოველივესთან ერთად, მწერლობა ჩემთვის არის კულტურათა დიალოგი და სწორედ იმ შრეებში შეღწევა, რაც ფიზიკურად დროსა თუ სივრცეში შეუძლებელია. ხშირად უცხო თვალით დანახული ჩვენი სამშობლოც ხომ ჩვენთვის მეტად მრავლისმეტყველი და საინტერესოა. ამგვარ ლიტერატურას მიეკუთვნება კნუტ ჰამსუნის „ზღაპრული ქვეყანა“ და ნაწილობრივ, „დედოფალი თამარი“.

დიდი ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი, ბუნებითა თუ ადამიანებით, თავისი საოცარი ქვეყნის (პირადად, ჩემთვის აღმოჩენა იყო ეს ნათელ-თვალებიანი სტუმართმოყვარე ერი.) დღემდე ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული შვილია. ბოლო დროს უსამართლოდ მივიწყებული მისი რომანები: „პანი,“ „ვიქტორია,“ „შიმშილი,“ „მისტერიები“ მთელ მსოფლიოშია ცნობილი. წიგნისათვის „მინის მადლი“ 1920 წელს, მოგეხსენებათ, მინიჭებული აქვს ნობელის პრემია. მწერალმა 1899 წელს კავკასიაში იმოგზაურა, რუსეთიდან ეტლით მოემგზავრებოდა მეუღლესთან ერთად; დღევანდელი გადმოსახედიდან თითქმის წარმოუდგენელი, მაგრამ — დამეთანხმებით — მეტად რომანტიკული მოგზაურობა უნდა ყოფილიყო, რაც მის „ზღაპრულ ქვეყანაში“ აისახა კიდეც ჩრდილოევროპელის პრაგმატული აზროვნებით აღქმული შთაბეჭდილებები. „ამ მოგზაურობამ მრავალი ფიქრი და განცდა აღუძრა მწერალს — პიროვნებას, რომელმაც სრული გადატრიალება მოახდინა ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში.“ ნათქვამია ქართული გამოცემის წინათქმაში (ოლიკო ჟღენტი). ორივე ნაწარმოები გამოიცა 1903 წელს დანიასა და გერმანიაში. თუ პირველი — „ზღაპრული ქვეყანა“ დოკუმენტური პროზის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს, მეორე — „დედოფალი თამარი“, ჩემი აზრით, უფრო რომანტიკულ ფანტაზიად მოიაზრება (რადგან აქ ისტორიული პასაჟები და პერსონაჟებიც კი თითქმის პირობითია). მასში ნაკლებია ისტორიული შესაბამისობა, მაგრამ უდაოდ ატყვია დიდი ოსტატის ხელი. თავად ჰამსუნისთვის, როგორც ამბობენ, ეს განსაკუთრებით საყვარელი პიესა ყოფილა. აქ იგი გვიჩვენებს უძველესი ქრისტიანული ქვეყნის სამეფო ინტრიგებს, კარის ცხოვრებას, რომლის სათავეში დგას ქალი-მეფე, ვინც ერთდროულად არის დედა და არის მონარქი. ნაზი, ქალური არსება დედობრივი ინსტინქტებით და ამავე დროს ძლიერი, პრინციპული მმართველი.

პიესა „დედოფალი თამარი“ დაიდგა 1904 წელს ოსლოს ეროვნულ თეატრში. იგი სავსე იყო აღმოსავლური ეგზოტიკის ელემენტებით, ცეკვებით და მართლაც დიდი წარმატება ხვდა წილად, რადგან ეს ნორვეგიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეებს უძღოდა წინ (1905 წ.). 20-იანი წლების შემდეგ არაერთგზის დაიდგა გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში.

რაც შეეხება თავად პიესას, როგორც ევროპელი კაცის ნააზრევი, რომელსაც არც იმდენ ხანს უცხოვრია აქ (როგორც ცნობილია, იგი ინკოგნიტოდ იმყოფებოდა თბილისში და მხოლოდ მისი წასვლის შემდეგ შეიტყვეს, რომ აქ იყო დიდი ნორვეგიელი მწერალი.), რომ ქართული ყოფის ისტორიისა თუ ხასიათის ნიუანსებს ღრმად ჩასწვდომოდა, თუმცა ეს არის მშვენიერი ნაწარმოები ქართველი დედოფლის თემაზე; იმ დედოფლისა, რომელზეც, როგორც ჩანს ბევრი ესმოდა კავკასიაში მოგზაურობის დროს; ხედავდა, თუ როგორ გაიდეალებული ჰყავდა იგი ხალხს საუკუნეების მანძილზე, ყოველ ნაბიჯზე მისი სახელობის ეკლესიას აწყდებოდა და, ალბათ, ყოველივე ამან შთაგონა ფერებითა და სახეებით მდიდარი ეს პიესა. საინტერესო და ნიშნეულია აგრეთვე

ქრისტიანთა და მუსლიმანთა ესოდენ მჭიდრო ურთიერთობა და თითქოს „მტერ-მოყვრული" დამოკიდებულება. ამ მხრივ საინტერესოა ფატიმატი, თამარის მხევალი, მასთან მეტად დაახლოებული, რომელიც ერთი მხრივ ერთგულია დედოფლისა, წვლილი მიუძღვის მისი შვილის აღზრდაშიც, მაგრამ თუ საქმე სარწმუნოებამდე მიდგა, ის შეუვალია და დედოფლის ღალატსაც როდი ერიდება. შესამჩნევია ისიც, რომ ამ ორი რელიგიის მიმდევარნი ერთმანეთს ეჯიბრებიან სიკეთის ქმნაშიც. ხშირად გაისმის (ორივე მხრიდან) : „ქრისტიანი ცოტათი ხომ უნდა სჯობდეს მუსლიმანს!" ან კიდევ პირიქით, როდესაც ფატიმატი უფლისწულ გიორგის გადაარჩენს, დედოფლის ვაჟსაც ხმლით იცავს მტრული გარემოცვისაგან, შემდეგ თამარს სამადლობელ სიტყვაზე მიუგებს: „—აბა, მუსლიმანი ოდნავ მაინც ხომ უნდა სჯობდეს ქრისტიანს?" — რაზეც დედოფალი პასუხობს: „მეც ვეცდები სიკეთე ვაკეთო, ჩემო ფატიმატ..." მიუხედავად იმისა, რომ პიესაში გვხვდება ქართულ-მართლმადიდებლური ყოფისათვის უცხო ტერმინები: პრიორი (ლათ. კათოლიკური მონასტრის წინამძღოლი), აბატი (ლათ. კათოლიკე მამათა მონასტრის ან სააბატოს წინამძღოლი, იგი ემორჩილება ეპისკოპოსს), ჰეტმანი (დაქირავებული არმიის წინამძღოლი, მაგ. პოლონეთსა და უკრაინაში მე-15 - მე-16 სს), თუ მათ სიმბოლურად შევხედავთ (რადგან ავტორს, როგორც ჩანს, ხელი არ მიუწვდებოდა ქართულ ტერმინებზე), პიესა მთლიანობაში თბილ, რომანტიკულ სახასიათო გარემოს ქმნის და ზედმეტი არქაულობითაც როდი ჭრის ყურს თანამედროვე მკითხველს.

პიესაში დედოფლის მეუღლეს, უფლისწულ გიორგის, ებრძვის რა მას, ტახტის დაპყრობა კი არ სურს, არამედ — ურჩი დედოფლის მორჯულება სნადია, რადგან მისი აზრით, ქალი გაუორგულდა ქმარს. კულმინაციურ მომენტში, როცა მისი ვაჟი ტუველთა ტყვეობაშია (ტუველები — ანთროპოლოგიურად მონღოლოიდები, ტუველთა ეთნოგენეზში მონაწილეობდნენ, ძირითადად ცენტრალური აზიის ძველი თურქულენოვანი ტომები და მათ მიერ ასიმილირებული მონღოლურენოვანი ჯგუფები.), დედობრივი გრძნობა ჭარბობს ყოველივეს, იგი მზადაა დათმოს სახელმწიფო ძალაუფლება ვაჟის სიცოცხლის სანაცვლოდ. კნუტ ჰამსუნის სხვა ნაწარმოებებისაგან განსხვავებით, პიესას იღბლიანი დასასრული აქვს; საბოლოოდ, ცოლქმარს შორის კვლავ თანხმობა და მშვიდობა დაისადგურებს.

ლიტერატურის კრიტიკოსთა შორის კამათის მიუხედავად, არის ეს რომანტიკული კომედია, ფსიქოლოგიური დრამა თუ მოდერნი, მკითხველს პიესა უდაოდ დიდ სიამოვნებას მიანიჭებს, რომელიც დიდი ნორვეგიელის მიერაა ხელდასხმული.

ქართულ თარგმანს, სამწუხაროდ, გვიან ხვდა წილად მზის სინათლეზე გამოჩენა, მაგრამ „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!" როგორც ერთი ამერიკელი კრიტიკოსი ამბობს: „... ხელოვანთა თითოეული თაობა სინამდვილის ხორცზე ქონის მოსაცილებლად იძულებულია სულ ახალი და ახალი ხერხები ეძებოს. ზოგჯერ ეს ძიება მხატვარს აიძულებს იმ ბილიკს დაადგეს, რომელიც მხოლოდ მონიშნულია რომელიმე გენიოსის მიერ, რათა კიდევ უფრო განავითაროს იგი და გაკვალოს იდუმალისაკენ..." ვფიქრობ, ეს კვალის ძიება იყო დიდი ნორვეგიელი მწერლის მიერ სამხრეთულ ქვეყანაში და არც თუ ურიგო დასაწყისი თავისი დროისათვის. ახალი გზებისა და ხერხების ძიება და ალბათ უფრო მეტი და კომპეტენტური ცოდნა ერთმანეთის კულტურათა შესახებ ჩვენი და შემდგომ თაობათა ვალია. დღეს ხომ ტერიტორიული დაბრკოლებაც აღარ არის პრობლემა. მე კი 90-იან წლებში ნორვეგიაში მოგზაურობის დროს, ერთ-ერთ სკოლაში შეხვედრისას მითხრეს, თქვენი ხილვით და თქვენთან საუბრით, თითქოს საქართველო უფრო მოგვიახლოვდაო. ალბათ ყოველ შეხვედრას ახლავს თავისი დადებითი მომენტი.

კნუტ ჰამსუნი ნობელის პრემიის ლაურეატი მწერალია. დაიბადა ღარიბი გლეხის ოჯახში 1859 წ. 4 აგვისტოს. 14 წლიდან ეწეოდა მოხეტიალე ცხოვრებას, მრავალი პროფესია გამოიცვალა, ორჯერ იყო ამერიკაში. 1898 წელს იმოგზაურა ფინეთში, რუსეთში, ირანში, თურქეთში, იყო კავკასიაშიც, კერძოდ, საქართველოში და როგორც მოგახსენეთ, ამ მოგზაურობიდან იშვა პიესა „დედოფალი თამარი" და შთაბეჭდილებები „ზღაპრულ ქვეყანაში". ქართულ ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: „ჰამსუნის ადრეულ შემოქმედებაში აშკარაა ბ. ბენსონის, ხოლო მოგვიანებით — დოსტოევსკის, ნიცშესა და სტრინბერგის გავლენა. ჰამსუნი იმთავითვე დაუპირისპირდა ნატურალიზმს თავისი ლაღი ფანტაზიითა და ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზით; ამავე დროს მის ნაწარმოებებში აშკარად ჩანს სინამდვილის ეროტულ-გრძნობადი აღქმა-წვდომა, ბუნების ექსტაზური განცდა-შეგრძნება. ჰამსუნის რომანებში გამოხატულია ქვეცნობიერი სულიერი ცხოვრების უწვრილმანესი ნიუანსები. მისი თხრობის მანერა ახდენს ყველა იმ სტილური საშუალების სინთეზირებას, რომელიც მოპოვებულია ნატურალიზმიდან მოყოლებული იმპრესიონიზმის ჩათვლით, რაც ჰამსუნის ნაწარმოებებს განუმეორებელ მიმზიდველობას სძენს." (ნ. კაკაბაძე).

მე არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს იკამათებენ ლიტერატურის კრიტიკოსები კნუტ ჰამსუნის სტილსა თუ მიმდინარეობაზე, მაგრამ ერთი ცხადია, მისი წიგნები მაღალღირებული ლიტერატურის მოყვარულ მკითხველს კიდევ დიდხანს მიანიჭებს სიამოვნებას.

ლაჟვარდოვანი ფიორდებისა და ზვიადი მთების ქვეყანაში ალბათ მხოლოდ მითოლოგიური გმირების გამო არ სვამენ ნორვეგიის, როგორც გოლიათების სამშობლოს სადღეგრძელოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჯაყოს ხიზნების“ ინტერპრეტაციისათვის

მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ მწერლის იმ თხზულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც იმთავითვე გახდა როგორც საზოგადოების, ასევე რეჟისორების ყურადღების ობიექტი. მწერლის სიცოცხლეში „ჯაყოს ხიზნების“ დადგმა განხორციელდა ბათუმსა და ქუთაისში, თუმცა ორივე სპექტაკლი წარუმატებელი იყო და მალევე მოიხსნა რეპერტუარიდან. “ჯაყოს ხიზნები” მოიწონეს მოსკოვის ერთ-ერთ სტუდიაში, რეპერტუარშიც შეიტანეს, მაგრამ სტუდია დაიხურა და დადგმა არ განხორციელდა.

1979 წელს „ჯაყოს ხიზნების“ პირველი წარმატებული დადგმა — თემურ ჩხეიძის ტელესპექტაკლი განხორციელდა. 1983 წელს თემურ ჩხეიძემ „ჯაყოს ხიზნები“ მოსკოვის სამხატვრო თეატრში დადგა. ერთი წლის შემდეგ მარჯანიშვილის თეატრში თემურ ჩხეიძემ „ჯაყოს ხიზნები“ მარჯანიშვილის თეატრში წარმოადგინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთი რეჟისორის, თემურ ჩხეიძის მიერ სატელევიზიო თეატრში, სამხატვრო თეატრსა და მარჯანიშვილის თეატრში დადმული ნამუშევრები განსხვავებული რეჟისორული გადაწყვეტით განხორციელდა. 2009 წელს კინორეჟისორ დავით ჯანელიძის ფილმის, “ჯაყოს ხიზნების” პრემიერა შედგა. როგორც ვხედავთ, მიხეილ ჯავახიშვილის რომანი აუდიოვიზუალურ ხელოვნებაში ექვსგზის განხორციელდა და ყველა ვერსია ერთმანეთისგან განსხვავებული იყო.

რით გამოირჩევა მიხეილ ჯავახიშვილის ეს რომანი და რატომ არის ეს თხზულება ესოდენ საინტერესო მასალა აუდიოვიზუალური ხელოვნებისათვის?

მიხეილ ჯავახიშვილმა “ჯაყოს ხიზნები” 1924 წელს დაწერა. ეს ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული წელი იყო საქართველოს ისტორიაში: ბოლშევიკებმა სისხლში ჩაახშვეს 1924 წლის აჯანყება, დახვრიტეს საქართველოს თავადაზნაურობა — ერის ყველაზე ინტელექტუალური და ღირსეული ნაწილი. ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს, დახვრიტეს მაღალი სასულიერო წოდების პირები. კარგი დღე არც რიგით მღვდელ-მონაზვნებს ადგათ — უმეტესობამ ანაფორა გაიხადა და ღვთისადმი მიცემული აღთქმა დაარღვია, ნაწილი კი დახვრიტეს. უკიდურეს შიშსა და გაჭირვებაში იმყოფებოდნენ რიგითი მოქალაქეები. წითელი ტერორი მძვინვარებდა ყველგან და ყველაფერში და გზად ყოველივე ეროვნულს ანადგურებდა. ეს ტრაგიკული რეალობა იყო, თუმცა ამ რეალობის ასახვა სოციალისტური რეალიზმისთვის მებრძოლ ქართველ მწერლად გამწესებული შემოქმედისთვის დახვრეტის თხოვნის ტოლფასი იქნებოდა. “ჯაყოს ხიზნები” ამ დროს იწერებოდა და ცხადია მიხეილ ჯავახიშვილს, რომლის ერის ჭირისუფლობასაც ისეთივე რანგში მოიაზრებენ, როგორც ილია ჭავჭავაძისას, არ შეეძლო ერის ტრაგიკული ბედი არ აესახა 1924 წელს დაწერილ რომანში. იმავე წელს, “ჯაყოს ხიზნებამდე” მიხეილ ჯავახიშვილმა “კვაჭი კვაჭანტირაძე” დაწერა, თავისი პირველი რომანი. ავანტიურისტულ-სათავგადასავლო “კვაჭი

კვაჭანტირაძე", რომელიც ჟანრის შესაბამისად კომიკურ ელემენტებს ჭარბად შეიცავს, რეალურად ისეთივე ტრაგიზმის შემცველი ნაწარმოებია, როგორც "ჯაყოს ხიზნები". თანამედროვეები ილია ჭავჭავაძეს საყვედურობდნენ, სად ნახა ჩვენში ლუარსაბის და დარეჯანის მსგავსი ტიპებიო. მსგავს საყვედურებს იღებდა მიხეილ ჯავახიშვილიც. (უნდა აღინიშნოს, რომ 1924 წელს მწერალი ადამაშვილის გვარით აქვეყნებდა ნაწარმოებებს). როგორც ზემოთ აღვნიშნე, კვაჭი და ჯაყო სიცოცხლის ბოლომდე არ ტოვებდნენ მწერლის გულსა და გონებას, მის სადარდებელ და საფიქრალ სივრცეს. 1935 წლით დათარიღებული ბოლო, 10 უბის წიგნაკშიც შეხვდებით ჩანაწერებს ორივე პერსონაჟზე. მწერალი ახალ სიტუაციებს და დეტალებს ნერდა თავის პერსონაჟებზე, შესაძლოა გეგმავდა მათ ახალ რომანებში გაცოცხლებასაც. ჯაყო, ისევე როგორც კვაჭი მწერლის სიცოცხლეშივე გახალხურდა. მწერალი და კრიტიკოსი გიორგი ხუხაშვილი აღნიშნავს: " დროს არაფერი გაუსწორებია ამ წიგნში, მისი ტონი და კილო კი უნებურად შეიცვალა. გარდა ამისა, მოხდა ის, რაც სტიქიურად ხდება. წიგნის პერსონაჟი გახალხურდა. ჯაყო და ჯაყოობა უზნეობის, სიბრიყვის, უტიფარი ძალადობისა და მედროვეობის სინონიმად იქცა. გამოთქმა "მაშა, მაშა, ასე ვიცის ჯაყომა" ვირეშმაკობის, უტიფარი მზაკვრობისადმი ირონიად აუღერდა ხალხის მეტყველებაში. ჭარბი ფერებით დახატული ტიპი წიგნებიდან გადმოვიდა და ცხოვრებას შეუერთდა როგორც სულიერი სიმახინჯის გამაფრთხილებელი მაგალითი. ის უნდა დაგვმახსოვრებოდა მუდამ, რადგან გამორიცხული არ არის, დღესაც ჩვენს გვერდით ამოყოს თავი და ცხენის კბილებით დაიჭიხვინოს: "ასე ვიცის ჯაყომა" (1. გიორგი ხუხაშვილი, "ჯაყოს ხიზნები" მოსკვინის ქუჩაზე", "საბჭოთა ხელოვნება" 4, 1983)

მიხეილ ჯავახიშვილმა ჯაყოს სახით კრებითი სახე შექმნა — პერსონაჟი, რომელიც ერთნაირად საშიშია ყველა ეპოქაში. ამგვარი ტიპები (ასე ხშირად უწოდებს ჯავახიშვილი თავის პერსონაჟებს) დროის ყოველ მონაკვეთში არსებობენ და აუდიოვიზუალური ხელოვნებისთვის, როგორც სიმბოლო ძალადობისა, უაღრესად საინტერესო სახეს წარმოადგენენ.

„ჯაყოს სატანური ენერგია, უპირველეს ყოვლისა, ადმიანის პიროვნული ღირსების განადგურებისკენაა მიმართული როგორც ფიზიკური, ისე მორალური და სულიერი თვალსაზრისით" — ამგვარად ახასიათებს ფილოლოგი ირმა რატიანი ჯაყოს. (2. ირმა რატიანი, "ტექსტი და ქრონოტოპი", თბილისი, 2009, გვ. 154) მოგეხსენებათ, მორალის ასპექტში გადატანილი კონფლიქტი XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული აუდიოვიზუალური ხელოვნების ყველა დარგისთვის წამყვანი თემა გახდა. ამთავივე ავღნიშნავ, რომ ისეთი მაღალი რანგისთვის, როგორც იმ პერიოდში, ქართულ აუდიოვიზუალურ ხელოვნებას, კომპლექსურად, ყველა დარგში, არც მანამდე და არც შემდგომ არ მიუღწევია — როგორც ფორმის — გამომსახველობითი საშუალებების, ასევე აზრობრივი სიღრმის თუ შესანიშნავი მხატვრული სახეების სცენიური თუ ეკრანული ხორცშესხმის ასპექტში. ამის მიზეზი, კი, სხვა მნიშვნელოვან აუდიოვიზუალური ნაწარმოებების ლიტერატურული პირველწყაროთა შორის, მიხეილ ჯავახიშვილის ეს რომანი და მისი უარყოფითი პერსონაჟებიც არიან. აკაკი ბაქრაძის შემაჯამებელ სიტყვაში, რომელიც თემურ ჩხეიძის ვიდეოფილმის, "ჯაყოს ხიზნების" ტელეგანხილვას მიეძღვნა, ასეთი მოსაზრებაა გამოთქმული: "მიხეილ ჯავახიშვილის ეს ნაწარმოები და აქედან გამომდინარე, ცხადია, ვიდეოფილმიც, სატირული ნაწარმოებია და გროტესკული რეალიზმის ნიმუში, ყველა მოვლენა, რომელიც ამ ფილმშია დახატული, და განსაკუთრებით სამივე პერსონაჟი — თეიმურაზ ხევისთავი იქნება ეს, ჯაყო ჯივაშვილი თუ მარგო — წარმოადგენს უარყოფით პერსონსაჟებს, რომელთა წინააღმდეგაც მიმართულია როგორც ფილმის ავტორების, ისე, ბუნებრივია რომანის ავტორის მახვილი." (3. აკაკი ბაქრაძე,"ჯაყოს ხიზნები", " ჩვენი მწერლობა", 22-29 სექტემბერი, 2000)

თეიმურაზ ხევისთავი — ასეთი გვარი საქართველოში არ არსებობს, იგი მიხეილ ჯავახიშვილმა უწოდა თავის პერსონაჟს. ირმა რატიანის მოსაზრებით "ხაზგასმული და აქცენტირებული "თავი" შეიძლება გავიაზროთ, ერთის მხრივ, როგორც მეთაური და, მეორეს მხრივ, როგორც საწყისი ანუ დასაბამი. "თავი"-ს როგორც საწყისის გააზრება გასაგებს ხდის პერსონაჟის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს: თეიმურაზი ნაბატონევი, "ნათავადარი, ნამამულევი, ნამოღვაწარი და ნავექილარია". (4. ირმა რატიანი, "ტექსტი და ქრონოტოპი", თბილისი, 2009, გვ. 151). პერსონაჟის ყველა მახასიათებელს წინ ნა პრეფიქსი უძღვის. პერსონაჟის მოღვაწეობა წარსულში მოიაზრება.

მარგო ყაფლანიშვილი- სახე-იდეა დაპყრობილი საქართველოსი, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში ეს სახე ასე განიხილება. მისი ნა-პრეფიქსით აღნიშნული "თავის" უმოქმედების შედეგად იგი სრულად მოიაზრება, როგორც ჯაყოს ძალადობის მსხვერპლი. რატომ არის მსხვერპლი უარყოფითი პერსონაჟი? ამ საკითხზე უაღრესად საინტერესოა აკაკი ბაქრაძის მოსაზრება: "ძალადობა ცუდია იმის გამოც, რომ ზოგჯერ ადამიანი ამ ძალადობას ეჩვევა და ვერც კი გრძნობს, მასზე ძალა რომ იხმარეს. ვერც კი გრძნობს, რომ იგი დამცირებული და დამონებულია. ისე შეეჩვია ძალადობას, რომ მისი მოკავშირე გახდა და ყველაზე მთავარი თვისება ადამიანისა—იყოს თავისუფალი, იყოს თავისი ნების პატრონი, თვითონ გამოავლინოს თავისი დამოკიდებულება სინამდვილისა და მოვლენის მიმართ— ამის უნარი მას უკვე აღარ აქვს. აი, ეს პროცესი სწორედ მარგოს სახეში გახლავთ გამოვლე-

ნილი და მარგოს მიმართ როგორც თეიმურაზის, ისე ჯაყოს დამოკიდებულებაში" (5. აკაკი ბაქრაძე,"ჯაყოს ხიზნები", " ჩვენი მწერლობა", 22-29 სექტემბერი, 2000). ამავე დროს მარგოს სახის ტრაგიკული განვითარება, მისი გრძნობათა ბუნების ინტერპრეტაციის მრავალგვარობის შესაძლებლობა, უაღრესად საინტერესო პერსონაჟად აქცევს მას აუდიოვიზუალური ხელოვნების ყველა დარგისთვის.

კიდევ ერთი ჯავახიშვილისეული ნა-პრეფიქსი: ნაშინდარი. ჯავახიშვილის შემოქმედების მკვლევარი ლელა წიქარიშვილი ასე განმარტავს მოქმედების ძირითადი ადგილის სახელწოდებას: "ხევისთავთა საგვარეულო სოფლის სახელწოდება მწერალმა "შინ" ფუძის შემცველი კომპოზიტით წარმოადგინა. ამგვარი სახელწოდება გვაფიქრებინებს, რომ ნაშინდარი არის მარადიული "შინ", სადაც არაერთხელ ბრუნდება ხევისთავი. "(6. ლელა წიქარიშვილი, "მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების სახისმეტყველებითი ასპექტები", საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2004წ. გვ.139). ნაშინდარი ასევე მეტაფორაა ნა-პრეფიქსით აღნიშნული დამოუკიდებელი საქართველოს დროშის ფერისა — წარსული რომანში ფერთა ალეგორიითაც იდენტიფიცირდება.

რომანში აღწერილი გარემო, პერსონაჟთა სივრცული გადაადგილება "ფსევდოკარნავალურ და დესაკრალიზებულ სოფლის მოდელში"(7. ირმა რატიანი, "ტექსტი და ქრონოტოპი", თბილისი, 2009, გვ. 184). ამ რომანის დადგმისას, აუდიოვიზუალური ნაწარმოების მხატვრული გაფორმების შესაქმნელად, მხატვარისთვის დიდი შემოქმედებითი ფანტაზიის გამოვლენის ასპარეზად იქცევა. თავად იმ ეპოქის ასახვა მრავალგვარი მხატვრული გადაწყვეტითაა შესაძლებელი.

რომანის სიუჟეტი ძირითად პერსონაჟთა უწყვეტი ურთიერთქმედებით ვითარდება. ქმედითი პროზის უპირველესი ნიშანთვისება სწორედ ესაა. გარდა სამი მთავარი პერსონაჟისა, რომანში სახიერადაა შექმნილი მეორეხარისხოვანი პერსონაჟები — ნახუცარი ივანე, თეიმურაზის ნათლული ნინიკა, ჯაყოს მრავალრიცხოვანი ნათესაობა და ა.შ. თითოეული მათგანი კონკრეტული ფუნქციის მატარებელი და ინდივიდუალური ნიშნით აღბეჭდილი პერსონაჟია. ეს გარემოებაც ძალზე მნიშვნელოვანია რომანის აუდიოვიზუალურ ნაწარმოებად ქცევისას.

მიხეილ ჯავახიშვილის "ჯაყოს ხიზნების" პერსონაჟთა დიალოგები ზედმიწევნით მიესადაგება აუდიოვიზუალური ნაწარმოების თვისობრიობას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია მსახიობისთვის მხატრული სახის შექმნისას.

მიხეილ ჯავახიშვილის "ჯაყოს ხიზნები" იმგვარი რომანია, რომელიც როგორც მხატვრული სახეების, ასევე ვითარების გადმოცემით ქმნის სალიტერატურო მოდელს, სადაც კონკრეტული სახეები მოიცავს ზოგადის თვისობრიობას და ამითაც ყველა დროში უაღრესად საინტერესო ლიტერატურული პირველწყარო ხდება აუდიოვიზუალური ხელოვნებისათვის. ძალადობის თემატიკა-როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი იმგვარ კონფლიქტს განაპირობებს, რომელიც აუდიოვიზუალური ნაწარმოებში ასახვისას მაყურებლის დიდ ინტერესს იწვევს. "რა თქმა უნდა, მიხეილ ჯავახიშვილისთვის ნაშინდარი არ არის ერთი კონკრეტული სოფელი. ნაშირდარი— ეს გარკვეული საზოგადოებაა, სადაც არ არის გამოჩენილი ის მაქსიმალური სიმტკიცე, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ბნელი ძალა ვერ დაეუფლოს ადამიანის ცხოვრებას და ბნელმა ძალამ ვერ წარმართოს ადამიანთა ცხოვრება."(8. აკაკი ბაქრაძე,"ჯაყოს ხიზნები", " ჩვენი მწერლობა", 22-29 სექტემბერი, 2000) აკაკი ბაქრაძის გაანალიზებული და ჯავახიშვილის რომანში აღწერილი სოფლის მოდელი ალბათ ყველა დროის ფილმისა თუ სპექტაკლის თემად შეიძლება იქცეს.

ამრიგად, მიხეილ ჯავახიშვილის რომანი მეტაფორული რომანია, რომელიც ქართული აუდიოვიზუალური ხელოვნების სტილისტიკას ზედმიწევნით შეესაბამება.

დაბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც განაპირობა მიხეილ ჯავახიშვილის "ჯაყოს ხიზნებისადმი" ქართველი ხელოვანების ინტერესი — რომანი ალეგორიული ფორმით ასახავს საქართველოსთვის ყველაზე მტკივნეულ საკითხს —საქართველოს დაპყრობას უცხო ძალის მიერ. რომანში გამოყვანილი ოსი ეროვნების ჯაყო კრებითი სახეა და ის, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის ალეგორიაა. XX საუკუნის დასასრულამდე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ჩვენი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა იყო. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომაც, დამპყრობლის აგრესია საქართველოს კვლავაც ემუქრება. დამოუკიდებელ ოსეთად და აფხაზეთად გამოცხადებული საქართველოს ტერიტორიის ნაწილი ისევ რუსეთის მიერაა ოკუპირებული. მოძალადის თემა კვლავაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ერის ჭირისუფლის— მიხეილ ჯავახიშვილის სატკივარი, სამწუხაროდ კვლავ აქტუალურია. ამ პრობლემის მოგვარების შემთხვევაშიც მიხეილ ჯავახიშვილის ეს რომანი ყოველთვის იქნება ის სრულყოფილი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც ქართველობას აფრთხილებს და მუდმივად მოუწოდებს თეიმურაზ ხევისთავივით არავის გაათელინოს თავისი საუნჯე.

ამრიგად, მიხეილ ჯავახიშვილის " ჯაყოს ხიზნები" ქართული პროზის იმ ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც თავისი სათქმელით, სტრუქტურით, ალეგორიულობით, უაღრესად საინტერესო სახეებით, ყველა დროის აუდიოვიზუალური ხელოვნების ინტერპრეტაციისთვის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია.

დავით ანდღულაძე აუდიტორიაში. 1947 წ.

ნანა ვორჩინა

დავით ანდღულაძის ფენომენი

სტატია ეძღვნება XX საუკუნის ერთ-ერთ სახელოვან მომღერალს, დრამატულ ტენორს დავით ანდღულაძეს, რომელიც შემდგომში გახდა ვოკალის სახელოვანი პედაგოგი და შეძლო მთელი თავისი ვოკალური ტექნიკისა და სტანისლავსკისთან გამომუშავებული უმდიდრესი სასცენო გამოცდილების მოსწავლეებისათვის: ზურაბ ანჯაფარიძისა და ზურაბ სოტკილავასთვის გადაცემა. გამოკვლევა მიმდინარეობდა მის თანამედროვე ტენორთა, დიდი პედაგოგის მოსწავლეთა, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალის კათედრის გამგის, საქართველოს სახალხო არტისტის, პროფესორ ნოდარ ანდღულაძის მოგონებების საფუძველზე.

დავით ანდღულაძის ვოკალური ფენომენის შექმნაში უდიდესი წვლილი მიუძღვის მის პედაგოგს — რუს მომღერალ ევგენი ვრონსკის, რომელიც იტალიაში, მილანში ცნობილ პედაგოგ აუგუსტინო პასხალის დი სუვესტროსთან სწავლობდა.

ამ სკოლას ჭეშმარიტად იტალიური ბელკანტოს საწყისები აქვს.

დავით ანდღულაძე შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში იყო პედაგოგი-პრაქტიკოსი. მისი ბევრი პედაგოგიური აღმოჩენა ინტუიციურ დონეზე, გამოიკვლიეს და დაადასტურეს მეოცე საუკუნის სახელოვანმა მეცნიერებმა – ფიზიოლოგებმა და ფონიატრებმა: ლ. რაბოტნოვმა, რ. იუსონმა, ნ. ჟინკინმა, მ ნოზაძემ.

დავით ანდღულაძემ თავისი პედაგოგიური გამოცდილება, საშემსრულებლო, ვოკალურ-ესთეტიკური ტრადიციები, მაღალი ვოკალურ-ტექნიკური კულტურა, ყველაფერი ეს გადასცა თავის მოსწავლეებს. ანდღულაძის კლასი ორმოცამდე სტუდენტმა დაამთავრა, ძირითადად ტენორებმა. მათმა უმრავლესობამ პოსტსაბჭოთა სივრცის საოპერო თეატრებში წამყვანი ადგილები დაიმკვიდრა. მათი საშემსრულებლო ხელოვნება, სტილი, ნაწარმოებთა იმპროვიზაცია, ხმის წარმოქმნის მანერა – ეს განპირობებული იყო ხმის გამოყენებისადმი ინდივიდუალური მიდგომითსაოპერო ნიმუშთა შექმნისას. ეს ყველაფერი ნათელს ფენს დავით ანდღულაძის პედაგოგიური მეთოდის ინდივიდუალობას, ზურაბ ანჯაფარიძის, ზურაბ სოტკილავას და ნოდარ ანდღულაძის მსოფლიო სახეებს. სწორედ მათში გამოვლინდა მისი პედაგოგიური მიღწევების ბრწყინვალება. თითოეული მათგანი კარიერას თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე იწყებდა, მსოფლიო აღიარება ანჯაფარიძემ და სოტკილავამ მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე მოიხვეჭეს.

ღვთით ბოძებული შესანიშნავი ხმა და მაღალი ოსტატობა, მაესტრო დავით ანდღულაძის კლასში გამობრძმედამ გაუხსნა მათ მსოფლიოს საუკეთესო საოპერო თეატრების კარი. თავად მაესტრო ზურაბ ანჯაფარიძეს — სტიქიას, ზურაბ სოტკილავას — ცეცხლს, ხოლო ნოდარ ანდღულაძეს – სიბრძნეს უწოდებდა.

ზურაბ ანჯაფარიძე იყო ქარიზმატული მომღერალი, მასში ორგანულად იყო შერწყმული ბუნებრივი ნიჭი, არტისტული ტემპერამენტი და უმაღლესი პროფესიონალიზმი. ის სამართლიანად აღიარეს ჩაიკოვსკის „პიკის ქალში“ გერმანის, ბიზეს „კარმენში“ ხოზეს როლის საუკეთესო შემსრულებლად.

ზურაბ სოტკილავა, ტენორი, მოიპოვა მსოფლიო აღიარება — ფლობს მდიდარ დინამიკურ დიაპაზონს — უნაზესი პიანოდან ძლიერ ფორტემდე, ხოზეს, ტურიდუს, კავარადოსის, ოტელოს პარტიების საუკეთესო შემსრულებელი. ის ამჟამადაც აგრძელებს სოლო კარიერას, არის მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი, სადაც წარმატებით სრულყოფს თავისი პედაგოგის, დავით ანდღულაძის მეთოდიკას. განსხ-

ვავებული შემოქმედებითი გზა განვლო ნოდარ ანდღულაძემ, მსოფლიო მასშტაბის დრამატულმა ტენორმა. მისი ცხოვრება მიედინებოდა თბილისის თეატრში, სადაც მან შექმნა კონტრასტული სტილისა და ხასიათის დრამატული სახეები — ოტელო, რადამესი, ლოენგრინი, ირადი, იმავდროულად ბევრს მოგზაურობდა მსოფლიოში, სოლო სიმღერის კათედრის გამგე თბილისის კონსერვატორიაში, წარმატებით განაგრძობს დავით ანდღულაძის პედაგოგიურ ტრადიციებს. დავით ანდღულაძე იყო პედაგოგ-პრაქტიკოსი, ნოდარ ანდღულაძემ მის მიგნებებს მისცა თეორიული საფუძველი, რითაც მიიზიდა იტალიური სკოლის უდიდეს ოსტატთა ყურადღება, სადაც მას სისტემატურად იწვევდნენ კონფერენციებში მონაწილეობისათვის. მას ხელს უწყობდა თავისი სამეცნიერო კვლევები ენათმეცნიერებაში. შედეგად მსოფლიო საოპერო სცენა გამდიდრდა მაღალტექნიკურ მომღერალთა მთელი პლეადით, რომლებიც ქმნიან საინტერესო მუსიკალურ სახეებს. თემურ გუგუშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი, ტენორი, ბელკანტოს ტექნიკის მფლობელი, უმაღლესი დონის მომღერალი, რომელიც შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში იზრდება. ახლა ის თავის გამოცდილებას სტუდენტებს უზიარებს. ნოდარ ანდღულაძის მოსწავლეთა შორისაა ლადო ათანელი — მსოფლიოს წამყვანი ბარიტონი, ნ. გამგებელი – ტენორი, ბევრი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი. გიორგი ონიანი (ტენორი), მიშელინ ქობალიანი (სოპრანო) და სხვ. ამგვარად ასე ტრანსფორმირდება გამოცდილი პედაგოგის მეთოდი. იმ ღირებულის შეფასებისას, რაც არსებულ მეთოდშია, ვლინდება საერთო პრინციპები, რომლებიც ვოკალურ პედაგოგიკაში გამოიყენება.

მამა-შვილის ურთიერთობა ვოკალურ სარბიელზე უცნაურად აეწყო.

ნოდარ ანდღულაძის მოგონებებში ვლინდება მამის პედაგოგიური მეთოდის გასაოცარი თვისებები, მოსწავლის პრობლემისადმი ინდივიდუალური მიდგომა. ნ. ანდღულაძე ადრეულ ასაკში მიეჩვია მამის პედაგოგიურ მოღვაწეობას, ყოველდღიურად აკვირდებოდა მამის შრომას საკონცერტო პროგრამებსა და საოპერო პარტიებზე. „სამსახიობო ოსტატობის მრავალწლიანი შეჯამებისას, მის ვოკალურ ტექნიკაზე შემექმნა საკმაოდ რთული სურათი დ. ანდღულაძის პიროვნების უნიკალურობის შესახებ, როგორც მსახიობ-მომღერალზე", აღნიშნავს ნოდარ ანდღულაძე. მომღერლის დრამატული ნიჭის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა დიდმა რუსმა რეჟისორმა კ. სტანისლავსკიმ. მან ახალგაზრდა დავითის შესაძლებლობები რეჟისორის სტუდიაში სწავლისას 1927-1929 წლებში შეაფასა. ახალგაზრდა მომღერლისთვის ეს იყო ვოკალური და სცენური ოსტატობის სრულყოფის შესანიშნავი სკოლა. ახალგაზრდა მომღერალმა სტანისლავსკის და დირიჟორ ბ. ხაიკინის ხელმძღვანელობით მოამზადა შემდეგი პარტიები: რუდოლფი პუჩინის „ბოჰემაში", თვითმარქვია მუსორგსკის „ბორის გოდუნოვში", გერმანი ჩაიკოვსკის „პიკის ქალში", ლევკო რიმსკი-კორსაკოვის „მაისის ღამეში". ამ სპექტაკლებით სტუდიამ მოიარა 1928 წელს ლენინგრადი, იმ დროს ახალგაზრდა ბ. შვედოვმა, შემდგომში თბილისის კონსერვატორიის პროფესორმა ანდღულაძის ხმას „ოქროს ხმა" უწოდა.

ახალგაზრდა მომღერალმა მოღვაწეობა თბილისის ოპერაში გააგრძელა. XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს თბილისის ოპერაში გაჩნდა პირველი მაგნიტოფონი და მომღერალს საშუალება მიეცა, ჩაეწერა თავისი სპექტაკლები, რომელთა განხილვასაც ესწრებოდა ხოლმე ნოდარ ანდღულაძე: „დაუვიწყარია ეს არაჩვეულებრივი ხმა, მე დღემდე მახსოვს იმ ჩანაწერთა ხმა".

იმ დროს დავით ანდღულაძე უკვე სახელგანთქმული იყო, იწვევდნენ საბჭოთა კავშირის წამყვანი საოპერო თეატრები, 1933-36 წლებში იყო დიდი თეატრის სოლისტი, სადაც სპეციალურად მისთვის დაიდგა მეიერბერის „ჰუგენოტები" და ვერდის „ტრუბადური". „ჰუგენოტები" მომღერლის თეატრიდან წასვლის შემდეგ უკანასკნელი 80 წლის განმავლობაში რაულის პარტიის შემსრულებლის არყოლის გამო აღარ დადგმულა. დავით ანდღულაძე მღეროდა გამოჩენილი დირიჟორების ხელმძღვანელობით. მისი კოლეგები იყვნენ მსოფლიო საოპერო კულტურის გამოჩენილი ადამიან-

ები: ნ. მიგაი, ს. ლემეშევი, ი. კოზლოვსკი, ნ. პეჩკოვსკი, მ. რეიზენი, ა. პიროგოვი, ვ. ლუკანინი, ს. ინაშვილი, ნ. ვალაცი.

ძალიან მნიშვნელოვანია მის თანამედროვეთა მოსაზრებები. თავის ერთ-ერთ გამოსვლაში სახელოვანი კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე აღნიშნავდა: „თეატრალურ წრეებში გაჩნდა მოსაზრება, რომ საბჭოთა კავშირში არის ჩაიკოვსკის „პიკის ქალში" გერმანის პარტიის ორი შემსრულებელი: ლენინგრადში — პეჩკოვსკი, თბილისში – ანდღულაძე". 1941 წელს იტალიიდან დაბრუნებულმა ცნობილმა მომღერალმა ა. ცესევიჩმა მოისმინა დავით ანდღულაძე ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერში" და აღიარა, რომ „მსოფლიოში არის ორი ტენორი, დასავლეთში – ლაური-ვოლფი, აღმოსავლეთში — ანდღულაძე".

აღსანიშნავია ერთი დეტალი: 1931 წელს იტალიაში ლა სკალაში დ. როსინის „ვილჰელმ ტელის" პირველი დადგმიდან მეასე საიუბილეო წელს არნოლდის პარტია შეასრულა დ. ლაური-ვოლფიმ, მისი შესრულებით წარმოადგინეს „ჰუგენოტები" და „ტრუბადური". იმავე დროს ამ მოვლენებისაგან დამოუკიდებლად, თბილისის ოპერაში ამ პარტიებს დავით ანდღულაძე ასრულებდა. ცნობილი იმპრესარიო ალექსი წერეთელი აპირებდა პარიზის ოპერაში ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის" დადგმას, კომპოზიტორის ხელმძღვანელობითა და დავით ანდღულაძის მიერ მთავარი როლის შესრულებით. მისი დრამატული ტენორის უნიკალურობაზე უკვე ევროპაშიც საუბრობდნენ, რაც იმ დროისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ერთ თავის წერილში ა. წერეთელი წერდა: „ძალიან დამაინტერესა დავით ანდღულაძემ, მისმა ხმამ, ტენორია ის თუ ბარიტონი?"

სამწუხაროდ, მიზეზთა გამო დადგმა არ განხორციელდა.

იმ დროის ტრიუმფალური გვირგვინი იყო 1937 წელს მოსკოვში გამართული ქართული ხელოვნების დეკადა. თანამემამულის სიმღერით მოხიბლულმა სტალინმა დავითი მიიწვია აგარაკზე, სადაც თავად ასწავლიდა ბილიარდის თამაშს. ამ თითქოს უმნიშვნელო დეტალმა მომავალში იხსნა მომღერალი რეპრესიებისაგან, რადგან ის პირველი მსოფლიო ომის დროს იყო მეფის არმიის ოფიცერი და იბრძოდა რუმინეთში. დ. ანდღულაძე იყო უდიდესი ფიზიკური ძალის პატრონი. ის მენშევიკური მთავრობის დროს ლეიტენანტად მსახურობდა. მისმა შეხვედრამ სტალინთან იხსნა მისი სიცოცხლე, მისი სამი ძმა დახვრიტეს. სამსახიობო ოსტატობის ჭრილში დავით ანდღულაძე იყო სტანისლავსკის ნამდვილი მემკვიდრე. ის ყოველ სპექტაკლში ამართლებდა დიდი რეჟისორის ფორმულას „სცენიური სიმართლის მხატვრულ ფორმაში განხორციელება".

გენიალური რეჟისორის რჩევები მადლიერი მოსწავლის შემოქმედებაზე აისახა.

საინტერესოა დ. ანდღულაძის მოწაფის ზურაბ ანჯაფარიძის აზრი: „მსოფლიო საოპერო სცენაზე ცნობილი ვარ გერმანის პარტიის შემსრულებლად. ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ შევქმნა დამაჯერებელი სახე. ვოკალიც, ემოციაც, სამსახიობო ოსტატობაც მთელი სპექტაკლის განმავლობაში — ყველაფერი ეს არის ჩემი მაესტრო, რომელიც მიზანს პირველ აქტში, გმირის პირველივე ფრაზაში აღწევდა. ეს ემოცია სავსეა დრამატულ-ეპიკური მასშტაბით, დავით ანდღულაძე დგას იმ მსახიობ-მომღერალთა რიგში, როგორებიც იყვნენ შალიაპინი, კარუზო, რუფო".

საინტერესო დეტალი: 1982 წელს ცნობილი მუსიკათმცოდნის მიხეილ გიჟიმყრელის დისერტაციის დაცვაზე, თემაზე — „საოპერო მომღერლის გარდასახვის შემოქმედებითი პრინციპები შალიაპინის შემოქმედების მაგალითზე" — ოპონენტმა პროფესორმა სიმონ კიკვაძემ სამართლიანი შენიშვნა მისცა დისერტანტს: „ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა ამ საკითხების განხილვა დავით ანდღულაძის მაგალითზე".

თანამედროვენი ხშირად ავლებდნენ პარალელს დავით ანდღულაძესა და შალიაპინს შორის, რაც ქართული საოპერო ხელოვნებისათვის დიდ მიღწევად ითვლება.

დ. ანდღულაძის მიერ შექმნილ პალიტრას აქვს რაღაც საერთო, რაც დამახასიათებელია ინდივიდუალური მანერისათვის. ესაა დიდი შინაგანი თავშეკავებულობა, ემოციური ზედმეტობების გარეშე, ესაა ხასიათის კეთილშობილ შტრიხთა ხაზგასმა, რაც აღამაღლებს მის გმირებს. შალიაპინი, შესრულებისას უდიდესი ემოციურობის მიუხედავად, აღიარებდა თავშეკავებულობას, „ნუ იტირებ, როცა გმირი უნდა ტიროდეს, შეიკავე თავი ქვითინისაგან, ნუ ითამაშებ მთვრალს, ითამაშე ადამიანი, რომელიც ცდილობს დაფაროს, რომ ის მთვრალია".

სტანისლავსკის ფუნდამენტური პრინციპი იყო არა სენტიმენტალურობა, არამედ გრძნობათა სიღრმე: „გიყვარდეს ხელოვნება შენში, და არა ხელოვნებაში შენი თავი". ეს აერთიანებდა დიდ მომღერალ-მსახიობებს და სამსახიობო

გარდაქმნის სისტემის გენიალურ შემქმნელს. დავით ანდღულაძის შემოქმედება მის სახელოვან თანამედროვეთა შორისაც კი გამორჩეულია.

სტანისლავსკიზე საუბრისას ერთხელ მამამ ნოდარ ანდღულაძეს საინტერესო შემთხვევა უამბო: ჩვენ „ბოჰემაზე" ვმუშაობდით რეჟისორთან სახლში, მან გვაწვალა მიზანსცენებზე. მიუზეტას როლის შემსრულებელმა მელცერმა უთხრა: „ეს ყველაფერი საინტერესოა, მაგრამ იტალიელები ხომ ასე არ მუშაობენ, უბრალოდ დგანან და მღერიან". ყველა მსახიობი გაირინდა, რეჟისორმა კი წყნარად უპასუხა: „იმღერეთ, როგორც იტალიელები მღერიან, მე აღარ გაჩვენებთ არც ერთ მიზანსცენას". სტანისლავსკის უნდოდა, ეჩვენებინა ვოკალური და სცენური ოსტატობის სინთეზის მნიშვნელობა.

დ. ანდღულაძის ვოკალური ნიჭიერება ადრეულ ასაკშივე გამოვლინდა. ხმის დიაპაზონის ბუნებრივი ფენომენი დაბალი სი ბემოლიდან მეორე ოქტავის მი ბემოლამდე, ეს სასიმღერო პროცესის გასაოცარი ორგანულობა ბავშვობაშივე განუვითარდა. ის იყო გამოჩენილი დისკანტისტი, გურულ სიმღერებში ასრულებდა კრიმანჭულს, არა ფალცეტით, არამედ ხმით. სასიმღერო აპარატის უნიკალურობას ხელს უწყობდა მისი სუნთქვის ტექნიკა, რომელსაც მთელი ცხოვრება სრულყოფდა. მისი ყოველი ბგერა ემოციური სიმართლით სუნთქავდა. დ. ანდღულაძის ვოკალური სუნთქვა არ მიეკუთვნება სუნთქვის არც ერთ ტიპს: ლავიცისეულს, დიაფრაგმულს ან მკერდისეულს. ეს იყო მხატვრული სასიმღერო საწყისით გადამუშავებული შემოქმედებითი სასიმღერო სუნთქვა. სუნთქვაზე მუშაობამ ის დააახლოვა სახელოვან ქართველ ფონიატრს მ. ნოზაძეს. მათი თანამშრომლობის შედეგად მომღერლის ინტუიციამ მიიღო მეცნიერული საფუძველი და კავშირი გენიალური რუსი მეცნიერ-მკვლევარის ლ. რაბოტნოვის აღმოჩენასთან, რომელიც ასევე ინტუიციურად იკვლევდა სტანისლავსკის სისტემაში მომღერლის სუნთქვის თეორიას. სუნთქვა განიხილებოდა როგორც შემოქმედებითი, და არა მექანიკური პროცესი. მოგვიანებით სტანისლავსკის მსგავსად დავით ანდღულაძე მივიდა იოგების სისტემამდე, და ეს მეთოდი თავიდანვე გამოიყენებოდა ზურაბ ანჯაფარიძისა და ზურაბ სოტკილავას ხმების ჩამოყალიბებისას. ხაზგასასმელია, დ. ანდღულაძის მეთოდის კომპლექტურობა, რაც ნიშნავს ხმაზე, მხატვრული შესრულებით ვოკალურ ტექნიკაზე მუშაობას ესთეტიკურ-ეთიკური პოზიციით.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მომენტი დაკავშირებულია ერთმანეთთან: სასიმღერო სუნთქვაზე მუშაობა გულისხმობდა როგორც ფიზიკურ, ისე ესთეტიკურ მიმართულებას, ბგერის ემისიის სიმსუბუქე წარმოადგენს არა მარტო მექანიკურად დამუშავებული ფონაციის სიმსუბუქეს, არამედ შინაგან თავისუფლებასაც, რომლის მიღმაც ვლინდება ბუნებრიობის, გულწრფელობის და სულიერი თავისუფლების შესრულების ესთეტიკური ამოცანა. სუნთქვის პრობლემის გადაწყვეტა გულისხმობდა შესრულებული ნაწარმოების მხატვრული ჩანაფიქრის გახსნას, რაც დ. ანდღულაძის ან მის მოწაფეთა სიმღერისას არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ახდენდა.

მაესტროსთან შეხვედრისას ზურაბ ანჯაფარიძე კონსერვატორიის მეორეკურსელი იყო.

გარკვეული სიძნელეების გამო ტენორიდან ანჯაფარიძე ბარიტონზე გადავიდა, შედეგად ხმოვან იოგებზე გაჩნდა კვანძები. პედაგოგმა ვ. ქაშაკაშვილმა დახმარებისათვის ურჩია დავით ანდღულაძისათვის მიემართა. ანდღულაძის სტუდენტობის ერთი წლის განმავლობაში მარტო გამღერებები იყო. ი.ს. ბახის მხოლოდ ერთ არიას მღეროდა, რომლის დიაპაზონი პირველი ოქტავის ფა დიეზს არ აღემატებოდა. წლის ბოლოს ხმის იოგებზე კვანძები აღარ იყო. დავით ანდღულაძე ანჯაფარიძესთან მუშაობისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოსწავლის მიერ იმ პრინციპებისა და სავარჯიშოების ათვისებას, რომლებიც პედაგოგიური მოღვაწეობის დასაწყისში გამოიმუშავა. აუცილებელია არც თუ დიდი მოცულობის სუნთქვის აღება

გულმკერდის არის გაფართოების შეგრძნებით ქვედა ნეკნების დონეზე. მუცლის კუნთები რჩება რბილი და ელასტიკური, გამორიცხულია ხმოვან კვანძებზე სუნთქვის ფორსირებული მიწოდება. ეს მომღერლისათვის ქმნის ხმის ჟღერადობის კომფორტულ პირობას. დაძლეულია ბგერის რხევა და ტრემოლაცია, ხმის ნაპრალის მუშაობისათვის აუცილებელი წყობა ყალიბდება.

მოცემულმა სისტემამ მოსწავლეს საშუალება მისცა ერთი წლის განმავლობაში გათავისუფლებულიყო ხმოვანი იოგები კვანძებისაგან, რაც ყრუ და დაბალი ხმის შთაბეჭდილებას ტოვებდა. გაჩნდა სუფთა ჟღერადობა, ხმის მოქნილობა, დიაპაზონის ზედა მონაკვეთთან თავისუფალი გადასვლა. თითქმის მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა პედაგოგი ანჯაფარიძის გარდამავალ რეგისტრზე: ფა, ფა დიეზი, პირველი ოქტავის სოლ, კვანძების რხევა 324-348ჰც საზღვრებში. შედეგად ანჯაფარიძეს დაუბრუნდა მაღალი სატენორო რეგისტრი, 524 ჰც რხევის მეორე ოქტავის დო დიეზამდე. მუშაობის შედეგად მიღწეულ იქნა მაგარ სასაში ჟღერადობის რეზონანსული სიახლოვე. ეს გამომუშავდა სიმღერისას ღიმილით, რითაც შემდგომში ანჯაფარიძე აჯადოებდა მსმენელს. მეოთხეკურსელ ანჯაფარიძეს ყურადღება მიაქცია კონსერვატორიის რექტორმა, კომპოზიტორმა გრიგოლ კილაძემ, საოპერო სტუდიის დამაარსებელმა, მომღერლის დებიუტი შედგა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერში" აბესალომის პარტიის შესრულებით. პრემიერამ ანჯაფარიძის კარიერაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, მას

საოცარი წარმატება ხვდა წილად. სახელოვანმა მსახიობმა აკაკი ხორავამ მიულოცა დავით ანდღულაძეს და უთხრა: „ამ მოსწავლით შენ ძეგლი დაიდგი". 1951 წელს ზურაბ ანჯაფარიძე თბილისის ოპერამ მიიწვია. მას შესთავაზეს საუკეთესო პირობები მუშაობისათვის, მონაწილეობა „აბესალომის" ახალ დადგმაში ოდისეი დიმიტრიადის ხელმძღვანელობით. რეპეტიციებზე პედაგოგი ეხმარებოდა თავის მონაფეს, რომ ის ძალიან არ გადაღლილიყო, (უნდა აღინიშნოს, რომ აბესალომის პარტია დაწერილია ლირიკულ-დრამატული ტენორისათვის, ძალიან დიდია მოცულობით, შეიცავს მკაფიოდ გამოსახულ ტესიტურულ სიძნელეებს). გენერალურ რეპეტიციაზე პედაგოგმა იმღერა (თეატრის დაუწერელი კანონით, პრემიერაზე მღერის ის, ვინც გენერალურ რეპეტიციაზე იმღერა), რათა ზურაბისათვის დასვენების საშუალება მიეცა. ეს იყო საყვარელი მოსწავლისათვის ნამდვილი თავდადება.

მეორე უდიდესი ტენორი ზურაბ სოტკილავა ასევე ბარიტონის რანგში იწყებდა თავის კარიერას პროფესორ ბოკუჩავას კლასში. ამ ტიპის ხმასთან შინაგანმა ჭიდილმა განაპირობა ზურაბ სოტკილავას გადასვლა მესამე კურსიდან დავით ანდღულაძის კლასში. ეს მოხდა 1962 წლის ნოემბერში, ზურაბმა შეასრულა რახმანინოვის რომანსი „დავტოვოთ საყვარელო", ნოდარ ანდღულაძემ მოისმინა სოტკილავა და უთხრა მამას: „ჩვენს კლასში გენიოსი მოვიდა". დაიწყო ხმის გადაწყობის ურთულესი სამუშაო, საჭირო იყო ხმის ტრემოლაციის მოშორება, ბარიტონიდან ტენორზე გადასვლა, დიაპაზონის ზედა მონაკვეთის შექმნა. ერთ წელიწადში მოხერხდა ის, რომ სოტკილავამ იმღერა დე გრიეს არია პუჩინის ოპერიდან „მანონ ლესკო". პუჩინი ღია გაკვეთილზე მოსკოვში, ვოკალის მეთოდისტთა საკავშირო ყრილობაზე, სადაც დავით ანდღულაძის მოხსენებამ „სუნთქვა და ხმის მოხურვა სიმღერაში" უდიდესი წარმატება მოიპოვა. ანდღულაძის ღია გაკვეთილების მოსმენისას პროფესორი ლ. დმიტრიევი წერდა: „ანდღულაძის კლასში აღზრდილი სტუდენტების ხმა ყოველთვის გამოირჩევა სიზუსტით და მთელ დიაპაზონზე ლამაზი ჟღერადობით. პედაგოგი შესანიშნავად აყალიბებს ხმის გარდამავალ ბგერებს, რაც განაპირობებს დიაპაზონის ზედა ნაწილის დაუფლებას, ბგერა იღებს აუცილებელ ძალასა და მკაფიოობას".

ვოკალიზაციის პროცესი არ ამოიწურებოდა ინტონირების სიზუსტითა და სოლფეჯირებით, ის გულისხმობდა პასუხისმგებლობას ნაწარმოების ფაქტურის წინაშე, ავტორის ჩანაფიქრის წინაშე. აქ უკვე გარდა ესთეტიკურისა, თავს იჩენს ეთიკური მოტივი, რაც ყოველ დეტალში შეესაბამება სტანისლავსკის მოთხოვნათა სისტემას. ეს ყველაფერი თავს იყრიდა თავად დავით ანდღულაძის ხმის ჟღერადობაში, მის ფრაზირებაში, ვოკალურ-სცენური დრამატურგიის ინტერპრეტაციაში, რაც შესასრულებელი ნაწარმოების ქვეტექსტში ჩაწვდომას გულისხმობდა. ეს ყველაფერი ქმნიდა შესრულების სრულყოფილებას. ამას მივყავართ დიდი რუსი მსახიობის, მიხეილ ჩეხოვის გამონათქვამის „სიმსუბუქე, მიზანდასახულობა, ფორმა, სილამაზე„ — ჭეშმარიტებამდე და ის, როგორც მთავარი პრინციპი, ისე განხორციელდა დიდოსტატის პარტიებში: აბესალომი, გერმანი, რაულ დე ნანჟი, მანრიკო, ხოზე, კანიო და მრავალი სხვა. ეს ყველაფერი ქმნიდა სცენურ ხიბლს, მისი შესრულება აოცებდა მსმენელს გულწრფელობით, სიღრმით, სიძლიერით, ლირიზმთან შერწყმული დრამატიზმით. კოლეგები და მცოდნეები დავით ანდღულაძეს უწოდებდნენ ოლიმპიელს, რომელმაც 30 წლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობით თბილისის ოპერის სცენაზე ამ თეატრის ისტორიაში ოქროს ეპოქა შექმნა. სამწუხაროდ, მომღერლის თეატრალური მოღვაწეობა მაშინ დასრულდა, როცა ის თავისი ოსტატობის მწვერვალზე იმყოფებოდა, ეს განაპირობა რეპეტიციაზე მიღებულმა ფიზიკურმა ტრავმამ.

უდიდესი იტალიელი ტენორი ჯუზეპე დი სტეფანო თავის წიგნში „სიმღერის ხელოვნება" გვიამბობს ძველ მომღერალთა თვისებებზე. „მათი პორტრეტებით და სურათით შეგვიძლია გავიგოთ, როგორ მღეროდნენ ისინი. თანამედროვე მომღერლის სახე ვოკალურად არამეტყველია, თითქოს წაშლილია".

მხოლოდ როლების ფოტოების ხილვისას ვოკალის ცნობილი იტალიელი პედაგოგი ჯენარო ბარა-კარაჩოლო ამბობდა დავით ანდღულაძეზე: „რა დიდებული მომღერალია და რა დიდებული მსახიობი", და ყოველთვის ულოცავდა წარმატებას დავით ანდღულაძეს ლა სკალას სცენაზე. მთელი თავისი აღფრთოვანება მან დავით ანდღულაძისადმი მოწერილ ერთ წერილში გამოხატა: „ბრწყინავს და ათას წელს იბრწყინებს დავით ანდღულაძის დიდებული სკოლა, რომელიც აღიარებს ყველაფერს, რაც მე ვიცი ვოკალზე".

ქართული ეროვნული

ხორუმი

დავესესხები გენიალურ ქართველ მწერალს და მეც გავიმეორებ: „ხორუმი ქართული ცეკვაა." ქართული და თანაც როგორი— ნაღდი, ძირძველი, ყველა ცეკვაზე და ყველა ქართულზე უფრო ქართული. როგორც დედამიწის შრეები, ათასწლეულებს რომ შეუქმნია და დაუფარავს ძველი სამარხები, საკულტო ნაგებობები თუ ნივთები, აქაც ერთმანეთს ფენებად დასდებია: წარმართულს — ქრისტიანული, მონადირულს — საბრძოლო, ბუნებითს — სასცენო ელემენტები. ცხადია, თავიდანვე ასეთი დახვეწილი ვერ იქნებოდა, კვალი დრომაც დაატყო და სცენამაც, ეს არაა გასაკვირი, ცეკვების გათანამედროვეობის პროცესი ახლაც, ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს და კანონზომიერიცაა — ისევე, როგორც ის ვნებათაღელვა, რაც ამ ცვლილებებს მოჰყვება. საერთოდაც, მე ნიჭის დამახსიათებელი თვისება მგონია, თავისებურად, საკუთარ თარგზე მორგება რაიმესი, გემოვნებიანად, დროისა და სიმაღლის შესაბამისად ახლისა და ძველის სინთეზი... რამდენს ვფაფხურობთ, ვსაქმიანობთ, ვხმაურობთ, ვითომ რომ გადავარჩინოთ დავიწყებას, მომავალ თაობებს შემოვუნახოთ, არადა, მგონი თავად უნდა გადაგვარჩინოს. მთავარი სხვა რამაა, ნაბან წყალს ბავშვიც არ გადავაყოლოთ და ცეკვას, რომელსაც ეროვნულს ვუწოდებთ, სული არ წავართვათ ქართული, თორემ ცვლილება არასოდეს უმტკივნეულოდ არ ხდება ბუნებაში. „მზე როცა ჩადის, აღმოსავლეთს გაჰყურებს ისიც, თავის ბავშვობას და ისიც ნანობს." რაღა ითქმის ადამიანზე, მით უფრო ერზე — კაცობრიობას უყვარს თავისი ბავშვობის ხანა, როცა პირველად იდგამდა ფეხს — ფერადი, ლამაზი სიზმარივით ახსოვს და უყვარს,ამიტომაცაა ძნელი ძველის დავიწყება და შეცვლა, თუმცა ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს სვლაძიება შეწყდეს. მხოლოდ ამ სიარულმა ისევ სახლში უნდა დაგვაბრუნოს გამოცდილები და გაკეთილშობილებულები. არადა, ახლის დასაწყისი ყოველთვის რაღაცის დასასრულია, ამ ცვალებად და სწრაფმავალ ცხოვრებაში რაღაც ხომ უნდა არსებობდეს მარადიული და უცვლელი. ფესვების სღრმე ხის სიმაღლის თუ არა, სიძლიერის პირდაპირპროპორციული ხომაა. დასასრული კი თუნდაც ზღაპრისა, ყოველთვის ტოვებს გულისდაწყვეტას, მაგრამ ბევრი რამ სწორედ დასასრულის შემდეგ ხდება შესამჩნევი და ღირებული — მერე იბადება ლეგენდა — მითი — მისტერია — მარცვლიდან ჯეჯილის აღმოცენებაზე. როგორც მიწაში, გულსა და გონებაში თუ არ დაიფლა, მოსავალი ისე არ მოდის.

არ შემხვედრია ქართველი ქართული რიტმის გაგონებისას გულისცემა არ გახშირებოდეს და ხელის გაშლის ჟინი არ მოძალებოდეს — ეს მელოდია ჩვენი სულის რაღაც ძალიან ღრმა სიმებს არხევს, იმდენად ღრმას, რომ ზოგჯერ თვითონაც არ ვიცით მისი არსებობა, მერე კი ყველას ჩვენ ჩვენი ლეგენდა გვაქვს — ფაქტია, თავდაპირველად ეს ცეკვა, რომელიმე მტაცებელზე გამარჯვების შედეგად ნამომსკდარი ყიჟინა და ნანადირევის გარშემო სპონტანური ფერხული იყო, „ხორუმი" ხომ გამარჯვების ცეკვაა. როგორი შთამბეჭდავი და ემოციურია კარგად შესრულებული „ფარიკაობა", გინდა „შეჯიბრი", მაგრამ „ხორუმს" კიდევ სხვა ხიბლი აქვს, მისი შესრულებისას დარბაზი სტადიონს ემსგავსება — თითქოს გადამწყვეტ მომენტში მეკარესთან ერთი-ერთზე გასული ფეხბურთელის მიერ გოლის გატანის მოლოდინით სულშეგუბებული მაყურებლით, და მერე ერთიანად ფეხზე ნამომხტარი ტრიბუნებით. რა აძლევს ამ ხიბლს „ხორუმს"? განა „ფარიკაობა" და „შეჯიბრი" ასევე ქართული საბრძოლო ხელოვნების და ოსტატობის მაჩვენებელი არ არის?

„ხორუმი — ხორო — ბერძნ. ფერხულსა ჰქვიან" — ასე განმარტავს სულხან-საბა.

„ხორო(დ) — ძნობთა და მძნობელთ განწყობილობას უწოდებენ."

ბარემ აქვე „ძნობიც" განვმარტოთ. „ძნობი — შეწყობილი ხმა(ł)" და ფერხული ხომ ისედაც ვიცით, რომ ცეკვაა — „მრგვალთა წყობა." შეადარეთ — „ფერხისა — როკვა მრავალთა მობმით."

აი, ეს მრავალთა და მობმით ცეკვა ხომ არ უნდა იყოს მიზეზი ხორუმის განსაკუთრებულობისა, მაშინ, როდესაც სხვა ცეკვებში სწორედაც, რომ სოლისტთა (გმირების) ინდივიდუალურ სიჩაუქესა და მოქნილობაზე, გინდაც სისწრაფესა და ვაჟკაცობაზეა აქცენტი? თუ ისტორიას პიროვნებები ქმნიან და ომს გმირები იგებენ? შეიძლება ასეცაა, მაგრამ ფაქტია, რომ ხორუმში სწორედ ის სიმწყობრე და სინქრონი გვხიბლავს და გვიზიდავს, რაც, სხვათაშორის, სწორედ ამ პირველყოფილ და წარმართულ საუკუნეებში დაბადებული ცეკვის განვითარების უმაღლესი საფეხურის მაჩვენებელი მგონია. — სწორედ ეს სიმწყობრეა სამხედრო ძლიერების მაჩვენებელიც — სამხედრო სიძლიერის გარეშე კი წარმატებული სახელმწიფო ვერ იარსებებს. ერთი წუთით წარმოიდგინეთ ხორუმი — და სულგანაბული ერთარსებად ქცეული დარბაზი — თითქოს დოლის რიტმული ხმა კი არა, გულისცემა ისმის დარბაზში. სრულდება ცეკვა და ოვაციები მთის მდინარესავით ხმაურით ეშვება იარუსებიდან, პარტერიდან — თითქოს ყველა მოგებული ბრძოლის სიამაყე და პირველყოფილი ყიჟინა (როცა სიტყვები საჭირო არაა).

რითია ნაკლები გამომსახველობითი თუ ზემოქმედების საშუალებებით ლიტერატურაზე, ან მხატვრობაზე? იქნებ პირიქითაცაა, ერთდროულად რამდენიმე ათასი კაცი ექცევა ცეკვის გავლენის ქვეშ და ემოცია ეგზალტაციას აღწევს. მით უფრო, რომ აქ მარტო ქორეოგრაფია არაა — მუსიკასაც თავისი ძალა და როლი აქვს. თუმცა ჩემთვის ის იმდენად შეზრდილია ქორეოგრაფიასთან, რომ მათი დაცალკევება არ ხერხდება, ერთ მთლიან ქსოვილად იკითხება მათთან კონტექსტში სასცენო მხატვრობაც — კოსტუმების შავი და წითელი რიტუალურსაზეიმო განწყობას ქმნის. მახსენდება ბესიკ ხარანაულის სიტყვები: „აღმოსავლურ მინიატურებში იმდენი სისხლია ცას შეღებავდაო." ხორუმის ქართული ცაც (კოსტუმის წითელი და სცენის განათება) სისხლით შეღებილი მგონია, ხოლო თავაწეული მეომრების მწკრივი სცენიდან გასვლისას, ჩამავალი მზის მეწამულ ფონზე წეროების მწკრივად მეჩვენება — შავი ხომ გლოვაა, რომელიც, თუნდაც გამარჯვებისას, ომს ყოველთვის თან ახლავს. ის შეიძლება დროებით კიდეც გადაფაროს გამარჯვების სიხარულმა, როგორც საღებავის სქელმა ფენამ კედლის ძველი მხატვრობა, მაგრამ ყოველთვის იკითხება. . .

დაბოლოს, მაყურებელი, რომელიც უნებლიე მონაწილე ხდება სპექტაკლის.

ზღვარგადასული ემოცია ცეკვის დასრულებისას, როგორც დრამატურგიის ნაწილი ისე აღიქმება.

სიფრთხილე, წინდახედულება, გონიერება, სტრატეგია, ტაქტიკა, სითამამე, სიჩაუქე „მოქნილობა, ვაჟკაცობა, თავგანწირვა, მეთაურის მორჩილება, ნესრიგი და შეთანხმებული მოქმედება — ყველაფერია ამ ცეკვაში, — საუკეთესო თვისებები, რაც აუცილებლად მიგიყვანს გამარჯვებამდე და ეროვნული ნიჰილიზმისთვის ადგილი აღარ რჩება, ყველა კითხვა, რომელიც რახანია, გაწუხებს, ისტორიის გაყალბების, გადაწერისა და გადამოწმების შესახებ, პასუხგაცემულია. დიახ, ხორუმი ქართული ცეკვაა — მაშ, ჩვენ რა დაგვემართა?! ჩვენ რაღა დაგვემართა, სად გაქრა ეს ნაქები თუ საქებარი თვისებები?! მით უფრო, რომ გამარჯვებას მეომართა რიგებში არევ-დარევა კი არ შეაქვს, ისევე მწყობრად, ღირსეულად გადიან სცენიდან (გამარჯვება შემთხვევითი სულაც არაა). და თუნდაც მცირე ხნით, მაგრამ მაინც გეუფლება საკუთარი თავის, მომავლის რწმენა — რაც უფრო ღრმაა, რაც უფრო ძლიერია ფესვები, მით მეტია ამპლიტუდა და ამინ!...

დავით ანდრიაძე

ვარლამ არავიძის ვედრება

თენგიზ აბულაძის „ა-მოთხრის“ ცდა

„წუხელის სიზმარი ვნახე, ნეტა, დედა, რაო?!

იმდენი არაა ჩემი მტერი, დედაჩემმა ამიხსნას ეს სიზმარი; დედაჩემი კი არა, მამაზეციერი ვერ შეძლებს მის ექსპლიკაციას.

ამიტომ, სჯობს, გავისარჯო და, ჩვეულებისამებრ, თავად ავხსნა ეს უცნაური ზმანება.

რაო, რა ნახე ასეთი, შე უბედუროო?! რა კი არა, ვინ ვნახე! ვინ და — ვარლამ არავიძე ვნახე, ჩემმა უპირველესმა „მეგობარმა“ — ერთგულმა ძილმა მომივლინა.

ინანიებდა თავის ცოდვებსო — ალბათ, ასე მომიგებთ, ხომ?!

არა ბატონებო, კი არ ინანიებდა — ევედრებოდა; ღმერთს ევედრებოდა ვაჟას სიტყვებით:

„ღმერთო, მიიღე ვედრება, ეს ჩემი სათხოვარია: არ დამეკარგოს გულიდან მე შენი სახსოვარია“...

წარმოგიდგენიათ, ვარლამ არავიძის „ვედრება“ — „Это разве нормально“?!

როგორი უცნაური კონტამინაციაა, არა?! თენგიზ აბულაძის ორი კინოტექსტი — „ვედრება“ და „მონანიება“ რა უჩვეულოდ ეხლართებიან ერთიმეორეს, თანაც ჩემს „სიზმარში“...

ეტყობა, მართლა არ მომკვდარა ვარლამ არავიძე...

არც თენგიზ აბულაძე მომკვდარა...

მის კინოსურათებს ბევრი ახლაც სიამოვნებით უყურებს; პირადად მე, მათი „ავტორის“ ფოტოსურათებიც მხიბლავენ...

აბულაძის კინო, ძალიან ჰგავს მის „ავტორს“ — კოპწია, ელეგანტური, ნარცისული, ცოტა არ იყოს გაპრანჭული, სიტყვაძუნწი, დავარცხნილი...

არა, მუზებს რომ მასპინძლობდა ხოლმე, ამაში ეჭვი ნაკლებად მეპარება. ისიც ვიცი, რამდენი ღამე გაუთევია მასთან პოეზიას (თუ პოეტურ კინოს), თუმცა მერე ისე საგულდაგულოდ აუთოებდა ზეწარს, რომ ვნების კვალსაც არ ტოვებდა. არადა, ხელოვნებაში მე დაჭმუჭნული ზეწარი უფრო მხიბლავს.

იყო მასში რაღაც მანიერისტულიც, ბაროკალურიც... რაღაც ხელოვნურიც იყო მის სურათებში, რაღაც მეტისმეტად მონდომებული, ზედმეტად დაშიფრული, საგულდაგულოდ მოჩარჩოებული (თუ დაჩარჩული)...

ჟან კოკტოს ერთი აფორიზმი აქვს: „ნუ შექმნით ხელოვნურ ხელოვნებას“. აბულაძემ შექმნა „ხელოვნური ხელოვნება“; და მაინც გაიმარჯვა!

ერთი (და ორი) შეხედვითაც უჭირდა ცხოვრებასთან, ყოველდღიურობასთან პირისპირ მისვლა, პირდაპირი დიალოგი. ძალიანაც კარგი! ხელოვნება მუდამ „ზურგსუკან“ იბადება; ზურგსუკან და „ირიბად, ალმაცერად“... „მორიდებულობა“ განსაკუთრებით იგრძნობა მის უკანასკნელ ფილმში - „მონანიება“; თითქოსდა, როგორი „მოურიდებელი სიმართლეა“ ამ სურათში და იმავდროულად, როგორი მორიდებული, რესპექტაბელური, პოლიტკორექტული გაუცხოება; ამბობს და არც ამბობს სიმართლეს, „ობიექტივირება“ ხომ არ უჭირს, ხომ არ თვალთმაქცობს, განგებ ხომ არ ურევს „კარტებს“, გზას ხომ არ გვიბნევს?! ამასობაში თვალსა და ხელს შუა გვისხლტება „ნამდვილობის“ ილუზია, თუმცა, პრეპარირებული ხელოვნებაც ხომ არსებობს?!

„მონანიება“ რატომღაც ზეინაბ ბოცვაძის გმირის მიერ რელიგიურ მოტივებზე გამომცხვარ ტორტს მაგონებს – მრავალსართულიან, ფუმფულა, ლამაზ, გემრიელ, ტკბილ, მსუყე ტორტს... მეც ძალიან მომინდა ახლა ტორტის დაგემოვნება. საერთოდ, მიყვარს ტკბილეული, ხანდახან ხელოვნებაშიც; რა სჯობია არტისტულ ნუგბარს?!

„მონანიება“ — „პერესტროიკის“ ეპოქის ეს

პოლიტიზირებული კინო-ზღაპარი აბულაძის ფილმი არ იყო, სხვისი სურათი იყო, ,,სხვისი შვილი", მაგრამ ღვიძლივით შეიყვარა, გაზარდა, გზაზე დააყენა, დააჯილდოვებინა (ლენინური პრემიით)...

მოკლედ გორბაჩოვისეული პოლიტიკის „კულტურულ ინსცენირებას" ძალიანაც მოერგო „მონანიება".

ეს ,,სხვისი შვილი" დღესაც არ გვასვენებს, გვაღელვებს, არა იმდენად თავისი მხატვრულობის (ესთეტიზმში არ აგერიოთ!), რამდენადაც გადამდები სოციალურობის გამო (ვითომ); თქვენ კინოტორტი უძახეთ და, რატომღაც, ვერ იქნა და ვერ მოვინელეთ ეს ანგაჟირებული ,,დესერტი". ,,მონანიება" კი მაინც არ გვასვენებს, გვიბიძგებს, ა-მოვთხაროთ მისი ავტორი. არადა, ვინაა ეს ,,ავტორი"?! ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ა-მოვთხაროთ და ,,ავტორის" ვინაობა მერე გაირკვევა, ოღონდ ჯერ დავასაფლაოთ და მერე ა-მოვთხაროთ...

თენგიზ აბულაძემ თავადაც მშვენივრად იცოდა დასაფლავების ფასი; სოციალური ეგზგუმაციის ფასი გვიან შეიტყო. ,,ვედრება" — ვაჟას საუკეთესო კინორეცეფცია გავიხსენოთ; ანონიმი პერსონაჟი რომ ,,გამოიჭერს" ფილმის ლირიკულ გმირს და მიცვალებულთა გაძარცვას დააბრალებს... ნუთუ მიცვალებულებსაც ძარცვავენო? – გაიკვირვებს ,,ვაჟა"; ძარცვავენ, ძარცვავენ, და უნდა გაძარცვონ კიდეც, ოღონდ მიცვალებულს გააჩნია!

მოკლედ, როცა ,,საჭიროებამ" მოითხოვა, აბულაძემ გაიცნობიერა, რომ სანამ მიცვალებული მიწაშია, იგი ფაქტობრივად ცოცხალია. მოგვიანებით შეიტყო, რომ ცოცხლები და მკვდრები სოციალურად სტრუქტურირებული ტოტალობაა, რომ ინდივიდის სოციალური ყოფიერება სიკვდილისთანავე არ სრულდება. არათუ არ სრულდება, პირიქით, იწყება! ასე იძენს მიცვალებული ახალ სოციალურ პრესტიჟს.

მკვდარი! რა საშიში სიტყვაა, სიტყვა კი არა, მთელი ტექსტია, საშიში ტექსტი. სა-შიში! ამ ტექსტის ხო არ ეშინიათ ,,მონანიებაში"?! აი ,,მონანიება" კი, როგორი რბილი, დამყოლი სიტყვაა; სწორედაც სიტყვა და არა აქტი; ,,მონანიება", ,,მო-ნა-ნი-ება"... ლამის ,,იავნანასავით" ჩაგვესმის ეს სიტყვა...

ახლა, პრესტიჟი?! ,,მონანიებაც" პრესტიჟის საქმეა! თვით აბულაძემაც სიკვდილის შემდეგ შეიძინა ახალი სოციალური პრესტიჟი; იგი სპეციფიკურად მკვდარი რეჟისორია. სხვისი არ ვიცი და, ჩემთვის ,,მონანიება" ერთგვარი თვითმკვლელობაც იყო, თუგინდ, თავისებური ავტოტერაქტი, მე ვიტყოდი, არცთუ ძალიან სწორად დაგეგმილი ავტოტერაქტი. არადა, ამ ბრწყინვალე რეჟისორს (რომელს?) ყველაფერი დაგეგმილი ჰქონდა; წარმატებაც კი...

კინოენის მცოდნეთ შემთხვევით არ აღიზიანებთ აბულაძის კინოსურათების (სწორედაც, სურათების!) ხმოვან-ხედვითი რიგის ,,აბსოლუტური", მე ვიტყოდი, არაადამინურად გათვლილი სიზუსტე, ლამის ნატურმორტიზირებული კადრ-სცენები.

თეორეტიზირებული ხელოვნება მართლაც გამაღიზიანებელია, მეტისმეტი თვითდისციპლინაც აუტანელია ალბათ, ამას დავუმატოთ ამაო სიფრთხილე, პრეტენზიული ,,კეთილმოწყობილობა"... მართლაც, უცნაური კონტრასტი იყო აბულაძის ფილმებში რეპრეზენტირებული ,,სინამდვილის" ქაოსსა და მისი კინოდისკურსის ,,კოსმოსს" შორის. თითქოს, ქაოსის ეშინოდა, ვერ დაეჯერებინა, რომ ანარქია წესრიგის დედაა.

აი, ქაოსმოსი კიდევ „სხვა" რამაა; ქაოსმოსი ანუ ორგანიზებული ქაოსი და დეცენტრირებული კოსმოსი — ყბადაღებული პოსტმოდერნიზმის ეს ერთი ძირეული კონცეპტთაგანი.

წეღან პატივისცემით შევნიშნე, აბულაძე სპეციფიკურად მკვდარი რეჟისორია-მეთქი. ალბათ, ზოგი დამეთანხმება, ზოგი – არა. ზოგმაც შეიძლება ოლღა ბებიასავით: წუხანდელი ღამენათევია ბატონო და ჩაეძინაო, მერე კი ზურგს უკან ჩაიქირქილოს – მკვდარი შენ თვითონ ხარო. ეჰ, მკვდარი ვარ, აბა რა ვარ, გულმკვდარი...

ასეა თუ ისე, ბატონი თენგიზის საფლავი ქართულ კინოპანთეონში სპეციალური გალავნითაა გამოყოფილი ,,სხვა" რეჟისორების საფლავებისაგან, მათ ა-მოთხრა არ ემუქრებათ!

ა-მოთხრა, ა-მოთხრა, ა-მოთხრა... არ მითხრათ, რას გადაეკიდე ამ სიტყვასო (,,რას გადამეკიდე, რად მიძვრები სულში; სულში რად მიძვრები?!"); და მაინც, ამ რესპექტაბელური რეჟისორის კინოსაფლავს გამუდმებით ელის ა-მოთხრა — ეს რიტუალური აქციაა. ამიტომაც ფხიზლობს მის მემორიალთან უჩინარი ,,მცველი", მისი ტრადიციების და-მცველი.

მიცვალებულთა სამყარო — ო, რა ძვირფასი რამაა! ნეკროპოლიც განიცდის თურმე ცოცხალთა სამყაროში მომხდარ ცვლილებებს, სოციალურ და პოლიტიკურ ნოვაციებს, ,,ნგრევას, ო, ნგრევას, დაუნდობელ ნგრევას ძველისას"...

იქნებ, თენგიზ აბულაძე, როგორც მიცვალებულ, ანდა უფრო ლამაზად — განსვენებულ ქართველ რეჟისორთა ელიტის გამორჩეული რეპრეზენტანტიც გრძნობს მის ,,შემდეგ" მომხდარ ძვრებს — „პერესტროიკის" ძვირფას შედეგებს.

შემდეგ, შემდეგ, შემდეგ... მართლაც და, რა ხდება ჩვენს „შემდეგ"?!

ასეა თუ ისე, თქვით, იცოდაო მან... დასაფლავების, უფრო დელიკატურად დაკრძალვის რეპრეზენტაცია, წინასწარი შერბენა... სიკვდილში; სიკვდილის დასწრება; დასწრება და გასწრება. დასაფლავების წარმოდგენა ხომ იცოდა დალოცვილმა, მაგრამ დასაფლავებუ-

ლის ამოთხრაც (და გვამის ხეზე მიყუდებაც) რომ იცოდა და იცოდა?! ესეც ხომ რეპრეზეტანციაა, ა-მოთხრის რეპრეზენტაცია!

საერთოდ, დასაფლავება მართლაც რეპრეზენტაციული აქციაა, უცნაურად ლამაზი, ოდნავ დამღლელი, მაგრამ მაინც სასიამოვნო; ფარსული აქცია;

ასეა, თუ სიკვდილი — ტრაგედიაა, დასაფლავება უკვე – ფარსია. მიცვალებულის ა-მოთხრა რაღაა — ტრაგიფარსი?! ყოველ შემთხვევაში, ბატონი თენგიზი ამგვარი ტრაგიფარსის დიდოსტატი იყო თავად. როგორი მკაცრი „გემოვნებითაა" დადგმული ჯადაროზის, დიიიდი ჯადაროზის დასაფლავება „ვედრებაში" ანდა ანტიპენკოს მიერ გადაღებულ შავ-თეთრ კინოპროცესიას როგორ უწყობს ნაბიჯს ნოდარ გაბუნიას „მუსიკა"... გაბუნიასიო კი ვამბობ, მაგრამ არვო პიარტს რა პასუხს ვაძლევთ?!

და მაინც, როგორი პრეციოზული სიზუსტითაა „განცდილი" კინოქრონოტოპი, ბახის კარგად „ტემპერირებული კლავირივითაა" დამონტაჟებული კადრ-ეპიზოდები... აი, დასაფლავება! ახლა (აბზაცით) ვარლამ არავიძის პანაშვიდის ეპიზოდი გავიხსენოთ, უფრო ზუსტად — სცენა... ულამაზესი, ესთეტურად მოდელირებული (და მოდულირებული) სანახაობა; სიკვდილი მოგინდება კაცს, ისეა დადგმული, ანდა „ინკლიკანტურად" თუ ვიტყვი — რეჟისირებული (ხომ კარგია!). ანდა, მეამბოხე შვილიშვილის — თორნიკე აბელის ძე არავიძის ზმანებაში დასახული (თუ კვლავაც, „რეპრეზენტირებული") „მკვდარი" ვარლამი გაიხსენეთ: რა ლამაზად წევს მოკირწყლული ეზოს ცენტრში მდგომ კუბოში ეს „პირსისხლიანი დიქტატორი"; გარს რძალი უვლის, თორნიკეს დედა; და ცეკავს... ეს — ცეკვა კი არა, პოლიტიკური ქორეოაქციაა, რატომ პოლიტიკური? იმიტომ, რომ ეს ცეკვა (ქართული?) პოლიტიკური სიმშვიდის გარანტია: რახან ვცეკავთ, მაშასადამე, ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი ძველებურად, ვარლამისებურად მიდის. ვარლამი „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს"... „იძინე მშვიდად" — აი, ამ ქორეოაქციის დევიზი (თუ რუბრიკა?). რაო, არ გაგიგონიათ სამგლოვიარო მიტინგებზე წარმოთქმული ამგვარი რელაცია?! „იძინე მშვიდად" — წარსულის „სიცოცხლესაც" ნიშნავს; და არათუ „სიცოცხლეს", კიდევ მეტი, ამ „სიცოცხლის" მზარდ აქტუალიზაციასაც მოასწავებს. ოღონდ, ერთი კია: ეს — ფიქტიური წარსულია... ეს მომენტი პირველად ლეონიდ იონინმა დააფიქსირა.

და მაინც, ვარლამების „ძილი" (და არა სიკვდილი) მათი აქყოფნის, ანუ როგორც ჟაკ დერიდა იტყოდა (ცხადია, არაქართულად!), „დასწრების მეტაფიზიკით" მოტივირდება. სწორედ ასე „მეტაფიზირებენ" ვარლამები; და ჩვენც გვიკარგავენ ძილსა და მოსვენებას. ძილში გვეზმანებიან და შემდეგ... ოჰ, ეს „შემდეგ"...

ერთი უცნაური დეტალიც:

„მონანიების" ერთ ეპიზოდში, ქეთევან ბარათელი, მეუღლის ამბის გასაგებად გრძელ რიგში ჩამდგარი, სხვა რეპრესირებულთა შორის, ასეთ გვარსაც გაიგებს: „სააკაშვილი მიხეილ..." მერე მოდიან ქორელი, ბარათელი...

მე მგონი, ეს ეპიზოდი (დროებით მაინც!) ამოსაჭრელია!

მოკლედ, ვარლამი ისევ დამსწრეა; თავისი სიკვდილისშემდგომი სიცოცხლის დამსწრე, სიკვდილის შემდგომი კი არა, სიკვდილ-ზე შემდგომია ეს არავის ძე, „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი".

საიდან მოდის სილამაზე და სად მიდისო? — კითხულობენ „ნატვრის ხის" რეზონიორულ ეპილოგში. ამ კითხვაზე, როგორც ესთეტიკის პროფესორს, გამზადებული პასუხი მაქვს. აი, დასწრებული ყოფიერების წადილი საიდან იბადება, ამ კითხვაზეც დერიდა პასუხობს: საიდან და რეპრეზენტაციის უფსკრულიდან, გამრავლების უსაზღვროებიდან, რეპრეზენტაციების რეპრეზენტაციებიდან იბადებაო... დაიბადოს!

ასე მრავლდებიან ვარლამები... სიყვარულისა არ იყოს, ვარლამებიც არ კვდებიან, ნინული... და არც შეიძლება მოკვდნენ, უფრო ზუსტად, ვერ მოკვდებიან... მურმან ლებანიძემ თავისი კეთილი გულით რომ „დასწყევლა" პავლე ინგოროყვა, „შენ ვერ მოკვდებიო" (მაინც მოკვდა!) – ეგ სხვა საქმეა. აი, არავიძეების სიკვდილი კი მართლაც, არ ეგების. მათი — ისევ დერიდას ტერმინით თუ ვიტყვი (მიყვარს ტერმინები!), trace, ანუ კვალი რჩება, „კვალი ნათელი"; და ეს trace – უკვე დასწრება კი არა, დასწრების სიმულაკრია.

რძალი კი (სახელი დამავიწყდა!), ამასობაში ისევ განაგრძობს „პოლიტიკურ ფერხულს", თანაც „ფაკულტატურ ფერხულს"; სწორედაც „ფერხულს", და არა „რიტუალს", რადგანაც, როგორც განსვენებული იური ლოტმანი იუწყება, „რიტუალი მუდამ სავალდებულოა, ფერხული – კი ფაკულტატური". ყოველივე ეს კი, იმპერატიულობის გაქრობის კვალობაზე, იმასაც გულისხმობს, რომ სწორედ ეს „ფერხულია" — trace-ც და რიტუალის სიმულაკრიც.

სოცარტისტებმა ამგვარი „ფერხული" ჩვეული მახვილგონივრულობით გამოიყენეს, როგორც იმუნოგენური ხერხი; დომინირებად მხატვრულ თუ სოციალურ რიტუალებთან „გაუცხოების" აქტი. სწორედ ამ „ფერხული-სიმულაკრით" მოახერხეს არქეტიპულ რიტუალთა ენის დაუფლება და trace-ზე სოცარტისტული დისკურსის გამომუშავება გ-აშშ-ებულმა რუსმა ემიგრანტებმა. ამ რიტუალთა დეკონსტრუქციას სხვაგვარად ვერც იქმოდნენ.

ასე ეთხოვებოდნენ კომარი და მელამიდი პალადიუმში ლენინის ცვილის ფიგურას...

ღმერთო, რა იყო ეს? რა და, სიმულირება, უტოპიური მსოფშეგრძნების ნიშანდობლივი სადღესასწაულო მოლოდინი, უკანასკნელი (სიკვდილისწინა) სიხარულის მისტიკა, რომელსაც ჟორჟ ბატაისა არ იყოს, კუთხეში ვერ მოიმწყვდევ.

სხვათა შორის, ეროტიკული სიკვდილი და ცეკვაც ნიშანდობლივი კულტურანთროპოლოგიური ასპექტით ერითმებიან ერთურთს: გარკვეულწილად, ესაა ჩვენი, ადამის შთამომავალთა ერთადერთი სოციალური როლი; როლი ეროტიკული მომაკვდავისა, უფრო ზუსტად ეროტიკული მკვდრისა... და აქედანვე მომდინარეობს კარნავალურობა არქეტიპული „მორტალური თამაშობებისა", უხეშად ეროტიკული „პროტოლუდიებისა", „პირველადამიანის", ყოველ შემთხვევაში „პირველმიცვალებულის" დასაფლავებას რომ გულისხმობს და ამაში ვლადიმირ ნიკალაიჩ ტაპაროვისა თუ იგრ პავლოვიჩ სმირნოვის ტექსტებიც დაგვემონმება.

„საყვარელი რძლის" ქორეოდრამაც სოცარტისტულ კონტექსტში ხომ არ იშიფრება?! დავუშვათ, რომ ჟაკ ლაკანის სიმბოლური (წეს) რიგიდან, ისიც იმ ინსტანციაში აიზიდება, რასაც ჟან ბოდრიარი აღნიშნავს როგორც ჰიპერრეალურს, ლაკანისავე სამი (წეს) რიგის ფუნქციონირებას რომ ატყვევებს და წინ ეღობება... რძლის ფერხულიც ხომ, იმგვარ სივრცეში „ტარდება", კუთხე რომ არა აქვს... არც კუთხე და არც გამოსავალი...

ფერხული კი გრძელდება... ლამისაა, ექსტაზში (თუ კვაზიექსტაზში) გადაიზარდოს; რძალი კი, ისევ თავდავიწყებით ცეკვავს, ცეკვავს კი არა, როგორც „გენიალური გრიგოლ რობაქიძე" იტყოდა, როკავს... დიიდი გემოვნების პატრონი გახლდათ „გველის პერანგის" ავტორიცა...

რობაქიძე კარგად იყოს და... თუმცა, ერთი წუთით... უჰ, მგონი შეაწუხეს ვარლამი, ხომ არ გამოფხიზლდა ეს დიდი გვამი? გამოფხიზლდა და ეგაა, კუბოდან წამოიწია, მგონი ადგომაც დააპირა, მაგრამ, უმალვე გადაიფიქრა: „არ ღირს"... არა, ეს – პენსნემ შეაწუხა (სხვათა შორის, ბატონ თენგიზსაც როგორ უხდებოდა სათვალე!). მოიხსნა, ფრთხილად დადო ბალიშზე, თითქოს გაიზმორა კიდეც (ჩვენ გავიზმოროთ), გვერდზე გადაბრუნდა (თქვენც ხომ არ გიყვართ ასეთი ძილი?) და ისევ დაიძინა. წერტილი!

ვარლამი ცოცხალია! მაგრამ, მკვდარიცაა. ცოცხალი რომაა, ამიტომაც უნდა ამოითხაროს; და საერთოდ (გამიგეთ!), მიცვალებულის ა-მოთხრა აუცილებელია, ა-უ-ცი-ლე-ბელი... რათა მკვდარი გავაცოცხლოთ, მარად ცოცხალი მკვდრის სტატუსი მივანიჭოთ, ანუ გავაცოცხლოთ, რათა მოვკლათ და პირიქით, მოვკლათ, რათა მარადიულად ვაცოცხლოთ...

ჩვენი ყველაზე ძვირფასი, „მარად ცოცხალი მკვდარი" — ლენინი გავიხსენოთ (სიკვდილსამც დავიწყებიხარ!); ვერ იქნა და ვერ დავმარხეთ, ამიტომაც გვიჭირს მისი ა-მოთხრა. არადა, საკითხავია, რატომ ვთხრით არავიძეებს და რატომ არ ვმარხავთ ლენინებს?!

მაინც დავმარხავთ!

მერე კი ამოვთხრით, სამჯერ კი არა, სამასჯერ ამოვთხრით, ისევ დავმარხავთ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, შემდეგ შემდეგ, შემდეგ... ესეც – რეპრეზენტაციების რეპრეზენტაცია! თუმცა ლენინის დამარხვა ხომ უკვე ა-მოთხრის მომასწავებელი იქნება, ა-მოთხრის, ანუ სიკვდილის მაუწყებელი. მაგრამ, ლენინი სასიკვდილოდ რომ არ ემეტება ჩვენს ერთმორწმუნე რუსეთს?! არც ჩვენ გვემეტება!

კი მაგრამ, სტალინის დასაფლავება რაღას ნიშნავდა? ა-მოთხრას!

მოკლედ, ყველაფერი თავდაყირა დგება.

რას იზამ. ასეთია ცხოვრება...

P.S. „მას უნდოდა საფლავი, ნაღვარი, ქვიშიანი"-ო — ამას „ნატვრის ხის" ავტორი წერდა ვაჟაზე და „დანაშაულად" მიაჩნდა მისი დიდუბეში ჩასვენება. „მთა უნდა მთასთან იყოს"-ო... ამიტომაც ამოთხარეს „ჩემი ვედრების" ავტორი და ზევით აიყვანეს. ასე რომ, დიდი გოგლაც „თხრიდა" თურმე მიცვალებულებს, თხრიდა და „ზევით" მარხავდა; „ზევით, ვაჟა ფშაველა" — ლოზუნგივით არა ჟღერს მისი სტრიქონი?!

ვინ იცის, ეგებ ბატონ თენგიზსაც გამოუჩნდეს ჭირისუფალი (აკლია თუ?!) და მანაც შესძახოს „ზევით, აბულაძე". თუმცა, ისედაც ზევითაა.

და მაინც, ჰაუპტმანისა არ იყოს, „ქვევით იზრდება ბუნებრივობა, ზევით — ხელოვნურობა. ქვევით — ერთობლიობა, ზევით — სიმარტოვე, თავისუფლება ზევიდან ქვევით მატულობს, ქვევიდან ზევით კი, მიჯაჭვულობა".

„ზევით, სულ ზევით!" თუ „ქვევით, სულ ქვევით!" — ამოირჩიეთ ლოზუნგი, ანუ როგორც ახლა ვიტყვით — სლოგანი. თუმცა, „ზევით/ქვევით", ან/თუ როგორც ბატონ თენგიზს უყვარდა თქმა, „ზენა/ქვენა" — ბინარული ოპოზიცია ნუღარ გეგონებათ. ეს — უბრალოდ, რედუბლიკაციაა, არავითარი „ზენა" და „ქვენა" არ არსებობს, ელდარ შენგელაიასეული „ცისფერი მთების" ერთი პერსონაჟისა არ იყოს, გინდ ზევით ადი და გინდ ქვევით ჩადი. ეჰ, ყველაფერი სულ ერთია; სულ ერთია ყველაფერი.

და საერთოდ, ყველაფერი სისულელეა. თენგიზ აბულაძეს კინოგვამის ამოთხრაც სისულელეა...

დასასრული



რაზმ ჩხარიშვილი

თბილისის საერთაშორისო ფესტივალი

შთაბეჭდილება, რომელიც ერთი წელი ყველას გაჰყვება

უკვე მეორედ, თბილისი გრანდიოზულ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს მასპინძლობდა. გრანდიოზულობაში ვგულისხმობ არა მხოლოდ ფართო გეოგრაფიულ მასშტაბს, მონაწილე ქვეყნების რაოდენობას და ფესტივალის ხანგრძლივობას, არამედ უპირველეს ყოვლისა, მის მხატვრულ მხარეს და ფესტივალში მონაწილე ავტორთა სახელებს სტრელერს, ნეკრეშუსს, ჩხეიძეს, კორშუნოვასს და ფართო ქართული საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილ, მაგრამ გენიალურ შემოქმედს ჰელგა ბრეჰმეს...

ნლევანდელი ფესტივალი შარშანდელთან შედარებით გაცილებით მაღალ დონეზე იყო. შესაბამისად, ინტერესი და მოლოდინიც ფესტივალის მიმართ წელს კიდევ უფრო გაიზარდა. ვინრო თეატრალური წრის გარდა ფესტივალის უცხოურ სპექტაკლებს გაუჩნდა უამრავი თაყვანისმცემელი და მაყურებელი.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, ორგანიზატორების ძალისხმევით იქცა წლის მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენად. ფაქტია, რომ სახელოვნებო სფეროს ყველა სხვა ღონისძიება თავისი მასშტაბით და მხატვრული ხარისხით ფესტივალმა "Tbilisi International" ცალსახად გადაფარა. ნლევანდელმა ფესტივალმა უფროსებისაგან მონათხრობი ამბავი გამახსენა, როცა სპექტაკლებზე ურიცხვი მაყურებლის მოზღვავების გამო ცხენოსან პოლიციელებს იძახებდნენ თეატრებში წესრიგის და უსაფრთხოების დასაცავად. ნელსაც ფესტივალის ორგანიზატორებს საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის გამოძახება დასჭირდათ, რათა პიკოლო თეატრის წარმოდგენაზე მარჯანიშვილის თეატრში მაყურებელი უსაფრთხოდ შესულიყო. თეატრალურმა ფესტივალმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნამდვილ ხელოვნებას, რაც არ უნდა ვიწრო წრისთვის იყოს ის გათვალისწინებული, ყოველთვის ეყოლება ფართო მომხმარებელი. მისასალმებელია ისიც, რომ სტუდენტებს, თეატრის მოღვაწეებს, კრიტიკოსებს მიეცათ ფესტივალის სრულ პროგრამაზე უფასოდ დასწრების საშუალება და, რაც მთავარია, ქართველმა მაყურებელმა ნახა ამდენი საინტერესო, მაღალპროფესიული სპექტაკლი.

სანამ უშუალოდ ფესტივალის უცხოურ პროგრამაზე მოგითხრობდეთ, თვალი გადავავლოთ იმ ღონისძიებებს, რომელიც საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში გაიმართა. მათგან გამოვარჩევ პროფესიონალ კრიტიკოსთა სიმპოზიუმს და ქართულ „show case"-ს. ასევე ორი წიგნის პრეზენტაციას: აკაკი ვასაძის „მოგონებები, ფიქრები" (ორ ტომეული) და მანანა ანთაძის მიერ ორიგინალიდან თარგმნილ ტენესი უილიამსის „კამინო რეალს". პირველი წიგნის პრეზენტაცია რუსთაველის თეატრში გაიმართა. გენიალური მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი ვასაძის ვრცელი მოგონებების ორ ტომად შეკრული წიგნი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა მეორედ გამოსცა. ეს არის შევსებული, უხვად ილუსტრირებული გამოცემა, რომელიც მსახიობის შვილიშვილმა, თეატრმცოდნე და კრიტიკოსმა მაკა ვასაძემ მოამზადა საოჯახო არქივის აქამდე უცნობ მასალებზე დაყრდნობით. წიგნის საგამოცემლოდ მომზადებაში მეც ვმონაწილეობდი და უდიდესი სიამოვნება მივიღე და, რაც მთავარია, დღემდე უცნობი ბევრი ინფორმაცია გახდა ცნობილი თეატრის ისტორიიდან ჩემთვის. ახალ, რედაქტირებულ გამოცემაში შესულია ის თავები, რომელიც საბჭოთა ცენზურამ პირველი გამოცემის დროს ამოიღო. პროფესორი ვასილ კიკნაძე წინათქმაში აღნიშნავს, რომ ეს წიგნები, სახელმძღვანელო დანიშ-

ნულებასთან ერთად, მრავლის მიმცემია არამხოლოდ პროფესიონალთათვის. საბჭოთა წყობილების დროს ბევრი რამ ცენზურამ ამოიღო. I ტომს დაემატა: გრიგოლ რობაქიძის "ლამარას" დადგმის შესახებ რუსთაველის თეატრში; "ჩემი სამსახიობო გზა" (გამოქვეყნებული 1988 წ.); საინტერესო მასალით, შეივსო II ტომიც, მათ შორის, ხელნაწერებიდანაც. "წინამდებარე წიგნები აკაკი ვასაძის მთელ სამსახიობო გამოცდილებას არ ასახავს. და მაინც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომში კომპაქტურად არის გადმოცემული ამ დიდი ხელოვანის შემოქმედების მამოძრავებელი ბირთვი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი მომენტიც: თუმცა ეს ნაშრომები დაიწერა თანამედროვეობისაგან განსხვავებული თეატრალური ესთეტიკის სამყაროში, მაინც ისეა შესრულებული, თითქოს სულ ახლახან იწერებოდა და მასში ასახული სამსახიობო სკოლა, ვასაძისეული თვით 20-40-იანი წლების ესთეტიკა დღეისთვისაც ცხოველმყოფელია. არც რაა აქ გასაკვირი: აკაკი ვასაძის შემოქმედება სცენაზეც ხომ მუდამ თანამედროვე იყო თავისი არსითაც და ფორმითაც". განახლებულ გამოცემაში ავტორისეული სტილი დაცულია.

პრეზენტაციების ფარგლებში მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო „მარჯანოვ ექსპრესში" გამართული ტენესი უილიამსის „კამინო რეალის" ქართულენოვანი გამოცემის პრეზენტაცია. პიესა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოში დაფინანსებით გამოიცა (გამომცემლობა „აგორა") თარგმნა მანანა ანთაძემ, მიხეილ თუმანიშვილის ფონდის დამაარსებელმა, ყოველწლიური პრემიების „საუკეთესო თარგმანი" და „ახალი ქართული პიესა" დამაარსებელმა და ხელმძღვანელმა, კინომსახიობთა თეატრის სალიტერატურო ნაწილის ხელმძღვანელმა. „კამინო რიალი" უკვე დადგმულია ქართულ სცენაზე. იგი მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სცენაზე განახორციელა ბრიტანელმა რეჟისორმა ჰილარი ვუდმა. სცენური ვარიანტის ტექსტის დიდი ნაწილი (16 ბლოკიდან 11) მანანა ანთაძემ თარგმნა, ხოლო დანარჩენი ხუთი რეჟისორმა ქეთი დოლიძემ. სპექტაკლზე მუშაობის დროს მთარგმნელი და რეჟისორი ცალკეულ დეტალებზე ვერ შეთანხმდნენ. მთარგმნელი სხვაგვარად ხედავდა პიესის ქართულ ვერსიას და რეჟისორი სხვაგვარად. ამიტომ, ქალბატონი მანანა შეეცადა დამოუკიდებლად დაესრულებინა „კამინო რეალის" თარგმანი, რომელსაც ექვსი თვე მოანდომა.

ფესტივალის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ქართული "show case"-ი, რომელმაც გახსნა საფესტივალო პროგრამა და რომლისთვისაც საგანგებოდ ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოვიდა ორმოცამდე უცხოელი პროდიუსერი, კრიტიკოსი, თეატრის მკვლევარი, თუ მენეჯერი. მიტომაც იყო, რომ ფესტივალის ამ ნაწილზე ამყარებდა დიდ იმედებს ქართული თეატრები და მათი ხელმძღვანელები. სასტუმრო "ჩიტადინეს"-ში ოთხი დღის განმავლობაში ეწყობოდა „დილის შეხვედრები", სადაც საქართველოს სხვადასხვა თეატრი აკეთებდა საკუთარი თეატრის პრეზენტაციას, თუმცა ქართულმა ხასიათმა აქაც იმარჯვა (დილით გაღვიძება ქართული თეატრის წარმომადგენლებს უჭირდათ) და „ბაზარში" მოსულ კლიენტებს (უცხოელ ექსპერტებს) ცარიელი დახლები ხვდებოდა. „დილის შეხვედრები" მაინც შედგა, რაც უშუალოდ ფესტივალის ხელმძღვანელის ეკატერინე მაზმიშვილის და ქართული "სჰონ ცასე"-ის კოორდინატორების და პრესასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელების ქეთევან კანტიძის, თეონა მაღალაშვილის, თამუნა ლალიაშვილის და მაკა ყუბუსიძის დამსახურებაა.

ქართულ „show case"-ში მონაწილეობა ოცდაათამდე თეატრმა მიიღო, რამდენიმე თეატრმა ორი და მეტი სპექტაკლი წარმოადგინა. ბევრი დადებითი მხარეების მიუხედავად, გამოიკვეთა გარკვეული პრობლემებიც, რაზეც შენიშვნების გათვალისწინება თუ არა, დაფიქრება მაინც ღირს ფესტივალის ორგანიზატორთა მხრიდან. მაგალითად, შარშან ქართულ „show case"-ზე მე და ჩემს რამდენიმე კოლეგას გვქონდა მოსაზრება, რომ ქართულ პროგრამას საგანგებო შერჩევა სჭირდება და ფესტივალზე არ უნდა იყოს წარმოდგენილი პრემიერები. ჩვენი ამ მოსაზრების მართებულობა კიდევ უფრო გამოჩნდა წლევანდელ ფესტივალზე. ორი პრემიერა (ლევან წულაძის და დავით დოიაშვილის), რომელიც ქართული პროგრამის კულმინაცია უნდა ყოფილიყო ჩაიშალა. არა მგონია ამ ფაქტის გამო ფესტივალის და ზოგადად ქართული თეატრის პრესტიჟი არ შეილახოს. მსაგვსი უპასუხისმგებლობა (რომელიც შეიძლება გამონვეული იყო ობიექტური მიზეზებით) მაინც არასასურველ, უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს უცხოელებზე, რბილად რომ ვთქვათ, ფაქტი არასერიოზულია!!! გარდა ამისა, აუცილებლად უნდა მოხდეს ფესტივალში მონაწილე ქართული სპექტაკლების სელექცია. უნდა განისაზღვროს რომელი სეზონის სპექტაკლის წარმოდგენის უფლება აქვს ქართულ თეატრს, ასევე უნდა დავივიწყოთ ქართული ხასიათის არაჯანსაღი მომენტები და არ უნდა მოგვერიდოს უარი ვუთხრათ კოლეგებს უხარისხო პროდუქციის ჩვენებაზე, თუმცა ამ პრობლემასთან პირისპირ შეჯახებას წლევანდელ ფესტივალზე აშკარად გადავრჩით იმ მიზეზის გამო, რომ სპექტაკლების დიდი ნაწილი ერთმანეთს ფარავდა. უცხოელ პროდიუსერთა, თუ კრიტიკოსთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს მიეცა საშუალება

ქართული სპექტაკლების ნახვის, რომლებიც საქართველოს რეგიონებიდან იყო ჩამოტანილი. რეგიონალური თეატრების სპექტაკლები ძირითადად უცხოელი პროდიუსერების გარეშე იქნა წარმოდგენილი. ანუ მიზანი, ვაჩვენოთ და გავყიდოთ ჩვენი პროდუქცია მხოლოდ მიზნად დარჩა „დაპრესილი" პროგრამის გამო. ფაქტიურად შეუძლებელია და იდეაშიც კი წარმოუდგენელია ოთხ დღეში ოცდათხუთმეტ სპექტაკლზე დასწრებაც კი, აღარაფერს ვამბობ ნანახი სპექტაკლების აღქმა-გაანალიზებაზე. ქართული „show case"-ის მომზადებისას მეტი პასუხისმგებლობაა საჭირო.

ორი სპექტაკლი, რომლის მიმართაც ქართველ და უცხოელ მაყურებელს დიდი ინტერესი ჰქონდა და რომელთა პრემიერები ფესტივალზე იყო დანიშნული არ შედგა. გადაიდო მაკა ნაცვლიშვილის სპექტაკლის პრემიერაც რუსთაველის თეატრში, დაუსრულებელი იყო თითების თეატრის და ბესო კუპრეიშვილის ახალი სპექტაკლი „ჰამლეტი"... ამიტომაც განსაკუთრებული განხილვის და კრიტიკოსთა სჯაბაასის საგანი ქუთაისის თეატრის სპექტაკლი „რომეო და ჯულიეტა" (დადგმის ხელმძღვანელი გიორგი სიხარულიძე) და ბათუმის თეატრის „ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით" (რეჟისორი გიორგი თავაძე) იქცა. სწორედ ამ ორ სპექტაკლზეა რადიკალური აზრთა სხვადასხვაობა კრიტიკოსთა შორის. ქუთაისის თეატრის სპექტაკლს, რომელიც შექსპირის „რომეო და ჯულიეტას" უტექსტო მიმოდრამული ვერსიაა, ვივალდისა და ჯექსონის მუსიკის თანხლებით თავგამოდებით იცავს უფროსი თაობის კრიტიკოსები, სამაგიეროდ კატეგორიულად გმობენ ბათუმის თეატრის სპექტაკლს, განსხვავებით ახალგაზრდა და საშუალო თაობის კრიტიკოსებისაგნ, რომლებმაც გიორგი თავაძის სპექტაკლი პოსტ იმპრესიონიზმის ჭრილში განიხილეს. ფართო საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა ოზურგეთის, თელავის, გორის, ცხინვალის, ჭიათურის, ფოთის თეატრების სპექტაკლები. სამაგიეროდ არც უცხოელი და არც ქართველი მაყურებელი აკლდა ალეკი ბლაითის დადგმას „ვგავართ ახალ ჩვენ ლტოლვილებს?" (რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული სცენა). რეჟისორმა იმოგზაურა გორის მახლობლად, სადაც ოსეთიდან დევნილებია ჩასახლებული და რამდენიმე მათგანთან ინტერვიუ ჩაწერა. რუსთაველის თეატრის მსახიობებმა კი მათი საუბარი უცვლელი სახით სცენაზე გააცოცხლეს. სპექტაკლში მონაწილე მსახიობების: მარინა ჯანაშიას, ქეთი სვანიძის, თემიკო ჭიჭინაძის, ლაშა ოყრეშიძის, ედმონდ მინაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ზედმიწევნით ზუსტად დახატეს კონკრეტული ადამიანების მხატვრული სახეები იუმორით, სევდით, ყოფითი პრობლემებითა და იმ გრძნობათა ბუნებით, რითაც ოსეთიდან დევნილები ცოცხლობენ. უცხოელ კრიტიკოსთა არმია არ აკლდა კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლს ლაშა ბუღაძის „7პპ" (რეჟისორი ზურაბ გეწაძე), მუსიკისა და დრამის თეატრის სპექტაკლს „მაკბეტი" (რეჟისორი დავით დოიაშვილი) და მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლს „ქალი ძაღლით" (რეჟისორი ლევან წულაძე). ქართული პროგრამის საინტერესო სპექტაკლები იყო თითების და ჩრდილების თეატრების წარმოდგენები, რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრის სპექტაკლი „სტალინგრადის ბრძოლა", მოძრაობის თეატრის „იგი". ქართული "show case"-ის პრემიერებიდან ყველაზე საინტერესო დათა თავაძის „მახინჯი" აღმოჩნდა, რომელსაც უკვე ფართო გამოხმაურება ჰქონდა პრესაში.

***

ფესტივალის ორგანიზატორებმა მაყურებელს და იმათ ვინც ფესტივალს აშუქებს სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადეს: დაიბეჭდა ორი - ქართული "სჰოწ ცასე"-ის და უცხოური პროგრამის მაღალ პოლოგრაფიული დონის და რაც მთავარია, საჭირო, ამომწურავი ინფორმაციის შემცველი კატალოგი. თუმცა ფესტივალი ყოველთვის ფასდება პროგრამის მრავალფეროვნებით, მონაწილე ქვეყნების რაოდენობით და წარმოდგენილი სპექტაკლების ხარისხით. ფესტივალის წლევანდელ პროგრამას პირადად მე დადებითად ვაფასებ, თუმცა თუ შარშანდელ პროგრამას გადავავლებთ თვალს, წლევანდელი ფესტივალი სტილისტურ-ჟანრული თვალსაზრისით ნაკლებად იყო მრავალფეროვანი. სტილისტურ-ჟანრულ მრავალფეროვნებაში ვგულისხმობ თანამედროვე ფორმების, მიმართულების და მიმდინარეობის თეატრებს. შარშან ჩვენ ვნახეთ სხვადასხვა ტიპის, მიმდინარეობის, სტილის, თუ ფორმის თეატრები. წელს, ოდნავ განსხვავებული (არავერბალური) თეატრი ფესტივალის პროგრამაში მხოლოდ ერთი იყო (სპექტაკლი ისრაელიდან „ბნელ ბაღში") და საფესტივალო პროგრამის 99% ტრადიციულ, ევროპული მოდელის თეატრების წარმოდგენებს ეჭირა. თუ კი ფესტივალის მიზანია ევროპული თეატრალური ტენდენციების ქართველი მაყურებლისთვის გაცნობა, მაშინ რატომ იყო ფესტივალზე წარმოდგენილი მხოლოდ ერთი ტიპის (ძირითადად კლასიკური, ევროპული თეატრის მოდელის) სპექტაკლები? პრეტენზიები რომ ნაკლები იყოს, ამისთვის საჭიროა ფესტივალმა გამოკვეთოს მისი პრიორიტეტები, მიმართულება და სარეპერტუარო პოლიტიკა. ერთი ასეთი პრიორიტეტთაგანი ფესტივალის ორგანიზატორებისაგან წელს უკვე გაცხადდა: ჩვენი მიზანია ფესტივალზე ყოველწლიურად ვაჩვენოთ XX საუკუნის ერთი თეატრალური შედევრი მაინც. ამ მიზნის მიღწევა ფესტი-

ვალმა უკვე შეძლო. 1947 წლიდან დღემდე მხოლოდ ეკა მაზმიშვილმა მოახერხა პიკოლო თეატრის თბილისში ჩამოყვანა და მისი უბერებელი სპექტაკლის „არლეკინი-ორი ბატონის მსახური" ქართველი მაყურებლისთვის ჩვენება. სპექტაკლი ორჯერ იყო წარმოდგენილი ურიცხვი მაყურებლის წინ. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლი რამდენიმე ათეული წლის წინ არის დადგმული, დღემდე შენარჩუნებულია მისი მომხიბვლელობა და სული. ეს არის ფერადი, სახეებით მდიდარი, ფეიერვერკული ტიპის თეატრი. თუმცა ოპონენტები თბილისში სტრელერის ამ შედევრსაც გამოუჩნდნენ.

საფესტივალო პროგრამაში დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ლიტველი კორშუნოვასის, რომელიც ევროპაში ექსპერიმენტატორი რეჟისორის სახელით არის ცნობილი, სპექტაკლმა „ჰამლეტი", შექსპირის ამავე სახელწოდების ტრაგედიის მხიედვით. მოქმედება საგრიმიოროში ვითარდება. პარტერში შესულ მაყურებელს სცენა ღია, ფარდის გარეშე ხვდება, სცენაზე კი განლაგებულია საგრიმიორო მაგიდები სარკეებით და სკამებით, ამ მაგიდებთან კი მსახიობები არიან მიმსხდარნი. ფორმა, რომელიც მაყურებელთა გარკვეული ნაწილისთვის მოსაბეზრებელი აღმოჩნდა და ბევრმა მათგანმა დატოვა კიდეც დარბაზი I მოქმედების დასრულებისთანავე პროტესტის ნიშნად, მკაცრ ლოგიკას ექვემდებარება. კორშუნოვასის სპექტაკლი ბევრისთვის ნამდვილი სასიამოვნო სიურპრიზი იყო; მეორეც სპექტაკლის მთავარ ღირსებად სწორედ ის მიგნებები მიმაჩნია, რომელსაც ასე ხშირად ვხვდებით სპექტაკლში. ყველამ, თეატრალმა, თუ არათეატრალმა, კარგად იცის შექსპირის „ჰამლეტის" სიუჟეტი, უამრავი სცენური ინტერპრეტაცია არსებობს, არსებობს კლიშეები და შტამპებიც კი, რომლისგანაც დიდ რეჟისორებსაც კი უჭირთ თავის დაღწევა. კორშუნოვასმა ფორმითაც და შინაარსითაც ორიგინალური გადაწყვეტა შემოგვთავაზა, მიუხედავად იმისა, რომ ის გვარიანად ჩაერია დრამატურგიულ ქსოვილში (ვგულისხმობ ეპიზოდების გადაადგილებას და არა სიუჟეტიდან გადახვევას) სულაც არ დამრჩენია შეგრძნება, რომ შექსპირის „ჰამლეტს" არ ვუყურებდი. ფორმა, რომელმაც ასე გააღიზიანა მაყურებლის ნაწილი, ჩემი აზრით, ორგანულია სპექტაკლის შინაარსთან და მთავარ იდეასთან. კლიშეებიდან თავის დაღწევა განაპირობებს კლასიკის მუდმივ აქტუალობას. როგორც სტურუამ გადაარჩინა და გააცოცხლა კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი", ისე შეიტანა წვლილი „ჰამლეტის" მუდმივ „გაახალაგზარდავებაში" კორშუოვასმა. სპექტაკლში უამრავი მცდელობაა რეჟისორისა გვიჩვენოს „ჰამლეტის" აქამდე უცნობი მნიშვნელოვანი დეტალები, რომლებიც ახალ კონცეფციასაც განაპირობებენ. კორშუნოვასი მუდმივად ეძებს იდენტურ პერსონაჟებს ჩვენი თანამედროვეობიდან, ყოფიდან და გვიჩვენებს მათ სცენაზე. მეტად მნიშვნელოვანია ის იუმორი და ირონია, რომელსაც ხშირად ვხვდებით ამ სპექტაკლში და ზოგადად კორშუნოვასის დადგმებში. მაგალითად, „ყოფნა-არ ყოფნის" ცნობილი მონოლოგი სამჯერ გვხვდება სპექტაკლში ირონიულ-პაროდიული ფორმატით „ჩაბერვა-არ ჩაბერვა";

კორშუნოვასის ოსტატობა პიესის სიუჟეტის არათანმიმდევრულ თხრობაშიც გამოიხატა, რომელიც მკაცრ დრამატურგიულ ლოგიკურ კანონებს ექვემდებარება. მართალია რეჟისორი ერთ კონკრეტულ სივრცეს საგრიმიოროს გვთავაზობს, მაგრამ ეს სივრცე ხშირად ტრანსფორმირდება და სხვადასხვა ალუზიებად იქცევა ხოლმე. სპექტაკლში ფორმის ხარჯზე გვერდით არ დარჩენილა პიესის მთავარი აქცენტები: ადამიანის ტრაგედია, რომელიც ფარისეველთა და მოღალატეთა გარემოცვაში ცხოვრობს.

ერთადერთი რაც ნამდვილად გამაღიზიანებელი და დამღლელი იყო სპექტაკლში ეს მუსიკალურ ხმოვანი რიგი და სპექტაკლის განათებაა. თეთრი განათება სხვა ფერებში არ გადადის, ის მხოლოდ ციმციმებს. სპექტაკლში მუსიკა არ ჟღერს, აქ მხოლოდ ხმაურებს ვხვდებით, მომაბეზრებელს და შემაწუხებელს. ს რეჟისორის ერთგვარი ხერხია, უნდა იგრძნო პარტერში მსხდომმა, როგორ უბურღავს ტვინს ჰამლეტს მამის აჩრდილის ხმა. ეს ის ხმაურებია, რომელიც მას შურს აძიებიებს.

ჰამლეტის პერსონაჟის ვიზუალური კლიშეს (მაღალი, ახოვანი, ლამაზი ბიჭი) დარღვევა ევროპულ თეატრში კორშუნოვასს არ ეკუთვნის, მაგრამ ის თავისი ჰამლეტით (დარიუს მეშკაუსკასი) უერთდება იმ იდეას რომ ჰამლეტი ერთი უშნო ბერბიჭაა, მაგრამ უაღრესად განათლებული. დარიუს მეშკაუსკასი ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას ნამდვილად იძლევა. სხვათა შორის მთავარი პერსონაჟების უკანა პლანზე გადაწევა კორშუნოვასის სტილია. მის სპექტაკლში „რომეო და ჯულიეტა", რომელიც გასულ ფესტივალზე აჩვენეს თბილისში მთავარი ჯულიეტა, მერკუციო და გამდელი იყო. „ჰამლეტში" მართალია ჰამლეტის სცენები შემცირებული არ არის, მაგრამ მაყურებელთა სიმპათიას პოლონიუსი (ვადოტას მარტინაიტისი), ლაერტი (დარიუს გუმაუსკასი) და ჰერტრუდა (ნელე სავიჩენკო).

კორშუნოვასი ცდილობს შექსპირის პიესაში აღმოაჩინოს უცხო და უცნობი სიღრმეები, რომლებიც ჯერ მის წინამორბედებს არ შეუმჩნევია. ამ ძიების გზაზე ის ხან იმარჯვებს, ხანაც მარცხდება. ამ შემთხვევაში ძნელია თქვა დასძლია თუ არა მან ჰამლეტი, მაგრამ მისი უცნაური სცენური რედაქცია რომ შემოგვთავაზა ესეც ფაქტია. თეთრ განათებასა და სცენოგრა-

ფიაში კონტრასტული შავი ფერით მხოლოდ სარეპეტიციო კოსტიუმებში შემოსილი მსახიობები გვხვდება. მსახიობთაგან მხოლოდ ოფელია იცვლის ტანისამოს და ის ხან თეთრ ულამაზეს კაბაშია გამოწყობილი, ხანაც ჭრელ და ფერადოვან კიმანოში.

კორშუნოვასი კლასიკის გაცოცხლების, მისი თანამედროვედ აყღერების უცნაურ ხერხს მიმართავს. ის კონკრეტულ პერსონაჟებს ისე ხატავს, რომ მათ იდენტურ გმირებს ჩვენს თანამედროვეობაში ვხვდებით, კორშუნოვასის სპექტაკლის მონაწილეები ასოციაციურად ჩვენი თანამედროვეები არიან.

სიუჟეტის არათანმიმდევრული განვითარების მიუხედავად, სპექტაკლში ყველა ეპიზოდი ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს. თუმცა ზოგჯერ რეჟისორი მიამიტ მთხრობელად გადაიქცევა და კონკრეტული მიზანსცენის გადაწყვეტის ისეთ გაცვეთილ, ტრივიალურ ხერხს გთავაზობს, რომ ირონიისა და იუმორის მიუხედავად მას ვერ პატიობ. მაგალითად, ჯერ ჰამლეტის, ხოლო შემდეგ ოფელიას პარტერში ჩამოსვლა და მაყურებელთან კონტაქტი, სისხლის დაღვრა და საკინძიდან წითელი გუაშის ხსნარის გადმოსხმა, ექოს ეფექტი, კლოუნის მიერ ნათქვამი ტექსტი- „სხვა რაღა დარჩა, საუკუნო სიჩუმის გარდა" და სხვა.

საფესტივალო პროგრამის გვირგვინი, კულმინაცია იყო სტრელერის ლეგენდარული სპექტაკლი „არლეკინი-ორი ბატონის მსახური", სპექტაკლი რომელიც დღემდე არ კარგავს სისადავეს, უშუალობას და სიხალვათეს. მთავარ, არლეკინოს, ანუ ტრუფალდინო ბატოკიოს როლში ვიხილეთ უბერებელი ფერუჩო სოლერი. მსახიობი, რომელიც 80 წელს არის მიტანებული ისე მოძრაობს სცენაზე, როგორც, ყველაზე ენერგიული ახალგაზრდა ენთუზიასტი მსახიობი. ეს არის სპექტაკლი დაფუძნებული ტექსტზე და გათამაშებული ისე, რომ ენობრივი ბარიერი საერთოდ მოშლილია. იმდენად მდიდარია პიკოლო თეატრის დასის გამომსახველობითი საშუალებები და იარაღები, რომ სიტყვების სემანტიკური მნიშვნელობა ფუნქციას კარგავს.

არანაკლებ საინტერესო და მომხიბვლელი იყო ირანული ოპერა „როსტამი და ზოჰრაბი" მარიონეტებით. ლორის ჩექნოვერიანის ლამაზ, სასიამოვნო მუსიკას ბუნებრივად ეხამებოდა მშვენიერი მარიონეტები. ირანელმა მსახიობებმა აჩვენეს მარიონეტის ტარების მაღალი ხელოვნება და პროფესიული სრულყოფილება. სპექტაკლში 15 ოსტატი მსახიობი ასამდე მარიონეტს მაღალ პროფესიულ დონეზე ათამაშებს. განსაკუთრებული ეფექტი მოახდინა მაყურებელზე მასიურმა სცენებმა. მარიონეტებს მოქნილად ატარებდნენ მსახიობები. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა დრამატულ-ლირიკულმა მუსიკამაც. რეზო გაბრიაძის ქვეყნის წარმომადგენლებს მარიონეტების ხელოვნებაში ბევრი არაფერი გვიკვირს, თუმცა ირანელთა წარმოდგენა მაინც საინტერესო იყო.

განსაკუთრებული ინტერესით ელოდებოდნენ თბილისში მენო ფორტასის თეატრის დასს. ნეკრეშუსმა ამჯერად ფესტივალზე 14 წლის წინ დადგმული შექსპირის „ჰამლეტი" წარმოადგინა. სპექტაკლისადმი ინტერესს მხოლოდ რეჟისორის ავტორიტეტი არ განაპირობებდა, ამ ინტერესს ემატებოდა ჰამლეტის როლის შემსრულებელი ანდრიუს მამონტოვასი, რომელიც ცნობილი მომღერალია ლიტვაში. ნეკრეშუსმა ის ამ როლზე 14 წლის წინ მიიწვია, მაშინ როდესაც დღეს უკვე სერიოზული ხელოვანი და მაშინ ლიტვური ესტრადის პოპულარული წარმომადგენელი იყო. ნეკრეშუსისა და მამონტოვასის ჰამლეტი 14 წლის წინ გაცილებით ახალგაზრდა იყო, ვიდრე დღეს. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლი რეჟისორის ერთ-ერთი სერიოზული ნამუშევარია, განელილი პაუზების გამო პირადად ჩემთვის ოდნავ დამქანცველი დარჩა.

სიცილ-ხარხარის თანხლებით ჩაიარა ფრანგების სპექტაკლმა „ციცინო ანუ პოლიტიკური პიესა". პიესა სასცენო ხელოვნების კომპანიამ წარმოადგინა მარჯანიშვილის თეატრის სხვენში. ახალგაზრდა ფრანგი მსახიობები როდი გავდნენ იტალიელ, ან ლიტველ პროფესიონალებსა და სცენის ოსტატებს, მაგრამ მათი სიხალვათე და მოუმწიფებლობა ძალიან მოუხდა ტექსტს. სწორედ ტექსტი იყო ის იარაღი, რამაც მაყურებელი და სცენაზე მდგარი მსახიობები ერთ მუშტად შეკრა. ირონიულ-სარკასტული ბულაძისეული ტექსტით დრამატურგი XX საუკუნის მინურულის ქართულ-ჩეჩნურ ისტორიებს პუბლიცისტურად და იუმორის თანხლებით მოგვითხრობს, რაოდენ სამწუხაროა, რომ 10-15 წლის შემდეგაც საქართველოში არაფერი შეცვლილა და კვლავაც იგივე პრობლემების წინაშე ვდგავართ, როგორც პიესის მთავარი გმირი ციცინო და მისი ოჯახის წევრები. უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტი, რომელიც სკეჩისთვის დაწერილ პაროდიას გავს, აქტუალობას არ კარგავს.

ფესტივალზე წარმოდგენილი უცხოური პროგრამიდან ერთადერთი სპექტაკლი იყო „ბნელ ბაღში", რომელიც არავერბალური თეატრალური პრინციპებით იყო დადგმული. სპექტაკლმა ისრაელიდან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე. სპექტაკლის რეჟისორია რამი ბე'ერი. მის სპექტაკლში გაერთიანებულია მუსიკა, ტექსტი (უმნიშვნელო), ვიზუალური ეფექტები, პლასტიკა. რეჟისორი იყენებს შთაბეჭდილებას, რასაც გულუხვად აძლევს მას სამყარო და ის გარემო, რომელშიც ის ცხოვრობს. მისი სამყარო ფერადია. ამიტომ ყველაფერს ოპტიმისტურად ხედავს, მიუხედავად იმისა, რომ მის სამყაროში ეშმაკები არსე-

ბობენ, რომელიც სამჯერ, ან მეტჯერ გადაკვეთს სცენას. ერთ-ერთი გადაკვეთისას კი ის მოცემულ ტრაექტორიას გადაუხვევს და უკან ბრუნდება. ცეკვის თეატრის წარმოდგენა ისრაელიდან იყო შთამბეჭდავი, ფერადი და ოპტიმისტური სანახაობა, დიდი ესთეტიზმით და ცოდნით შექმნილი სპექტაკლი.

გარდა ზემოთ მიმოხილული სპექტაკლებისა, ფესტივალზე წარმოდგენილი იყო გერმანული დასის, „თეატრი ძაფებზე" სპექტაკლი „იორინდე და იორინგელი", ერევნის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლი არისტოფანეს „ღრუბლები", ესტონური პიარნუს ენდრას თეატრის „მონატრება", ხორვატიული სცენური რედაქცია ტენესი უილიამსის ცნობილი პიესისა „მინი სამხეცე", პიტერ ბრუკსის „სასტუმრო მათუსალა" (დიდი ბრიტანეთი), თემურ ჩხეიძის „კოპენჰაგენი" (გიორგი ტოვსტონოგოვის დიდი დრამატული თეატრი).

სპექტაკლების ჩვენების პარალელურად ფესტივალის ფარგლებში მოეწყო კულტურული ხიდი-პროფესიონალ კრიტიკოსთა სიმპოზიუმი „თეატრი-მაყურებელი-კრიტიკა: „ბერმუდის სამკუთხედი, თუ იდეალური სამეული". სიმპოზიუმის ერთი დღე, რომლის კორდინატორიც კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ირინა ღოღობერიძე იყო, უცხოელ კრიტიკოსთა მოხსენებებს დაეთმო, ხოლო მეორე დღე ქართული კრიტიკის წარმომადგენლებს. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს შეხვედრებს, რომელსაც მეორე წელია თბილისის საერთაშორისო ფესტივალი ახორციელებს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ახალგაზრდა კრიტიკოსებისათვის, არამედ თეატრის მოღვაწეებისათვის და თეატრით დაინტერესებული მაყურებლისთვისაც კი. ასეთ შეხვედრებზე იმართება დიალოგი კრიტიკოსებსა და რეჟისორებს შორის, თუმცა ამ სემინარით არც ერთი რეჟისორი არ დაინტერესებულა ნინო ლიპარტიანის გარდა, რომელსაც საზოგადოება იცნობს ორი გახმაურებული სპექტაკლით „მაკროპოლუსის საიდუმლო" და „ყოფილების სარეცელი", პირველი დაიდგა თეატრში ათონელზე, ხოლო მეორე რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე. აღნიშნულ სიმპოზიუმზე, გადაჭარბებად ნამდვილად არ ჩამეთვლება, რომ ვთქვა, ქართული სათეატრო კრიტიკა ჩინელ, ირანელ, ინდოელ, ფინელ კრიტიკოსებს შორის მწვერვალზე არ ჩანდა პროფესიონალიზმით, მოხსენებათა აქტუალობით და პრობლემების დასმის სიმწვავით, რაც აღნიშნა კიდევაც არა ერთმა უცხოელმა კრიტიკოსმა. უცხოელმა მომხსენებელებმა მხოლოდ თავიანთი ქვეყნების თეატრების ისტორიული ქრონიკა და დღევანდელობა სქემატურად წარმოადგინეს და მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ქართველი მომხსენებლები ერთმანეთის მიყოლებით კითხულობდნენ დახვეწილ, სამეცნიერო დონის თეორიულ მოხსენებებს. სხდომის თავჯდომარემ ირინა ღოღობერიძემ ყურადრება გაამახვილა მნიშვნელოვან საკითხებზე, იმ პრობლემებზე, რომელიც ზოგადად არის ქართულ თეატრში მაყურებლისა და კრიტიკის ერთმანეთთან მიმართებაში, კრიტიკის შესაძლებლობაზე და იმ ხერხებზე, რითაც მისი ავტორიტეტი უნდა გაიზარდოს. მოხსნებები ამ თემებზე წაიკითხეს მაკა ვასაძემ, ლელა ოჩიაურმა, თამარ კიკნაველიძემ, დავით ბუცხრიკიძემ, თამარ ცაგარელმა. დიდი მოწონება კოლეგებს შორის დაიმსახურა დავით ბუცხრიკიძის მოხსენებამ „გოგა და გოდერძი გოდოს მოლოდნში", რომელიც უკვე დაიბეჭდა ჟურნალში „ცხელი შოკოლადი". გოგა და გოდერძი ორი განსხვავებული ტიპის პროტოტიპები არიან. კრიტიკოსმა ნათლად ჩამოაყალიბა პოზიცია მაყურებლის მოლოდინზე ქართული თეატრისაგან და დაახასიათა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული მაყურებლის ორი ტიპი ასაკობრივი ნიშნით. სიმპოზიუმზე წამოიჭრა ბევრი ისეთი საკითხი, რომელმაც ცხარე კამათი და დისკუსია გამოიწვია, მაგალითად, გამოდგება თუ არა ყოველთვის მაყურებელი ხარისხის განმსაზღვრელად, ან საით, როგორ და რა გზით მიდის ქართული თანამედროვე თეატრი, სახელოვნებო განათლების პრობლემა და სხვა.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ერთი წლით დაგვემშვიდობა. შარშანდელის არ იყოს წელსაც კამათი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა და შთაბეჭდილება თითქმის ერთთვიან ღონისძიებაზე ერთი წელი გასტანს. მანამ, სანამ თბილისის მესამე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი დაიწყება, რომელსაც გამოცდილი, პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი ჩაატარებს კვლავაც.

მაშ ასე, ერთი წლით, მომოვალ ოქტომბრამდე.

ბოგა ბერიძეშვილი, ინგა ბერაძე და დათო გეგელაშვილი

მის მეხის

ინგა ბერაძის ოჯახური ტრიო

ცხოვრებაშიც ისეთია, როგორიც სცენაზე — ღიმილიანი, ნათელი, რომანტიული... სცენა და ცხოვრება ხომ ბავშვობიდანვე განუყოფელი იყო მისთვის. ესაუბრები და იხიბლები სიყვარულითა და სითბოთი, რომელსაც ირგვლივ ასხივებს. უსმენ და მართლა იჯერებ, რომ ქვეყნად მეფობს სიყვარული და ამიტომაც უნდა ამღერდეს.

მის „გულს სიმღერა ათბობს" და ეს სითბო ჩვენამდეც აღწევს, როცა სცენაზეა განსაკუთრებული და დასამახსოვრებელი ხმისა და გარეგნობის, თითქოს „გულკეთილი სიზმრებიდან დაბადებული" ქალბატონი.

ინგა ბერაძის მუსიკითა და სიმღერით გატაცება ადრეულ ასაკში დაიწყო, როცა სამი წლისა დედამ მაშინდელ პიონერთა სასახლეში მიიყვანა ქალბატონ ციცინო ციცქიშვილთან. იქ მაშინ ძალიან პრესტიჟული ვოკალური წრე იყო, სადაც კარგი მუსიკალური შესაძლებლობების ბავშვები მიდიოდნენ. სამწუხაროდ, ქალბატონი ციცინო რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა, მისი აღსაზრდელები კი დღეს საქართველოში ცნობილი მომღერლები არიან.

ერთხელ სასახლეში ღონისძიებაზე მოწვეულები იყვნენ ოპერის ცნობილი მომღერლები: მედეა ამირანაშვილი, ზურაბ სოტკილავა და ლამარა ჭყონია. ათი წლის ინგამ მაშინ როსინის „ტარანტელა" შეასრულა და საპატიო სტუმრების მოწონებაც დაიმსახურა. განსაკუთრებით აღფრთოვანდა ინგას ტალანტით ქალბატონი მედეა, ეს პარტია ხომ მისი რეპერტუარიდან იყო. მან გოგონას დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. ზურაბ სოტკილავამ კი გერმანიიდან ჩამოტანილი ქონდრისკაცი უსახსოვრა. ინგას დღემდე აქვს ეს პატარა ფიგურა, რომელსაც ბატონი ზურაბის თქმით ბედნიერება მოაქვს.

პიონერთა სასახლეში ინგა მღეროდა ნათია კავსაძესთან ერთად, რომელიც შემდგომ მსახიობი გახდა. მათი დუეტი ძალიან ცნობილი იყო იმ პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ ასაკით ჯერ კიდევ ძალიან პატარები იყვნენ, მათ თითქმის ყველა სამთავრობო ღონისძიებაზე იწვევდნენ. მოგვიანებით მათ შემოუერთდათ კიდევ ერთი გოგონა, ნანა რომელაშვილი და ეს ტრიო მღეროდა მაშინდელ ანსამბლ „ოროველა"-სთან ზურა კობეშავიძის ხელმძღვანელობით. ეს ანსამბლიც საკმაოდ პოპულარული იყო და მათი

გიგი გეგელაშვილი, ინგა ბერაძე და ნანი ბრეგვაძე

ერთობლივი მოღვაწეობა ძალიან წარმატებული აღმოჩნდა.

ზაქარია ფალიაშვილის მუსიკალური შვიდწლედის საფორტეპიანო განხრით დამთავრების შემდეგ ინგამ სწავლა გააგრძელა მეორე სამუსიკო სასწავლებელში ისევ საფორტეპიანო განხრით, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ ლაურა იაშვილი და ციცი თავხელიძე.

ინგამ ძალიან ადრეულ ასაკში, 18 წლისამ შექმნა ოჯახი. მომავალი მეუღლე, დავით გეგელაშვილი ჯერ კიდევ პიონერთა სასახლეში გაიცნო, სადაც ის ინტერკლუბში ჩატარებული ღონისძიებების მუდმივი წამყვანი გახლდათ.

მერე იყო პუშკინის ინსტიტუტი, სადაც იმ წელს, როცა ინგა აბარებდა, გაიხსნა მუსიკის ფაკულტეტი, სადაც რეზო ლაღიძე იყო კათედრის გამგე. ინგას ჯგუფი იყო პირველი ამ ფაკულტეტზე. იმ პერიოდში სტუდენტური თვითშემოქმედების ჯგუფი „ნია" შეიქმნა. მათთან ერთად მღეროდნენ და უკრავდნენ მიშა ცაგარელი, ზურა გაგნიძე („შინის" ბასისტი), გია მაჭარაშვილი, დათო მასტერანოვი (გიტარისტი). ისინი ხშირად დადიოდნენ გასტროლებზე, საერთაშორისო ფესტივალებზე.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტობის წლებში, ორი წლის განმავლობაში ინგა ბერაძე ანსამბლ „ორერას" სოლისტი იყო. ინგას ძალიან წარმატებული გასტროლები ჰქონდა ანსამბლთან ერთად სხვადასხვა ქვეყანაში. მაშინ უკვე ჰყავდა პატარა გიგი და ძალიან განიცდიდა, როცა გასტროლების დროს მისი დატოვება უწევდა.

მუსიკალური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ინგამ დაამთავრა ასპირანტურა, დარჩა კათედრაზე და მუშაობდა იქ წლების განმავლობაში. სულხან-საბას პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში პარალელურად მუშაობდა ტელევიზიის პირველ არხზე მუსიკალური რედაქციის რედაქტორად. ალბათ, გახსოვთ მოკლე, სარეკლამო-მუსიკალური გადაცემა „რამპა", რომლის რედაქტორიც და წამყვანიც თვითონ გახლდათ. ჰქონდა ასევე საავტორო გადაცემა „ვიქტორია", რომელიც ძირითადად მუსიკალურ ფესტივალებს აშუქებდა. აგრეთვე ამზადებდა ძალიან საინტერესო და დასამახსოვრებელ გადაცემების ციკლს ხელოვან ადამიანებზე.

მას შემდეგ, რაც შვილთან, გიგი გეგელაშვილთან ერთად პირველად გამოვიდა სცენაზე, დაიწყო ცხოვრების სულ სხვა ეტაპი. გიგი ძალიან პატარა, ოთხი წლის იყო, როცა მათი დუეტი შედგა. დუეტის შესრულებით პირველი სიმღერის ავტორი, როგორც შემდგომ უმრავლესი მათი სიმღერებისა, გახლდათ ინგას მეუღლე, დავით გეგელაშვილი. ბატონი დავითი ამბობს, რომ შეყვარებულობის დროიდან ინგა მისი მუდმივი მუზა იყო.

დედა-შვილის დუეტი აღმოაჩინა ბატონმა დორიან კიტიამ, რომელიც თავიდანვე დარწმუნებული იყო მის წარმატებაში და არც

შემცდარა. ეს იყო პირველი ოჯახური დუეტი. გიგი ორი წლიდან მღეროდა. ის ერთ-ერთი პირველი იყო იმათგან, ვინც ქართული ესტრადის სცენაზე მოძრაობა დაიწყო და თავისი ენერგიისა და ტალანტის გამოვლენას არ მოერიდა.

დედა-შვილის დუეტი მალე ძალიან ცნობილი გახდა. ქვეყნისთვისაც და მათი ოჯახისთვისაც მძიმე წლებში ისინი მონაწილეობდნენ ყველა მუსიკალურ ღონისძიებაში, რომელიც მაშინ ტარდებოდა. უმთავრესად ეს იყო პატრიოტული ხასიათის კონცერტები. დედა-შვილის გამოჩენას მსმენელი ყოველთვის აპლოდისმენტებით ხვდებოდა. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა სიმღერა „ღმერთო, გაზარდე ქართველი“, რომელიც ძალიან პოპულარული გახდა. პატარა გიგი ძალიან არტისტული იყო და ამითაც ხიბლავდა მსმენელს. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ სიმღერები სპეციალურად მათთვის იწერებოდა და ზუსტად იყო მორგებული დედა-შვილის ხასიათსა და შესაძლებლობებს.

აფხაზეთის თემაზე სიმღერა „საბრძოლო“ სოხუმის დაცემის წინა დღეებში დაიწერა. ტელევიზიით უჩვენებდნენ ოზურგეთის ბატალიონს. მებრძოლები ისვენებდნენ და გიტარაზე უკრავდნენ. მეორე დღეს კი გამოაცხადეს, რომ ეს ბატალიონი ალყაში მოაქციეს და ყველანი ამოხოცეს. აი, სწორედ მაშინ, სულ რამდენიმე წუთში დაწერა ბატონმა დავითმა ეს სიმღერა, რომლის პრემიერაც „მოამბეში“ შედგა. კლიპის პირველ ვარიანტში გამოყენებული იყო დოკუმენტური კადრები ოზურგეთის ბატალიონზე. სიმღერა ძალიან დიდი სტიმული გახდა აფხაზეთში მებრძოლი მეომრებისთვის. გეგელაშვილებთან ხშირად მიდიოდნენ მებრძოლების თხოვნით, რომ სიმღერა ჩაეწერათ და აფხაზეთში ჩაეტანათ. როცა გრიგოლ ჩიგოგიძემ ახალგაზრდობის სასახლეში „ავღანელებს“ შეხვედრა მოუწყო, მებრძოლებმა სწორედ ამ სიმღერის შესრულება ითხოვეს. მათ შორის იყო დეპუტატი ნუგზარ მიხანაშვილი, რომელიც დეპუტატად არჩევის მეორე დღეს ომში წავიდა და ცოტა ხანში დაიღუპა.

როცა გიგიზე იწყება საუბარი, ქალბატონი ინგა საკუთარ შემოქმედებაზე ლაპარაკს წყვეტს და მთლიანად გადაერთვება ხოლმე შვილის მუსიკალურ ბიოგრაფიაზე. სიამოვნებით იხსენებს ფესტივალ „ბროლის ნაძვს“, სადაც გიგი მღეროდა „ბაბაჯანას“, თან ცეკვავდა და ამით ხიბლავდა მაყურებელს. ყვება გიგის მოსკოვურ პერიოდზე, როცა მას ბენეფისი მოუწყვეს „არლიონოკის“ საკონცერტო დარბაზში, ხოლო შემდეგ კრემლის ყრილობათა სასახლეში მიიწვიეს კონცერტზე. ამ სასახლეში თვითონ ინგაც იყო ადრე მიწვეული საქართველოს დღეებზე ცნობილი მომღერლების დელეგაციასთან, ინოლა გურგულიას ტრიოსთან, ანსამბლ „რუსთავ“-თან ერთად. მაშინ ინგა და ნათია კავსაძე ძალიან პატარები იყვნენ.

შემდეგ გიგი ყოველ წელიწადს მონაწილეობდა პროექტში „ბავშვები ბავშვებს“ და ყოველ წელს სხვადასხვა ჟანრის სიმღერა ჩაჰქონდა მოსკოვში. ამ კონცერტებიდან მოგებული თანხა მზრუნველობამოკლებულ და ინვალიდ ბავშვებს ხმარდებოდა. მერე ბელორუსიაში საბავშვო კონკურს „Славянский базар“-ზე ჟიურის წევრადაც მიიწვიეს.

იმ არტისტიზმს, რომელსაც ჩვენ სცენაზე სიმღერის დროს ვხედავთ, ჰქონდა თეატრალური საფუძველი — გიგი პატარაობიდან დადიოდა თეატრ-სტუდია „ბერიკებში“ გოგი თოდაძის ხელმძღვანელობით. თეატრმა მთელი მსოფლიო შემოიარა. მონაწილეობდნენ საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებზე მონაკოში, იაპონიაში, გერმანიაში, საფრანგეთში და ყველგან იმარჯვებდნენ. გიგი თამაშობდა სპექტაკლებში „პატარა პრინცი, „ლურჯი ფრინველი“, „ჰელადოსი“. ამ უკანასკნელში მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაში სპეციალურად აღნიშნეს მონაკოში თეატრალურმა კრიტიკოსებმა. „ჰელადოს“-ის სატელევიზიო ვერსია ამერიკაში, მიჩიგანის შტატში ტელევიზიითაც აჩვენეს.

რეჟისორმა ზაალ კაკაბაძემ 2003 გადაიღო ფილმი „გიგი“. ამ ფილმის გადაღება ბატონ ზაალს გიგის ბავშვობიდანვე ჰქონდა გადაწყვეტილი. სულ ნანობდა, რომ ნინო ანანიაშვილის პირველი ნაბიჯები არ ჰქონდა გადაღებული. ამბობდა — გიგის ძალიან დიდი მომავალი აქვს და იგივე შეცდომა არ დავუშვათო.

გიგიმ დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი მსახიობის სპეციალობით, მაგრამ არც ერთ თეატრში არ უმუშავია. ისევ თავის საყვარელ საქმეს — მუსიკას დაუბრუნდა. უკვე ინსტიტუტს რომ ამთავრებდა, პირველი ჯგუფი „სინათლის წელიწადი“ ჩამოაყალიბა და დაწერა როკ-კანტატა „თაობა ოცდამეერთე“. ეს იყო ძალიან დიდი პროექტი. ოპერის სცენაზე იდგა 150 ბავშვი, ორი კაპელა, სიმფონიური ორკესტრი და მოწვეული სოლისტები — სოფო ხალვაში, ნინი შერმადინი და ვლად არამოვი. ეს რაღაც ახალი იყო საქართველოსთვის. და თუ როკ-კანტატას ისეთი გამოხმაურება არ მოჰყვა, როგორსაც იმსახურებდა, ეს მხოლოდ გიგის მოკრძალებული ხასიათის გამო მოხდა. მან ძალიან არაპოპულარული ნაბიჯები გადადგა მუსიკალურ ასპარეზზე, არ აჰყვა იაფფასიან შოუ-ბიზნესს, ქმნის მუსიკას გემოვნებიანი მსმენელისთვის. ეს არის სერიოზული, განსხვავებული მუსიკა, ასეთ ნაწარმოებებს კი ყოველთვის ნაკლები მსმენელი და დამფასებელი ჰყავს.

გიგის მუსიკალურ ცხოვრებაში არაფერი ხდებოდა დედის მონაწილეობის გარეშე. ბატონი დავითი კი ყოველთვის ეხმარებოდა მათ იდეურად, სიმღერებით. გიგის და ინგას რეპერტუარიც თითქმის მთლიანად მისი ნაწარმოებებით იყო შექმნილი. ახლა სიმღერებისთვის მუსიკასაც და ტექსტებსაც გიგი თვითონ წერს, თუმცა ყოველთვის ითვალისწინებს მშობლების პროფესიონალურ რჩევებს და მისი ნაწარმოებების პირველი მსმენელებიც სწორედ ისინი არიან. გიგის ეკუთვნის საქველმოქმედო ფონდ „იავნანა“-ს ცნობილი ჰიმნი. ამ სიმღერის პრემიერა სპორტის სასახლეში დიდ კონცერტზე შედგა.

ქალბატონი ინგა აღფრთოვანებულია შვილის შრომისმოყვარეობით, სიბეჯითითა და პასუხისმგებლობის გრძნობით. გიგის აქვს დამთავრებული ათწლედი ფორტეპიანოს და ფლეიტის განხრით, მაგრამ დანარჩენ ინსტრუმენტებზე დაკვრა არ იცოდა. არ იცოდა რომელი ინსტრუმენტი რა დიაპაზონში როგორ ჟღერს. კანტატაზე მუშაობის პერიოდში კონსერვატორიის ბიბლიოთეკიდან გამოიტანა წიგნები მუსიკათმცოდნეობისა და ინსტრუმენტმცოდნეობის შესახებ, გულდასმით წაიკითხა და ბევრი რამ ისწავლა. ის ცდილობს ყველაფერში იყოს გათვითცნობიერებული მუსიკალური კუთხით. თუმცა თეატრშიც ძალიან დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მან თვითონ აირჩია ეს გზა.

დედა მუდმივად მხარში უდგას გიგის დამოუკიდებელი პროექტების განხორციელებაში, მაგრამ აღიარებს, რომ იმ დროის ნოსტალგია აქვს, როცა ერთად იდგნენ სცენაზე. ინგა ამჟამად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. ადრე ასწავლიდა კერძო სკოლა-პანსიონ „მთიებში“. უკვე მეორე წელია ევროპულ სკოლაში მუსიკას ასწავლის, იქვე არტ-სტუდიაც აქვს. გარდა ამისა, მღერის ტრიო „მეცო“-ში და გალობს წმინდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესიაში. თუმცა გულით ატარებს ოცნებას, გააკეთოს შემოქმედებითი საღამო გიგისთან ერთად. რომ ერთხელ კიდევ ერთად თქვან სათქმელი სცენიდან, ერთხელ კიდევ გაახსენონ თავი მსმენელს და მაყურებელს. იმედი აქვს, რომ ახლო მომავალში ასეც იქნება.

ეს წერილი ინგა ბერაძეზე უნდა ყოფილიყო. ვიცი, არ გამომივიდა. იმიტომ, რომ შეუძლებელია დაწერო ამ ნიჭიერ, საყვარელ მომღერალსა და რომანტიულ ადამიანზე დამოუკიდებლად მისი საოცრად ლამაზი, შემოქმედებითი ოჯახისგან, რომელიც მუსიკით ცხოვრობს და სუნთქავს.

„დღე მზიანი დაგებედოთ, ასე ერთად გევლოთ“!..

ნინო ზასლავსკი

ჩოსა შთაბეჭდილება სულის ნაწილია

ცნობილი ქართველი გრაფიკოსის ლალი ლომთაძისადმი მიძღვნილი სტატიისთვის სათაურის არჩევა ადვილიც არის და ძნელიც. სასურველი ვარიანტები გაფანტულია მხატვრის ინტერვიუებში, გამონათქვამებში, გამოფენებისა და ნამუშევრების სახელწოდებებში. მე ავირჩიე ფრაზა – რომელიც გამოყენებული იყო პარიზში, „კავკასიის სახლში" გამართული ლალის ერთ-ერთი პერსონალური გამოფენის დასახელებაში.

გალერეა "ტმს" ში მოწყობილი გამოფენის ერთ-ერთი დამთვალიერებელი ისე ძლიერად იყო მოხიბლული მისი შემოქმედებით, რომ დიდხანს ვერ ტოვებდა დარბაზს — ვინ იყო ეს ადამიანი, პროფესიონალი მხატვარი თუ ხელოვნების უბრალო მოყვარული არ ვიცი, მაგრამ მან ზუსტად შეძლო ფორმულირება ლალის შემოქმედების მთავარი არსისა — "რა მზიანი მხატვარია, მისი ნამუშევრები ყველა სახლს გააცოცხლებსო". და მართლაც, არის მზე მის ნამუშევრებში თუ არა, ყველა ფურცელში — ნახატსა და გრავიურაში ჩანს კეთილი, მზიანი დამოკიდებულება ადამიანებისადმი, ზოგადად სამყაროსადმი.

ლალი ლომთაძე, ქართველ მხატვართა 80-იანელთა თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომდგენელი სამშობლოში და საზღვარგარეთ გამართული არაერთი მნიშვნელოვანი ჯგუფური ექსპოზიციის მონაწილეა. იგი იმ ოსტატთაგანია, რომელსაც საქართველოზე უფრო ხშირად უცხოეთში აქვს პერსონალური გამოფენა გამართული. აკადემიის დამთავრების შემდეგ დაახლოებით ასზე მეტი გამოფენა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში — რუსეთში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, იაპონიაში, ესტონეთში, შვეიცარიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, ბელგიაში, გერმანიაში და სხვაგან — ეს არასრული სიაა ქვეყნებისა, სადაც ლალის ნამუშევრები ყოფილა გამოფენილი. ზოგიერთ ქვეყანაში ავტორი თავადაც ესწრებოდა ვერნისაჟებს, ისმენდა სამადლობელ სიტყვებს, მილოცვებს. მხატვარი აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში გამართულ სახელგანთქმულ ბიენალეებსა და ტრიენალეებში. ლალი ლომთაძის ნამუშევრები მრავალ ქართულ და უცხოურ კოლექციაშია დაცული. მისი საინტერესო კომპოზიციების მფლობელი ბევრი ცნობილი ადამიანიაცაა. ლალის ნამუშევრები ხშირად გამხდარა პირველი ნაწარმოებები, რომლითაც იწყებენ კოლექციის შექმნას ისინი, ვისაც ე. წ ხელოვნების რიგითი მოყვარული ჰქვია. ბევრ შემთხვევაში მისი ნამუშევრებით იქმნიან უცხოელი დამთვალიერებლები პირველ შთაბეჭდილებებს საქართველოზე, მის კულტურაზე, ტრადიციებზე.

ლალი ლომთაძე გრაფიკოსი, ფერმწერი, პორტრეტების, ილუსტრაციების, საჟურნალო გრაფიკის, კინომხატვრობის ნიმუშების ავტორი, დაიბადა 1955 წლის 3 იანვარს თბილისში. მხატვრობით ბავშვობიდანვე დაინტერესდა. თბილი, სტუმართმოყვარეობით განთქმული ოჯახი (დედ-მამა: მოლინა უგულავა, რევაზ ლომთაძე, ძმები — სოსო და ბესო) ყოველმხრივ უწყობდა ხელს მის გატაცებას. გაუმართლა პირველ მასწავლებლებშიც — საბავშვო სამხატვრო სკოლაში ცოლ-ქმარი მარგარიტა და შოთა მეტრეველები ასწავლიდნენ, შემდეგ მამა-შვილი ვლადიმერ და მანანა ტოროტაძეები. განსაკუთრებული როლი მის შემოქმედებითად ჩამოყალიბებაში ითამაშა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში კინო-ტელე განყოფილებაზე სწავლის წლებმა (1973-79). იგი ოსტატდებოდა სახელოსნოს დამფუძნებლის, ცნობილი კინომხატვრისა და პედაგოგის დიმიტრი თაყაიშვილის ხელმძღვანელობით. მეტრის მრავალმხრივმა, შემოქმედებითმა ნი-

ჭმა და თბილი, ადამიანური ურთიოერთობების უნარმა დიდი გავლენა მოახდინა ლალიზე და მის თანაკურსელებზე. სახელოსნოს განსაკუთრებული, შემოქმედებითი მუხტით დატვირთული, კეთილმოსურნე ატმოსფერო იქმნებოდა თავად პედაგოგის და სტუდენტების მცდელობით. სახელოსნოში ნიჭიერ ახალგაზრდებს გარკვეულწილად უყალიბდებოდათ კომპოზიციური ხედვის, ფართო აზროვნების ის თავისებურებები, რამაც მათ წარმატება მოუტანათ არამხოლოდ კინოს სფეროში, არამედ სხვა დარგებში (ფერწერა, გრაფიკა) მოღვაწეობისას. 80-იანელთა თაობის ბევრმა კურსდამთავრებულმა, იმ პერიოდში, როდესაც საქართველოში განვითარებული მოვლენების დროს მძაფრი პოლიტიკური ცვლილებებისა და ეკონომიური სტაგნაციის გამო ქართული კინო ფაქტიურად ჩაკვდა, შეძლო მოღვაწეობის გაგრძელება ფერწერის, გრაფიკის სფეროში და დიდი წარმატებების მიღწევა. ლალიმ და მასთან ერთად მოსწავლე, შემდგომში ცნობილმა მხატვრებმა (ჯემალ კუხალაშვილი, მალხაზ თავაძე, მიშა იაშვილი, ლადო და გოგი ტატიშვილები და სხვა). გარკვეული ამინდი შექმნეს ქართულ ფერწერასა და კინო მხატვრობაში, გრაფიკაში — მათ შემოქმედებას დღემდე ემჩნევა ე.წ კინოფესვები, თავისებური კინემატოგრაფიული ხედვა. სტუდენტობისას, "ჭექა-ქუხილის" წლების დაწყებამდე ლალი მონაწილეობდა რამდენიმე ფილმის — ი. კვაჭაძის "ყველაწმინდა", ი. გოცირიძის "გასეირნება", სატელევიზიო სპექტაკლის "პალესტინა-პალესტინა" შექმნაში. კინოსთან კავშირი გაგრძელდა მის პედაგოგიურ საქმიანობაში — იგი მრავალი წელი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კინო-ტელე სახელოსნოში, ეყრდნობოდა რა ოსტატის რჩევებსა და გამოცდილებას.

ხელოვნების მოყვარული საზოგადოების ყურადღება ლალი ლომთაძემ სადიპლომო ნამუშევრით — სერიით " იყო და არა იყო რა" მიიქცია. ფოლკლორულ მოტივებზე დაფუძნებული სერია სავსე იყო ოპტიმიზმითა და იუმორით. ის ერთდროულად წარმოადგენდა მხატვრის რეჟისორობით შექმნილი წარმოსახვითი ფილმის ესკიზებს, ერთგვარ კადრირებას და ფაქტიურად, დამოუკიდებელ გრაფიკულ სერიასაც. ნამუშევრებში გამომჟღავნებული თვისებები —კარგად შეკრული კომპოზიცია, მახვილი გრაფიკულ ხაზი, ფერის გააზრებული, მეტყველი გამოყენება, მხატვრის შემდგომი ნამუშევრების დამახასიათებელი ნიშანთვისება გახდება. ასევე გაგრძელდება მისი დაინტერესება ქართული ფოლკლორითაც, რომელიც დიდ ადგილს დაიკავებს მხატვრის შემდგომ შემოქმედებით ცხოვრებაში.

ლალის შემოქმედებაზე სრულიად არაჩვეულებრივი კვალი დატოვა გრაფიკის სხვადასხვა სფეროთი დაინტერესებამ. 70-იან წლებში, მოსკოვში სსრკ სამხატვრო აკადემიის ნიაღში დაბადებულმა ნაყოფიერმა იდეამ, ახალგაზრდა მხატვრების შემდგომი დაოსტატების მიზნით შემოქმედებითი (ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების და აშ) სახელოსნოების დაარსების შესახებ, რომლებსაც ცნობილი ოსტატები უნდა ჩადგომოდნენ სათავეში, ბევრ ახალგაზრდა მხატვარს მისცა შემოქმედებითი ზრდისა და ნაყოფიერი მუშაობის გაგრძელების საშუალება. საქართველოში, თბილისში გრაფიკის სახელოსნოს თავდაპირველად სერგო ქობულაძე ხელმძღვანელობდა, ლალის სწავლის პერიოდში კი უჩა ჯაფარიძე, რომელიც სრულ შემოქმედებით თავისუფლებას აძლევდა დამწყებ მხატვრებს. გრაფიკის შემოქმედებით სახელოსნოში მუშაობამ ფართო ასპარეზი მისცა ლალი ლომთაძის ფანტაზიას, გაამდიდრა ახალი იდეებით, მასალების ათვისების შესაძლებლობით, სხვადასხვა ტექნიკის ცოდნით. სასარგებლო იყო მოსკოვის მახლობლად, სენეჟის შემოქმედებით სახლში გატარებული დრო, ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნის მხატვრებთან, ახალი შემოქმედებითი იდეების აკუმულირება. აქ შექმნა ლალიმ საინტერესო სერიები "მხატვარი და მოდელი", "გაზაფხული". მხატვრის ადრეულ სერიებს მიეკუთვნება აგრეთვე სერიები "შადრევანი", "ბავშვობის მოგონებები".

საქართველოში, მის სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის შედეგად შეიქმნა სერიები "რაჭა", "კახეთი" "სვანეთი", "ახალქალაქი". მათთვის დამახასიათებელია პოეტური აღქმა, ლირიკული წიაღსვლები.

სხვადახვა ტექნიკაში (უმთავრესად ნახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირით), ლალი ლომთაძე ქმნის მრავალრიცხოვან ნახატებს (პორტრეტებს, ნატურმორტებს, პეიზაჟებს), მოგვიანებით იგი უფრო გრავიურის სხვადასხვა ტექნიკასაც (ლითოგრაფია, ოფორტი— მოწამლული შტრიხი, მშრალი ნემსი, მათი კომბინირება), მონოტიპია ეუფლება. მრავალი წლის მანძილზე მის საყვარელ მასალად ოფორტის სხვადასხვა მანერა გადაიქცა. საკმაოდ შრომატევადი და აზიზი ტექნიკა, მრავალმხრივ ფაქტურულ შესაძლებლობას იძლეოდა. მისი თავისებურებანი კარგად დაემთხვა მხატვრის შინაგან მოთხოვნილებებს.

საქართველოში ოფორტის ტექნიკის გავრცელება დაკავშირებული თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებლის, პეტერბურგული "მირ ისკუსტვას " წრესთან დაკავშირებული ცნობილი მხატვრის ევგენი ლანსერეს სახელთან, რომელმაც 30-იან წლებში პარიზიდან აკადემიისთვის ჩამოიტანა ოფორტის პირველი დაზგა. იმ პერიოდში ტექნიკამ ვერ პოვა ფართო გავრცელება. მოგვიანებით, სამხატვრო აკადემიის პროფესორის, II მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ლენინგრადიდან სამშობლოში დაბრუნებული ცნობილი გრაფიკოსის დავით ქუთათელაძის წყალობით გაიზარდა ამ ტექნიკაში მომუშავე ახალგაზრდების რიცხვი. ოფორტის განსაკუთრებული ბუმი საქართველოში 70-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც მისი მრავალფეროვანი შესაძლებლობების გამოყენება მხატვრების საკმაოდ დიდმა ჯგუფმა დაიწყო. ეს დაინტერესება 90-იან წლებამდე გაგრძელდა.. 1997 წელს "ქარვასლაში" გამართულმა ერთგვარმა შემაჯამებელმა გამოფენამ "ქართული ოფორტი, ისტორია, ტენდენციები, ოსტატები" (ნ.ზაალიშვილის პროექტი) საზოგადოებას აჩვენა ოფორტის მაღალი დონე. წარმოდგენილი ძალზე მრავალფეროვანი, მაღალი დონის ნამუშევრების ფონზეც ლალი ლომთაძის ნამუშევრები გამოირჩევიან ინდივიდუალობით და მომხიბლაობით, იმ ქალურობით, რომელიც ამ შემთხვევაში პლიუსია და არა მინუსი. ქვეყანაში არსებული ცხოვრებისეული სიძნელეების მიუხედავად, რაც საგრძნობლად ართულებს ოფორტის ტექნიკაში მუშაობას, ლალისთვის ის კვლავ რჩება საყვარელ მასალად.

მხატვარს უყვარს სერიების შექმნა. მათი თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. ბევრ მათგანს ბიძგს ლიტერატურული ნაწარმოებები აძლევენ. რომელთაგან აღსანიშნავია ანტიკური მითები ("აპოლონი და დაფნე", "ევროპის მოტაცება", "ათენა", "განხეთილების ვაშლი"). ნამუშევრებმა ყურადღება მიიქცია ბერძნულ მხარესთან ერთად ეროვნულ გალერეაში მოწყობილ გამოფენაზე "საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (პ.ნაცვლიშვილის, ნ.ზაალიშვილი პროექტი). ლალი ლომთაძეს აქვს ნამუშევრები ბიბლიურ თემებზეც ("ევა").

2003 წელს მხატვარმა მიმართა შექსპირსაც. სპეციალურად ეროვნულ გალერეაში "ქართული სახვითი შექსპირიანის" გამოფენისათვის შექმნა ნამუშევრები პიესისათვის "ზაფხულის ღამის სიზმარი". იგი შეუერთდა სხვადასხვა დროის იმ სამასამდე ქართველ მხატვარს, რომლებმაც ამა თუ იმ ფორმით მიმართეს გენიალური ინგლისელის შემოქმედებას.

დიდი ადგილი უკავია ლ. ლომთაძის შემოქმედებაში წიგნისთვის განკუთვნილ ილუსტრაციებს. მას დასურათებული აქვს ქართული ფოლკლორის ნიმუშები, თანამედროვე ავტორების პროზა და პოეზია, საბავშვო ლიტერატურა — ილუსტრაციები ლექსებისთვის და მოთხრობებისთვის (ვ.ასლამაზიშვილი, ე.უგულავა, მ.კახიძე). მხატვარი მრავალი წელია თანამშრომლობს საბავშვო ჟურნალებთან "დილა", "აი ია".

ფოლკლორის ნიმუშები ხშირად გამხდარა მხატვრის ილუსტრაციების და დაზგური ფურცლების შთაგონების წყარო — მათ შორისაა სადიპლომო ნამუშევარი "იყო და არა იყო რა", სერიები " ქართული ხალხური ზღაპრები", "ქართული მოტივები". ეს სერიები თამამი და ლაღი კომპოზიციებისგან შედგება. მათში გადმოცემულია ზღაპრული და რეალური სამყარო, ჩაქსოვილია მხატვრის დიდი ფანტაზია. თითოეული ფურცელი წარმოადგენს შეკრულ ფერადოვან კომპოზიციებს, რომლებშიც დომინირებენ ოქროსფერი, მომწვანო, მოწითალო, ტერაკოტისფერი ტონები. ისინი ხანგრძლივი ჭვრეტისათვის და დაკვირვებისათვის არიან განკუთვნილი.

განსაკუთრებულ როლს ლალი ლომთაძის ნამუშევრების აღქმაში თამაშობს მის მიერ არჩეული ტექნიკა. უმრავლეს შემთხვევაში ოფორტის სხვადასხვა სახეები ან მათი კომბინაცია. (ოფორტი, მოწამლული შტრიხის, აკვატინტის ტექნიკის კომბინირება), ნახატის – ხეების, ადამიანების, ცალკეული საგნების სტილიზებული, შავი აქცენტები, გან-



საკუთრებულ ეფექტს ახდენს ლომთაძის ნამუშევრების დიდი ზომა (50-65სმ) ან (55.48სმ). ხანდახან მხატვარი აერთიანებს კვადრატის და მართკუთხედის ფორმის მცირე ზომის ფერადოვან კომპოზიციებს და ქმნის სრულიად ახალ, სანახაობითად მრავალფეროვან და მდიდრულ სურათებს: "დილა", "მამალი ", "ნატვრის ხე", "ქართული მოტივები", "მარაო", "ოქროს თევზი", "პეპელა". იგი ხშირად იმეორებს ცალკეულ მოტივებს და ქმნის ცალკეული ნაწარმოებების („პეპელა", "ნატვრის ხე" და აშ.) მრავალრიცხოვან ვარიაციებს.

შეიძლება ითქვას, მხატვრის შემოქმედებაში გარკვეულწილად გარდამტეხი როლი ითამაშა რელიგიური თემატიკის შემოსვლამ. მათგან აღსანიშნავია, სერია "ღვთისმშობლის ცხოვრება"(ოფორტი), რომელიც 8 თითქოს გამჭვირვალე, სულიერებით სავსე კომპოზიციებისგან შედგება. სერია მიეძღვნა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II. სერიის ცალკეული, დამოუკიდებელი კომპოზიციების გარდა, მათი კომბინირებით ლალი ლომთაძემ შექმნა დიდი ზომის ნამუშევარი, რომელიც მოიცავს ღვთისმშობლის ცხოვრების უმთავრეს ეპიზოდებს და მთლიანობაში აღიქმება. ამას გარდა მხატვარს შექმნილი აქვს მრავალრიცხოვანი ნახატები მაცხოვრის, ღვთისმშობლის, ანგელოზების გამოსახულებით. ბოლო ხანს მან დაიწყო მუშაობა ხატწერაშიც — შექმნა რამდენიმე ხატი "საიდუმლო სერობის", მთავარანგელოზების, იოანე ნათლისმცემლის, წმინდა თამარ მეფის გამოსახულებებით, რომლებიც დაცულია საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეკლესია- მონასტრებში.

ბოლო ხანს ლალი ლომთაძემ აბსტრაქციებსაც მიმართა. აღმოჩნდა, რომ რეალისტურ საფუძვლებზე აღზრდილი მხატვარის ხედვა, მშვენივრად მიესადაგა აბსტრაქტული აზროვნების ძირებსაც — "ფანჯარა", სერია" ზღვის გახსენება".

გრავიურის პარალელურად მხატვარი ბევრს მუშაობს მონოტიპიის ტექნიკაში. სერიებში "ღამის პეიზაჟები", "ნატვრის ხე", "შემოდგომა", ძველი თბილისი" მხატვარი კვლავ აქტიურად ზრდის ნამუშევრების ზომას(ყველაზე დიდი 100. 88), ინარჩუნებს ჩვეულ ფერადოვნებას, ფაქტურის სიმდიდრეს.

ლალი ლომთაძეს მნიშნელოვანი ადგილი უჭირავს თანამედროვე ქართული ექსლიბრისის ისტორიაში. იგი ქმნის პატარა გრაფიკულ კომპოზიციებს და ისევე ინარჩუნებს ხატოვან გამომსახველობას, როგორც დიდი ზომის ნაწარმოებებში. ექსლიბრისები იქმნება ახლობლებისთვის — მშობლებისთვის: მოლინა უგულავასთვის, რეზო ლომთაძისთვის, ძმებისთვის — სოსო და ბესო ლომთაძეებისთვის, ძმისშვილებისთვის — სანდრო და რეზიკო ლომთაძეებისთვის, მეუღლისთვის და შვილისთვის — ლევან და გიორგი აზმაფარაშვილებისთვის. ამჟამად მუშაობს რძლის, მშვენიერი სალომეს და შვილიშვილის ლალიკოსთვის განკუთვნილ კომპოზიციებზე. გასაკუთრებით დიდია კოლეგა მხატვრებისთვის, საერთოდ ხელოვანებისთვის შექმნილი ნამუშევრების რიცხვი (ბალერინა ნინო ანანიაშვილისთვის, დირიჟორს გივი აზმაიფარაშვილისთვის, მხატვრების წყვილებისთვის: ნანა ჭურღულიასთვის და თემურ სულხანიშვილსთვის, ჯემალ ზენაიშვილისთვის და ქეთევან ყიფიანისთვის, ნინო ზაალიშვილისთვის, ლალი ქუთათელაძისთვის და სხვა), მათთვის დამახასიათებელია ნახატის სისხარტე, იუმორი. მონაწილეობდა ექსლიბრისისადმი ბოლო დროს გამართულ ყველა გამოფენაში. მისი ექსლიბრისები მრავალჯერ აღინიშნა პრიზებით საქართველოსა და უცხოეთში გამართულ გამოფენებზე.

მასვე ეკუთვნის ნახშირით შექმნილი რამდენიმე ათეული შავ-თეთრი, ნახშირით შექმნილი პორტრეტი. მათზე გამოსახული ადამიანები ისევ მისი ახლობლები არიან —მშობლები, ძმები, ძმისშვილები, მეუღლე, შვილი, მეგობრები. თეთრ ფონზე საკმაოდ დიდი ფორმატის ფურცლებზე მეტყველი, ენერგიული ხაზით იგი ქმნის პორტრეტებს, რომლებშიც ცდილობს მიაღწიოს არამარტო მოდელებთან მსგავსებას, არამედ ჩაწვდეს მათ სულიერ სამყაროს. მიზანს უმრავლეს შემთხვევაში აღწევს ძალზე ლაკონური საშუალებებით.

ბოლო დროს მხატვარი ბევრს მუშაობს ფერწერაშიც. დახატული აქვს თამრიკო ხომერიკის, რუსიკო ფაცაციას. ნინო ნადირაშვილის ფერწერული პორტრეტები. ქმნის ჟანრული ხასიათის კომპოზიციებს. შექმნილი აქვს ძალზე ლამაზი, ნატურმორტები, პეიზაჟების სერია "ღამე".

მხატვრის შემოქმედებისათვის დიდი სტიმულის მიმცემი იყო მოგზაურობა საფრანგეთში, პარიზში გატარებული დრო. ამ ქალაქში „კავკასიის სახლის“ დამფუძნებლის, რუსუდან მიქელაძის მიწვევით მას ორჯერ ჰქონდა პერსონალური ექსპოზიცია “კავკასიის სახლში”. (2004, 2007) მონაწილეობდა აგრეთვე „კავკასიის სახლის” ბევრ სხვა გამოფენაშიც, წარმატება მოიპოვა კონკურსში “მხატვარი ხატავს პარიზს”.

ბოლო წლებში ლალი ლომთაძის შემოქმედება ფართოდ იყო წარმოდგენილი “ბაია გალერეა”(2004), გაეროს სახლი (2004) “Mგალერეაში” (2007),

ლალი ლომთაძე აქტიურადაა ჩართული საქველმოქმედო გამოფენებში. მონაწილეობდა საეკლესიო მშენებლობების, გაჭირვებულთა და უპოვართა დასახმარებელ აქციებში. იგი უშურველად ეთხოვება ნამუშევრებს კეთილი საქმისთვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონაწილეობა საქართველოს მხატვართა კავშირის ლითოგრაფიის სახელოსნოს გადასარჩენ მრავალწლიან მცდელობაში. მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა (ინგა ქარაია, ნანა ჭურღულია, ნინო ზაალიშვილი, ე.ეპიტაშვილი და სხვა) ჯგუფის ინიციატივით მოწყობილ გამოფენა-აქციებში. მისი დამსახურებაცაა, რომ უნიკალური ტექნიკის ლითოგრაფიის შემოქმედებითი სახელოსნო ათი წლის წინ საქართველოს მხატვართა კავშირს უზურფრუქტის წესით გადაეცა რამდენიმე წლით, რამაც შესაძლებლობა მისცა მრავალ მხატვარს, მათ შირის ლალისაც, ემუშავა ამ უნიკალურ ტექნიკაში, გაემდიდრებინა შემოქმედებითი პალიტრა ახალი შესაძლებლობებით.

ბოლო წლებში იგი მონაწილეობდა მრავალ ლითოგრაფიულ ვორკშოპში. ქართულ- გერმანული ლითოგრაფიის ვორკშოპში “ქვის ხანა”, ვორკშოპებში „ცხელი ქვა”, “ ქვაკუთხედი” და სხვა. აქ შეიქმნა ლითოგრაფიები “საღამო“, “ზაფხულის ღამე”, „მარაო”, “ქართული მოტივები” შინაგანად ახლოა მის ოფორტში შექმნილ ნაწარმოებებთან.

შემოქმედებით მუშაობას იგი წარმატებით უხამებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. წლების მანძილზე ასწავლიდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, დღემდე ასწავლის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სახვითი ხელოვნების განყოფილებაზე. მისი მრავალი აღზრდილი ენევა დამოუკიდებელ შემოქმედებით მუშაობას

მისი პორტრეტი დახატული აქვს რამდენიმე ცნობილ ქართველ მხატვარს: ჯემალ კუხალაშვილს, თამაზ ხუციშვილს, მალხაზ კუხაშვილს, ბიჭიკო გულუაშვილს, ნანა ცინცაძეს, ირაკლი ფარჯიანს. სამწუხაროა, რომ მხატვრის ეს შესანიშნავი ნაწარმოები ვერ შევიდა ირაკლის ბოლო დროს გამოცემულ მშვენიერ ალბომში.

ლალი ლომთაძის ბიოგრაფია შესულია ბიბლიოგრაფიულ ლექსიკონში “ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში”. ქართული ბიოგრაფიული ცენტრი თბილისი 2000 წ. „ვინ ვინაა საქართველოში” 2001-2002, ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006, 2009), კრებულში ” ასი ქართველი ქალი”. 2004,

ლალი ლომთაძე ჰარმონიული ადამიანია, რაც ნამუშევრებშიც აისახება. ჰარმონითაა სავსე მისი პირადი ცხოვრება, სადაც მთავარი ადგილი მის შვილიშვილს ლალიკოს უკავია.

სათაურს თუ დავუბრუნდებით, რეზიუმეს სახით შეიძლება დაიწეროს — ლალის შემოქმედება მზით, ჰარმონიით სავსე ნაწარმოებებისაგან შედგება, რომელთა მიზანი ადამიანებისთვის სიხარულის მინიჭებაა, მათთვის სილამაზით ტკბობის უნარის დაბრუნებაა.

P.S. რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას მხატვრის მისალოცი ბარათების შესახებაც... უნიკალური, ხელნაკეთი მხატვრული ბარათების კულტურა საქართველოში 90-იანი წლებიდან, დამოუკიდებლობის პირველ წლებში დაიბადა. ლალი ლომთაძის ოფორტები, ხშირად ერთ ეგზემპლარად დაბეჭდილი, შემდეგში ხელით შეფერადებული, ზოგჯერ მონოტიპიაში შესრულებული მრავალფეროვანი კომპოზიციები, პატარა გრაფიკული მინიატურები, საშობაო მისალოცები, დაბადების დღის აღსანიშნავი ბარათები დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ქართველ და უცხოელ ხელოვნების მოყვარულებს შორის და ჩარჩოში ჩასმულები ხშირად ალბომის მაგივრად კედლებზე ინაცვლებენ.

P.S. 2. პირადი მოგონებებიდან. როდესაც ომის შემდგომი თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე დავინახე ლალი ლომთაძის ბარათის შეძენით გახარებული გოგონების სახეები, იმედი მომეცა რომ ყველაფერი არ დამთავრებულა, რადგან მათ შეუძლიათ სილამაზის აღქმა და დანგრეულ ქალაქში თანხის გამეტება ამ სილამაზის შემცველი ნამუშევრისთვის...



687/42

ანეტა დადიანი-დადეშქელიანისა სტუმრად აკაკისთან და ანა წერეთელთან
(მე-20 საუკუნის დასაწყისი)

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;
„ელვასერვისი“, იოსებიძის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია“– ტელ: 95-51-70,
და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43
6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
სალომე ფორჩხიძე

ოპერატორები::
მაია ჯინორიძე
თამუნა ოთარაშვილი

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.
Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლალი ლომთაძე

ჟურნალი დაიბეჭდა ბატონ ტარიელ მეფარიშვილის თანადგომით

ISSN 1512-3189 ფასი 3 ლარი